ლევან ძიძიგური

საგლეხო რეფორმა აფხაზეთში

აფხაზეთის სახელგამი
სოხუმი — 1960

წინასიტყვაობა

აფხაზეთის გლეხობა საქართველოს მთელ გლეხობასთან ერთად საუკუნეთა მანძილზე ეწეოდა შეუპოვარ ბრძოლას ფეოდალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ მიწისა და თავისუფლებისათვის. ეს მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა ძლევამოსილად დამთავრდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით.

რევოლუციისაგან მიწის უსასყიდლოდ მიღებით და ბედნიერი საკოლმეურნეო ცხოვრების პექმხით გლეხობამ მიაღწია იმას, რისკენაც იგი მიისწრაფოდა თავის ბედკრული ცხოვრების ასეული წლების მანძილზე. მაგრამ ვიდრე ეს სანუკვარი ოცნება რეალობად გადაიქცეოდა, გლეხობამ განვლო ბრძოლის მრავალი სხვადასხვა ეტაპი. თავისი მჩაგვრელების წინააღმდეგ გლეხობის მიერ წარმოებული ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს საგლეხო რეფორმის გატარების პერიოდი. მაგრამ XIX საუკუნის ისტორიის ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ დროს ამ მიმართულებით ბევრი რამ არის გაკეთებული, ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი. საგლეხო რეფორმაზე მთლიანად საქართველოში სწორი და სრული წარმოდგენა რომ გვქონდეს, აუცილებელია მისი შესწავლა ცალკეული მხარეების მიხედვით. რადგან სწორედ ჩვენში, როგორც ცნობილია, ბატონყმობის გაუქმება ნაწილნაწილ და სხვადასხვა დროს მოხდა.

ბუნებრივია, რომ ამ მიზნით, საგლეხო რეფორმის შესწავლას აფხაზეთში გარკვეული ისტორიული ღირებულება აქვს. მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ დღემდე ეს საკითხი სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის გაშუქებული.

რევოლუციამდელ ისტორიულ ლიტერატურაში აფხაზეთში საგლეხო რეფორმის გატარების საკითხი სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა, ხოლო ის ზოგიერთი შრომა, რო-

ბლებშიც კაცვრით არის მოხსენებული აფხაზეთში საგლეხო რეფორმის შესახებ. ვერ იძლევა მის რამდენიმედ მაინც დამაკმაყოფილებელ სურათს. ამ შრომებში ჩვენ ვერ ვიპოვით სწორ წარმოდგენას რეფორმის გარშემო წარმოებული კლასობრივი ბრძოლის შესახებ და საერთოდ სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ მოვლენათა ბოლომდე თანმიმდევრულ მეცნიერულ ანალიზს. ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს ნესამოცე წლების ბურჟუაზიული რეფორმების ცნობილი მკვლევარი პროფ. ს. ავალიანი.

ავალიანი საგლეხო რეფორმას საქართველოში საერთოდ, და კერძოდ აფხაზეთში, უყურებს როგორც რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში გატარებული მსგავსი რეფორმის მექანიკურ გაგრძელებას და ამდენად, სრულიად უგულებელყოფს იმ ცვლილებებს, ევოლუციას, რაც რეფორმის წინ საქართველოს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში მოხდა. ის სრულიად უყურადღებოდ ტოვებს ნატურალური მეურნეობის რღვევის, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის შეჭრის, ბურჟუაზიული წყობის ჩასახვისა და მისი თანდათანობითი ზრდის პროცესს, რამაც გლეხთა მასის ექსპლოატაციის უზომოდ გადიდება გამოიწვია, რის შედეგადაც მეტად გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის. ავალიანს ყურადღების გარეშე რჩება ის ამბავი, რომ ფეოდალების მიერ მშრომელი მასების ექსპლოატაციის ვაღლიერების შედეგად წარმოშობილმა. გლეხთა შეუპოვარმა „ბუნტებმა" აიძულეს მეფის მთავრობა აქაც დაეჩქარებინა საგლეხო რეფორმის გატარება ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში. ავალიანს აქვს კიდევ სხვა არასწორი დებულებებიც. მაგალითად, ღებულობს რა უკრიტიკოდ ტენდენციურად განწყობილი მეფის მოხელეების მიერ გაკეთებულ დასკვნებს, იგი მიდის რეფორმის წინადროინდელ აფხაზეთში ბატონყმობის ინსტიტუტის უარყოფამდე[1].

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ავალიანი თავის შრომაში სრულიად არ ეხება რეფორმის შედეგებს. ის არ იხილავს, რა მისცა გლეხობას ბატონყმობისაგან „განთავისუფლებამ", როგორ პირობებში აღმოჩნდა თავადაზნაურობა და საერთოდ რა ცვლილებები შეიტანა მან მხარის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში და რა გავლენა იქონია მასზე.

---

[1] С. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, т. II, Одесса, 1913.ss 70.

ამ მხრივ კიდევ უფრო მეტი ხარვეზები და შეცდომები აქვს ისტორიკოს ესაძეს[2].

ამ უკანასკნელ დრომდე საბჭოთა პერიოდის ისტორიულ ლიტერატურაში საგლეხო რეფორმის საკითხს აფხაზეთში მსოლოდ ა. ფადეევი შეეხო. მან აღნიშნული რეფორმის გაშუქება სცადა თავის შრომებში: „აფხაზეთის ისტორიის მოკლე ნარკვევი"; „რუსეთის ცარიზმი და საგლეხო რეფორმა აფხაზეთში" და. ბოლოს, 1935 წელს, მანვე სსრ კავშირის აკადემიის მოამბეში ამავე საკითხს სპეციალური სტატიაც უძღვნა.

ა. ფადეევის ზემოდასახელებულ პირველ ორ შრომაში არსებითად დამახინჯებულია და გაყალბებული საგლეხო რეფორმის ისტორია. ამასთან ერთად ფადეევი მკვლევარისათვის შეუწყნარებელ ზერელობასა და უხეშ ფაქტობრივ შეცდომებს უშვებს. იგი ამ შრომებში სრულიად არ იყენებს რეფორმის საკითხების გარშემო არსებულ მდიდარ საარქივო მასალებს.

იმავე ავტორის სტატიაც „საგლეხო რეფორმა აფხაზეთში" არ არის მოკლებული სერიოზული და პრინციპული ხასიათის შეცდომებს. რომ არაფერი ვთქვათ სხვა სახის შეცდომებზე. საკმარისია მივუთითოთ იმაზე. რომ ამ სტატიაში ფადეევი აღმოჩნდა ტენდენციურად განწყობილი მეფის მოხელეებისა და რევოლუციამდელი ისტორიკოსების მიერ გამოთქმული იმ აზრის ტყვეობაში, რომელიც უარყოფს ბატონყმური ინსტიტუტის არსებობას რეფომის წინაღრეინდელ აფხაზეთში. მართალია, ფადეევი სიტყვა-სიტყვით არ ლაპარაკობს ამაზე, მაგრამ მის მიერ გაკეთებული გლეხთა სხვადასხვა კატეგორიების, კერძოდ. ახხაიუს სოციალური ბუნების განსაზღვრიდან სხვა დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. ფადეევი ამტკიცებს, რომ გლეხთა მასის უმრავლესობამ, მისმა ძირითადმა კატეგორიამ— ახხაიუმ თითქოს სრულიად არ იცოდა. თუ რა იყო ყმობა, არ იყო ვალდებული გამოსულიყო საბეგრო სამუშაოზე და ამავე დროს იგი სარგებლობდა ერთი ფეოდალიდან მეორესთან თავისუფალი გადასვლის უფლებით[3].

კიდევ უფრო მეტი, ფადეევის განცხადება — რეფორმის წინ აფხაზეთში ახხაიუს მიწის ახალი ნაკვეთების შეძენის განუსაზღვრელი უფლება ჰქონდა, გაბატონებული იყო პრინ-

---

[2] С. Есадзе, Историческая записка об управлении Кавказом, т. I, Тифлис, 1907, გვ. 496—525.

[3] А. Фадеев, Крестьянская реформа в Абхазии, Известия АН СССР, 1935, გვ. 629.

ციპი: „ვინც გატეხა. იგი ფლობს"[4]. სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა ფეოდალიზმის უარყოფას საერთოდ. რადგან, როგორც ცნობილია, მიწის ფეოდალური საკუთრება წარმოადგენს ფეოდალიზმის საფუძველს.

ფადეევი, რევოლუციამდელი ისტორიკოსების მსგავსად, სრულიად არ ითვალისწინებს ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიურ პირობებს რეფორმის გატარების დაჩქარების საქმეში. მისი აზრით, რეფორმა გატარებულ იქნა მხოლოდ ცენტრის ნება-სურვილით იმისათვის, რომ აფხაზეთიც ჩაბმულიყო რეფორმის შემდეგდროინდელი რუსეთის საერთო ეკონომიურ სისტემაში. გარდა ამისა, ფადეევის ამ სტატიაში თითქმის არაფერია ნათქვამი, თუ როგორ მომზადდა რეფორმა, რა პირობებში ტარდებოდა იგი და, ბოლოს, რა შედეგები მოჰყვა მას.

მაშასადამე, ფადეევის ეს სტატია, მსგავსად მისი ადრინდელი შრომებისა, არ იძლევა რეფორმის წინა პერიოდის სოციალურ-ეკონომიური ვითარების სრულ სურათს, არ იძლევა სწორ, რეალურ წარმოდგენას რეფორმის მომზადებასა და მსვლელობაზე, მის ისტორიულ მნიშვნელობაზე[5].

საქმეს არსებითად ვერ შველის ა. ოლონეცკის 1954 წ. გამოქვეყნებული სტატიაც „1870 წ. საგლეხო რეფორმა აფხაზეთში"[6]. ჩვენი აზრით, დასახელებულ სტატიას თავიდან ბოლომდე ზერელობის კვალი ატყვია და რიგი მნიშვნელოვანი საკითხი გაშუქებულია არადამაკმაყოფილებლად. როგორც ჩანს, ავტორი არ იცნობს საარქივო მასალების მნიშვნელოვან ნაწილს, რის გარეშე შეუძლებელია საგლეხო რეფორმის სრული სურათის მოცემა.

რადგან ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში დღემდე არ მოიპოვება საგლეხო რეფორმაზე აფხაზეთში რამდენიმეედ მაინც დამაკმაყოფილებელი მარქსისტული შრომა, ჩვენ შევეცადეთ ეს ხარვეზი, ნაწილობრივ მაინც, წინამდებარე მონოგრაფიით შეგვევსო. ეს შრომა დაიწერა ძირითადად ჩვენს მიერ საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივსა და სსრ კავშირის სხვა არქივებში გამოვლინებულ მასალებზე, სათანადო ისტორიული ლიტერატურის გათვალისწინებით. ამ შრომა-

---

[4] А. Фадеев. Крестьянская реформа в Абхазии, известия АН СССР, 1935, გვ 320

[5] საჭიროა აღინიშნოს, რომ ფადეევი საგლეხო რეფორმაში ხედავს მხოლოდ უარყოფით მხარეს. მას ავიწყდება, რომ ლენინი რეფორმის უარყოფით მხარეებთან ერთად აღნიშნავდა მის პროგრესულობასაც.

[6] აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XXV, სოხუმი, 1954 წ., გვ. 123-174.

ში ჩვენ მიზნად დავისახეთ მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე შეგვესწავლა საგლეხო რეფორმის ისტორიის პირველი წყაროები და ძოგვეცა მეცნიერული ანალიზი.

ჩვენს უშუალო ამოცანას შეადგენდა საგლეხო რეფორმის ისტორიის შესწავლა, მაგრამ, რადგანაც რეფორმის წინადროინდელი აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიური ვითარება, გლეხებსა და მემამულეებს შორის არსებული ურთიერთობა ამ უკანასკნელ დრომდე მეცნიერულ ლიტერატურაში არასწორად იყო გაშუქებული, ამდენად საჭიროდ მივიჩნიეთ რამდენადმე მაინც შევჩერებულიყავით ამ საკითხზე, ურომლისოდაც გაუგებარი იქნებოდა რეფორმის არსი საერთოდ და კერძოდ კი ის თავისებურებანი, რომელიც მას თან ახლდა აფხაზეთში[7].

ძირითად წყაროს, რომლის საფუძველზედაც აგებულია წინამდებარე შრომა, იძლევა „სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისია“, რომელიც რეფორმის მოსამზადებლად 1867 წელს შეიქმნა. ეს კომისია ცოტათი შეცვლილი სახელწოდებით მუშაობდა რეფორმის დებულების გამოქვეყნების შემდეგაც, 1883 წლამდე. მერე კი მისი მუშაობა განაგრძო „კავკასიის მხარის სამხედრო-სახალხო მმართველობის ნაწილებში წოდებრივ-საადგილმამულო საკითხის დამამთავრებელმა კომისიამ“. ამ კომისიების მიერ (თითქმის სამი ათეული წლის მუშაობის მანძილზე) შეგროვილი მდიდარი ისტორიული მასალებიდან მხოლოდ მცირე ნაწილი იქნა თავის დროზე გამოქვეყნებული „კავკასიის მთიელთა შესახებ ცნობათა კრებულების“ სხვადასხვა გამოცემაში, ხოლო მათი უდიდესი ნაწილი დღემდე ხელუხლებელია და მეტ-ნაკლები სისრულით ინახება თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადისა და სოხუმის არქივსაცავებში. მნიშვნელოვანი და საინტერესო მასალებს რეფორმის ისტორიის გარშემო საერთოდ და კერძოდ, გლეხთა ანტიფეოდალური მოძრაობის შესახებ, გვაწვდის სამხე-

---

7 ეს მით უმეტეს საჭირო იყო ამ მონოგრაფიის დაწერისას (1952 წ.) მაშინ, როდესაც არ არსებობდა არც ერთი მარქსისტული ნარკვევი რეფორმის წინადროინდელი აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიური ვითარების შესახებ. ამჟამად მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორებულია, რადგანაც გ. ა. ძიძარიამ 1958 წ. გამოაქვეყნა მეცნიერული გამოკვლევა „სახალხო ძეურნეობა და სოციალური დამოკიდებულება აფხაზეთში XIX საუკუნეში“. კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის გ. ძიძარიას დასკვნები — რეფორმამდელი აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიური ვითარებისა და კერძოდ, გლეხთა კატეგორიების დახასიათების შესახებ — არსებითად ერთმანეთს ემთხვევა.

დრო და სამოქალაქო უწყებათა დაწესებულებებსა და კანცელარიებში შედგენილი ოფიციალური მიმოწერები, ბრძანებები, პატაკები, მიმართვები და სხვ., რომლებიც აგრეთვე ინახება ზემოდასახელებულ არქივებში.

მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის სხვადასხვა კრებულებსა და პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებულ სტატიებს, რომლებიც უმთავრესად დაწერილია სოხუმის სამხედრო განყოფილებაში მომსახურე რუს მოხელეთა მიერ და რომლებიც ასე თუ ისე ეხებიან ჩვენთვის საინტერესო პერიოდსა და საკითხებს. მართალია, ეს სტატიები დაწერილია პრიმიტიულად და ატარებენ გამოცემულ კანონთა, ინსტრუქციათა და კანცელარულ ცნობათა უბრალო გადმოცემის ხასიათს და შორს არიან მოვლენათა ყოველგვარი დამოუკიდებელი ანალიზისა, შეფასებისა და განზოგადოებისაგან. მაგრამ მაინც შეიცავენ ერთგვარ ღირებულებას, რადგან მათში შემონახულია ზოგჯერ ისეთი ცნობები, რომელთა მოძებნა არქივებში ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

ჩვენთვის საინტერესო დროის შესახებ ქართული პერიოდული პრესის სპეციალურმა გადათვალიერებამ საკმაოდ მნიშვნელოვანი მასალა მოგვცა.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში საგლეხო რეფორმის ისტორიის გარშემო არსებობს მდიდარი და საინტერესო საარქივო და სხვა სახის წყაროები, მაინც აღნიშნული საკითხის მკვლევარს საქმე უძნელდება ზოგიერთი ფაქტისა და მოვლენის დადგენასა და დაზუსტებაში, რადგანაც ყველა ეს წყარო ატარებს ზოგად მიმოხილვით ხასიათს და იშვიათად თუ გვაწვდის ზუსტ სტატისტიკურ, ციფრობრივ მონაცემებს.

ასეთია მოკლედ საარქივო წყაროთა და ლიტერატურულ მასალათა ხასიათი და მნიშვნელობა, რომელთა კრიტიკული შესწავლის საფუძველზე დაიწერა წინამდებარე შრომა.

თავი პირველი

აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა საგლეხო რეფორმის წინ

XVI საუკუნიდან XIX საუკუნის დაწყებამდე აფხაზეთის სამთავროში ისე, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა ნაწილში, თურქი დამპყრობლები თარეშობდნენ. მტრის ბარბაროსული თარეში ანგრევდა და აჩანაგებდა ისედაც მოუწყობელ და აწეწილ ფეოდალურ მეურნეობას, ხელს უშლიდა და ბორკავდა ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას. ოსმალეთის აგენტები აღვიეებდნენ და ფართოდ შლიდნენ ადამიანებით ვაჭრობას, რომელიც ქართველ ხალხისათვის საშინელ სოციალურ სენს წარმოადგენდა, რადგან „ხალხის საუკეთესო ნაწილი, მისი ჯანსაღი ახალგაზრდობა, მიედინებოდა უცხოეთში და საქართველოს სამუდამოდ ეკარგებოდა“[1]. ოსმალეთის ხელისუფალნი, ადამიანებით ვაჭრობასთან ერთად, თესავდნენ ფეოდალურ უთანხმოებას, შინაგან კონფლიქტებს, ერთმანეთს უსისინებდნენ აფხაზეთის, გურიის, სამეგრელოსა და სხვა მთავრებს, რათა ამით ადგილობრივი ანტიოთურქული ძალა დაესუსტებინათ და ამ სამთავროებში თავისი ბატონობა განემტკიცებინათ.

აფხაზეთის მოსახლეობა მთელ ქართველ ხალხთან ერთად საუკუნეების მანძილზე ეწეოდა გმირულსა და თავგანწირულ ბრძოლას უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ. ეს იყო მთელი ხალხის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა თავისი ეროვნული დამოუკიდებულობის შესანარჩუნებლად. მაგრამ ბრძოლა, რომელსაც ესოდენ თავგანწირვით ეწეოდნენ აფხაზეთის მცხოვრებლები საქართველოს მთელ მოსახლეობასთან ერ-

---

1 ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, უძველეს დროიდან XIX საუკ. დაბადებამდე, თბილისი, 1946 წ., გვ. 316.

თად, დიდ მსხვერპლს მოითხოვდა. ძლიერი და ვერაგი მტრის წინააღმდეგ გაუთავებელი ომებით დაქანცული, დასუსტებული და სისხლისაგან დაცლილი აფხაზეთის წინაშე XIX საუკუნის დამდეგისათვის მეტად დიდი საშიში პერსპექტივა წარმოიშვა. ეს იყო შრავალ საუკუნეთა განმავლობაში შესისხლხორცებული მშობლიური საქართველოდან მოწყვეტისა და სულთანის თურქეთის მიერ საბოლოოდ შთანთქმის პერსპექტივა. ამ საბედისწერო მომენტში ქვეყანას ისეთი გამოსავალი გზის მოძებნა ესაჭიროებოდა, რომელიც მას კარზე მომდგარი დალუპვისაგან იხსნიდა; ასეთ ისტორიულ ვითარებაში ერთადერთ ხსნას აფხაზეთისათვის რუსეთის იმპერიის პროტექტორატის ქვეშ შესვლა წარმოადგენდა. ამ მხრივ აფხაზეთის მთავრებმა ერეკლე II-ის, სოლომონ I-ის, დადიანისა და გურიელის მაგალითს მიბაძეს და 1810 წელს აფხაზეთის სამთავრო რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შევიდა. ამ ფაქტს აფხაზეთისათვის, ისე როგორც მთლიანად საქართველოსათვის, დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან: „რუსეთის ბატონობას... ცივილიზაცია მოჰქონდა შავი და კასპიის ზღვისათვის, ცენტრალური აზიისათვის"[2].

რუსეთის იმპერიის პროტექტორატის ქვეშ შესვლითა და შემდეგ მასთან საბოლოო შეერთებით (1864 წ.) აფხაზეთი ქვლაე საქართველოს დაუბრუნდა, როგორც მისი ორგანული ნაწილი და ქვეყნის ერთიან სამეურნეო ცხოვრების ფერხულში ჩაება.

1810 წლიდან რუსეთის შეიარაღებული ძალა იცავს აფხაზეთის საზღვრებს გარეშე მტრების თავდასხმისაგან. იქმნება პირობები შიგნით ფეოდალური კონფლიქტებისა და ბრძოლების შესაწყვეტად. ბოლო ეღება ქვეყნისათვის გამანადგურებელ ვაჭრობას ადამიანებით და დგება ახალი ხანა ქვეყნის ეკონომიურად მოღონიერებისა და აღმავლობისათვის.

1. ეკონომიური მდგომარეობა

რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შესვლის შემდეგ, აფხაზეთის სამეურნეო ცხოვრების აღორძინებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, მაგრამ ეს პროცესი XIX საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რადგან — ჯერ ერთი, რუსეთის ცარიზმი ამ პერიოდში საქართველოსა და საერთოდ კავკასიაში უფრო

---

[2] К. Маркс и Енгельс, Соч., Т. 21, გვ. 211.

სამხედრო-სტრატეგიული საკითხებით იყო დაინტერესებული და დასაქმებული, ვიდრე მისი ეკონომიურად აღორძინებით. ლენინის თქმით: კავკასიის „ეკონომიური „დაპყრობა" გაცილებით უფრო გვიან მოხდა, ვიდრე პოლიტიკური დაპყრობა"[3]. და, მეორეც, როგორც ცნობილია, ცარიზმის მიერ ახალი ტერიტორიის შემოერთებას ან დაპყრობას თან სდევდა კოლონიური ჩაგვრაც, რომელიც, უსათუოდ, აფერხებდა იმპერიის განაპირა მხარეების ეკონომიურ განვითარებას, რადგან ახლად შეძენილ ტერიტორიას უყურებდნენ როგორც მეტროპოლიის ეკონომიკის დანამატს. XIX საუკუნის 20-30-იან წლებში აფხაზეთში ტიპიური ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობა იყო გამეფებული, რომელსაც ჯერ კიდევ საგრძნობლად ვერც კი შეხებოდა ვაჭრობა, ალებ-მიცემობა; ასევე ჯერ კიდევ შესამჩნევად არ ყოფილა განვითარებული შრომის დანაწილება და სარეწაოების მკვეთრი გამოყოფა გლეხის მეურნეობისაგან. მაშასადამე, ამ პერიოდში მთლიანად სოფლის მეურნეობა ხასიათდება საწარმოო ძალების სუსტი განვითარებით.

ასე იყო XIX საუკუნის 40-იანი წლების დაწყებამდე, მაგრამ უფრო გვიანდელ პერიოდში ჩვენ ამ მხრივ საგრძნობლად მნიშვნელოვან ცვლილებებთან გვაქვს საქმე. 40-იანი წლებიდან, განსაკუთრებით კი 50-60-იან წლებში, სოფლის მეურნეობაში თანდათანობით ფეხს იკიდებს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა. ახლა პროდუქტების გარკვეული ნაწილი უკვე ბაზარზე გასატანად, გასასყიდად მზადდება როგორც გლეხის მეურნეობაში, ასევე თავადისა და აზნაურის მამულში. აფხაზეთის სოფლის მეურნეობის ასეთ განვითარებას უსათუოდ ხელი შეუწყო 30-40-იან წლებში საქართველოსა და ამიერკავკასიის მასშტაბით მთავრობის მიერ მიღებულმა სავაჭრო-ეკონომიური ხასიათის ღონისძიებებმა. ასე, ჯერ კიდევ 1831 წელს ამიერკავკასიაზე გავრცელებულ იქნა საერთო საიმპერიო საბაჟო ტარიფი, რომლის მიზანს სავაჭრო კაპიტალის დაცვა შეადგენდა უცხო კაპიტალის კონკურენციისაგან. 1832 წელს შემოღებულ იქნა — „რუსული ზომა და წონა". 30-იან წლებში თბილისში რამდენიმე სავაჭრო და სააქციო საზოგადოება არსდება. რუსეთის სავაჭრო კაპიტალი თანდათანობით იკაფავს გზას საქართველოს შავი ზღვის სანაპიროსაკენ. 30-იან წლებშივე ჩამოყალიბდა ე. წ. „სამეგრელოს სავაჭრო კომპანია". 1832 წ. მთავრობამ ოფიციალურად ნება დართო სოხუმ-

---

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 703.

ში „სავაჭრო გემების მოსვლაზე“[4]. ამავე დროს აქვე ეწყობა საბაჟო სადარაჯო. 1844 წელს მთავრობამ საჭიროდ ცნო დაწესებულიყო ქალაქები „ანაპის, ნოვოროსიისკისა და სოხუმ-კალეს შავი ზღვის სანაპირო პუნქტებში“. 1845 წელს ნებადართულ იქნა მანუფაქტურისა და სხვა ნაწარმის უბაჟო შემოზიდვა უცხოეთიდან შავი ზღვის სანაპიროზე — მდინარე ინგურის შესართავიდან მდინარე ყუბანამდე[5].

1846 წელს სოხუმი გამოცხადებულ იქნა სანავსადგურო ქალაქად[6]. 1847 წელს ნავსადგური გაიხსნა ოჩამჩირეში, ხოლო სოხუმს საქონლის ტრანზიტის უფლება მიეცა თბილისსა და ირანში[7].

ყველა ამ ზემოთ ჩამოთვლილმა, განსაკუთრებით კი უბაჟო ვაჭრობის გამოცხადებამ, ვაჟცხოველა კომერციული წყალსავალი მოძრაობა აფხაზეთის ზღვის სანაპიროზე. ასე, მაგალითად, 1846 წ. სოხუმს მოადგა 50 საზღვარგარეთული გემი, ხოლო 1850 წელს მათი რიცხვი 220-მდე ავიდა[8].

1848 წელს სოხუმის ნავსადგურში საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონლის ღირებულება უდრიდა 57155 მანეთს[9].

ამავე წელს ექსპორტის ღირებულებამ 19433 მანეთს მიაღწია. ექსპორტს შეადგენდა: ბზა, სიმინდი, ტყავი, ცვილი, თევზი, ზეთი, ქონი და სხვ.

სამი წლის შემდეგ, ე. ი. 1851 წლისათვის, ვაჭრობისა და ხელოსნობის დარგში შემდეგი სურათი გვაქვს: 1851 წელს საზღვარგარეთიდან შემოუტანიათ — 278614 მან. საქონელი, რუსეთის ნავსადგურებიდან — 195000 მან., გაუტანიათ საზღვარგარეთ — 21525 მან., რუსეთის ნავსადგურებში — 326181 მან.; საზღვარგარეთიდან მოსულა — 204 გემი, რუსეთიდან კი — 357; გასულა საზღვარგარეთ —.75 გემი; რუსეთის ნავსადგურებში — 538[10].

ამავე წელს სოხუმში ყოფილა 7 მეპურე, 3 თერძი, ავუერის 2 ქარხანა, 27 სამიკიტნო, 1 ყავახანა, ვაჭრობის საგნები ყოფილა: თაფლი, ბზა, ტყავი, ქონი, სიმინდი, ღომი, ღვინო,

---

[4] С. Пушкарев. Краткий очерк портов северо-восточного берега Черного моря, ЗКОИРГО, кн. II, Тб. 1853 г., გვ. 130—160.

[5] იქვე, გვ. 155.

[6] «Кавказский календарь», თბილისი, 1853 წ., გვ. 369.

[7] ს. პუშკარევი, ციტირებული სტატია, გვ. 156.

[8] იქვე, გვ. 161

[9] იქვე.

[10] «Кавказский календарь», თბ., 1853 წ., გვ. 369-370.

შემა, ვაშლი, კაკალი, მატყლი, ქვავი, ხორბალი და თევზის ზეთი[11].

საინტერესოა ქ. სოხუმის სამოქალაქო მოსახლეობის ზრდის სუოათი: 1845 წ. ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი (სამხედროების გამოკლებით) 186 სულს უდრიდა[12], 1851 წ. — 700[13], 1862 წ. — 1200[14] და 1856 წ. — 1612[15].

ასევე იზრდებოდა ზოგიერთი სხვა დასახლებული პუნქტიც. დაბა ოჩამჩირეს თავისი ეკონომიური მნიშვნელობით მეორე ადგილი ეკავა აფხაზეთში. საგლეხო რეფორმის წინ ოჩამჩირეში საკმაოდ გაცხოველებული საშინაო ვაჭრობა ყოფილა. ზოგიერთი ავტორის დამოწმებით მას მოდმივი საგაჭრო კავშირი ჰქონია სოფ. ილორთან[16]. ოჩამჩირეში ადგილობრივი მნიშვნელობის ხელოსნური წარმოებაც შედარებით ფართოდ გაშლილი ყოფილა.

აღნიშნულ პერიოდში დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იყო დაბა გუდაუთაში, გაგრაში, ოქუმსა და სხვა ადგილებში[17].

გასული საუკუნის 50-იან წლებში შედარებით ფართოდ გაიშალა გზების მშენებლობა, როგორც მთელს საქართველოს მასშტაბით, ასევე კერძოდ, აფხაზეთშიაც[18].

50-იანი წლების ბოლოს სახმელეთო გზების საშუალებით აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონებს შორის საფუძველი ეყრება ეკონომიურ კავშირს, ამავე დროს თვით აფხაზეთის ცალკეული პუნქტებიც, აქამდე თითქმის ერთმანეთისაგან მოწყვეტილი, ახლა უკავშირდებოდა ერთმანეთს. მართალია, ეს კავშირი ჯერ კიდევ სუსტი იყო, მაგრამ მან მაინც გასაქანი მისცა ვაჭრობის განვითარებას და საერთოდ ამ მხარის ეკონომიურ აღმავლობას.

საგლეხო რეფორმის წინა პერიოდში ერთგვარი ბიძგი მიეცა ხელოსნობისა და მრეწველობის განვითარებასაც. აღსანიშნავია აგურის, კირის, საშენი ქვის. ხე-ტყისა და ღვინის წარმოება. როგორც წყაროებიდან ჩანს, მრეწველობის აქ ჩამოთვლილ დარგებში ასობით დაქირავებული მუშები და

---

11 «Кавказскій календарь», თბ., 1853 წ., გვ. 369-370.
12 ცსსა, აღწ., 236, 1844 წ., შეკ. 151, № 35, ფურც. 281.
13 საქ. ცსსა, ფონდი 7, აღწ. 1, საქ. 1381, ფურც. 3-6.
14 იქვე, ფონდი 416, საქმე 1083, ფურც. 1-4.
15 ფ. მახარაძე, საქართველო XIX საუკუნეში, თბილისი, 1933, გვ. 68.
16 გ. ა. ძიძარია, დასახელებული წიგნი, გვ. 104.
17 იქვე, გვ. 104-106.
18 პ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბილისი, 1941, გვ. 66-67.

ადგილობრივი ყმა-გლეხები იყვნენ ჩაბმულნი[19]. 60-იანი წლების დასაწყისში ქ. სოხუმსა და მის მიდამოებში აგურის ექვსი „ქარხანა" ყოფილა[20]. 1852 წლისათვის აფხაზეთში ე. წ. ყურინის ააწენები თერთმეტი „ქარხანა" მუშაობდა[21].

ხე-ტყის დამზადებას საექსპორტოდ იმდენად ფართო ხასიათი მიუღია, რომ მისგან აფხაზეთის მთავარ მიხეილ შარვაშიძეს ყოველწლიურად 10 ათასი მანეთი შემოსდიოდა, ხოლო გ. დ. შარვაშიძეს კი — 4 ათასი მანეთი[22].

ხე-ტყის დამზადება ხდებოდა აგრეთვე საშინაო მოთხოვნილებია დასაკმაყოფილებლად, კერძოდ, ქ. სოხუმში მშენებლობის გაშლასთან დაკავშირებით.

საზღვარგარეთ და რუსეთში გაქონდათ არა მარტო ხე-ტყე, არამედ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილიც.

თავად დ. გ. შარვაშიძის მეურნეობის მმართველი ა. პახომოვი სიმინდს ასახელებს როგორც უმნიშვნელოვანესი პირველ საჭიროების კულტურასა და ამავე დროს — ვაჭრობის ერთ-ერთ მთავარ საგანს[23]. იმ მონაცემიდან, რომელიც პახომოვს აუღია სოხუმის საკარანტინო საბაჟო კანტორიდან, ჩანს, რომ 1864 წ. სოხუმიდან, ოჩამჩირესა და გუდაუთიდან რუსეთსა და საზღვარგარეთ გაუტანიათ 10845 ფუთი სიმინდი, ხოლო 1865 წ. კი — 166320 ფუთი[24].

ასევე ადგილობრივი ვაჭრობისა და გატანის მნიშვნელოვანი საგანი აფხაზური ღვინო ყოფილა. ოფიციალური ცნობებით 1851-1853 წლებში სოხუმიდან ყოველწლიურად გაჰქონდათ ქერჩში, ყულევსა და ანაპაში საშუალოდ 5600 ვედრომდე ღვინო, ხოლო ბომბორის სიმაგრიდან იმავე პუნქტებში და ნოვოროსიისკში ღვინოს ეზიდებოდნენ უფრო მეტი რაოდენობით, სახელდობრ, 1850 წელს გაუტანიათ 12800 ვედრო[25].

პახომოვი ჩვენს მიერ უკვე ციტირებულ სტატიაში წერს, რომ სოხუმის ახლომახლო მდებარე სოფლებში მებოსტნეობა საკმაო ფართოდ გავრცელდა და ეს მოხდა „იმიტომ, რომ ამ

---

19 **А. В. Верещагин**, Путевые заметки по Черноморскому округу, Москва, 1874, გვ. 76; კმსა, ფონდი 260, საქმე 480, ფურც. 117; П. Гугушвили, Сельское хозяйство и аграрные отношения, т. 1, Тбилиси. 1938, გვ 89-92.

20 საქ. ცსსა. ფონდი 416, საქმე 1083, ფურც. 1-8.

21 ვ. გუგუშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 89-92.

22 გ. ა. ძიძარია, დასახელებული წიგნი, გვ. 87.

23 **А. Пахомов**, Абхазия в сельскохозяйственном отношении, Запись Кавказского общества сельского хозяйства, Тифлис, 1868, გვ. 43.

24 იქვე, გვ. 87.

25 ვ. გუგუშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 89-92.

სოფლების გლეხებმა ხელსაყრელად იცნეს ბოსტნეულის გაყიდვა ქალაქის მცხოვრებთა შორის"[26].

იგივე პახომოვი აღნიშნავს, რომ ბაზრისათვის ბოსტნეულობის დიდი რაოდენობით დამზადება მსხვილი მემამულის გიორგი დიმიტრის-ძე შარვაშიძის მეურნეობაში ტარდებაო და იქვე დაწვრილებით ასახელებს სხვადასხვა ბოსტნეულის საბაზრო ფასებს[27].

60-იან წლებში ვაჭრობის საგნად გამხდარა უკვე ტექნიკური კულტურის პროდუქციაც, კერძოდ, თამბაქო. პახომოვი ლაპარაკობს თამბაქოს კარგ ხარისხიანობაზე. იგი აღნიშნავს, რომ თამბაქოს საკმაო რაოდენობით თესავენ ოჩამჩირეში, კელასურსა და გუდაუთაში და რომ ადგილობრივი თამბაქოს ნაწილი სოხუმში საღდება, ხოლო ნაწილი კი გააქვთ რუსეთსა და საზღვარგარეთაცო[28].

სტატიის „სოხუმის განყოფილების ეკონომიური მდგომარეობის" ავტორი, ეხება რა ტექნიკურ კულტურათა განვითარებას რეფორმის წინა პერიოდის აფხაზეთში, შენიშნავს, რომ თამბაქო და ბამბა ისეთი მნიშვნელოვანი რაოდენობით ითესება, რომ ამ ბოლო დროს ვაჭრობის საგანი გახდაო[29].

დავუბრუნდეთ პახომოვის ზემოაღნიშნულ სტატიას, სადაც ავტორი მოგვითხრობს აგრეთვე მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობის, მეხილეობის, მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების საგრძნობლად განვითარების შესახებ რეფორმის წინ. იგი აღნიშნავს, რომ ყველა აქ ჩამოთვლილი დარგის პროდუქტები მნიშვნელოვანი რაოდენობით იყიდება როგორც ადგილობრივ, ისე რუსეთსა და უცხოეთის ბაზრებზეო[30].

საინტერესოა ის ფაქტი, რომ პახომოვი ამავე სტატიაში დაწვრილებით ცნობებს იძლევა სხვადასხვა შინაურ ცხოველთა, ფრინველთა და მათი პროდუქციის საბაზრო ფასების შესახებ, რაც, უსათუოდ, მოწმობს იმას, რომ შინაური ცხოველები და ფრინველები ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ყიდვა-გაყიდვის ჩვეულებრივ საგნად გამხდარა. აი ეს ცნობებიც:

„აფხაზეთში ცხოველებზე შემდეგი ფასები არსებობს: ადგილობრივი ჯიშის ცხენი ღირს 40 მანეთიდან 80 მანეთამ-

---

26 ა. პახომოვი, დასახელებული სტატია, გვ. 44.

27 იქვე, გვ. 45.

28 იქვე.

29 Экономическое положение Сух. отдела, Сб. сведений о кавказких горцах. Выпуск VI, Тифлис, 1872, стр. 1.

30 ა. პახომოვი, დასახელებული სტატია. გვ. 56-57. 68-69, 73. 75. 81.

ღე, ყაბარდოული—80-დან 150-მდე და 200 მანეთიც; ძროხა ან ხარი — 10 მანეთი; თხა — 2 მანეთი; ცხვარი ან ყოჩი 3 მანეთი; ვირი 5-დან 8-მდე; კამეჩი 30 მანეთი; ფურკამეჩი 30-დან 40 მანეთამდე. სოხუმში ეს ფასები რამდენადმე მაღალია, ვიდრე სოფლებში"[31].

არის მრავალრიცხოვანი მითითება იმაზე, რომ 30-იანი წლებიდან დაწყებული თვით საგლეხო რეფორმის ჩატარებამდე აფხაზეთში ვაჭრობა საკმაო ფართოდ გავრცელებულა, რომ სანაპირო ბაზართა რაოდენობა საგრძნობლად გადიდებულა. ერთ საბუთში ჩამოთვლილია სოხუმის, კელასურის, კოდორის, ტამიშის, გუდავის, ილორის, ოჩამჩირის, გუდაუთისა და ბომბორის ბაზრები. ცალკეული დუქნები გაუხსნიათ სხვა ადგილებშიც[32].

გენერალი მ. გ. ოლშევსკი ერთ-ერთ თავის პატაკში, რომელიც დათარიღებულია 1839 წ. 3 სექტემბრით, სხვათა შორის აღნიშნავს, რომ ახლა აფხაზთა უმრავლესობამ შეიგნო ფულის ფასი და ამიტომ თავის ნაწარმს სიამოვნებით ყიდის ფულზეო[33].

ერთ-ერთი რუსი ოფიცერი, რომელიც თავის ასეულით იდგა სოფ. ბომბორში, მოგვითხრობს, რომ იქ გამოჩენის პირველ დღესვე მათ შეხვდათ მთელი ბრბო ახლომახლო მდებარე სოფლების მცხოვრებთა, რომელთაც გასაყიდად მოჰქონდათ ყველი, კვერცხები, ქათმები. მეორე დღეს კი გამყიდველთა რაოდენობა უფრო მეტი ყოფილა[34].

ს. პუშკარევი გადმოგვცემს, თუ როგორ ივსებოდა ყოველ კვირაობით ოჩამჩირის ბაზარი აფხაზი ქალებით, რომლებიც ყიდდნენ ხამ აბრეშუმსა და თავიანთი ხელების სხვა ნაწარმს, ხოლო ყიდულობდნენ ყალმაქარსა და ჩითს[35].

V მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ XIX საუკუნის 50-60-იან წლებში სოფლის მეურნეობაში სულ უფრო და უფრო გზას იკაფავს სასაქონლო ფულადი ურთიერთობა, ფულადი — ვაჭრული ურთიერთობა იბრება როგორც გლეხთა ყოფა-ცხოვრებაში, ისე თავადაზნაურთა წრეებშიაც. გლეხობას, როგორც ეს ჩვენ

---

31 ა. პახომოვი, დასახელებული სტატია, გვ. 82-83.

32 საქ. ცსსა, ფონდი 416, აღწ. 3, 1869 წ., საქმე 71; გ. ა. ძიძარია, დასახელებული წიგნი, გვ. 132.

33 იქვე, ფონდი 1396, აღ. 1, საქმე 69, ფურც. 9.

34 С. Смоленский. Воспоминания Кавказца, «Военный сборник», № 9, 1872, გვ. 151.

35 С. Пушкарев, Еще раз об Абхазии, «Кавказ», 1854, № 99.

ზემოთ ეხებიეთ. საბაზროდ გააქვთ მარცვლეულობა, ღვინო, ხილეულობა, ბოსტნეულობა, მეცხოველეობისა და ტექნიკურ კულტურათა პროდუქცია და სხვა, იმისათვის, რომ ცოტათი შაინც იშოვოს ფული, ვინაიდან ის ახლა მისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. გლეხობას ფული ესაჭიროება არა მარტო იმისათვის, რომ ბაზარზე ნაყიდი საგნებით თავისი ოჯახის აუცილებელი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს ნაწილობრივ მაინც, არამედ იმიტომაც, რომ გადასახადების გარკვეული ნაწილი ფულადი ნიშნებით მიართვას მებატონეებს. რადგან ისინი ამჟამად მარტო ნატურალურ ღალას აღარ ჯერდებიან. ახლა, როდესაც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა შეიჭრა საზოგადოების ყოფა-ცხოვრებაში, როდესაც თავადაზნაურობამ ფულს გემო გაუსინჯა, ცხადია, რომ ის უკვე აღარ კმაყოფილდება აქამდე არსებული ნატურალური გადასახადების რაოდენობით; იგი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მიიღოს თავისი ყმებისაგან და ამავე დროს მას სურს მიიღოს ის არა ნატურით, არამედ ფულადი ნიშნებით. ასე იყო ეს ყველგან და ცხადია, რომ აფხაზეთიც ამ მხრივ გამონაკლისს ვერ შეადგენდა. ეჭქონდა თუ არა ადგილი აფხაზეთში რეფორმის წინ ნატურალური გადასახადების შეცვლას (რა თქმა უნდა, ნაწილობრივ და არა მთლიანად) ფულადი გადასახადებით? დიახ, ჰქონდა. ამის დამადასტურებელი მაგალითები მოგვყავს ჩვენთვის უკვე ცნობილი მსხვილი ფეოდალის გ. დ. შარვაშიძის მეურნეობიდან. ერთ- ერთ დოკუმენტში პირდაპირ ნათქვამია, რომ შარვაშიძეს უხდიდნენ „ფულად გადასახადებს“[36].

რომ აქ ეს „ფულადი გადასახადი“ შემთხვევით არ არის მოხსენებული, იმითაც ძტკიცდება, რომ სხვა საბუთებშიც არის პირდაპირი თუ არაპირდაპირი მითითება ამის შესახებ. ასე, მაგალითად, ერთ ადგილას ვკითხულობთ: გლეხები მემამულისაგან (ლაპარაკია გ. შარვაშიძეზე. — ლ. ძ.) იჯარით აღებულ ერთ დესეტინა მიწაში წლიურად 10 მანეთს იხდიან; ასევე იჯარით ქირაობენ სათიბ ადგილებს და მემამულისაგან ყიდულობენ შეშას, საშენ ქვასა და სხვა[37].

მეორე საბუთში, რომელშიც ჩამოთვლილია გლეხის ვალდებულება მებატონის წინაშე, სხვათა შორის აღნიშნულია, რომ შარვაშიძეების თითო ანხაიუს კომლს თავის მემამული-

---

36 ცსსა, ლენინგრადი, ფონდი 1087, აღწ. I, საქმე 29: 1838 წ., ფურც. 368-369.

37 იქვე, ფურც. 378-379.

სათვის უნდა მიეცა 16 ვედრო ღვინო, ან 16 მანეთი ვერცხლით[38].

გ. შარვაშიძის მეურნეობაში შედარებით საკმაოდ ყოფილა გაშლილი ვაჭრობა, აღებ-მიცემობა; ეს იქიდანაც ჩანს, რომ მას მარტო სოფელ კელასურის ტერიტორიაზე მოვაჭრე მეგრელებისაგან წლიურად 2500 მანეთის საბაჟო გადასახადი შემოსდიოდა[39].

წყაროებიდან ჩანს, რომ ნატურალური გამოსაღების ნაწილობრივად ფულად გადასახადით შეცვლას ადგილი ჰქონდა აგრეთვე ბზიფისა და აბჟუის აფხაზეთში[40].

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აფხაზეთში თითქმის საყოველთაო მოვლენა იყო ნატურალური ახშბირისა და აჩმის შეცვლა ფულით[41].

ადვილი გასაგებია, რომ ნატურალური ღალის ნაწილობრივად ფულადი გადასახადით შეცვლამ კიდევ უფრო გააუარესა ისედაც მძიმე პირობებში მყოფი ვლეხების მდგომარეობა, რადგან ახლა მემამულეები უკვე აღარ კმაყოფილდებიან აქამდე არსებული საღალო-საბეგარო ნორმებით. თვითნებურად ადიდებენ მას. თავისი გაზრდილი მოთხოვნილების მიხედვით, რაც გლეხთა ექსპლოატაციის გაძლიერებასა და, მაშასადამე, გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებას იწვევდა. ცხადია, ეს თავის მხრივ აღრმავებდა და აძლიერებდა კლასობრივ ბრძოლას ფეოდალური საზოგადოების ძირითად კლასებს — მემამულეებსა და გლეხებს შორის, იწვევდა გლეხთა ხშირ ანტიფეოდალურ აჯანყებებს.

გლეხთა კატეგორიები და მათი მდგომარეობა რეფორმის წინ

რეფორმამდელ აფხაზეთში გაბატონებულ სოციალურ წყობას ფეოდალიზმი წარმოადგენდა. მაგრამ ფეოდალური, ბატონყმური ურთიერთობა ერთნაირად არ იყო განვითარებული მთელს აფხაზეთში. მაშინ, როდესაც ბარში ბატონყმური ურთიერთობა იყო გაბატონებული, მთიან რაიონებში მას ჯერ

---

38 საქ. ცსსა, ფონდი 416, საქმე 1013, ფურც 2.

39 ცსსა, ლენინგრადი, ფონდი 1087, აღწ. I, საქმე 29. 1869 წ., ფურც. 350.

40 საქ. ცსსა. ფონდი 416. აღწ. 3, საქმე 403, ფურც. 11; აია, ფონდი I, საქმე 27. ფურც 2-4.

41 გ. ა. ძიძარია, დასახელებული წიგნი, გვ. 262.

კიდევ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ისეთი რაიონების საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც იყო პსხუ, ახჩიპსხუ და ნაწილობრივად დალი, პატრიარქალურ-გვაროვნული წყობილებისათვის დამახასიათებელი ნიშნები ჯერ კიდევ საგრძნობლად ყოფილა შემორჩენილი. ბატონყმურ ურთიერთობას ჩვენ იქ მხოლოდ განუვითარებელი, არადასრულებული სახით თუ ვხვდებით.

ამიტომ, როდესაც ჩვენ ფეოდალური ურთიერთობის საკითხს ვიხილავთ, ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს მისი განვითარების არათანაბარი დონე აფხაზეთის სხვადასხვა რაიონში.

სოციალური ურთიერთობის მიხედვით რეფორმამდელი აფხაზეთია მცხოვრებლები. ისე როგორც მთელი საქართველოსი, ორ ძირითად, ერთმანეთის საწინააღმდეგო ანტაგონისტურ კლასებად იყოფოდნენ: ფეოდალურ-ექსპლოატატორებად და ექსპლოატირებულ მშრომელ გლეხობად.

ფეოდალური აფხაზეთის გაბატონებული კლასი შედგებოდა თავადებისა, აამსთებისა (აზნაურებისა) და უმაღლესი სამღვდელოებისაგან. აფხაზეთის ფეოდალური კლასი არავითარ საზოგადო სასარგებლო საქმეს არ აკეთებდა. იგი მთელ თავის სიცოცხლეს პარაზიტულად, უსაქმურობაში ატარებდა და არხეინად ნებივრობდა მშრომელი გლეხობის უმოწყალო ექსპლოატაციის ხარჯზე. ეს კარგად შეუმჩნევია კაპიტან ენსგოლმს. იგი წერდა: „თავადაზნაურობა უსაქმურობაში ყველაფერს თავის მოსახლისაგან მოელის"[42].

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალების მიერ მშრომელი მასების ეს უმოწყალო ექსპლოატაცია ყოველთვის ამკარად როდი მჟღავნდებოდა. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ფეოდალური ექსპლოატაცია იჩქმალებოდა გაბატონებული კლასის მიერ განზრახ კონსერვირებული გვაროვნულ-პატრიარქალური გადმონაშთებით. მაგალითად კლასი თავის სასარგებლოდ ოსტატურად იყენებდა აფხაზეთის სინამდვილეში შემორჩენილი და დიდი ცხოველუნარიანობის მატარებელ პატრიარქალური ტრადიციის ისეთ საბეებს, როგორიცაა: „მიშვილება" და „აღმზრდელობა". ასეთი მეთოდით წარმოებული გლეხის ექსპლოატაცია ნათესაური კავშირით იჩქმალებოდა; თითქოს ამ შემთხვევაში ღალა-ბეგარა იყო არა პირადი დამოკიდებულებისა და მიწის სარგებლობისათვის, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ყმური ურთიერთობისათვის გაღებული გადასა-

---

42 ცსსა, ფონდი სსა, № 18497, ფურც. 32-43.

ხადი, არაბედ ნათესავის მიერ ნათესავისათვის მიტანილი „საჩუქარი“, ნათესავის მიერ ნათესავის წინაშე შესრულებული „წმიდათა წმიდა მოვალეობა“. სინამდვილეში ე. წ. „მიშვილება“ და „აღმზრდელობა“ სხვა არ იყო რა, თუ არა პატრიარქალური გარსი ნამდვილი ფეოდალური, ბატონყმური ექსპლოატაციის შინაარსისა.

რეფორმამდელი აფხაზეთის გლეხობა, ისე როგორც სხვა ღანარჩენი საქართველოსი, არ წარმოადგენდა ერთ მთლიან მასას; იგი თავისი უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობით სხვადასხვა კატეგორიებად იყოფოდა. როგორც სოხუმის წოდებრივ- საადგილმამულო კომისიის მასალებიდან ჩანს, რეფორმის წინ აფხაზეთში გლეხობის შემდეგი სამი ძირითადი კატეგორია არსებობდა: ანხაიუ (სამურზაყანოში ფიოში); ახოუიუ (დელმახორე-სამურზაყანოში) და ახაშვალა (მოჯალაბე სამურზაყანოში)- ამ სამი ძირითადი კატეგორის გარდა არათავისუფალ, დამოკიდებულ წოდებას ეკუთვნოდნენ აგრეთვე შინაყმა, აზატი და ამაწურაზჭუ (სამურზაყანოში მოინალე).

„სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიამ“ სამი წლის მუშაობის შედეგად საკმაოდ მდიდარი მასალა შეაგროვა აფხაზეთის გლეხთა სხვადასხვა კატეგორიის შესასწავლად. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მის დასკვნას. რომელნიც ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიების ეკონომიური-უფლებრივ დახასიათებას და საერთოდ გლეხებისა და მემამულეების ურთიერთობის საკითხებს ეხება. აშკარა ტენდენციურობის კვალი ახლავს. ამ საკითხში ტენდენციურობას იჩენენ არა მარტო კომისიის წევრები, არამედ თითქმის ყველა რუსი მოხელე, ოფიციალური და არაოფიციალური ისტორიკოსებიც კი, რომლებიც ასე თუ ისე ეხებიან ბატონყმური ურთიერთობის საკითხს რეფორმამდელ აფხაზეთში. თუ რა მიზეზებმა ან რა პირობებმა გამოიწვია კომისიის წევრების, მოხელეების, ოფიციალურ და არაოფიციალურ პირთა ტენდენციურობა ბატონყმური ურთიერთობის შესწავლის საკითხებში, ამაზე ჩვენ დაწვრილებით შევჩერდებით, როდესაც საგლეხო რეფორმის მომზადებასა და მის გატარების პირობების საკითხებს შევეხებით. აქ ჩვენ გვსურს ხაზგასმით აღვნიშნოთ მხოლოდ ის, რომ ბატონყმური ურთიერთობის საკითხი აშკარა ტენდენციურობით არის გაშუქებული როგორც ჩვენ ხელში მყოფ საარქივო მასალებში, ასევე რევოლუციამდელ ისტორიულ ლიტერატურაშიც. ამიტომ აფხაზეთის XIX საუკუნის შუახანის ბატონყმური ურთიერთობის მკვლევარს დიდი კრიტიკული სიფხიზლე მართებს იმისათვის, რომ ტენ-

ფესციურად შედგენილი საარქივო საბუთებისა და გამოკვეყნებული ისტორიული ლიტერატურის საფუძველზე ბატონყმური ურთიერთობის სინამდვილე აღადგინოს.

სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის წევრებსა და საერთოდ მეფის ყველა მოხელეს, რომელნიც საგლეხო რეფორმის მომზადებისა და მისი გატარების პერიოდში ე. წ. „სოხუმის სამხედრო განყოფილებაში“[43] მსახურობდნენ, მიზნად ჰქონდათ დასახული დაესაბუთებინათ, რომ აფხაზეთში ადგილი არ ჰქონდა ბატონყმური ინსტიტუტის არსებობას, რომ აქ არსებული წოდებრივ-საადგილმამულო ურთიერთობა სხვა არა იყო რა, თუ არა ახილაფშუსა (მფარველსა) და ხიფშის (შეფარებულს) შორის ნებაყოფლობითი ხელშეკრულების ნიადაგზე აღმოცენებული საზოგადოებრივი ურთიერთობა, რითაც მფარველი ვალდებული იყო დაეცვა თავისი ვასალი გარეშე და შინაური მტრებისაგან, ხოლო ეს უკანასკნელი კი მოვალე იყო ამის სამაგიეროდ თავისი პატრონისათვის მიერთმია საჩუქარი ან შეესრულებინა მისი სხვა დავალება.

კითხვა ისმება: რის საფუძველზე უნოდათ ზემოთ დასახელებულ მოხელეებს დაემტკიცებინათ ეს? იყო თუ არა რამე ამის მსგავსი აფხაზეთის ფეოდალური ურთიერთობის სინამდვილეში?

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ აფხაზეთში ფეოდალურ ურთიერთობას ახასიათებდა ერთგვარი თავისებურება, რომელიც განასხვავებდა მას კერძოდ, წვრილმანებში საქართველოს სხვა კუთხის (ვთქვათ სამეგრელოსა და იმერეთის) ამ პერიოდის ბატონსა და ყმას შორის არსებული ურთიერთობისაგან. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, როდი ნიშნავს იმას, რომ აფხაზეთის სოციალური წყობილება, როგორც ამას ამტკიცებენ კომისიის წევრები, სრულიად განსხვავდებოდა საქართველოს დანარჩენი კუთხის ფეოდალური ურთიერთობისაგან. ზარსებითად ფეოდალური ურთიერთობა ერთი და იგივე იყო მთელს საქართველოში. მაგრამ პატრიარქალურ-გვაროვნული გადმონაშთები უფრო მეტად იქნა შემორჩენილი იმდროინდელი აფხაზეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სახელდობრ, აქ XIX საუკუნის შუა ხანისათვის ნაწილობრივად შემორჩენილი იყო თემური მიწათმფლობელობა, მაშინ,

---

43 1864 წ. აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ შექმნილ იქნა „სოხუმის სამხედრო განყოფილება“, რომელშიაც შედიოდა აფხაზეთი სამურზაყანოსა და წებელდის ჩათვლით და რომელიც უშუალოდ ექვემდებარებოდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს.

როდესაც ასეთ რამეს ჩვენ საქართველოს უფრო განვითარებულ რაიონებში ნაკლებად ვხვდებით.

სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიას იმისათვის, რომ მიეღწია ზემოდან მის წინაშე დასახული მიზნებისათვის, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ აფხაზეთის თავადაზნაურობისათვის, ყოველ შემთხვევაში, მისი გარკვეული ნაწილისათვის, რომელიც მთავრობას ოპოზიციაში ედგა, ჩამოეცილებინა პოლიტიკურ-ეკონომიური საფუძველი, უნდა ეღიარებინა საზოგადოებრივ ცხოვრებაში პატრიარქალურ-გვაროვნული წყობის გადმონაშთებზე დაყრდნობით, რომ აფხაზეთში ბატონყმური ინსტიტუტი, როგორც ასეთი — სრულიად არ არსებობდა, რომ აქაური ფეოდალი ბატონი კი არ არის, როგორც ეს ცნობილი იყო საერთოდ, არამედ მფარველია თავისი ხელქვეითებისა, რომ აფხაზი გლეხი ყმა კი არ არის, არამედ ნებაყოფლობით თავის მფარველისადმი მიკედლებული მეურნეა, რომელსაც ყოველთვის შეუძლია დატოვოს თავისი პატრონი, თუ იგი რატომღაც არ მოეწონება მას. ამიტომ კომისია თავგამოდებით იცავს იმ აზრს, რომ თავადს, აზნაურსა და ყველა კატეგორიის გლეხს და თვით მონასაც (ახაშვალის) კი ერთნაირი საადგილმამულო უფლებები აქვთ[44].

იმის მტკიცება, რომ გლეხები და ფეოდალები აფხაზეთში რეფორმის წინ ერთნაირი საადგილმამულო უფლებებით სარგებლობდნენ და ამავე დროს პირველნი პირადად დამოკიდებულნი იყვნენ ამ უკანასკნელისაგან და რომ ეს დამოკიდებულება მათ შორის ნებაყოფლობით დადებული ხელშეკრულების ნიადაგზე იყო აღმოცენებული, სხვა ეროვერს ნიშნავს თუ არადა ისტორიული სინამდვილის აშკარა დამახინჯებას. მაგრამ ამ დამახინჯებას ამართლებდა მიზანი, რომელიც, როგორც ზემოთაა აღნიშნული, იმაში მდგომარეობდა, რომ არ ეცნოთ თავადაზნაურობის უფლება მიწის საკუთრებაზე (გარდა საკარმიდამო და საბატონო სახნავ-სათესისა), რაც მთავრობას ფორმალურ უფლებას მისცემდა მიწები სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებულიყო, რათა შემდეგ ამ მიწებზე ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე დაესახლებინათ რუსი კოლონისტები, ასეული და ათასეული დესეტინობით პირად საკუთრებაში გადაეცათ საუკეთესო მამულები მეჯის მსხვილი მოხელეებისათვის და აგრეთვე აფხაზეთის იმ თავადებისა და აზნაურებისათვის, რომლებიც საქმით

---

44 Сборник сведений о Кавказских горцах, Выпуск VI, Тифлис, 1872. Абхазцы (адыги), გვ. 34; ცესა, ლენინგრადი, ფონდი 1258, აღწ. 12, საქმე 74. 1863 წ., ფურც. 35.

დაამტკიცებდნენ თავის ერთგულებასა და სიყვარულს მეფის ტახტისადმი.

მთავრობისა და კომისიის ეს აშკარა ტენდენციურობა უფრო რელიეფურად მოჩანს გლეხთა ცალკეული კატეგორიის ეკონომიურ-უფლებრივ დახასიათების ფონზე. ჩვენ ზემოთ უკვე დავასახელეთ აფხაზეთის გლეხობის სამი ძირითადი კატეგორია: ანხაიუ, ახოუიუ და ახაშვალა. ამათგან, როგორც ამას ჩვენ განკარგულებაში მყოფი ისტორიული მასალები მოწმობს, ყველაზე უფრო მაღლა, თავისი უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობით, ანხაიუ (ფიოში) იდგა. ამასთან ერთად ანხაიუ წარმოადგენდა აგრეთვე რიცხობრივად აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობას და, მაშასადამე, გლეხთა მასის ძირითად სოციალურ კატეგორიას.

გლეხთა ამ კატეგორიის საკითხის შესასწავლად ჩვენ ძირითად მასალებს ვპოულობთ იმავე სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის შრომებში. მაგრამ, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ამ შრომებში გლეხთა ეკონომიურ-უფლებრივი მდგომარეობის საკითხი მიკერძოებითა და აშკარა ტენდენციურობითაა განხილული.

ზემოაღნიშნული კომისიის მიერ მოგროვილი მასალების საფუძველზე შედგენილ იქნა კავკასიის მთის სამმართველოს უფროსის გენერალ-მაიორ სტაროსელსკის მიერ ე. წ. „მოკლე ბარათი წოდებრივი-საადგილმამულო ურთიერთობის შესახებ აფხაზეთსა და სამურზაყანოში“, სადაც ანხაიუ (ფიოში) დახასიათებულია როგორც პირადი, ისე ქონებრივი უფლებით მოსილი ადამიანი. იქვე აღნიშნულია, რომ ამ კატეგორიის გლეხთა ბეგარა თითქოს წარმომობილია ნებაყოფლობითი საჩუქრებისაგან, რომლითაც იგი თავის ვალს იხდიდა თემის მფარველების წინაშე მათი სხვადასხვა სახის დამსახურების გამო[45].

ისტორიკოსების ს. ესაძის[46], ავალიანისა[47] და სხვა რიგ ავტორთა შრომებში[48] ჩვენ საქმე გვაქვს არსებითად „მოკლე ბარათი“-ს ამ ადგილის გამეორებასთან.

---

45 ცსსა, ლენინგრადი, ფონდი 1268, აღწ. 12, საქმე 74, ფურც.

46 ს. ესაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 504.

47 ს. ავალიანი, დასახელებული წიგნი, გვ. 66.

48 К. Д. Мачавариани, Описательный путеводитель по городу Сухуму и Сухумскому округу, Сухум, 1913, გვ. 315, 320—321; Л. Н. Дьячков-Тарасов. Абхазия и Сухум в XIX столетии, Тифлис, 1910, გვ. 81—182.

ზოგ საბუთში ანხაიუ „სრულიად თავისუფალ ადამიანად“[49] არის აღიარებული.

— ანხაიუს სოციალური ბუნება არასწორად გაუგია აგრეთვე საბჭოთა პერიოდის ზოგიერთ ისტორიკოსსაც. ასე, მაგალითად, ა. ფადეევი ამ საკითხის გაგებაში აღმოჩნდა რევოლუციამდელი ავტორების აშკარა გავლენის ქვეშ. იგი წერდა, რომ გლეხთა მასის უმრავლესობამ, მისმა ძირითადმა კატეგორიამ — ანხაიუმ თითქოსდა სრულიად არ იცოდა, თუ რა იყო ყმობა, რომ იგი არ იყო ვალდებული გამოსულიყო საბეგრო სამუშაოზე და ამავე დროს სარგებლობდა ერთი ფეოდალისაგან მეორესთან თავისუფალი გადასვლის უფლებით[50].

მართლაცდა შეიძლება თუ არა ანხაიუ (ფიოში) ჩვენ სრულიად თავისუფალ გლეხთა კატეგორიაში ჩავთვალოთ, როგორც ამას ამტკიცებდნენ სტაროსელსკი, ესაძე და მთელი რიგი სხვა ავტორები? რა თქმა უნდა, არა. XIX საუკუნეში ანხაიუზე, როგორც სრულიად თავისუფალ მიწათმოქმედზე, ლაპარაკიც კი ზედმეტია. მართალია, აფხაზეთის გლეხთა იმ ნაწილის დამოკიდებულება თავიანთი მემამულეებისადმი, რომელიც ცნობილია ანხაიუს (ფიოშის) სახელწოდებით, ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის, ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად დასრულებული, როგორც ბატონყმური დამოკიდებულება და ფეოდალსა და ანხაიუს შორის არსებული ურთიერთობა მიჩქმალული და შენიღბული იყო მრავალი სხვადასხვაგვარი პატრიალქალურ-გვაროვნული გადმონაშთებით. მაგრამ თქმა იმისა, რომ მოსახლეობის ეს ჯგუფი სრულიად თავისუფალი იყო და იგი თავის ბედიღბალს ისე განაგებდა, როგორც ეს მას სურდა, ისტორიული სინამდვილის აშკარა დამახინჯება იქნებოდა.

როდესაც ჩვენ ვეხებით ანხაიუს სოციალურ ბუნებას, მის ეკონომიურ თუ უფლებრივ საკითხებს, აუცილებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ იგი XIX საუკუნის პირველ ნახევარში არ წარმოადგენდა ერთ მთლიან მასას, რომ მასში უკვე მომხდარი იყო საგრძნობი დიფერენციაცია.

რომ ანხაიუ ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის იყოფოდა ორ ნაწილად, ერთი უმცირესი ნაწილი არ იხდიდა მტკიცედ რეგლამენტირებულ გადასახადებს, არ გადიოდა ბეგა-

---

49 Сборник сведений о кавказских горцах выпуск V, разд. 17, Тифлис, 1871. გვ. 49

50 ა. ფადეევი, ციტირებული სტატია, გვ. 629.

რაზე, ხოლო მეორე — უმრავლესობა მას დიდი რაოდენობით იხდიდა, ამას ერთხმად ამტკიცებს არსებული წყაროები. გარდა ამისა, ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ეს უკანასკნელიც არ იყო აღჭურვილი ერთნაირი უფლებებით, რომ იგიც თვითონ ორ ნაწილად იყოფოდა. ერთი ნაწილის დამოკიდებულება თავის პატრონისადმი ჯერ კიდევ არ იყო გაფორმებული ისეთ ურთიერთობად. როგორითაც ხასიათდება ბატონყმობა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ე. ი. უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, ანხაიუს ეს ნაწილი არ იყო საბოლოოდ მიმაგრებული, მიჯაჭვული მიწაზე და მას საკირო შემთხვევაში შეეძლო მისი მიტოვება და სხვაგან გადასახლება; თუმცა ეს გადასვლა ერთი მემამულისაგან მეორეზე არც ისე ადვილი საქმე იყო, რადგან მას წინ მრავალი დაბრკოლება ელობებოდა. ანხაიუს უმრავლესობის მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე საბოლოოდ იყო მიმაგრებული მემამულის მიწაზე და მას მისი მიტოვება, პატრონის ნებართვის გარეშე, ცხადია, არ შეეძლო. ისიც ღირსია ჩვენი ყურადღებისა, რომ ანხაიუს გადასახადებით ვალდებული ნაწილი ამ დროისათვის თანაბარი რაოდენობით როდი იხდიდა სავალდებულო გადასახადებს: ერთი ნაწილი იხდიდა მას უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე მეორე.

ამ ჩვენს მიერ წამოყენებული დებულებების დასამტკიცებლად მივმართოთ ისტორიულ საბუთებს.

თავადი ბარათოვის კომისიის წევრი[51] მოხელე ჩერეპოვი თავის სტატიაში: „მოკლე შენიშვნები აფხაზეთის ბზიფის ოლქის მცხოვრებთა წოდებებისა და ურთიერთდამოკიდებულების შესახებ“ წერდა, რომ „ანხაიუს წოდება იყოფა ორ კატეგორიად: გადამხდელებად და არაგადამხდელებად... ანხაიუს ბეგარა ერთნაირი ზომის არ არის“[52].

ცოტა უფრო ქვემოთ იგი დასძენს: „ანხაიუს ბევრი თავის რაოდენობით ძლიერი გვარი არავის არავითარი გადასახადებს არ უხდის, თუმცა ცნობს თავის თავს რომელიმე ძლიერი პიროვნების ხელქვეითად“[53].

ამავე სტატიაში ჩერეპოვი ლაპარაკობდა, რომ „დიდ გადასახადებს“ იხდიდნენ გლეხობის ამ კატეგორიიდან ისინი, ვი-

---

51 კომისია, მაიორ თავად ბარათოვის, კაპიტან-ლეიტენანტ კარგანოვისა და ჩერეპოვის შემადგენლობით, გამოგზავნილ იქნა აფხაზეთში 1866 წლის გაზაფხულზე აქ არსებული მიწათმფლობელობისა და წოდებათა ურთიერთობის შესახებ ცნობების შესაგროვებლად.

52 საქ. ცსსა, ფონდი 416, საქმე 1032, ფურც. 10.

53 იქვე, ფურც. 11.

საც ძალა არ შესწევდა თავი ეხსნა ახილაფშუს (მფარველის) ძალმომრეობისაგან"[54].

ცნობებს იმის შესახებ, რომ ანხაიუს უმცირესი ნაწილი არ იხდიდა გადასახადებს, ჩვენ სხვა საბუთებშიც ვხვდებით. მაგალითად, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ხელქვეითი 874 კომლი ანხაიუდან 69 კომლი თავისუფალი ყოფილა მტკიცედ რეგლამენტირებული ბეგარა-გადასახადებისაგან. მიხეილ შარვაშიძის ძმას ალექსანდრე შარვაშიძეს რეფორმის წინ 318 კომლი ანხაიუ ჰყოლია. აქედან 21 კომლი თავისუფალი ყოფილა ბეგარა-ვალდებულებებისაგან[55].

ზემოთ მოტანილი საბუთები ნათლად ადასტურებენ იმას, რომ ანხაიუ ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის თავის ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობით არ წარმოადგენდა ერთ მთლიან მასას, რომ მასში უკვე გარკვეული დიფერენციაცია მომხდარა. ანხაიუ, ჩერეპოვის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ორად გაყოფილა: „გადამხდელ" და „არაგადამხდელ" ჯგუფებად. ამავე დროს ჩერეპოვი პირდაპირ მიუთითებს, რომ ყველა „გადამხდელი" ანხაიუ ერთი და იმავე ზომით კი არ იხდიდა, არამედ ერთი უფრო ნაკლებით, მეორე კი მეტი რაოდენობით. ბეგარა-გადასახადებს დიდი რაოდენობით იხდიდნენ ისინი, ვისაც უნარი არ შესწევდა თავისი დაცვისა პატრონის „ძალმომრეობისაგან". ეს უკანასკნელი ფრიად მნიშვნელოვანი მითითებაა, რადგან იგი აშკარად ლაპარაკობს ანხაიუს თანდათანობით ყმად გადაქცევის პროცესზე, რაც მემამულეების ძალდატანებით ხდებოდა. თავისთავად ცხადია, რომ თავისუფალი გლეხთა ჯგუფი გულხელდაკრეფილი არ შეჰყურებდა ამ თავის უუფლებობასა და ყმადქცევას. იგი მემამულეთა ასეთ თვითნებობას თავგამოდებით ებრძოდა.

ერთ საბუთში, რომელიც საგლეხო რეფორმის გატარების წინა ხანას ეკუთვნის, მოთხრობილია სოფ. მერხეულის მცხოვრები ძმების ბირიცხიბების საჩივარი გ. დ. შარვაშიძის მეურნეობის მმართველ პახომოვისა და მისივე რწმუნებულის ე. თურქიას თვითნებობაზე. ძმები თავის თხოვნაში აღნიშნავენ, რომ ისინი ეკუთვნიან ანხაიუს და რომ არასოდეს არ იყვნენ ვალდებული გადასახადებით. მაგრამ ახლა მათ მოულოდნელად მოსთხოვეს ბეგარა-გამოსაღების გადახდა თანაბრად სხვა გლეხებისა. ბოლოს, მოხსენებული მომჩივანი ძმე-

---

54 საქ. ცსსა, ფონდი 416, საქმე 1032, ფურც. 10.

55 საქ. ცსსა, მეფისნაცვლის კანც. ფონდი, საქმე 31/1, ნაწ., 1866 წ., შეკ. 8713.

ბი მეფის ადმინისტრაციისაგან თხოულობენ ასეთი უკანონობისაგან დაცვას[56].

ანხაიუსაგან ძალდატანებით გადასახადების აკრეფაზე ლაპარაკობს მეორე საბუთიც. „უმაღლესი წოდების ბევრმა... პირმა მოითხოვა და დაიწყო გადასახადების მოგროვება ძალდატანებით[57].

ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლებოდა, მაგრამ, ჩვენი აზრით, მოტანილიც საკმარისია იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. თავისუფალი გლეხის დამოკიდებულად გახდომა, ხოლო დამოკიდებულის კი თანდათანობით ყმად ქცევა, საბოლოოდ მისი დამორჩილება სხვადასხვა გზით, კერძოდ, მემამულეთა თვითნებობითა და ძალდატანებით, ჩვეულებრივი მოვლენაა ფეოდალური წყობილების ეპოქაში. რა თქმა უნდა, ეს პროცესი ხანგრძლივია; იგი საუკუნეთა მანძილზე მიმდინარეობდა და დამახასიათებელი იყო არა მარტო აფხაზეთის, ანდა მთლიანად საქართველოს ფეოდალიზმისა, არამედ ფეოდალური ფორმაციისათვის საერთოდ. ერთი კატეგორიის გლეხი მემამულის ნება-სურვილით ადვილად შეიძლებოდა მომხვდარიყო უფრო დაბალ კატეგორიაში ან პირიქით. სამართლიანად აღნიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი, რომ ფეოდალურ საზოგადოებაში პირადად თავისუფალი გლეხთა ფენა გარდამავალია და რომ ბატონყმური ურთიერთობის ზრდასთან ერთად, სულ უფრო და უფრო მზარდი ეკონომიური ჩაგვრა და სოციალური დაცარცვა მიერეკება მას ყმათა ბანაკში[58].

სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსის პოლკოვნიკ კონიარის პატაკში პირდაპირ წერია, რომ „ჩვეულებრივი აფხაზური საბრთალი თავისუფალი მდგომარეობის ადამიანების მონად გადაქცევასა და კაბალურ პირობებში ჩავარდნას უშვებს"[59].

პოლკოვნიკ კონიარს ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს სწორედ გლეხთა მასის იმ თავისუფალი ნაწილის ჩავარდნა ყმის, მონის მდგომარეობაში, რომელიც ატარებდა ანხაიუს სახელწოდებას.

---

56 ცსსა, ლენინგრადი, ფონდი 1087, საქმე 30. ფურც. 43-44.

57 საქ. ცსსა, ფონდი 515, საქმე 180. ფურც. 31-39.

58 **Н. Бердзенишвили.** Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.), Тбилиси, 1958, გვ. 2—3.

59 საქ. ცსსა, ფონდი 416. საქმე 1012, ფურც. 16.

ერთი საბუთი აღნიშნავს, რომ იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ანხაიუ ახაშვალას მდგომარეობაში ვარდებოდა[60].

ეჭვრიგად, გამოდის, რომ ანხაიუ ხშირად სხვადასხვა მიზეზებისა და პირობების გამო არა მარტო კარგავდა თავის თავისუფლებას და ხდებოდა დამოკიდებული, ან ვარდებოდა ყმაგლების მდგომარეობაში, არამედ უფრო ქვემოთაც ეშვებოდა, ე. ი. ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ნამდვილ მონად (ახაშვალად) ხდებოდა. ჩვენ ქვემოთ საგანგებოდ შეეჩერდებით ახაშვალა-მონის მდგომარეობის დახასიათებაზე, ამიტომ აქ მხოლოდ ვიტყვით, რომ ახაშვალა (ძალალაბე) აფხაზეთის ექსპლოატირებული მასების სრულიად უუფლებო და დაბეჩავებული ნაწილი იყო, რომლის ყიდვა-გაყიდვა და გასაჩუქრება დაუბრკოლებლად შეეძლო პატრონს, რადგან იგი მის სრულ საკუთრებას წარმოადგენდა.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ და ჩამოვთვალოთ მარტო ის ბეგარა-ვალდებულებანი, რომელთაც ანხაიუ ფეოდალური კლასის სასარგებლოდ ასრულებდა და რომლებიც ოფიციალურად იცნო მთავრობამ, ისიც კი იქნება საკმარისი იმისათვის, რომ უარვყოთ ბლეხთა ამ კატეგორიის „თავისუფლება“.

ჩვენ მიერ უკვე ციტირებული „მოკლე ბარათი“ გვაძლევს ანხაიუს ბეგარა-ვალდებულებათა ნუსხას.

ანხაიუს (ფიოშს) კისერზე აწვა შემდეგი მოვალეობის შესრულება:

„1) წლის განსაზღვრულ დროს მფლობელისათვის მიყვანა თხის, ან თიკნის, ან ცხვრის, ან ღორის, ან ხბოს, ან ძროხის, ან მისი ნაწილების მიტანა.

2) მიზიდვა მისთვისვე დადგენილი ჩვეულებრივი ზომით ღვინისა და სიმინდისა.

3) სამინდვრე სამუშაოთა შესრულება წელიწადში რამდენიმე დღის განმავლობაში.

4) მფლობელის ცხენების კვება და შენახვა.

5) მის სასარგებლოდ ახშბირის შესატანი, ე. ი. გადასახადი ამ წოდების ქალიშვილის გათხოვებისას (ჩვეულებრივ ძროხა ან 10 მან).

6) მფლობელთან საპატიო სამსახურის შესრულება, მაგალითად, მისი გაცილება მოგზაურობაში და მის დავალებათა შესრულება გაგზავნებთან დაკავშირებით.

7) მფლობელის სამოგზაუროდ ცხენით მომარაგება.

---

[60] საქ. ცსსა. ფონდი 416, საქმე 180, ფურც. 2-8.

8) შეურნეობის პროდუქტების მიტანა, რომელიც ატარებდა არაგანსაზღვრულ და მუდმივ ხასიათს, როგორიცაა: ქათმების, ღომისა და სიმინდის ჩალის, ლობიოს და სხვათა მიტანა;

9) განსაკუთრებულ შემთხვევებში სამუშაოთა და სხვადასხვა სახის დახმარებათა შესრულება, მაგალითად, მშენებლობისათვის მასალების დამზადებისას, მათ ადგილზე გადატანისას, ნაგებობათა მშენებლობისას და სხვა.

10) გამასპინძლება და სხვადასხვა სახის მიპატიჟება დღესასწაულებზე, ან განსაკუთრებულ შემთხვევებში"[61].

აი მთავრობის მიერ ოფიციალურად აღიარებული ის ბეგარა-ვალდებულებანი, რომელნიც აწვა კისერზე აფხაზეთის ე. წ. „სრულიად თავისუფალი" გლეხობის ნაწილს.

სრულია თუ არა ანხაიუს აქ ჩამოთვლილი ბეგარა-ვალდებულებანი? ჩვენ ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, მეფის მთავრობის ადგილობრივი მოხელეები ტენდენციურად და არაობიექტურად ასახავდნენ ბატონყმური ურთიერთობის სინამდვილეს აფხაზეთში. ისინი ცდილობდნენ აქ არსებული ბატონყმური ურთიერთობის გაუქმების საქმე ისე მოეგვარებინათ, როგორც ეს ხელსაყრელი იქნებოდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისათვის, ხოლო ამისათვის კი საჭირო იყო ბატონყმური ურთიერთობის შერბილებულად ჩვენება და, მაშასადამე, გლეხობის ბეგარა-ვალდებულებათა რაოდენობის შემცირებულად წარმოდგენა. აი რატომ მიგვაჩნია ჩვენ, რომ აქ მოტანილ ბეგარა-ვალდებულებათა ნუსხა ხელოვნურადაა შემცირებული.

გვაქვს თუ არა ჩვენ, გარდა ამ, ასე ვთქვათ, თეორიული მოსაზრებისა — სხვა საფუძველი ამისათვის? დიახ, აბეთი საფუძველი ჩვენ გვაქვს. არის წყაროები, რომლებიც თვალნათლივ მოწმობენ იმას, რომ ანხაიუ გაცილებით უფრო მეტად იყო დატვირთული, ვიდრე ეს ნაჩვენებია „მოკლე ბარათში".

მოვიყვანოთ ზოგიერთი მაგალითი ჩვენი მოსაზრების სისწორის დასამტკიცებლად.

სოხუმის განყოფილების უფროსი (კონიარის შემდეგ) პოლკოვნიკი პავლოვი სხვადასხვა პირისა და სხვადასხვა დროის შეკრებილი ცნობებიდან ადგენს კავკასიის მთიელთა სამმართველოსათვის მოხსენებით ბარათს, სადაც მოცემულია

---

61 ცსსა, ლენინგრადი, ფონდი 1268, აღწ. 12, საქმე 74, 1865 წ., ფურც. 48.

ცნობები ცალკეული სოფლების მიხედვით. ანხაიუს ბეგარა-ვალდებულებათა შესახებ.

საბუთში აღნიშნულია, რომ სოფ. ეშქეთში (დღევანდელ ოჩამჩირეა რაიონში. — ლ. ძ.) მებატონეს უფლება აქვს ანხაიუს გამოუძახოს სამინდვრე სამუშაოებზე და დატოვოს იქ იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იქნება სამუშაოთა დასამთავრებლად. მფლობელის პირველ მოთხოვნისთანავე ანხაიუმ უნდა შეასრულოს ის ვალდებულება, რომელსაც იგი მას დააკისრებს[62]. შემდეგ საბუთში ჩამოთვლილია მთელი რიგი სხვა ვალდებულებანი. უფრო ქვემოთ მოცემულია ცნობები სოფ. ფოქვეშის შესახებ. საიდანაც ჩანს, რომ ანხაიუ მეტად მძიმედ ყოფილა დატვირთული ბეგარა-ვალდებულებებით[63]. სოფ. გუფსა და ტყვარჩელში მებატონეებს თავიანთ ვალში ანხაიუს დაგირავების უფლებაც ჰქონიათ[64].

მეორე საბუთში, რომელშიაც ჩამოთვლილია მთელი რიგი ბეგარა-გამოსაღები, გაკეთებულია შემდეგი შენიშვნა: თავად შარვაშიძეების მიწებზე მოსახლე ანხაიუ ვალდებულია აკიდი, ატაჩა და აპკარა გადაიხადოს დიდი რაოდენობით, საჭელდობრ, გლეხმა თავის სახსრებით უნდა დაამუშაოს მემამულის მიწა, აიღოს მოსავალი და მიიტანოს იგი ბატონის სახლში. თუ რატომღაც მემამულის მიწა არ იქნა დამუშავებული, მაშინ გლეხის ყოველი ოჯახიდან მას ეკუთვნის თითო ურემი სიმინდი. გარდა ამისა ანხაიუს ოჯახი მოვალეა ყოველწლიურად მფლობელს მიართვას 16 ვედრო ღვინო, ან 16 მანეთი ვერცხლით. ბოლოს, გლეხის თითოეული ოჯახიდან ყოველწლიურად მემამულეს ეძლევა თითო ძროხა[65].

ჩავუფიქრდეთ ჩვენს მიერ ზემომოყვანილი საბუთების შემდეგ ადგილებს: სიმინდის, ღომის თესვისას და აგრეთვე მისი მომკისა და გაწმენდისას, ყურძნის მოკრეფისას ანხაიუ ვალდებულია მფლობელის მოწვევით გამოვიდეს სამუშაოზე და დაჰყოს იქ იმდენი ხანი, რამდენიც საჭირო იქნება ყველა სამუშაოთა დამთავრებისათვის. ამ სამინდვრე სამუშაოთა გარდა ანხაიუ ასრულებდა სხვა საბეგარო მოვალეობასაც. ასე, მაგალითად, მას მებატონისათვის მოჰქონდა საღმშენებლო მასალა, შეშა და სხვა. ყველა ეს სამუშაო სრულდებოდა გლეხის ინვენტარითა და ცოცხალი გამწევი ძალით. ეპვს გა-

---

62 საქ. ცსსა, ფონდი 416, საქმე 1012, ფურც. 10.
63 იქვე, ფურც. 11-12.
64 იქვე.
65 იქვე. საქმე 1013, ფურც. 2.

რეშეა. რომ ასეთი საბატონო სამუშაოთა შესრულებისათვის არ ყმაროდა რამდენიმე დღე წელიწადში, როგორც რიგ საბუთებშია აღნიშნული, უფრო სამართლიანია ვიფიქროთ, რომ მას დასჭირდებოდა რამდენიმე კვირა, შესაძლოა — თვეებიც.

ჩვენს ასეთ მოსაზრებას სხვათა შორის ცნობილი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის ხელნაწერი სტატიაც „აფზაზეთისა და სამურზაყანოს თავადაზნაურობა" ადასტურებს. მასში აღნიშნულია რომ ფიოში სხვა გაღასახადებთან ერთად ვალდებულია „მემამულისათვის მინდვრად იმუშაოს კვირაში თრთო დღე გაზაფხულის. ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში"[66].

ე. ფიოში(ანხაიუ) საბატონო სამუშაოება თვეზე მეტ დროს ანდომებდა. გამოდის, რომ ანხაიუ, წინააღმდეგ ტენდენციურად შედგენილი საბუთების მტკიცებისა, მცირე აბატონო ბეგარას ასრულებდა, რომელიც, ლენინის თქმით, ბატონყმობის ყველაზე უფრო ტიპიურ ნიშანს წარმოადგენდა.

მაგრამ, როგორც ეს ზემოთ ვნახეთ, მარტო ამ საბატონო სამუშაოებით როდი შემოიფარგლებოდა ანხაიუს ვალდებულებანი. იგი მოვალე იყო აგრეთვე თავისი მეურნეობის პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილი ბატონისათვია მიერთმია. ასე, მაგალითად, ანხაიუს მებატონისათვის მიჰქონდა: სიმინდი, ღომი, ღვინო, ლობიო, ყველი, დაკლული ცხოველის ნაწილი, ქათამი, კვერცხი; დღესასწაულზე ბატონისათვია უნდა მიეყვანა ძროხა ან ცხვარი, ან კიდევ სხვა წვრილფეხა საქონელი, ხშირად ღალა-სიმინდით ათეულ ფუთს უდრიდა. ასევე ღვინოც ათეულ ვედრის აღწევდა. ქალიშვილის გათხოვებისას გლეხი ვალდებული იყო გადაეხადა ე. წ. ახშბირი, რომელიც ერთი ძროხის ღირებულებას უდრიდა, ასევე ხშირად ერთი ძროხის ღირებულებამდე ადიოდა აკიძი ან საზირი-გადასახადი საბალახო ადგილების გამოყენებისათვის. ამასთან ერთად, გლეხს უსიტყვოდ უნდა შეესრულებინა მებატონის სხვადასხვა სახის დავალებანი. მებატონეს თურმე თავისი დავალიანების შემთხვევაში ანხაიუს დაგირავებაც შეეძლო. გარდა ამისა, ანხაიუ ვალდებული იყო წელიწადის განსაზღვრულ დროს უხვად გამასპინძლებოდა თავის ბატონს ამალითურთ; ხშირად ეს გამასპინძლება ძვირად უჯდებოდა მასპინძლებს, რადგან

---

66 აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქ. სსრ ცენტრალური სახელმწიფო მუზეუმი, განყოფილება IV, მ. თუმანიშვილის პირადი ფონდი, საქმე № 376, ფურც. 3.

ასეთ დროს უნდა დაეკლათ ხარი, ან ძროხა და ისიც მებატონის ამორჩევით[67].

აი, ის ბეგარა-ვალდებულებანი, რომელნიც კისერზე აწვა ამ „თავისუფალ“ გლეხებს.

ვთქვათ, ამაში არავინ შემოგვედავება, რომ ანხაიუ მართლაც ასრულებდა აქ დასახელებულ სამუშაოებსა და გადასახადებს. მაგრამ ამასთან ერთად, შეიძლება ანახაიუს საშუალება ჰქონდა თავის ხება-სურვილით მიეტოვებინა ბატონი და შეეფარებოდა სხვას? შეიძლება გადასვლის თავისუფლებით სარგებლობდა იგი? იქნებ ამ მხრივ მაინც ის მართლაც თავისუფალი იყო? ვგონებთ, რომ ასეთი ვარაუდი სრულიად არ შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს. განა შეიძლება ერთი წუთით მაინც დავუშვათ, რომ მემამულე, რომელსაც ანხაიუსაგან ფრიადმნიშვნელოვანი მატერიალური სარგებლობა ჰქონდა, ინდიფერენტულად, გულგრილად შეხვდებოდა გლეხის აბარგვა-გადასვლას სხვა მემამულესთან და მასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას? თავისთავად ცხადია, რომ ასეთ რამეს სინამდვილეში არ შეიძლება ადგილი ჰქონოდა.

ცხადი არ არის, რომ მებატონე არავითარ შემთხვევაში ნებაყოფლობით არ დასთმობდა თავის უფლებას ანხაიუზე, რადგან ამ შემთხვევაში ის აუნაზღაურებელ მატერიალურ ზარალს ნახავდა?! განა ცხადი არ არის, რომ მემამულის მთელი ძალღონე მიმართული იქნებოდა იქითკენ, რომ ანხაიუსათვის ისეთი პირობები შეექმნა, რითაც მას ერთი მემამულისაგან მეორე მემამულესთან გადასვლის შესაძლებლობა წართმეოდა? მართლაც. მიუხედავად გლეხების შეუპოვარი წინააღმდეგობისა, ფეოდალები მაინც აღწევდნენ თავის მიზანს. ამისი ნათელი დამადასტურებელია ზემიხეილ შარვაშიძის 1846 წლის ბრძანება, რომლითაც მან საერთოდ აკრძალა გლეხების გადასვლა ერთი მემამულიდან მეორე მემამულესთან[68]. ამით მან იურიდიულად გაფორმა ანხაიუს ყმად გადაქცევა. ფეოდალები ამ შემთხვევაში ძალმომრეობასთან ერთად სხვა საშუალებასაც მიმართავდნენ, მაგალითად, ისინი დიდი წარმატებით სარგებლობდნენ ანხაიუს დასამორჩილებლად ე. წ. თემურ-გვაროვნული წყობის ისეთი გადმონაშთებით, როგორიცაა „მიშვილება“ და „აღმზრდელობა“.

---

67 ამაზე დაწვრილებით იხილე **И. Г. Антелава**, Очерки по истории Абхазии XVII—XVIII веков. Сухуми. 1949. გვ. 145 — 146. ამაზე აგრეთვე ვრცლად ლაპარაკობს დ. ბაქრაძეც თავის ზემოდასახელებულ სტატიაში.

68 ცსსა. ფონდი სსა, №-6597, ფურც. 93-95.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს სრულიად არ ცვლიდა გლეხების დასახელებული კატეგორიის ექსპლოატაციის ფეოდალურ-ბატონყმური ხასიათს. ამრიგად, ერთ დროს მართლაც თავისუფალი მიწათმოქმედი ანხაიუ თანდათანობით კარგავს თავის უფლებებს, ხდება დამოკიდებული და შემდეგში უფრო გვიან ეს დამოკიდებულება, ფეოდალური ურთიერთობის ზრდასთან დაკავშირებით, სულ უფრო და უფრო ბატონყმურ ხასიათს ღებულობს. დასაჯერებელია ი. ანთელავას შემდეგი მტკიცება: „უნდა ვიფიქროთ, რომ XVII-XVIII საუკუნეებში ფეოდალური ურთიერთობის მხრივ უფრო განვითარებულ ადგილებში ანხაიუს ნაწილი (საფიქრებელია უმნიშვნელო) უკვე ყმად იყო გადაქცეული“[69].

XIX საუკუნის დასაწყისიდან ეს პროცესი ცარიზმის ბატონყმური პოლიტიკის ზეგავლენით კიდევ უფრო განაგრძობს ზრდას. გადაჭრებებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საგლეხო რეფორმის წინ, ზღვისპირა ზონაში, სადაც ბატონყმური ურთიერთობა უფრო განვითარებული იყო, ანხაიუს მნიშვნელოვანი ნაწილი[70] ყმურ დამოკიდებულებაში იყო თავის ბატონისადმი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, თუმცა იგი წინანდებურად თავისთავს ანხაიუს უწოდებდა.

ვფიქრობთ, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ შეიძლება მხოლოდ შემდეგი დასკვნის გამოტანა: მიუხედავად იმისა, რომ ანხაიუ (ფიოში) აფხაზეთის გლეხობის ყველაზე უფრო უკეთეს მდგომარეობაში მყოფ მცირე ფენას წარმოადგენდა, იგი ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის ზღვისპირა ზონაში, რეფორმის წინახანისათვის მეტად მძიმე ფეოდალურ ბეგარა-გადასახადებს ასრულებდა, მართალია, ყველა ერთნაირად არა: ერთი ნაწილი უფრო მეტი რაოდენობით, მეორე — კიდევ ნაკლებით. ამასთან ერთად ანხაიუს უმრავლესობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ყმად გადაქცეული და მისი უფლებრივი თუ ეკონომიური მდგომარეობა თითქმის არაფრით არ განსხვავდება ახოიუს (დელმახორეს) აფხაზეთში ამ ყველაზე უფრო ტიპიური. ყმა გლეხის კატეგორიის მდგომარეობისაგან.

---

69 ი. ანთელავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 167.

70 ჩვენ, სამწუხაროდ, არ შეგვიძლია ზუსტად დავადგინოთ ანხაიუს რამდენი პროცენტი იყო ამ დროისათვის უკვე ბატონყმურ დამოკიდებულებაში საამისო სტატისტიკური ცნობების უქონლობის გამო; მაგრამ მიუხედავად ამისა, აინა გვგონია შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ბეგარა-ვალდებულებანი თავისთავად გულისხმობენ გლეხთა ამ კატეგორიის მნიშვნელოვანი ნაწილის დაყმევას.

✓ მაშასადამე, ანხაიუს მნიშვნელოვანი ნაწილი რეფორმის გატარების წინა ხანაში უკვე ყმა გლეხად ქცეულა და, რა თქმა უნდა, მისი ერთი მებატონიდან მეორესთან გადასვლის თავისუფლებაზე ლაპარაკი, რის შესახებაც ასე დაჟინებით გაჰყვიროდნენ მეფის მოხელეები რევოლუციამდელ ისტორიკოსებთან ერთად, ზედმეტია. გადასვლის თავისუფლებით სარგებლობდა და საერთოდ თავისუფალი გლეხის პრივილეგიები შერჩა ანახაიუს სულ მცირე, უმნიშვნელო ნაწილს, რომელიც უკვე არავითარ როლს არ ასრულებდა აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში და რომელიც აღსანიშნავია ახლოლოდ როგორც ცოცხალი ძეგლი და დამადასტურებელი იმისა, რომ ოდესღაც წარსულში ანხაიუ მართლაც იყო აფხაზეთის გლეხობის შედარებით ყველაზე უფრო თავისუფალი პრივილეგიური ფენა.

✓ თითქმის ყველა რევოლუციამდელი ავტორი წერს არა მარტო ანხაიუს ერთი მებატონიდან მეორე მებატონესთან გადასვლის თავისუფლებაზე, არამედ ისინი ასეთ უფლებას ანიჭებენ ახოუიუსა (დელმახორესა) და ამაწურაზქუსაც, რომელნიც მასთან შედარებით, სოციალური კიბის გაცილებით უფრო დაბალ საფეხურზე იდგნენ. გასაკვირია ის, რომ თითქმის ყველა ავტორი, რომლებიც ასე თუ ისე შეჰხებია აფხაზეთში ფეოდალური ურთიერთობის საკითხს, გვიხატავს ახოუიუს (სამურზაყანოში დელმახორეს) განსხვავებულ მძიმე მდგომარეობის სურათს და ამავე დროს აღიარებს მისი ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასვლის თავისუფლებასა და ანიჭებს მას ისეთსავე საადგილმამულო უფლებებს, როგორითაც თავადაზნაურობა სარგებლობდა.

✓ გლეხთა იმ კატეგორიის მდგომარეობა, რომელსაც ახოუიუ ეკუთვნოდა, გაცილებით უარესი იყო, ვიდრე დამოკიდებული არათავისუფალი, მაგრამ ამავე დროს ყმური ურთიერთობის გარეშე დარჩენილი ანხაიუს მდგომარეობა[71].

— სამართლიანია ისტორიკოს დუბროვინის შემდეგი შენიშვნა: „ყველა იმ ბეგარა-ვალდებულებათა გარდა, რომელთაც ანხაიუ ასრულებდა, ახოუიუს ბატონის მეურნეობაში დამატებით ეკავა ყველა დაბალი თანამდებობა. მემამულის ყველა მსახური შედგებოდა ამ კლასის ადამიანებისაგან“[72].

—

71 აქ ჩვენ მხედველობაში გვყავს ანხაიუს ის ნაწილი, რომელიც ჯერ [illegible] არ არის ყმურ მდგომარეობაში ჩავარდნილი, თორემ ყმად ქცეულ ანხაიუსა და ახოუიუს მდგომარეობა ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდება.

72 Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, г. кн. 2, СПБ. 1871, [illegible]

ჩვენ მიერ ზემოთ ციტირებული „მოკლე ბარათი“ ახოუიუს მდგომარეობას შემდეგნაირად აღწერს:

ახოუიუ აფხაზეთში და დელმახორე სამურზაყანოში ეკუთვნიან გლეხ-მესაკუთრეების თანრიგს; ისინი ცხოვრობენ ცალკე კომლებად და სარგებლობენ პირადი და ქონებრივი უფლებებით. ამ „წოდების“ ორივე სქესის რაოდენობა უდრის მკათას სულს.

ძირითადად ეს „წოდება“ შეიქმნა ახაშვალასაგან, რომლებმაც მიიღეს საოჯახო უფლება; ამ „წოდების“ შექმნის მეორე ხარისხოვანი საშუალება იყო: მასში ტყვეების მოხვედრა და სხვა უფრო მაღლა მდგომი „წოდებათა“ დაკაბალება.

ახოუიუს. დელმახორეს ბეგარა-ვალდებულებანი შედგება: 1) სამუშაოებისაგან; 2) მფლობელის სახლში მომსახურეობისათვის — ბიჭის, ან გოგოს გაგზავნისაგან; 3) აჩმის შესატანისაგან, ე. ი. გადასახადისაგან მფლობელის სასარგებლოდ ქალიშვილის გათხოვების დროს და 4) მეურნეობის პროდუქტებით გადასახადების შესრულებისაგან. ყველა ეს გადასახადი სრულდება კომლობრივად. მამაკაცის უმთავრესი სამუშაო ეს სამინდვრე სამუშაოა. ის სრულდება კვირაში სამი დღე კომლიდან ერთი მუშაკით, თუ კი ოჯახში არ არის ერთზე მეტი სრულწლოვანი, წინააღმდეგ შემთხვევაში ორი-სამი მუშაკით, ჩვეულებრივ მოზრდილებით. ამავე დროს სამუშაოდ უსდა გამოვიდნენ თავიანთი სასოფლო-სამეურნეო იარაღითა და საქონლით[73]. ცოტა უფრო ქვემოთ, იმავე საბუთში შემდეგია ნათქვამი: „საერთოდ, ახოუიუს (დელმახორეს) დამოკიდებულება გამოიხატება მფლობელის სასარგებლოდ ბეგარა-გამოსაღების მოხდაში, რომელიც ჩვეულებებით მტკიცედ განსაზღვრულია და ამიტომ უცვლელია, ასე რომ მისი სახეცვალებადობა არ დაიშვება (ე. ი. გადიდება ან შემცირება). თუ არ არის ამაზე ორივე მხარის შეთანხმება. აქედან გამოდის, რომ პატრონს ეკუთვნის მხოლოდ ახოუიუს (დელმახორეს) ბეგარა-გადასახადები და არა თვით კომლი, არა თვით ადამიანები, რომლებიც მხოლოდ დამოკიდებულნი არიან მისგან. სახელდობრ, დამოკიდებულნი არიან ბეგარა-გამოსაღების გადახდაში, რაც მტკიცედაა განსაზღვრული ჩვეულებებითა და ურთიერთშორის დადებული პირობებით“[74].

---

[73] ცსსა, ლენინგრადი, ფონდი 1268, აღწ. 12, საქმე 74, 1868 წ., ფურც. 46-47.
[74] იქვე.

აღნიშნული საბუთის ვრცლად მოტანილი ეს ადგილი ჩვენ გვიხატავს ახოუიუს მდგომარეობის საერთო სურათს რეფორმის წინადროინდელ აფსაზეთში. მართალია, საბუთში აშკარად ჩანს, რომ მისი ავტორები ყოველმხრივ ცდილობენ შელამაზებულად გადმოგვცენ ახოუიუს ნამდვილი მდგომარეობა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენთვის მაინც დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს ამ საბუთიდან, ან მის მაგვარ წყაროებიდან ნათლად წარმოვიდგინოთ გლეხთა ამ კატეგორიის მეტად მძიმე, ყმური მდგომარეობა. ის ბეგარა-ვალდებულებანი, რომლებსაც ახოუიუ ასრულებდა, ნათლად გვიხსნის გლეხთა ამ ჯგუფის ეკონომიურ თუ უფლებრივ მდგომარეობას.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ახოუიუ წარმოადგენდა ტიპიურ ყმა გლეხს, რომელსაც საკუთარი პატარა (წვრილი) მეურნეობა ჰქონდა. თავისი მცირედი მიწის ნაკვეთითა და პრიმიტიული სასოფლო-სამეურნეო იარაღით ის უსათუოდ გლეხ-მესაკუთრეთა ჯგუფს ეკუთვნოდა.

ახოუიუ თავის კისერზე გრძნობდა ბატონყმობის მეტად მძიმე უღელს; ის. უსათუოდ, საბოლოოდ იყო მიმაგრებული მიწაზე და, რა თქმა უნდა, მას არ შეეძლო უფლება ჰქონოდა ერთ მებატონისაგან მეორესთან გადასვლისა, როგორც ამას დაჟინებით წარმოგვიდგენენ მეფის მოხელეები. ახოუიუ ისეთივე ტიპიური ყმა-გლეხი იყო, რომელსაც ჩვენ ვხვდებით საბეგრელოში, იმერეთში ან ბატონყმურ საქართველოს სხვა კუთხეებში. აქაურ ფეოდალს სრულიად ისეთივე უფლებები ჰქონდა თავის ახოუიუს მიმართ, როგორითაც სარგებლობდნენ თავისი ყმა-გლეხების მიმართ სხვა ქართველი მებატონეები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფეოდალიზმის პერიოდში წარმოებითი ურთიერთობათა საფუძველს შეადგენს ფეოდალის საკუთრება წარმოების საშუალებებზე, — მიწაზე და არასრული საკუთრება წარმოების მუშაკზე, — ყმაზე, როგორ ის მოკვლა ფეოდალს არ შეუძლია, მაგრამ რომლის გაყიდვა და ყიდვა მას შეუძლია.

თავისთავად ცხადია, რომ მებატონეს აფსაზეთშიაც შეეძლო თავისი ყმის ახოუიუს ყიდვა-გაყიდვა, როგორც ეს საერთოდ ფეოდალურ საქართველოში ხდებოდა ხოლმე.

თუ უკრიტიკოდ მივიღებთ ტენდენციურად შედგენილი საბუთების ავტორთა მტკიცებას იმის შესახებ, რომ ანხაიუს. ახოუიუსა და გლეხთა სხვა კატეგორიებს, მონის (ახაშვალას) გამოკლებით, სრული უფლება ჰქონდათ ერთი მებატონისაგან მეორესთან გადასულიყვნენ და რომ ბეგარა-გადასახადები და საერთოდ ყოველგვარი მათი ურთიერთობა თავიანთ პატრო-

ნებისადმი ნებაყოფლობით, შეთანხმების საფუძველზე იყო წარმოშობილი. მაშინ ჩვენ იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ აფხაზეთის ფეოდალური კლასის კეთილდღეობა, მისი ბედნიერება მთლიანად გლეხის ნება-სურვილზე, თავის მებატონის მიმართ მის კარგ თუ ცუდ განწყობილებაზე ყოფილა დამოკიდებული. და რადგან არსად და არასოდეს არ ყოფილა, რომ ადამიანს შეჰყვარებოდა მისი მჩაგვრელი, რომ გლეხი კარგად ყოფილიყო განწყობილი მისი უმოწყალო მყვლეფელისადმი, მაშინ ჩვენ აუცილებლად იმ ლოგიკურ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს მთელი გლეხობა, ე. ი. მაშინდელი აფხაზეთის ერთადერთი მწარმოებელი კლასი, გაწყვეტდა კავშირს თავიანთ მებატონეებთან, მიატოვებდა მათ ბედისაძარა, რის შედეგად ეს უკანასკნელნი გამოუვალ მდგომარეობაში ჩაცვივდებოდნენ, რადგან გლეხების წასვლასთან ერთად ისინი საბოლოოდ დაკარგავდნენ თავის არსებობის ერთადერთ წყაროს — ფეოდალურ რენტას. განა ცხადი არ არის, რომ ასეთი რამის წარმოდგენა სრულიად არ შეეფერება ფეოდალური აფხაზეთის ისტორიულ სინამდვილეს?!

ლენინი გვასწავლის, რომ ფეოდალური მეურნეობის სისტემის აუცილებელი პირობაა, რომ უშუალო მწარმოებელი „ძიმაგრებული იყოს მიწაზე, რადგან სხვანაირად მემამულე მუშასელით არ იქნება უზრუნველყოფილი“[75].

ლენინი აგრეთვე აღნიშნავს, რომ „მეურნეობის ამ სისტემის პირობაა გლეხის პირადი დამოკიდებულება მემამულისგან. მემამულეს რომ არ ჰქონოდა პირდაპირი ძალაუფლება გლეხის პიროვნების მიმართ, ის ვერ შესძლებდა თავის სასარგებლოდ ემუშავებინა ადამიანი, რომელსაც მიწა მიეცა და რომელიც საკუთარ მეურნეობას ეწევა. საჭიროა, მაშასადამე, „გარეეკონომიური იძულება“, როგორც ამბობს მარქსი, როცა ახასიათებს ამ სამეურნეო რეჟიმს...“[76].

იმისათვის, რომ ახოუიუს ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა უფრო სრულად წარმოვიდგინოთ, საჭიროა, გლეხთა ამ კატეგორიის წარმოშობის წყაროებზე შევჩერდეთ[77].

ჩვენ მიერ ზემომოყვანილი ადგილი „მოკლე ბარათი“-დან ამტკიცებს, რომ ახოუიუს შექმნის ძირითადი წყარო იყო ახაშვალა (მონა), ხოლო დამატებით წყაროდ დასახელებულია

---

75 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3. გვ. 208.

76 იქვე.

77 ეს საკითხი კარგად აქვს გაშუქებული ი. ანთელავას ჩვენს მიერ უკვე დასახელებულ ნაშრომში, გვ. 156-160.

ტყვეები და ახოუიუზე უფრო მაღლა მდგომი გლეხთა ფენების დაკაბალება. ასეთივე აზრია გამოთქმული სხვა მრავალ საბუთშიც.

ისმება კითხვა, რატომ გადაყავდათ ახაშვალა (მონა) მათ მებატონეებს ახოუიუს, ყმა-გლეხის მდგომარეობაში? ხომ არ აიხსნება ეს მათი სულგრძელობით, ჰუმანიზმით, როგორც ამას ამტკიცებენ მთელი რიგი რევოლუციამდელი ავტორები? რა თქმა უნდა, რომ არა. როგორც ყოველთვის, ისე ამ შემთხვევაშიც მათ თავისი პირადი, კერძო კლასობრივი ინტერესები ამოძრავებდათ და არა სიბრალულის ახაშვალას აუტანელი, არაადამიანური მდგომარეობისადმი.

„დართავს რა ახაშვალას
 ქორწინების უფლებას, — მოგვითხრობს „მოკლე ბარათი", — პატრონი ამასთან ერთად თავის თავს ივალდებულებს, ჩვეულებისამებრ დაასახლოს ახალი ახოუიუ (დელმახორე) განსაკუთრებულ კომლად, რისთვისაც აძლევს მას კერძო საკუთრებაში ჩვეულებით განსაზღვრული მიწის რაოდენობას და გამოუყოფს მეურნეობისათვის აუცილებელ იარაღებს"[78].

მართლაცდა, რით უნდა აიხსნას მემამულის ასეთი მზრუნველობა ახაშვალასადმი?

ის, რასაც ლაპარაკობს ლენინი ფეოდალური წყობილების დროს გლეხებისათვის მიწების ნადელებად მიცემაზე და მის დასამუშავებლად სხვა საშუალებების გამოყოფაზე, შუქსა ჰფენს აქ წამოკრილ საკითხს. ლენინი აღნიშნავს, რომ „გლეხის „ნადელი" ამ მეურნეობაში თითქოს იყო ნატურალური ქირა (თანამედროვე „ცნებებთან შეფარდებით რომ ვთქვათ), ანდა მუშახელით მემამულის უზრუნველყოფის საშუალება. გლეხია „საკუთარი" მეურნეობა თავიანთ ნადელზე მემამულური მეურნეობის პირობა იყო, მას მიზნად ჰქონდა არა გლეხის „უზრუნველყოფა" საარსებო საშუალებებით, არამედ მემამულისა — მუშახელით"[79].

მაშასადამე, გამოდის, რომ თუ ფეოდალი ახაშვალას, მონას ცალკე კომლად ასახლებდა და უქმნიდა მას მინიმალურ პირობებს მეურნეობის მოსაწყობად, ამას ის მიზანი ჰქონდა, რომ შეენარჩუნებინა ის თავისთვის როგორც მუშახელი. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში აფხაზეთის ფეოდალურ კლასს

---

78 ცსსა, ლენინგრადი, ფონდი 1268, აღწ. 12, საქმე 74, 1860 წ., ფურც. 46.
79 ვ. ი. ლენინი, ღასახელებული ტომი, გვ. 207.

თავისი ინტერესები ამოძრავებდა და არა ფიქრი, არა მზრუნ-ველობა ახაშვალას მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

V. რომ ფეოდალებისათვის უფრო ხელსაყრელი იყო ახაშვა-ლას ყმა-გლეხად გადაქცევა, ამას თვით აფხაზეთის თავადაზ-ნაურობის დეპუტატები აღიარებენ თავის 1870 წლის 23 მარ-ტის მოხსენებით ბარათში. მასში ნათქვამია, რომ „მფლობე-ლებს უფრო ხელსაყრელად მიაჩნიათ თავიანთი მონების გლეხთა თანრიგში გადაყვანა"[80], ვიდრე ძველებურ მდგომა-რეობაში მათი დატოვება[81].

შეიძლება თუ არა ყოველივე ამის შემდეგ ახოუიუ თავი-სუფალ გლეხად წარმოვიდგინოთ, როგორც ამას რიგი ავტორი ამტკიცებს? ცხადია, რომ არა.

რომ ახოუიუ ყმა გლეხი იყო, ამ სიტყვის სრული მნიშვნე-ლობით, სხვათა შორის ეს იმითაც მტკიცდება, რომ მის მნიშვ-ნელოვან ნაწილს, როგორც ეს „სოხუმის წოდებრივ-საადგილ-მამულო კომისიის" მონაცემებიდან ჩანს, ანხაიუ ფლობდა[82]. ცხადია, რომ ანხაიუს[83] იმ შემთხვევაში ექნებოდა უფლება ჰყოლოდა ყმად ახოუიუ, თუ ეს უკანასკნელი უფრო დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელი იქნებოდა, ვიდრე თვით იგი იყო.

ყველაფერი ზემოთქმულის შემდეგ ბუნებრივი იქნება შემდეგი დასკვნის გამოტანა, რომ ანხაიუ (დელმახორე), ისე როგორც სამეგრელოში მებეგრე, მიწაზე სამუდამოდ მიჯაჭვუ-ლი ყმა გლეხი იყო, რომელსაც არ შეიძლება ჰქონოდა გადა-სვლის უფლება — ფორმალურადაც კი. აფხაზეთში ფეო-დალს თავის ყმა გლეხზე იგივეა უფლება ჰქონდა, როგორი-თაც სარგებლობდნენ მებატონეები სამეგრელოში, იმერეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებში. ამ მხრივ რაიმე გამონაკ-ლის შემთხვევებთან ჩვენ საქმე არ გვაქვს.

სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის დასკვნით ახოუიუს რიცხვი სულ 8 ათასს (გლეხობის საერთო რაოდე-

---

80 საქ. ცსსა, ფონდი 416, საქმე 1014, ფურც. 44.

81 თუ რატომ იყო ეს ფეოდალებისათვის ხელსაყრელი, ამაზე ჩვენ შეეწყრდებით ახაშვალას სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის დახა-სიათებისას.

82 ცსსა, ლენინგრადი, ფონდი 1268, აღწ. 12. საქმე 74, 1868 წ., ფურც. 36.

83 იგულისხმება ანხაიუს ან ნაწილი, რომელიც თვით არ იყო ბატ-ონიდეე ყმურ მდგომარეობაში ჩავარდნილი და ქონებრივადაც შედარებით ეძლვბული იყო.

ნობის 16 პროცენტს) უდრიდა[84]. ეს მაჩვენებელი, რასაკვირველია, სინამდვილეს არ შეეფერება. ახოუიუს რაოდენობა 8 ათასზე გაცილებით უფრო მეტი იყო. მაგრამ კომისიას, რადგან მიზნად ჰქონდა დასახული ფეოდალური ექსპლოატაციის სიმწაფრის შემსუბუქებულად ჩვენება, ახოუიუს სიაში არ შეუტანია ყოფილნი [illegible], [illegible]ლებიც [illegible]ებითად ან დროისათვის ყმებად იყვნენ გადაქცეულნი[85].

ამ მოსაზრების სიმყარეს, სხვათა შორის, ადასტურებს ერთი საბუთი, სადაც პირდაპირაა ნათქვამი, რომ აგირვას (ეს ახოუიუს მეორენაირი სახელწოდებაა.—ლ. ძ.) რაოდენობა 15223 უდრის[86]. ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი მაჩვენებელი უფრო ახლოსაა სინამდვილესთან, ვიდრე კომისიის მიერ ნაჩვენები ციფრი. მაშასადამე, გამოდის, რომ კომისიის მიერ შედგენილი ოფიციალური ცნობა ახოუიუს რაოდენობის შესახებ თითქმის ორჯერაა შემცირებული.

V ფეოდალური აფხაზეთის ექსპლოატირებული მასის მესაფე ძირითად კატეგორიას წარმოადგენდა ახაშვალა (მოჯალაბე — სამურზაყანოში), რომელიც სოციალური კიბის ყველაზე უფრო დაბალ საფეხურზე იდგა.

ახაშვალას მდგომარეობის შეფასების საქმეში რევოლუციამდელი შრომების ავტორებთან დიდი პოლემიკის გამართვა არ გვჭირდება, ვინაიდან თითქმის ყველა მათგანი ერთხმად აღნიშნავს მის უმწეობასა და უუფლებობას. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ზოგიერთი ავტორი, რომელთაც მექანიკურად გადააქვთ გადასვლის თავისუფლების ფორმულა მოსახლეობის ამ კატეგორიაზედაც, თუმცაღა მის მონურ მდგომარეობას არ უარყოფენ. ცხადია, ჩვენ აქ კურიოზულ შეშფოთებასთან გვაქვს საქმე, რადგან მონა და გადასვლის თავისუფლება ერთმანეთის გამომრიცხველი ცნებებია.

VI ჩვენ მიერ არაერთხელ ციტირებული „მოკლე ბარათი" ახაშვალას მდგომარეობას ასე აგვიწერს: „ისინი ცხოვრობენ მფლობელთა სახლებში და მთელი მათი შრომა ეკუთვნის მემამულეებს... პატრონის თვითნებობით შეიძლება მათი გადაცემა, გაყიდვა და საერთოდ ყოველნაირი გასხვისება"[87].

— მეორე საბუთში ახაშვალას შესახებ შემდეგს ვკითხუ-

---

84 სულ აფხაზეთში 1868 წლის აღწერით ითვლებოდა 68390 სული მცხოვრები.

85 ი. ანთელავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 161.

86 საქ. ცსსა, ფონდი 416, საქმე 287, ფურც. 7.

87 ცსსა, ლენინგრადი, ფონდი 1268, აღწ. 12, საქმე 74, 1868 წ., ფურც. 46.

ლობთ: „ჩვეულებრივად სამხედრო ტყვეები, ნათესავების მიერ გამოუსყიდველობის ეძეთხვევაში, მონობაში ვარდებოდნენ და მაშინ ისინი უოჯახოდ რჩებოდნენ, ხელიდან ხელზე იყიდებოდნენ, ხურდა ფულის მაგივრობას წევდნენ და ახაშვალას სახელწოდებას ატარებდნენ. ახაშვალას ყიდვა შეეძლო როგორც მემამულეებს, ისე გლეხებს და ისინი ადამიანებად არ ითვლებოდნენ"[88].

ცნობილი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, რომელსაც თვით უნახავს მოსახლეობის ეს ჯგუფი, იძლევა ახაშვალას მდგომარეობის საშინელ სურათს „მოჯალაბე (ახაშვალას სამურზაყანური ტერმინია. — ლ. ძ.) დგას ნივთზე უფრო დაბლა". „მას ყველა მესაკუთრე სასტიკად ეპყრობა". „მას მხეცურად კვებავენ, ბოლბებში ატარებენ და ზიზღით შესცქერიან" და ა. შ. ბოლოს ავტორი ასკვნის: „ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მესაკუთრეს შეუძლია გაასაჩუქროს, დააგირაოს და გაყიდოს მოჯალაბე — ეა აქ ძვირფასი საქონელია: იგი ღირს 200-300 მანეთი"[89].

ჩვენ მიერ ზემოაღნიშნული დოკუმენტები კომენტარიებს არ საჭიროებენ. ისინი საკმაოდ რელიეფურად გვიხატავენ ახაშვალას (მოჯალაბის) მდგომარეობას.

კომისიის მონაცემებიდან ჩანს, რომ ახაშვალას რაოდენობა აფხაზეთში რეფორმის წინ დიდი არ ყოფილა. „ახაშვალას ორივე სქესის საერთო რიცხვი აღწევდა 1300 სულამდე"[90]. მეორე საბუთში ახაშვალას რაოდენობა განსაზღვრულია 2155 სულით[91]. ვფიქრობთ, რომ ეს მეორე ციფრი უფრო ახლოს უნდა იყოს სინამდვილესთან, რადგან ამ საქმეშიც იმავე ტენდენციურობასთან გვაქვს საქმე, როგორც ეს აღნიშნული იყო ახოუიუს რაოდენობის განსაზღვრის დროს. მაგრამ ასეა თუ ისე, ყოველ შემთხვევაში, ახაშვალას რაოდენობა მაინც გაცილებით უფრო ნაკლებია იმაზე, ვიდრე ის იყო XVII-XVIII საუკუნეებში და XIX საუკუნის დასაწყისშიც კი. რით უნდა აიხსნას ეს გარემოება, რომ მისი რაოდენობა გასული საუკუნის 60-იანი წლებისათვის, წინა პერიოდებთან შედარებით, საგრძნობლად შემცირებულია? ზემოთ ჩვენ ამ კითხვას ნაწილობრივად უკვე გავეცით პასუხი მაშინ, როდესაც ახოუიუს წარმოშობის წყაროებს ვეხებოდით. ჩვენ იქ აღნიშნუ-

---

88 საქ. ცსსა, ფონდი 416. საქმე 1014, ფურც. 44.

89 საქ. სახელმწიფო მუზეუმი, განყ. IV, ბ. თუმანიშვილის პირადი ფონდი. ს. № -37, ფურც. 3-4.

90 ცსსა, ლენინგრადი, ფონდი 1268. აღწ. 12, საქმე 74, 1868 წ., ფ. 46.

91 საქ. ცსსა, ფონდი 416. საქმე 278, ფურც 7.

ლი გვაქვს, რომ ფეოდალებისათვის უფრო ხელსაყრელი იყო ახაშვალას ცალკე კომლად დასახლება, ე. ი. მისი გადაყვანა ახოუიუს კატეგორიაში. გარდა ამისა, ახაშვალას შემცირების სხვა მიზეზებიც არსებობდა

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე გ`რკვეულ პასუხს ჩვენ ვპოულობთ აფხაზეთის თავადაზნაურობის დეპუტატთა მოხსენებით ბარათში. „წესრიგის შემოღებისთანავე ახაშვალა თაეისთავად უნდა გამქრალიყო და მართლაცდა სამეგრელოსა და იმერეთში რუსული მმართველობის იქ შემოღების დროიდან ის სრულიად ამოშენდა, ხოლო აფხაზეთში მხარის დამშვიდებისა და ადამიანებით ვაჭრობის შეწყვეტასთან დაკავშირებით მისგან სულ უმნიშვნელო რაოდენობა დარჩა“[92].

აფხაზეთის თავადაზნაურობა მონათა რაოდენობის გადიღებით მაშინ იყო დაინტერესებული, როდესაც ის თურქებთან ადამიანებით გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანებით ვაჭრობის, ამ სოციალური სენის, წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა; მას თავგამოდებით ებრძოდნენ მშრომელი მასები და თავადაზნაურობის მოწინავე ნაწილიც. ეს ბრძოლა რამდენადმე მაინც ზღუდავდა ადამიანებით ვაჭრობას. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ იქმნება ნიადაგი ადამიანებით ვაჭრობის სრულიად მოსასპობად. მეფის მთავრობის მიერ ადამიანებით ვაჭრობის აკრძალვის შემდეგ თურქ ვაჭრებს დასავლეთ საქართველოში და კერძოდ, აფხაზეთში მონების შესყიდვის ოპერაციების წარმოება შეეძლოთ მხოლოდ კონტრაბანდის გზით. არის დოკუმენტალური ცნობები, რომ აფხაზეთში ადამიანებით ვაჭრობა XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში მთლიანად არ შეწყვეტილა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ის ძალიან შემცირებული იყო და 60-იანი წლების დასაწყისში უკვე სრულიად არ გვხვდება.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ომები ცალკეულ სამთავროებს შორის და სამთავროს შიგნით ფეოდალთა შორის უკვე არ წარმოებდა, რაც სპობდა მონების კონტინგენტის შევსების მთავარ წყაროს. ახაშვალას წარმოშობისა და შევსების მეორე მნიშვნელოვან წყაროს გლეხთა სხვადასხვა კატეგორიების (ანხაიუს, ახოუიუსა და სხვ.) დაკაბალება წარმოადგენდა; მაგრამ ახლა ამასაც ძლიერ იშვიათად მიმართავდნენ მებატონეები, რადგან ადამიანებით ვაჭრობას

---

92 საქ. ცსსა. ფონდი 416, საქმე 1014, ფურც. 44.

უკვე არარეგულარული, შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. ხოლო მონების შენახვა მემამულისათვის ხელსაყრელი არ იყო.

მაშასადამე, ახაშვალას შევსების მთავარი წყაროები (სამხედრო ტყვეები, დაკაბალება და სხვა) თანდათანობით ქრებოდა, ფეოდალური ომიანობა და მონებით ვაჭრობის ჯერ შეკვეცა-შეზღუდვისა და შემდეგ სრულიად შეწყვეტასთან დაკავშირებით, ხოლო ახაშვალას არსებული რაოდენობა თანდათანობით მცირდებოდა მებატონეების მიერ მისი ახოუიუს კატეგორიაში გადაყვანის შედეგად. აი რით უნდა აიხსნას ახაშვალას ასეთი მცირე რაოდენობა აფხაზეთში რეფორმის წინ.

გლეხთა ამ სამი ძირითადი კატეგორიის (ანხაიუს, ახოუიუსა და ახაშვალას) გარდა, როგორც ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, აფხაზეთში არსებობდა კიდევ სამი კატეგორია: შინაყმა (აშინაყუმა), აზატი და ამაწურაზქუ.

შინაყმა ეკუთვნოდა, როგორც ეს წყაროებშია აღნიშნული, არათავისუფალ დამოკიდებული მოსახლეობის ნაწილს, თუმცა იგი თავს ანხაიუზე მაღლა აყენებდა და აამსთობას (აზნაურობას) ჩემობდა[93]. შინაყმები უმთავრესად თავად შარვაშიძეების კარზე მოსამსახურე ანხაიუსაგან შედგებოდნენ, რომლებმაც დროთა ვითარებაში ანხაიუს დანარჩენ მასასთან შედარებით ერთგვარ პრივილეგიებს მიაღწიეს.

შინაყმათა რაოდენობა რეფორმის წინ სულ 1800 კაცამდე ყოფილა[94].

რადგან შინაყმებს ერთგვარი შუალედური მდგომარეობა ეკავათ ანხაიუსა და აამსთას შორის, აფხაზეთში საგლეხო რეფორმის მომზადებასთან დაკავშირებით. მათ პრეტენზია განაცხადეს აამსთას უფლებებზე, მაგრამ მთავრობამ უკანონოდ ჩათვალა მათი ასეთი განცხადება და ისინი ჩარიცხულ იქნენ ანხაიუს კატეგორიაში.

შუალედური მდგომარეობა ეჭირა აგრეთვე გლეხთა მეორე დამოკიდებულ კატეგორიას, რომელიც ატარებდა ამაწურაზქუს (აამურზაყანოში — მოინალეს) სახელწოდებას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მას ასეთი მდგომარეობა ეკავა ანხაიუსა და ახოუიუს შორის.

ისტორიკოს ავალიანის აზრით, ამწურაზქუსა და ახოუიუს შორის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის მხრივ არსებითი განსხვავება არ იყო[95].

---

93 ცსსა, ლენინგრადი, ფონდი 1268, აღწ. 12, საქმე 74, 1868 წ., ფურც. 45.

94 იქვე.

95 ს. ავალიანი, დასახელებული წიგნი. გვ. 69

მართლაც, თუ ჩვენ გლეხთა ამ ორი კატეგორიის ბეგარა-გადასახადებს ერთმანეთს შევადარებთ, ვნახავთ, რომ მათ შორის განსხვავება წვრილმანებშია და მაინცდამაინც არც ისე შესამჩნევი. ისინი, როგორც წყაროებიდან ჩანს, თითქმის ერთნაირ დამოკიდებულებაში იყვნენ თავიანთ მებატონეებთან; მათ ჰქონდათ დაახლოებით ერთი და იგივე ვალდებულებანი, ერთი და იგივე ფუნქციები[96].

ამიტომ სრულიად ბუნებრივი იქნება შემდეგი დასკვნის გამოტანა: ამაწურაზქუ, ისე როგორც ახოუიუ, დასახელებულია რა ცალკე კომლად და აქვს რა კერძო საკუთრებაში წვრილი მეურნეობა, ბატონყმობის მძიმე უღელს ეწევა მრავალგვარი გადასახადებისა და საბატონო ბეგარათა შესრულების დარგში. ამაწურაზქუ მიწაზე საბოლოოდ მიმაგრებული სწორედ ისეთივე ყმა გლეხია, როგორც ახოუიუ.

რეფორმის წინ ამაწურაზქუს რაოდენობა 1300 სული ყოფილა[97].

გლეხთა უკანასკნელ მეექვსე კატეგორიას აფხაზეთში აზატი ეკუთვნოდა. აზატი ნიშნავს გაازატებულს, თავდახსნილს. აზატები, აღნიშნულია „მოკლე ბარათში". სხვადასხვა მიზეზების გამო, უფრო მეტად კი რელიგიური თვალსაზრისით ყმობისაგან განთავისუფლებული გლეხები იყვნენ[98].

აზატების წარმოშობის შესახებ ზუსტად ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული ჩერეპოვსაც[99].

არ არის სწორი საგლეხო რეფორმის მოსამზადებელი კომისიის ზოგიერთი წევრის აზრი იმის შესახებ, რომ აზატები თავისუფალი იყვნენ ყოველგვარი მოვალეობისაგან. წყაროთა უმრავლესობის მტკიცებით, აზატების მოვალეობას შეადგენდა თავისი ყოფილი პატრონის ხსოვნის უკდავსაყოფად მიღებული რელიგიური წესების დაცვა და სისრულეში მოყვანა. გარდა ამისა, მათ უნდა აღეზარდათ ფეოდალების ბავშვები[100]. ჩვენ გვაქვს ცნობები იმის შესახებაც, რომ ალაგ-ალაგ ისინი იხდიდნენ გარკვეულ რაოდენობით ნატურალურ გადასახადებს[101]. როგორც თქმულიდან ჩანს, აზატების თავისუფლება შედარებითია და არასრული.

---

96 ცსსა. ლენინგრადი, ფონდი 1268, აღწ. 12. საქმე 74. 1868 წ., ფურც. 47.
97 იქვე. ფურც. 48.
98 იქვე. ფურც. 45.
99 საქ. ცსსა. ფონდი 416, საქმე 1032. ფურც. 13-14.
100 იქვე. აღწ. 3. 1865 წ., საქმე 1013, ფურც. 1, 15.
101 იქვე. ფონდი 220, აღწ. 1, საქმე 877, ფურც. 78.

„მოკლე პარათში“ აზატები დასახელებულია როგორც მცირერიცხოვანი ჯგუფი[102], რაც სრულიად გასაგებია და არ მოითხოვს საგანგებო კომენტარიებს.

დასასრულ, სოციალური ურთიერთობის სურათის სისრულისათვის საჭიროა რამდენიმე სიტყვა აფხაზეთის მოსახლეობის კიდევ ერთ ჯგუფზე, სახელდობრ — ასასებზე.

ჩერეპოვი წერს: „ასასი სტუმარია: სიტყვა ასასით გამოხატავენ ყოველ უცხო პირს...[103].

შემდეგ ჩერეპოვი წერს, რომ ასასი შეიძლება ყველა წოდებისა იყოს და რომ მისგან არავინ არაფერს არ ღებულობს და არც გაბედავს აიღოს[104]. ჩერეპოვის ეს უკანასკნელი აზრი, სახელდობრ: ასასისაგან რომ არავინ არაფერს ღებულობს, არ არის სწორი. არის რიგი საბუთებისა, სადაც საწინააღმდეგო აზრია გამოთქმული; ასე მაგალითად, ერთ საბუთში პირდაპირი მითითებაა იმაზე, რომ ასასები პრივილეგიურ გვარებს უხდიდნენ სხვადასხვა გადასახადებს, კერძოდ: აჟიძს[105] საკმაო დიდი რაოდენობით.

ასასობას, როგორც სტუმრობის თავისებურ სახეს, მართლაც ადგილი ჰქონდა ფეოდალური აფხაზეთის სინამდვილეში. ასასი ეს იყო სხვადასხვა მიზეზების გამო (უფრო ხშირად კი ფეოდალური ექსპლოატაციის გამო) თავისი სამშობლო კუთხიდან სხვაგან გადახვეწილი და იქ რომელიმე გავლენიან და შეძლებულ პირს შეფარებული ადამიანი[106]. ცხადია, რომ ეს შეძლებული და გავლენიანი პირი უფრო მეტად გაბატონებული კლასის წრიდან იქნებოდა. ამ შემთხვევაში მასპინძელი, რომელმაც ახალი პირი სტუმრის სახით მიიღო, საბოლოო ჯამში მისი პატრონი ხდება, ხოლო მოსული კი — მასზე დამოკიდებული. ამრიგად ასასი ბირითადად მოსახლეობის ისეთი ჯგუფია, რომელიც თავის მასპინძელზეა დამოკიდებული, ანუ იმავე პატრონზე; იგი ასე თუ ისე ფეოდალური ექსპლოატაციის ობიექტს წარმოადგენს.

აფხაზეთის გლეხთა ყველა კატეგორიის სოციალურ-ეკონომიურ უფლებათა დასახასიათებლად ზემომოყვანილი ისტორიული ფაქტები ნათლად ადასტურებენ მარქსისტულ-

---

102 ცსსა, ლენინგრადი, ფონდი 1268, აღწ. 12, საქმე 74, 1868 წ., ფურც. 45.

103 საქ. ცსსა, ფონდი 416, საქმე 1032, ფურც. 15.

104 იქვე.

105 საქ. ცსსა, ფონდი 416, აღწ. 3, საქმე 1014, ფურც. 19.

106 არ იყო გამორიცხული, რომ ასასი მაღალი წრიდანაც ყოფილიყო, მაგრამ, საფიქრებელია, რომ ასეთები ასასების რაოდენობის სულ მცირე პროცენტს შეადგენდნენ.

ლენინურ დებულებას იმის შესახებ, რომ საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისობის კანონი მოქმედებს ყოველ საზოგადოებრივ ფორმაციაში.

ფეოდალური წარმოების წესი, რომელიც ჩვენში მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებობდა, არ იყო გაყინული ერთ წერტილზე; იგი, უსათუოდ, თავისი არსებობის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე განიცდიდა ცვლილებებს. ფეოდალური საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთად. მათ შესაბამისად ვითარდებოდნენ წარმოებითი ურთიერთობანიც, ეს განვითარება მიმდინარეობდა გლეხთა მიწების სრული ექსპროპრიაციის, ყველა მიწაზე ფეოდალური საკუთრების დამყარების და გლეხებისათვის, მათი სამუშაო ძალების ასაღწარმოებლად, ნაკვეთების „გამოყოფის" მიმართულებით. მიწის ფეოდალური საკუთრება გლეხებზე მემამულეების გაბატონების საფუძველი იყო, წარმოებითი ურთიერთობათა განვითარება ვლინდებოდა ფეოდალის მიერ გლეხის ზედმეტი პროდუქტის მითვისების გადიდებაში და თვით ამ მითვისების ფორმის ცვლილებებში პრიმიტიული შრომის ანაზღაურების რენტიდან ნატურალური რენტისაკენ, შრომის ანაზღაურების გაშლილი რენტისაკენ, ფულადი რენტისაკენ. ფეოდალურ წარმოებითი ურთიერთობათა განვითარება გამოიხატებოდა აგრეთვე გლეხის ფეოდალსა და მიწაზე ძალდატანებით მიმაგრებაში, თავის გლეხების მიმართ ფეოდალების უფლებათა გაფართოებაში. ფეოდალური წარმოებით ურთიერთობათა ამ განვითარებაში სტიქიურად იჩენდა თავს საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის ეკონომიური კანონი.

ამრიგად, ყველა ზემოთქმულის შემდეგ ბუნებრივი იქნებოდა შემდეგი დასკვნა გაგვეკეთებინა: აფხაზეთის საგლეხო რეფორმის წინ წარმოადგენდა ფეოდალურ სამთავროს, სადაც პატრონყმური ურთიერთობა საკმაოდ განვითარებული იყო. განსაკუთრებით ზღვისპირა ნაწილში. ამ მხრივ აფხაზეთი გამონაკლისს არ წარმოადგენდა საქართველოს სხვა ფეოდალურ სამთავროთა შორის. მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ აფხაზეთში ფეოდალურ ურთიერთობას ერთგვარი თავისებურება ახასიათებდა, რომლის უგულებელყოფა არ იქნებოდა გამართლებული. ეს თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ აქაური ფეოდალური მეურნეობის სისტემაში უფრო მეტად იქნა შემორჩენილი პატრიარქალურ-გვაროვნული წყობის გადმონაშთები, ვიდრე აფხაზეთის მეზობელ ფეოდალურ სამთავროებში (სამეგრელო, გურია, იმე-

რეთი და სხვა), რაც იმაზე ლაპარაკობს, რომ აფხაზეთში ბატონყმობა რამდენადმე მაინც ნაკლებად იყო განვითარებული და რაც გამოიხატებოდა ანხაიუს ერთი ნაწილის ჯერ კიდევ ბატონყმური მდგომარეობის შენარჩუნებაში. მაგრამ ეს ფაქტი ჩვენ სრულიად არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ აფხაზეთში ბატონყმური ინსტიტუტის არსებობა უარვყოთ და აქ არსებული ურთიერთობა გლეხებსა და ფეოდალებს შორის გავასაღოთ, როგორც ნებაყოფლობითი ხელშეკრულების ნიადაგზე აღმოცენებული მამაშვილური, მფარველ-შეფარებულის ურთიერთობა, როგორც ამას რევოლუციამდელი ავტორები ამტკიცებენ. ცნობილი ისტორიკოსი ავალიანი, რომელიც ერთგვარ ხარკს უხდის ოფიციალურ ტენდენციურობას, იძულებულია განაცხადოს, რომ აფხაზეთში ფეოდალიზმი ხასიათდებოდა ბატონყმური ურთიერთობის შერბილებული ფორმით[107].

ჩვენ ზემოთ დოკუმენტალურად დავამტკიცეთ, რომ აფხაზეთის გლეხობის ყველა კატეგორია (მცირერიცხოვანი აზატისა და ანხაიუს ერთი ნაწილის გამოკლებით) ყმურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და, რომ მისი უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობა არსებითად არ განსხვავდებოდა სამეგრელოს ან იმერეთის ყმა გლეხთა მდგომარეობისაგან, რომ აღარაფერი ვთქვათ ახაშვალაზე, როგორც ნამდვილ მონაზე, რომლის სრულ უუფლებობასა და არაადამიანურ პირობებს შეეძლო საქართველოს სხვა კუთხეების გლეხობის ყველაზე უფრო ჩაგრული ნაწილი — მოჯალაბეც კი გაეკვირვებინა. ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ანხაიუს იმ ნაწილის მდგომარეობა, რომელიც ჯერ კიდევ მიწაზე საბოლოოდ არ იყო მიმაგრებული, დიდად არ განსხვავდებოდა ყმა გლეხის მდგომარეობისაგან, ვინაიდან იგი ბეგარა-ვალდებულებათა მხრივ თითქმის ისეთივე მძიმე ტვირთს ეწეოდა, როგორც ეს უკანასკნელი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ განსხვავება მათ შორის მხოლოდ და მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

აფხაზეთის ფეოდალები ისეთივე ექსპლოატატორები, იყვნენ გლეხობისა, როგორც მათი მოძმე მეგრელი მემამულეები, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში მშრომელი მასების ექსპლოატაცია ზოგჯერ ოსტატურად იჩქმალებოდა გაბატონებული კლასების მიერ განზრახ კონსერვირებულ თემურ-გვაროვნული გადმონაშთების შემწეობით.

ამიტომ მართალია პ. ციორგაძე, როდესაც იგი გაზეთ

---

107 ს. ავალიანი, დასახელებული წიგნი, გვ. 75.

„იერიაში“ ბოთავსებულ სტატიაში — „აფხაზეთი და აფხაზ-ნი“ შემდეგს მოგვითხრობს: „იმ დროს, როდესაც ბატონყმობა სრულს ძალაში იყო, დაბალი წოდება აფხაზეთშიაც ძლიერ შევიწროებული იყო. ბატონი ისე ეპყრობოდა თავის ქვეშევრდომს, როგორც უკანასკნელ ნივთსა: ართმევდა ყოვლისფერს, ჰყიდდა და აგირავებდა, როცა შემთხვევა და გარემოება მოითხოვდა“[108].

გიორგაძეს დასტურს აძლევს ცნობილი ისტორიკოსი მ. ჯანაშვილიც[109].

თავისთავად ცხადია, რომ აფხაზეთის გლეხობა ვერ შეუერიგდებოდა თავის ასეთ მეტად მძიმე ყმურ, მონურ მდგომარეობას და ბუნებრივია, რომ ის შეებრძოლებოდა ფეოდალმემამულეთა აღვირახსნილობას და შეეცდებოდა თავი ეხსნა იმ უწყალო ექსპლოატაციისაგან, რომელსაც ის საუკუნეთა განმავლობაში განიცდიდა.

3. გლეხთა მოძრაობა რეფორმის წინ

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ აფხაზეთის გლეხობის მეტად მძიმე მდგომარეობა. ვნახეთ, რომ გლეხობა, აღვირახსნილი, თავშეუკავებელი ფეოდალური ექსპლოატაციის ობიექტი იყო, რომ იგი ემონავდა მებატონეთა ექსპლოატაციის მძიმე უღლის ქვეშ და ამავე დროს ცარიზმის კოლონიურ ჩაგვრასაც განიცდიდა. თავისთავად ცხადია, რომ გლეხობას ასეთი დუხჭირი ცხოვრების [illegible] ატანა არ შეეძლო, იგი უნდა შებრძოლებოდა მის უმოწყალო მჩაგვრელებს, რათა ამით რამდენადმე მაინც გამოესწორებინა თავისი მდგომარეობა. და, მართლაც, აფხაზეთის გლეხობა სხვადასხვა ხერხითა და საშუალებით ეწეოდა შეუპოვარ ბრძოლას როგორც ადგილობრივი ფეოდალების, ისე ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. აფხაზეთის გლეხობის ეს ბრძოლა ორგანული ნაწილი იყო იმ ბრძოლისა, რომელსაც აწარმოებდა მთელი ქართველი გლეხობა თავის მჩაგვრელთა წინააღმდეგ. თუ რამდენად მძაფრ და შეუპოვარ ხასიათს ატარებდა ეს ბრძოლა, ამას ნათლად გვიჩვენებს იმ აჯანყებათა უბრალო ჩამოთვლაც კი, რომელთაც ადგილი ჰქონდა საქართველოში XIX

108 გაზეთი „იერია“, № 173, 1888 წ., პ. გიორგაძე, აფხაზეთი და აფხაზნი.

109 М. Джанашвили, Абхазия и Абхазцы, Тифлис, 1892, გვ. 18.

საუკუნის დასაწყისიდან საგლეხო რეფორმის გატარებამდე. აი, უმთავრესი მათგანი: 1804 წლის აჯანყება მთიულეთში, 1812-13 წლების აჯანყება კახეთში. 1841 წ. აჯანყება გურიაში, 1856-57 წლების აჯანყება სამეგრელოში. 1858 წ. აჯანყება იმერეთსა და ქსნის ხეობაში, 1863 წლის აჯანყება ს. მეგრელოში, 1866 წლის აჯანყება აფხაზეთში და სხვ.

აფხაზეთში გლეხთა ფართო მასების ანტიფეოდალური მოძრაობა იშლება XIX ს. 20-იანი წლებიდან, ე. ი. მაშინ, როდესაც ადგილობრივი მემამულეები ძლევამოსილი რუსეთის ბატონყმური იმპერიის მფარველობის ქვეშ აძლიერებენ მშრომელი მასების ექსპლოატაციას.

ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს გლეხთა მოძრაობა რეფორმის წინ; ამიტომ მხოლოდ გაკვრით შევეხებით ანტიფეოდალური ბრძოლის იმ ფაქტებს, რომელთაც მანამდე აქვნია ადგილი.

აფხაზეთში ჩვენ ვხვდებით გლეხთა ბრძოლის ყველა იმ სახეს, რომელნიც საერთოდ დამახასიათებელია გლეხთა მოძრაობისათვის ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის პერიოდში: პასიურ პროტესტს (გლეხები უჩივიან მებატონეებს ადგილობრივი ხელისუფლების ან ცენტრალური მთავრობის წინაშე), გაქცევას, „ურჩობას" (უარის თქმას ბეგარა-ვალდებულებათა შესრულებაზე), ინდივიდუალურ ტერორს, გლეხთა შეიარაღებულ აჯანყებას და სხვ.

გლეხები მიმართავენ ტერორისტულ აქტს არა მარტო რიგითი მემამულეების წინააღმდეგ, არამედ ოლქების მფლობელებისა და თვით მთავრის წინააღმდეგაც. ასე, მაგალითად, 1813 წელს გლეხმა მაჯი კვარაცხელიამ მოკლა ყოველმხრივ გახრწნილი და საზიზღარი ადამიანი, სამურზაყანოს მფლობელი მანუჩარ შარვაშიძე. არსებობს გადმოცემა, რომ 1822 წ. 16 ოქტომბერს აფხაზეთის მთავრის დიმიტრი გიორგის-ძე შარვაშიძის მოულოდნელი სიკვდილი შედეგია მოწამვლისა, რაც მოუწყვია მის ერთ-ერთ მოსამსახურე გლეხს. ასევე გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს სოხუმის მფლობელი ხასანბეი შარვაშიძე მოკლა ეშერელმა გლეხმა ხაკუც შამბამ.

1824 წელს აფხაზეთის მთავარი მ. შარვაშიძე მისი ამალითურთ და რუს ჯარისკაცთა ორი ასეულით რამდენიმე კვირის განმავლობაში ლიხნის სასახლეში იჯდა აჯანყებული გლეხების მიერ ალყაშემორტყმული. ალყაშემორტყმულთ აუცილებელი დაღუპვა მოელოდა, რომ გენერალ გორჩაკოვს დრო-

ზე დახმარება არ აღმოეჩინა ქუთაისიდან სასწრაფოდ წამოყვანილი დიდძალი შეიარაღებული რაზმით[110].

იმავე წელს სოხუმის მიდამოებში აჯანყების კერის ჩასაქრობად გენერალ გორჩაკოვს მეორე დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა დასჭირდა, რასაც სისხლისმღვრელი ბრძოლა და დიდძალი მსხვერპლი მოყვა[111].

ფეოდალებმა და მეფის მთავრობამ დიდი ძალ-ღონე დახარჯეს, რათა დროებით „დაეწყნარებინათ“ აჯანყებული გლეხობა.

30-იან წლებში გლეხთა მოძრაობის ცენტრმა გადაინაცვლა კოდორის რაიონში, სადაც მემამულეების წინააღმდეგ მშრომელთა ბრძოლას დიდხანს ხელმძღვანელობდა[112] გლეხი ისმაილ ჯაპუა.

რუსის ადმინისტრაცია და ფეოდალები 30-იანი წლების ბოლოს მტკიცედ დარწმუნდნენ იმაში, რომ ისინი აფხაზეთში გლეხთა მოძრაობას ვერ ჩააქრობდნენ, ვიდრე სავსებით არ დაიმორჩილებდნენ აფხაზეთის მთიან რაიონებს: აბსუს, ახჩი-ასუხს, დალსა და სხვ. ამ რაიონის მცხოვრებლები ჯერ-ჯერობით არც რუსებს ცნობდნენ და არც მთავრის ხელისუფლებას ემორჩილებოდნენ. ამავე დროს აქ ფეოდალური ურთიერთობაც სუსტად იყო განვითარებული. სწორედ ამ ადგილებს აფარებდნენ თავს გლეხები, რომლებიც გაურბოდნენ ბატონყმობის მძიმე უღელს ზღვისპირა აფხაზეთში. როგორც ცარიზმი, ისე მთავარიც ერთნაირად იყენებ დაინტერესებული ამ თავისუფლების მოყვარულ მთიელთა და გამოქცეულ გლეხთა დათრგუნვა-დამორჩილებაში. გასაგებია, რომ ფეოდალებისა და ცარიზმისათვის გაცილებით ადვილი იყო ზღვისპირა გლეხთა მოძრაობის ჩაქრობა, ვიდრე თითქმის მიუვალი მთების კალთებზე მობინადრე მცხოვრებლების დამორჩილება. დაწყებული 30-იანი წლების ბოლოდან, ვიდრე სამთავრო ავტონომიის გაუქმებამდე, ამ რაიონებში არა ერთხელ ყოფილა გაგზავნილი დამსჯელი რაზმი, მაგრამ მიზანი მაინც მიუწვდომელი დარჩენილა. საქმეს ვერ უშველა, პოლკოვნიკ მურავიოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, „კავკასიაში უმაგალითო“ ზომების მიღებამაც კი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1841 წელს დალის მიმართ. ეს „უმაგალითო“ ზომები

---

110 Торнау, Воспоминания Кавказского офицера, Москва, 1864, გვ. 38-39.

111 ცსსა, აღწ. 847, ნაწ. I, შეკ. 6, № 114/35, 1824 წ., ფურც. 3.

112 ცსსა, ფონდი სსა, № 46-601, 1836 წ., ფურც. 3.

ინაში გამოიხატება, რომ დალში არც ერთი ცოცხალი სულდგმული და არც ერთი სახლი არ დატოვეს. ბავშვები, ქალები, მოხუცები და ყველანი, ვინც კი დამსჯელ ექსპედიციას დაჰნებდნენ, მთლიანად აყარეს. საცხოვრებელ ბინებს კი ცეცხლი წაუკიდეს და გადაბუგეს[113].

მიუხედავად ასეთი სასტიკი ზომებისა, მთიანი აფხაზეთის გლეხობა ამის შემდეგაც განაგრძობდა შეუპოვარ ბრძოლას ცარიზმისა და ფეოდალების წინააღმდეგ.

1841 წელს გლეხთა მოძრაობა მოედო მთელ აფხაზეთს. აფხაზეთის გლეხთა მოძრაობაზე ამჯერად გარკვეული გავლენა იქონია 1841 წლის გურიის აჯანყებამ. „ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელი აღმოსავლეთის სანაპიროებს და ჩვენთვის ფრიად საზარალო გადატრიალება მოახდინა ხალხთა გონებაში“, — წერს სამხედრო ისტორიკოსი ნ. ვოლკონსკი[114]. გურიისავე აჯანყების ბრალი იყო ის, რომ იმ რაზმში, რომელშიაც უნდა გამოცხადებულიყო 100 სვანი მილიციონერი მთიელთა წინააღმდეგ გასალაშქრებლად, გამოცხადდა მხოლოდ 60 კაცი. 600 სამურზაყანოელის მაგივრად რუსის სარდლობამ ძლივსძლივობით შეაგროვა მხოლოდ 336 კაცი. აფხაზეთში სრულიად ვერ მოახერხეს შეეყარათ მთიელთა წინააღმდეგ მეგრელთა, იმერთა და გურიის მილიცია“[115].

იმისათვის, რომ ცარიზმისა და ადგილობრივი ფეოდალების ბლოკი ექსპლოატირებული მასების წინააღმდეგ ბრძოლაში ურყევი ყოფილიყო, კავკასიის ხელისუფლება არ შურავდა არავითარ სახსრებს და საშუალებებს. იგი უხვად არიგებდა ორდენებს, ჩინებსა და ფულად საჩუქრებს. ადგილობრივი ხელისუფლება ყოველგვარ ღონისძიებას ხნარობდა, რათა მებატონეებისათვის დაებრუნებინა გაქცეული ყმა გლეხები და იმ მიზნით, რომ გაეცევა საერთოდ შეეწყვიტა. სასტიკად უსწორდებოდა „ურჩ“ გლეხებს. რითაც ღიდ დახმარებას უწევდა აფხაზეთის თავადაზნაურობას გლეხთა მასის ექსპლოატაციის გაძლიერება-განმტკიცებაში. და, მართლაც, აფხაზეთის ფეოდალები, გრძნობდნენ რა ცარიზმის სამხედრო ძალის დახმარებას, აძლიერებდნენ და აორკეცებდნენ გლეხთა მასის ექსპლოატაციას. მაგალითად, 40-იან წლებში ფეოდალებმა ხელთ ჩაიგდეს სათემო ტყეებში ძვირფასი მერქანის (ბზის) მოჭრისა და ექსპორტირების მონოპოლიური უფლება, რო-

---

113 ცსსა, ფონდი სსა, № 6392, ფურც., 43-46.

114 ვ. ხაჭაპურიძე, გურიის აჯანყება 1841 წელს, თბილისი, 1931 წ., 33-54.

115 იქვე.

გორც ეს, ბაგალითად, მოიმოქმედეს აბჟუის შარვაშიძეებმა სოფელ ჯგერდეში. რითაც დიდად შეავიწროვეს მშრომელი გლეხები. თავადაზნაურობა ცდილობდა შემოეღო მანამდე არ-ყოფილი ბეგარა-ვალდებულებანი.

მეფის მთავრობის სრული მოწონებით მიხეილ შარვაშიძემ ბრძანება გასცა. როგორც ზემოთაც გვქონდა მოხსენებული, რომ „გლეხები არ დაშორებოდნენ თავიანთ მემამულეებს და არ შეფარებოდნენ სხვებს", რაც ნიშნავდა ფაქტიურად დღემდე არაყმურ მდგომარეობაში მყოფი ანხაიუს მიმაგრებას მემამულეებზე, მის ყმად გადაქცევას.

ცხადია, ასეთ გაძლიერებულ ექსპლოატაციას გლეხებმა ანტიფეოდალური მოძრაობის გაშლით უპასუხეს. ამ ბრძოლაში ბარის გლეხობას მოკავშირედ ხშირად მთიანი რაიონის მშრომელები ჰყავდა.

1848 წლის თებერვალში პსხუსა და დალის გლეხები თავს ესხმიან დრანდის სიმაგრეს. მათ შეუერთდნენ კოდორის გლეხებიც. ამავე წლის აგვისტოში ახჩი-პსხუსა და აიბგეს მცხოვრებლები არბევენ კაც მარღანიასა და როსტომ ინალ-იფას მამულებს ბზიფის ოლქში[116].

1850 წ. ივლისში დალელები ილაშქრებენ სოფ. გუპსა და ჭლოუში, სადაც მათ დაჭრეს თავადი ზასხან მარშანია[117].

ასეთ მოძრაობას შემდეგ წლებშიაც ჰქონდა ადგილი და მის წინააღმდეგ ბრძოლაში კიდევ დიდი დროისა და ენერგიის დახარჯვა მოუხდათ ცარიზმსა და ადგილობრივ ფეოდალებს.

60-იანი წლების დასაწყისიდან მთელს საქართველოს მოედო გლეხთა მღელვარების მძლავრი ტალღა, რაც საგლეხო რეფორმის გატარებასთან იყო დაკავშირებული. ამ პერიოდის გლეხთა მოძრაობის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს 1866 წლის აჯანყება აფხაზეთში. ამ აჯანყების უშუალო ბიძგი საგლეხო რეფორმისათვის სამზადისის დასაწყისი იყო. მაგრამ ვიდრე თვით აჯანყებაზე შევჩერდებოდეთ, საჭიროა გაკვრით შევეხოთ იმ პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც შეიქმნა აფხაზეთში გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში.

როგორც ცნობილია, ყირიმის ომის ერთ-ერთი საომარი მოქმედება 1855 წლიდან დასავლეთ საქართველოშიც გაიშალა. ამ საომარი მოქმედების მსვლელობაში აფხაზეთის ტერი-

---

116 ცსსა, აღწ. 272, შეკ. 124, №-173, ფურც. 113-116.
117 იქვე, შეკ. 126, ფურც. 57-62.

ტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ოკუპირებულ იქნა თურქეთის მიერ. დასავლეთ საქართველოს მთელი მოსახლეობა წინააღუდგა მტერს და სასტიკი ბრძოლა გაუმართა მას. ქართველი ხალხის ამ ბრძოლაში, რომელსაც უსლარი „სახალხო ომს“ უწოდებს. აფხაზეთის მოსახლეობამაც შეიტანა თავისი მნიშვნელოვანი წვლილი[118].

მეფის მთავრობამ მიხეილ შარვაშიძეს ღალატი დასწამა ყირიმის ომში და სასჯელის სახით იგი რუსეთში გადაასახლა, ხოლო სამთავროს ავტონომია გაუქმა და მის მაგივრად შექმნა „სოხუმის სამხედრო განყოფილება“, სადაც ე. წ. „სამხედრო-სახალხო მმართველობა“ იქნა შემოღებული.

აკად. ს. ჯანაშიას აზრით, მიხეილის „ღალატი“ მეფის მოხელეებმა იმისთვის მოჭორეს, რომ მთავრობას საბაბი ჰქონოდა სამთავროს გაუქმებისათვის. „სამთავროს ავტონომიის ბედი დამოკიდებული იყო რუსეთის საქმეების საერთო მდგომარეობაზე კავკასიაში“ და ამიტომ „არსებითად მთავრის ერთგულება-ორგულობას, რა თქმა უნდა, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა სამთავროს არსებობის საკითხისათვის“[119].

1864 წელს, როდესაც კავკასიაში მთიელებთან ბრძოლა, რუსეთის სამხედრო ძალების სრული გამარჯვებით დამთავრდა, ამით, არსებითად, აფხაზეთის სამთავროს ბედიც გადაწყდა.

აფხაზეთის სამთავროს ავტონომიის გაუქმება მაშინდელ ისტორიულ ვითარებაში უსათუოდ პროგრესული მოვლენა იყო, რადგან ამით ისპობოდა ფეოდალური დაქუცმაცებულობისა და კარჩაკეტილობის პოლიტიკური ჩარჩო, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობდა — საქართველოს ეს კუთხეც. საწარმოო ძალთა განვითარების საერთო პროცესში. ეკონომიური აღორძინების ფერხულში ჩაბმულიყო. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ აფხაზეთში მთავრის ხელისუფლების მაგივრად რუსული მმართველობის შემოღება ადგილობრივი მშრომელი მასების კეთილდღეობას, მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას მოასწავებდა. პირიქით, რუსის მმართველობის შემოღებამ კიდევ უფრო გააუარესა ისედაც მძიმე პირობებში მყოფი გლეხთა მასების მდგომარეობა, რადგან ამიერიდან საბატონო ბეგარა-ვალდებულებათა გარდა მათ სახელმწიფო გადასახადების მძიმე უღელიც უნდა ეზიდა. ამას ზედ ისიც დაემატა, რომ ადმინისტრაცია, რომელიც აფხაზეთს მართავდა, უმთავ-

---

118 მაა, ფონდი 111, აღწ. № -107, ფურც. 12. 16. 53; აქტები, ტ. XI, ნაწ. 1, გვ. 234.

119 ს. ჯანაშია, გიორგი შარვაშიძე, სოხუმი, 1946 წ., გვ. 10-11.

რესად ისეთი რუსი მოხელეებისაგან შედგებოდა, რომელთაც სრულიად არ ესმოდათ ადგილობრივი პირობები და ზნე-ჩვეულებანი; ისინი თავიანთ თავს ამ მხარის უკონტროლო ბატონ-პატრონად გრძნობდნენ, ხალხს თვითნებურად და უხეშად ეპყრობოდნენ და ხშირად აწყარა ბოროტმოქმედებამდე მიდიოდნენ. საქმეს ისიც ართულებდა, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ რუსული ენა არ იცოდა. ეს მაშინ, როდესაც საქმის წარმოება ადგილობრივ სხვადასხვა დაწესებულებებში ამ ენაზე მიმდინარეობდა. რუსული კაბინი, რომელიც აქ შემოღებულ იქნა მაშინვე სამთავროს გაუქმების შემდეგ, ადგილობრივ პირობებთან და ზნე-ჩვეულებებთან შეუფარდებლად, მოსახლეობისათვის უცხო და აუტანელი აღმოჩნდა.

ყველა ამან მშრომელი გლეხობის მდგომარეობა იმდენად გააუარესა, რომ თვით „სოხუმის სამხედრო განყოფილებაც“ უფროსი იძულებულია გლეხობის „უკიდურესად მძიმე მდგომარეობა“ აღიაროს[120].

გაზეთ „კავკაზ“-ის კორესპონდენტი 1866 წლის გლეხთა აჯანყების მიზეზად თვლის მთავრობის მიერ ახლად შემოღებულ გადასახადებს[121] და „მკაცრი და მტკიცე ადმინისტრაციის“[122] დაწესებას.

ასეთი იყო რუსული მმართველობის შემოღების როლი აფხაზეთის გლეხთა მდგომარეობის გუარესებაში. მაგრამ შეცდომა იქნებოდა ცარიზმის ხელისუფლების როლი გლეხთა მდგომარეობის გაუარესების საქმეში მარტო ამით შემოვეფარგლა. ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ ცარიზმს მტკიცე ბლოკი ჰქონდა აფხაზეთის თავადაზნაურობის უმრავლესობასთან, რომ ცარიზმი ამ თავის დასაყრდენ სოციალურ ძალას ყოველმხრივ გაძლიერებისა და მშრომელი მასების ექსპლოატაციის საშუალებას აძლევდა. „მთავრის ხელისუფლება ჩაგრავდა ხალხს, რუსები მხარს უჭერდნენ ამ ხელისუფლებას“[123], — წერდა გაზეთი, „კავკაზ“-ი 1866 წელს.

მშრომელი მასების ეკონომიური მდგომარეობის გაუარესება XIX საუკუნის 50-60-იან წლებში უფრო მეტად იმით

---

120 საქ. ცსსა, ფონდი 545, საქმე 76, ფურც. 256-258.

121 რუსული მმართველობის მიერ ახლად შემოღებული გადასახადთა საერთო ჯამი 17 მან. 40 კაპ. აღწევდა ფულად, ნატურით კი ეს გადასახადი უდრიდა ერთ ძროხასა და 6 ცხვარს (საქ. ცსსა, ფონდი 545, საქმე 76, ფურც. 256-258).

122 გაზეთი «Кавказ», 1866, № -68.

123 იქვე, №-80.

აიხსნება, რომ ცარიზმის მხარდაჭერით ადგილობრივი ფეოდალები საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანდათანობით ფულადი ურთიერთობის შემოჭრასთან დაკავშირებით თავიანთი გლეხების ექსპლოატაციას კიდევ უფრო აძლიერებენ. აღებ-მიცემობის გაფართოებამ, ბაზრების გაჩენამ თავადაზნაურობის მოთხოვნილება ფუფუნების საგნებზე დიდად გაზარდა; რომელთა შეძენა ახლა მხოლოდ ფულის საშუალებით იყო შესაძლებელი და, რადგან მემამულეებს არ ჰქონდათ თავისი რამდენადმე მაინც კეთილმოწყობილი საბატონო მეურნეობა, ამიტომ მათ მიმართეს გლეხთა გადასახადების უზომო გადიდებას, რაც აუტანელი გახდა ისედაც დაბეჩავებული და გაძვალტყავებული გლეხკაცობისათვის.

ერთ-ერთი ავტორი, რომელიც კარგად გაცნობილი ყოფილა აფხაზეთის მდგომარეობას XIX საუკუნის 60-იან წლებში, წერდა, რომ აფხაზეთის გლეხობა „დაეცა უკანასკნელ სიღატაკემდეო“[124].

გლეხობის ასეთ საეალალო მდგომარეობას კიდევ 1864 წლის მოუსავლიანობა და შავი ყვავილის ეპიდემია დაემატა, რამაც მასიური სიკვდილიანობა გამოიწვია.

აი, ასეთ პირობებში მთავრობამ გამოგზავნა კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა მიწათმოწყობისა და წოდებრივი ურთიერთობის საკითხი აფხაზეთში, რომ შემდეგ მის საფუძველზე აქ საგლეხო რეფორმა გაეტარებინა.

გლეხობა განსაკუთრებით უკმაყოფილო შეიქმნა მის შემდეგ, რაც კომისიამ განაცხადა: დამოკიდებულმა წოდებამ თავისუფლება უნდა გამოისყიდოს მემამულეებისაგან საკუთარი სახსრებითო.

ყველა ამან აღავსო აფხაზეთის გლეხობის მოთმინების ფიალა და მან მჩაგვრელთა წინააღმდეგ. საბრძოლველად ხარაღს მოჰკიდა ხელი.

აფხაზეთის გლეხობამ კარგად იცოდა აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთ-გურიის მაგალითზე, თუ რას მოასწავებდა ბატონყმობის გაუქმება, გატარებული მეფის მოხელეებისა და თვით თავადაზნაურობის მიერ და ამიტომ კომისიას ცნობების მიწოდებაზე უარი განუცხადა.

უკმაყოფილო იყო აფხაზეთის მთელი გლეხობა და განსაკუთრებით კი ანხაიუ იმ პირობებით, რომელთა საფუძველზე უნდა გატარებულიყო რეფორმა. უკმაყოფილო იყო მაღალი

---

124 გაზეთი «Кавказ», 1866, № 80.

წოდებაც, რადგან, მთავრობის ოფიციალური განცხადებით, არ ცნობდნენ მას მიწის მესაკუთრედ.

რა თქმა უნდა, გლეხობისა და თავადაზნაურობის ინტერესები სრულიად სხვადასხვანაირი იყო. გლეხები იბრძოდნენ უსასყიდლოდ და მიწიანად განთავისუფლებისათვის. ხოლო ბოლალი წოდება კი იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი გამოსასყიდი მიეღო გლეხობისაგან და ამავე დროს მთელი მიწის მასივიც მას დარჩენოდა, ე. ი. არსებითად იგი ყოველგვარ ძალღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო. თავადაზნაურობის ერთმა ნაწილმა პირველ ხანებში სწორედ იმიტომ მიიღო აქტიური მონაწილეობა გლეხთა იმ დიდ აჯანყებაში, რომ იგი თავისი კლასობრივი ინტერესების დასაცავად, თავისი დაკარგული პოლიტიკურ უფლებათა აღსადგენად გამოეყენებინა.

როგორც საბუთებიდან ჩანს, გლეხთა მღელვარება 1866 წლის 17 ივლისს სოფელ ბიქვინთიდან დაწყებულა, სადაც პირველად მოხელე ჩერეპოვს, ბზიბის ოლქის უფროსისა და ორი მოსამართლის ტიტ მარღანიასა და კომჩაჩ ხაკის თანდასწრებით, საადგილმამულო და წოდებათა ურთიერთობის შესახებ ცნობათა მოგროვება დაუწყია[125]. როგორც წყაროები გვამცნობს, ჩერეპოვი ძალიან უხეშად და უტიფრად მოქცეულა ცნობათა მისაცემად გამოძახებულ მოსახლეობას, რის შედეგად ამ უკანასკნელს უარი განუცხადებია ჩერეპოვის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხი გაეცა. ჩერეპოვი და იზმაილოვი დამუქრებიან მოსახლეობას — ძალას ვიხმართო, მაგრამ ამ ზომასაც არ გაუჭრია და ცნობის მისაცემად გამოწვეული გლეხობა დაშლილა. 18 ივლისს ასევე გაუწბილებია გლეხობას მთავრობის მოხელენი სოფ. კალდახვარაშიაც. ასეთივე უარყოფითი პასუხი გაუცია მუგუძირსვასა და სხვა სოფლებშიც[126].

მღელვარება ძალიან ჩქარა მოეფინა ბზიფის მთელ ოლქს, რამაც ჩერეპოვი და იზმაილოვი ჩააფიქრა და შეაშინა. მათ ეს ამბავი სასწრაფოდ სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსს პოლკოვნიკ კონიარს აცნობეს. ეს უკანასკნელი ცნობის მიღებისთანავე 21 ივლისს ბზიფის ოლქის ცენტრში სოფ. ლიხნში ჩასულა, რათა თვითონ გაცნობოდა საქმის ვითარებას ადგილზე და სათანადო ზომები მიეღო. აქედან კონიარი იზმაილოვისა და სხვათა თანხლებით სოფ. დურიაშში გამგზავრებულა, სადაც ამ დროს დიდძალ მოსახლეობას მოეყარა თავი.

---

125 ცსსა, ფონდი 400, აღწ. 258/908, აზ. ნაწ. 1866, საქმე 54, ფურც. 230.
126 იქვე.

კონიარმა სცადა დაეყოლებინა დურიბშისა და მის მეზობლად მდებარე სოფლების მოსახლეობა ყომისიისათვის საჭირო ცნობების მიცემაზე, მაგრამ ამაოდ.

ადგილზე საამისო სამხედრო ძალების უყოლობის გამო პოლკოვნიკმა კონიარმა, როგორც თვითონ წერს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ სვიატოპოლ-მირსკისადმი გაგზავნილ 23 იელისის პატაკში, გადაწყვიტა უკან დახეულიყო და მოსახლეობისაგან დროებით არაფერი მოეთხოვა. იგი სთხოვს მირსკის, რომ მან რაც შეიძლება სასწრაფოდ გამოაგზავნოს 2 ბატალიონი და 2 ქვემეხი, რომელთა მეშვეობით ჰპირდება მას საქმის წარმატებით დამთავრებას, ე. ი. მღელვარების ჩაქრობას[127].

მირსკიმ სასწრაფოდ გამოყო მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა აფხაზეთში გასაგზავნად, მაგრამ ბზიფის ოლქში გლეხთა მღელვარება იმაზე უფრო სწრაფად ვითარდებოდა. ვიდრე კონიარის დასახმარებლად გამოყოფილი სამხედრო ძალა ჩამოუსწრებდა მას იმერეთიდან.

24 ივლისს იზმაილოვმა აცნობა კონიარს, რომ მღელვარება მთელ ოლქს მოედო და აშკარა ამბოხების ხასიათს ღებულობსო.

მდგომარეობა მეტ მოცდას აღარ ითმენდა და კონიარმაც გადაწყვიტა ბზიფის ოლქში წასულიყო, მაგრამ არა სამხედრო ძალით, რომელიც მას საკმაო რაოდენობით ჯერჯერობით არ გააჩნდა, არამედ გიორგი და ალექსანდრე შარვაშიძეების (აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილის შვილისა და ძმის) თანხლებით. ასე მოიქცა, ალბათ, იმიტომ, რომ მათი ავტორიტეტი აჯანყებულთა დასამშვიდებლად გამოეყენებინა. მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მათი ავტორიტეტი ამისათვის სრულიად საკმარისი არ აღმოჩნდა.

26 ივლისს, ნაშუადღევს, კონიარი, გიორგი და ალექსანდრე შარვაშიძეების, ოლქის სამმართველოსა და სასამართლოს წევრების თანხლებით, ლიხნში გამოცხადდა მთავრის სასახლის წინ მდებარე მოედანზე, სადაც ამ დროს თავი მოეყარა ბზიფის ოლქის მცხოვრებლებს, 5 ათასი კაცის რაოდენობით[128].

კონიართან მოსალაპარაკებლად გლეხებს თავის წრიდან 8 კაცი აურჩევიათ.

გლეხების წრიდან გამოსული ორატორებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ეშერელი გლეხის ოსმან შამბას სიტყვა.

---

[127] ცსსა, ფონდი 400, აღწ. 258/908, აზ. ნაწ. 1866, საქმე 54, ფურც. 112-118.

[128] «Кавказ», 1866 წ., №-68.

მან დაწვრილებით მოახსენა კონიარს, თუ რატომ ღელავდნენ გლეხები. შამბამ პირში უთხრა კონიარს, რომ გლეხები ძალიან უკმაყოფილო არიან პირადად მისი მმართველობით, რადგან იგი, აფხაზეთში რუსული მმართველობის დაწყებიდან ჩაგრავს და ავიწროებს მათ. „თქვენ იმდენად შეგვავიწროეთ და შეურაცხგვყავით, რომ აიკისო ჩვენი მოთმინების ფიალა და ძალა არ შეგვწევს მეტი ავიტანოთ. გვეყოფა ისიც, რაც მოხდა, ნუ დაუმატებთ ახალ საწყენს... გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ჩვენ არ გვჯერა, რომ ხელმწიფე იმპერატორმა და დიდმა მთავარმა კავკასიის ნაცვალმა ნება დართეს აფხაზეთში გლეხთა ისეთნაირად განთავისუფლებისა, როგორც თქვენ გადმოგვცემთ. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ თქვენ თვითონ წარმართეთ საქმე ასე იმისათვის, რომ დაიმსახუროთ უმაღლესი უფროსობის ყურადება... ამასთანავე ჩვენ არ გვესმის გლეხების ისეთი განთავისუფლება, როგორც ამას გვიხსნით. **ჩვენ არ გვაქვს მებატონეებისაგან გამოსასყიდი თანხა**“[129] (ხაზგასმა ჩემია. — ლ. ძ.).

დასასრულ, ოსმან შამბამ კონიარს გადასცა ხალხის თხოვნა, რომ მას ნება დაერთო გლეხთა დეპუტაციის გაგზავნისა თბილისში მეფისნაცვალთან.

კონიარმა ყველა მოთხოვნა უხეშად უარყო და ბრძანა ადმინისტრაციის განკარგულებათა უსიტყვოდ შესრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში, განაცხადა მან, რომ ის ძალას იხმარს. ამ მუქარაზე ხალხში ჩოჩქოლი და განგაში ატყდა. როგორც საბუთებიდან ჩანს, პსირცხელ გლეხმა ლაზ განდლმა ატეხა განგაში და წამოიძახა: „ვისაც ფიცი აქვს დადებული, მოგროვდითო“[130]. ეს იყო ნიშანი, რომელსაც შეიარაღებული შეტაკება მოჰყვა. კონიარმა თავისი ამალითურთ მთავრის სასახლეს შეაფარა თავი.

— „ხალხმა, მიუხედავად ზოგიერთი თავადების, აზნაურებისა და მამასახლისების მოქმედებისა, რომლებიც არწმუნებდნენ მას, არ ჩაედინა უწესრიგობა და ფანტავდნენ მათრახებითა და ჯოხებით, მიიწია კონიარისაკენ და, ვიდრე კონიარი მოასწრებდა შარვაშიძის სახლში დამალვას, რამდენჯერმე გაისროლა, ხოლო მიაღწია რა საყარაულო სახლს, გაათავისუფლა პატიმრები“[131].

---

129 ცსსა, ფონდი 400, აღწ. 258/908, აზ. ნაწ. 1866 წ., საქმე 54, ფურც. 98–111.
130 იქვე.
131 იქვე.

აჯანყებულებმა თოფები დაუშინეს სასახლეს, სადაც იმალებოდა კონიარი თავისი ამალითურთ და ამავე დროს ბრძოლა გამართეს ასეულთან, რომელსაც საჯინიბოში შეეფარებინა თავი. აჯანყებულებმა შეანგრიეს სასახლის კარები, გარეთ გამოიყვანეს გიორგი და ალექსანდრე შარვაშიძეები, ხოლო დანარჩენები აქვე ადგილზე დახოცეს. აქ მოკლულთა რიცხვში იყვნენ პოლკოვნიკი კონიარი, ბზიფცს ოლქის უფროსი იზმაილოვი, ჩინოვნიკი ჩერეპოვი, პოდპორუჩიკი სურინოვიჩი, მათი მოსამსახურენი და რამდენიმე კაზაკი.

აჯანყებულთა მიერ ცეცხლწაკიდებული საჯინიბოდან კაზაკების ასეულმა დიდი გაჭირვებით მიაღწია იქვე გვერდით მდგარ ნახევრად დანგრეულ ძველი ქვის სახლს, ხოლო შემდეგ აქედან ცოცხლად გადარჩენილი კაზაკები ალექსანდრე შარვაშიძის მეუღლემ იხსნა. შემდეგ ისინი მისივე დახმარებით გაგზავნილ იქნენ სოხუმში[132].

კაზაკების ასეულიდან, ოფიციალური ცნობით, დაღუპულა 2 ოფიცერი, 2 ურიადნიკი, 48 რიგითი კაზაკი, ხოლო გადარჩენილა 1 ოფიცერი, ორი ურიადნიკი და 53 კაზაკი. ეს ცნობა არ უნდა იყოს სრული. უსათუოდ, დაღუპულთა რიცხვი მეტი უნდა ყოფილიყო. ასე, მაგალითად, კონიარის თარჯიმან ტკეციშვილის ჩვენებით, კაზაკების ასეულიდან სულ გადარჩენილა 4 თუ 5 კაზაკი, ხოლო დანარჩენი ყველა დახოცილა[133].

ამავე დღეს (26 ივლისს) მეამბოხეთა ერთი ჯგუფი თავს დაესხა გუდაუთის საბაჟო საგუშაგოს, სადაც მოკლულ იქნა სამი კაცი, ხოლო გადარჩენილები ჩასხდნენ იქვე მდგარ შხუნა „სოუქსუ"-ში" და დაუყოვნებლივ სოხუმში გაემგზავრნენ.

26 ივლისს, სოღამო ჟამს, სოხუმში უკვე იცოდნენ ლიხნის ამბებისა და ქალაქზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ[134].

ლიხნის სასახლეში მკვლელობის ჩადენის შემდეგ გიორგი და ალექსანდრე შარვაშიძეები აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდნენ. აჯანყებულებმა, როგორც ამას მოწმობს ოფიციალური საბუთები, გიორგი აფხაზეთის მთავრად გამოაცხადეს: „შენ ახლა ჩვენი მთავარი ხარ, სადაც შენ წახვალ, ჩვენ თან წამოგყვებით; სადაც შენ, ჩვენც იქ უნდა დავიღუპოთ"[135]. გიორგი პირველად შეყოყმანდა, მაგრამ, ნახა რა აჯანყებულთა მტკიცე გადაწყვეტილება, მათი წინადადება მიიღო[136]. გიორ-

---

132 ცსსა, ფონდი 400, აღწ. 258/908, აზ. ნაწ. 1866 წ., საქმე 54, ფურც. 98-111.

133 იქვე, ფურც. 32-47.

134 იქვე, ფურც. 98-111.

135 იქვე, ფურც. 254.

136 იქვე.

გის თანდასწრებით გაკეთებულ იქნა სამთავრო დროშა წითელი ყუმაშისაგან, ზედ ამოქარგული ხმლით, და აჯანყებულები საჩქაროდ დაიძრნენ სოხუმის მიმართულებით. გადაწყვეტილი იყო სოხუმის დაუყოვნებლივ აღება. მაგრამ აჯანყებულთა სწრაფი ბოძრაობა შეუჩერებია მდინარე გუმისთას, რომელიც სწორედ ამ დროს ძლიერი წვიმისაგან მეტად ადიდებულა. ამიტომ მათ მხოლოდ 27 ივლისს მიაღწიეს სოხუმს[137].

ბზიფელებს დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ სოხუმისა და წებელდის რაიონის მცხოვრებლები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს სოხუმზე თავდასხმაში[138].

30 ივლისისათვის ჩვენი ხელისუფლება სოხუმის სამხედრო განყოფილებაში თითქმის არ არსებობსო, სწერდა სვიატოპოლკ-მირსკი მეფისნაცვალს[139].

27 ივლისს დღის 3 საათზე აჯანყებულებმა, დაახლოებით 2 ათასი კაცის რაოდენობით, პირველი იერიში მიიტანეს ქ. სოხუმზე და ცხარე ბრძოლის შემდეგ დაიკავეს მისი მთის მხარე გარეუბანი და ქალაქში ცეცხლი გააჩინეს[140].

27 ივლისს მოწინააღმდეგეთა შორის მთელ ღამეს ძლიერი სროლა წარმოებდა.

ცნობამ ბზიფში მომხდარი ამბებისა და სოხუმზე თავდასხმის შესახებ, რუსს სარდლობა ძლიერ შეაშინა. მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა სასწრაფოდ მიიღო გადამწყვეტი ზომები აჯანყების ჩასაქრობად. მან პირველი ცნობა ბზიფის ამბებზე 27 ივლისს მიიღო ბორჯომში, სადაც ამ დროს მასთან ერთად ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი სვიატოპოლკ-მირსკიც იმყოფებოდა. მიხეილ რომანოვი დაუყოვნებლივ აგზავნის სვიატოპოლკ-მირსკის სოხუმში სასწრაფო ზომების მისაღებად აჯანყების წინააღმდეგ. მეფისნაცვალი მირსკის სრულ უფლებას ანიჭებს, აამოძრაოს და მოიხმაროს თავისი მიხედულობისამებრ ქუთაისის გუბერნიაში განლაგებული ჯარის ნაწილები და დამატებით გამოუძახოს ყუბანის ოლქიდან 4 ბატალიონს, საკმაო რაოდენობით არტილერიას და საჭირო შემთხვევაში კიდევ ჩრდილო კავკასიიდან გენერალ-მაიორ გეიმანის ძლიერ რაზმს და აგრეთვე ამავე მიზნისათვის მოაგროვოს გურიისა და სამეგრელოს მილიცია.

მეფისნაცვლის განკარგულების თანახმად სვიატოპოლკ-მირსკის მეთაურობით სულ რამდენიმე დღის განმავლობაში

---

137 ცსსა, ფონდი 400 აღწ. 258/908, აზ. ნაწ. 1866 წ., საქმე 54, ფურც. 98-111

138 იქვე.

139 იქვე.

140 საქ. ცსსრ, ფონდი 545, საქმე 2784, ფურც. 10.

მოგროვდა სამხედრო ძალა 8 ათასი კაცის შემადგენლობით[141], ძლიერი არტილერიითა და საზღვაო სამხედრო ფლოტით. ეს ისეთი ძალა იყო, რომლისათვის გამკლავება აჯანყებულებს, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ. საბოლოოდ ამან გადაწყვიტა აჯანყების ბედიც.

30 ივლისს სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ აჯანყებულები დამარცხდნენ და იძულებული შეიქნენ დაეტოვებინათ სოხუმი.

ამის შემდეგ აჯანყება მალე ჩაქრობილ იქნა აგრეთვე წებელდაშიც ადგილობრივი თავადების — მარშანიების აქტიური მონაწილეობით.

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა აჯანყებულთ შემდეგი ულტიმატუმი წარუდგინა: ჩაბარებულ იქნას იარაღი, მოტაცებული სახაზინო ქონება და აჯანყების „მეთაურნი". პირველი ორი მოთხოვნა მოსახლეობამ შეასრულა, მაგრამ მესამეზე (აჯანყების მეთაურებისა და აქტიურ მონაწილეთა გაცემაზე) უარი განაცხადა[142].

ბზიფისა და სოხუმის რაიონების მოსახლეობას იარაღი აყარეს იმ მიზნით, რომ შემდეგში არასოდეს არ გამეორებულიყო 1866 წლის ივლისის ამბები. აჯანყების მეთაურები, რომელნიც ხელთ იგდეს (გლეხები ხანაშვი კალგი და კაკუჩალიპა, აზნაური კაზილბეკი მარღანია) დახვრიტეს, ხოლო ისინი, ვისაც აჯანყებაში აქტიური მონაწილეობის მიღება დაბრალდა (უპირატესად გლეხები), ციმბირში გადაასახლეს[143].

ასე სასტიკად გაუსწორდა მეფის მთავრობა აჯანყებულებს.

1866 წლის აჯანყების დამარცხება გამოწვეულია იმ სუსტი მხარეებით, რითაც ხასიათდება ფეოდალური ეპოქის გლეხთა ყველა აჯანყება.

1866 წლის აჯანყების ერთ-ერთი სუსტი მხარე ის იყო, რომ გლეხებს ჯერ კიდევ სჯეროდათ „კარგი მეფისა". მათ ეგონათ, რომ ახალგაზრდა გიორგი „კარგი მთავარი" იქნებოდა, რომელიც გამოესარჩლებოდა მათ ინტერესებს. სწორედ ამიტომ გამოაცხადეს აჯანყებულებმა აფხაზეთის მთავრად გიორგი შარვაშიძე. ან კიდევ გლეხობას პირველ ხანებში გაგონებაც კი არ სურდა იმის შესახებ, რომ იმპერატორი ან დიდი მთავარი ბატონყმობას ისეთ პირობებში გააუქმებდა, როგორც ეს კომისიის წევრებმა გამოაცხადეს. აჯანყების მსვ-

---

141 «Кавказ», 1866 წ., №-70.
142 იქვე.
143 გ. ა. ძიძარია, დასახელებული წიგნი, გვ. 466-467.

ლელობაში, უსათუოდ, უარყოფითი როლი შეასრულა თავადაზნაურობამ. ჩვენ ზემოთ აღნიშნული გვაქვს, რომ აჯანყებაში თავიდანვე მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის თავადაზნაურობის ნაწილმა. რა თქმა უნდა, გლეხობისა და თავადაზნაურობის ინტერესები სრულიად სხვადასხვაგვარი, ერთი მეორისათვის დიამეტრალურად საწინააღმდეგო იყო. თავადაზნაურობას თავისი ეგწრო კლასობრივი, პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებდა. თავადაზნაურობის ეს ნაწილი ამ აჯანყებაში იმდენად ღებულობდა მონაწილეობას, რამდენადაც მას იგი თავისი დაკარგული პოლიტიკური უფლებების აღდგენის საშუალებად მიაჩნდა. ეს განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც აჯანყებამ მეტად ფართო ხასიათი მიიღო და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია. თავადაზნაურობა ცდილობდა და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ აჯანყებას მხოლოდ და მხოლოდ ანტირუსული ხასიათი ჰქონოდა. მაგრამ თავადაზნაურობა რწმუნდებოდა რა იმაში, რომ აჯანყება ადგილობრივი რუსული ადმინისტრაციის წინააღმდეგაა მიმართული იმდენად, რამდენადაც მასში გლეხობა ხედავს ფეოდალურ-ექსპლოატატორების დასაყრდენ ძალას და ამრიგად უმთავრესად მიზნად ისახავს ბრძოლას ფეოდალური კლასის წინააღმდეგ[144], იგი მაშინვე ზურგს აქცევს აჯანყებას. მართლაც, თავადაზნაურობის ეს ნაწილი აჯანყებაში მონაწილეობას იღებდა, სანამ მას ერთგვარი წარმატება ჰქონდა ადგილობრივი ადმინისტრაციის და სამხედრო ძალის წინააღმდეგ ბრძოლაში; მაგრამ გამოჩნდა თუ არა წარუმატებლობის პირველი ნიშნები, იგი არამც თუ დაშორდა აჯანყებას, არამედ მოწინააღმდეგე ბანაკში გადავიდა და მასთან ერთად ბრძოლა გაუმართა აჯანყებულთ.

აჯანყებაში ჩაბმული ფეოდალები იმთავითვე მერყეობას იჩენდნენ, რაც მათივე ორჭოფული მდგომარეობით იყო გამოწვეული: ერთი მხრით, მათ აჯანყების გამოყენება თავისი დაკარგული პოლიტიკური უფლების აღსადგენად სურდათ და, მაშასადამე, ცდილობდნენ იგი ადგილობრივი რუსული ადმინისტრაციის წინააღმდეგ მიემართათ, მაგრამ მეორე მხრით, მათ ეშინოდათ, რომ ადმინისტრაციის ლიკვიდაციას ფეოდალური კლასის მოსპობა არ მოჰყოლოდა საერთოდ. სწორედ

---

144 რომ აჯანყებას ანტიფეოდალური ხასიათი ჰქონოდა ამას სხვათა შორის შემდეგი ფაქტი ადასტურებს: 1866 წლის ივლისში, სოხუმზე თავდასხმის დროს, აჯანყებულმა გლეხებმა დაარბიეს გ. შარვაშიძის მამული სოფ. კელასურში, გაიტაცეს მისი მამულიდან მნიშვნელოვანი ქონება (სსა, ფონდი 110, აღწ. I, ფურც. 1).

ამით აიხსნება ის, რომ ფეოდალებმა 21 ივლისს სოფ. დურიპშ-ში დაღუპვისაგან იხსნეს კონიარი და მისი ამალა[145]. ამავე მიზეზებით თავადაზნაურობის ნაწილი თუმც ამაოდ, მაგრამ მაინც თავგამოდებით იცავდა კონიარსა და მის თანმხლებლებს ლიხნში 26 ივლისს[146]. ამიტომ უღალატა აჯანყების საქმეს აბაყაყვის თავადმა ბესლან ჩაბალურხვამაც[147]. ასე მერყეობდა თავადაზნაურობის ის ნაწილი, რომელიც თავიდან ჩაება აჯანყებაში. მაგრამ იყო თავადაზნაურობის მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც თავიდანვე მეფის ჯარებსა და ადმინისტრაციას ემხრობოდა; .სე, მაგალითად სოხუმის ოლქის ფეოდალების ერთი ნაწილი ამავე ოლქის უფროსის ბუტლი-დე-კაცმანის მეთაურობით იმთავითვე ღებულობდა მონაწილეობას ქ. სოხუმის თავდაცვაში და თავგამოდებით იბრძოდა აჯანყებულთა წინააღმდეგ[148]. წებელდაში რუსის გარნიზონი აჯანყებულებისაგან იხსნეს თავად მარშანიებმა, რისთვისაც მეფის მთავრობის მიერ უხვად იქნენ დაჯილდოებულნი[149].

აჯანყების დამარცხების შემდეგი მიზეზი იყო მისი სტიქიური, არაორგანიზებული და ლოკალური ხასიათი.

აჯანყების ერთ-ერთი სუსტი მხარე ისიც იყო, რომ მას თავიდანვე არ ჰყოლია ხელმძღვანელი, არც თავადაზნაურობისა და არც გლეხობის წრიდან. გ. შარვაშიძე ამ აჯანყებისათვის სრულიად შემთხვევითი პირია და, როგორც საბუთებიდან ჩანს, მას არც სურვილი ჰქონია და არც განზრახვა, არამც თუ ეხელმძღვანელა, არამედ მონაწილეობაც მიეღო მასში. გარდა ამისა, გიორგი შარვაშიძე მაშინ ძალიან ახალგაზრდაც იყო (19 წლისდა იქნებოდა) და, რა თქმა უნდა, ისეთი რთული საქმისათვის, როგორც აჯანყების ხელმძღვანელობაა, მას არც გამოცდილება ეყოფოდა და არც ნებისყოფა.

1866 წლის აჯანყებას, თუ მთელი რიგი სუსტი მხარეები ჰქონდა და დამარცხდა კიდეც — ეს იმიტომ, რომ მას არ გააჩნდა ის მტკიცე მაორგანიზებელი და ხელმძღვანელი ძალა, რომელსაც, საზოგადოდ, რევოლუციური მოძრაობისათვის მუშათა კლასი წარმოადგენს.

1866 წლის ლიხნის აჯანყება გლეხთა უკანასკნელი დიდი აჯანყება იყო საქართველოში, მიმართული ბატონყმური

---

145 ცსსა, ფონდი 400, აღწ. 258/908. აზ. ნაწ. 1866, საქმე, 54. ფურც. 233.
146 იქვე, ფონდი 1110, აღწ. 1, 1866-1873, № 24, ფურც. 238.
147 იქვე, ფურც. 259.
148 საქ. ცსსა, ფონდი 545, საქმე 2784, ფურც. 13.
149 ცსსა, ფონდი 400, აღწ. 258/908, აზ. ნაწ. საქმე 54, ფურც. 259.

ურთიერთობისა და ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ აჯანყებამ კიდევ ერთხელ დაარწმუნა მეფის ადგილობრივი ხელისუფლება იმაში, რომ აქაც დაუყოვნებლივ საჭირო იყო საგლეხო რეფორმის მომზადება და გატარება. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მთავრობა აჯანყების ჩაქრობის პირველი დღეებიდანვე შეუდგა საგლეხო რეფორმის მომზადებას აფხაზეთში და ამისათვის 1867 წელს ხელმეორედ გამოყო სპეციალური კომისია. ამ მეორე კომისიის მუშაობის პერიოდშიც არ ყოფილა აფხაზეთში ისეთი „სრული სიმშვიდე", როგორც რუს მოხელეებს სურდათ. გლეხთა ცალკეულ გამოსვლებს, ბეგარა-ვალდებულებათა შესრულებაზე უარის თქმასა, თუ სხვა სახის პროტესტს საკმაოდ ხშირად ჰქონდა ადგილი.

აღვნიშნოთ რამდენიმე მათგანი.

გიორგი შარვაშიძის მეურნეობის საქმეთა მმართველი პახომოვი 1868 წლის 29 ივნისს შესჩივის სოხუმის განყოფილების უფროსს, რომ თავად გიორგის კუთვნილმა გლეხებმა უარი განაცხადეს გადასახადებზე და რომ მან ამ საქმეზე უფრო ადრე პიცუნდის ოლქის უფროსს მიმართა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ურჩია ლახმარებისათვის უფრო მაღლა მიემართა, რადგან მას ძალა არ შესწევდა გლეხების მორჩილებაში მოსაყვანად[150]. ამავე საბუთიდან ჩანს, რომ გლეხები არ უხდიან გადასახადებს სხვა თავადებსაც და რომ ამისათვის საჭიროა ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ყოველდღიური დახმარება. ასე, მაგალითად, პიცუნდის ოლქის უფროსი დახმარებია მურზაყან ანჩაბაძეს გლეხების მორჩილებაში მოსაყვანად[151].

პახომოვი სოხუმის განყოფილების უფროსისაგან ითხოვს, რათა მან აიძულოს გლეხები გადასახადები თავის დროზე გადაიხადონ და მომავალშიაც კანონიერი დახმარება აღმოუჩინოს, რათა გლეხებმა მათზე დაკისრებული ვალდებულებანი უსიტყვოდ შეასრულონ[152].

ამ საბუთში აღნიშნული ფაქტები იმას მოწმობენ, რომ პიცუნდის ოლქში გლეხების მიერ ბეგარა-ვალდებულებათა შესრულებაზე უარის თქმას ისეთი ფართო და მტკიცე ხასიათი მიუღია, რომ ოლქის უფროსებიც კი უძლური ყოფილან გლეხების წინააღმდეგ რაიმე ზომები ეხმარათ და ამიტომ

---

150 ცსსა, ლენინგრადი, ფონდი 1087, აღწ. I, 1865 წ., საქმე 29, ფურც. 307-310.
151 იქვე.
152 იქვე.

საჭიროდ უცვნიათ თვით განყოფილების უფროსის ჩარევა ამ საქმის მოსაგვარებლად.

ჩვენ ხელთაა სხვა საბუთიც, რომელიც მოწმობს იმას, რომ გ. შარვაშიძის გლეხების „ურჩობის" ეს ფაქტი შემთხვევითი არ ყოფილა, რომ გლეხების მიერ გადასახადებზე უარის თქმას აქ ხშირად ჰქონია ადგილი. ასე, მაგალითად, 1870 წ. დეკემბერში იგივე პახომოვი უჩივის სოფ. მერხეულის მცხოვრებ გლეხებს, რომ ისინი არ იხდიან გადასახადებს, „რაც ფრიად მაცდურ და ცუდ მაგალითს წარმოადგენს ჩემი მრწმუნებელის სხვა ხელქვეითებისათვის"-ო[153].

1866 წელს „სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის" მუშაობასთან დაკავშირებით, სოხუმის განყოფილების ნებართვის საფუძველზე პახომოვი შესდგომია გიორგი შარვაშიძის მამულის დაწვრილებით აღწერას. აღწერა მას სოფ. იაშტუხიდან დაუწყია, სადაც ძლიერ ჩქარა გავრცელებულა ხმა, რომ აღწერა მოგონილია გლეხების გასაძარცვავად. ამიტომ 60-ზე მეტი გლეხი, ჯოხებით შეიარაღებული, თავს დასხმია გუმისთის „ფერმას (ხუტორს)", რომ დაერბია იგი და ამავე დროს დაესაჯათ გიორგის წარმომადგენლები აზნაური თურქია და პახომოვი, რომელთაც ბრალი ედებოდათ ბოროტგანზრახვაში. ამ ორ უკანასკნელს გლეხები მოკვლით დაუქრებიან[154].

ერთ-ერთ საბუთში მოცემულია 12 სოფლის მცხოვრები გლეხ ანხაიუს სია საბეგრო სამუშაოზე გამოსვლისა და არ გამოსვლის აღნიშვნით. სიაში სულ 250 გლეხია. ამათგან 1869 წელს 151 კაცს, ე. ი. უმრავლესობას, უარი განუცხადებია სამუშაოდ გამოსვლაზე[155]. ზოგ სოფელში საბეგარო სამუშაოდ გამოსვლაზე უარის თქმას მასიური ხასიათი მიუღია. ასე, მაგალითად, სამუშაოდ გამოსვლაზე უარი უთქვამს სოფ. ბაგოვეშტეში 15 ანხაიუს, სოფ. დრანდაში 18-ს, აბეაყვაში 30-ს, იაშტუხაში 40-ს და ა. შ.[156]

რის მაჩვენებელია ზემომოყვანილი ფაქტები? ეს ფაქტები, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, იმაზე მეტყველებენ, რომ მიუხედავად 1866 წლის გლეხთა დიდი აჯანყების დამარცხებისა და აჯანყების მონაწილეთა სასტიკად დასჯისა, გლეხთა ცალკეულ გამოსვლებს, „ურჩობას", ბეგარა-ვალდებულებათა შესრულე-

---

160 სსრკ ისტორია, პანკრატოვას რედაქციით, ნაწ. II. თბილისი, 1947 წ., გვ. 318.

154 იქვე.

155 იქვე.

156 იქვე.

ბაზე უარის თქმას და სხვა სახის პროტესტს, შემდეგშიაც ფართოდ ჰქონია ადგილი აფხაზეთში. მაშასადამე, ბატონყმობის ინსტიტუტის იმ სახით დატოვება, როგორც აქამდე იყო, შეუძლებელი გამხდარა და ამან კიდევ ერთხელ დაარწმუნა ადგილობრივი მთავრობა მისი გაუქმების -უცილებლობაში.

ამრიგად, ზემოთქმულის შემდეგ ბუნებრივი იქნება ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ:

როგორც ცნობილია, საგლეხო რეფორმა გატარებულ იქნა რუსეთში იმიტომ, რომ ეკონომიური განვითარების მთელი მსვლელობა ბიძგს იძლეოდა ბატონყმობის მოსპობისათვის: მეფის მთავრობა ყირიმის კამპანიის დროს ომში დამარცხებით დასუსტებული და მემამულეთა წინააღმდეგ გლეხთა „ბუნტებით“ შეშინებული, იძულებული გახდა 1861 წელს ბატონყმობა გაეუქმებინა. ის პირობები, რომელთაც 1861 წლის რეფორმა გამოიწვიეს, მეტ-ნაკლები ძალით მოქმედებდნენ რუსეთის იმპერიის მთელ რიგ სხვა ოლქებში და განაპირა ნაციონალურ ქვეყნებშიც[157].

1. საგლეხო რეფორმა, რუსეთის ცენტრალური გუბერნიების შემდეგ, ადრე თუ გვიან, საქართველოშიაც უნდა განეხორციელებინათ, რადგან ამას, ერთი მხრით, დაჟინებით მოითხოვდა მეტროპოლიის მეფაბრიკე-მექარხნეებისა და მემამულეთა ინტერესები, ხოლო მეორე მხრით, ამისათვის ნიადაგი ასე თუ ისე მომზადებული იყო თვით საქართველოს ეკონომიური განვითარებითაც. ასე, საქართველოში რეფორმის წინ საკმაოდ დიდი ადგილი ჰქონდა აღებ-მიცემობასა და ვაჭრობას, ქალაქისა და საქალაქო ცხოვრების ზრდას, ნატურალური მეურნეობის დაშლასა და ამ მეურნეობის კაპიტალიზაციის პროცესის განვითარებას. მოწინავე პროგრესული იდეების გავრცელებას[158].

საქართველოს მოწინავე რაიონებში ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებას, რომელიც გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან შესამჩნევი გახდა, ბუნებრივია, კიდევ უფრო მეტი გასაქანი ეძლევა იმის შემდეგ, რაც ბატონყმობა გაუქმებულ იქნა ქართლ-კახეთსა და იმერეთ-გურიაში. ამ ახალი ურთიერთობის შემდგომი გაშლა და გაფართოება საქართველოს დასახლებულ რაიონებში, ცხადია, აფხაზეთზედაც მოქმედებდა. მართალია, აფხაზეთი ეკონომიური განვითარების მხრივ ჩამორჩა საქართველოს ცენტრალურ რაიონებს,

---

157 ე. ა. მოროხოვეცი, 1861 წლის საგლეხო რეფორმა, თბილისი, 1938 წ., გვ. 140.

158 შ. ჩხეტია, საისტორიო მოამბე, №-4, თბილისი, 1948 წ., გვ. XLI.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმ გარდაუვალ პროცესს, რომ-ლითაც მოცული იყო ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის სისტემა, მთლიანად ადრე თუ გვიან არ შეიძლებოდა არ ეჩინა თავი აქაც. მართლაც, ჩვენ ზემოთ უკვე დავინახეთ, რომ ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობა აფხაზეთშიც ირღვეოდა, რომ სასაქონლო წარმოება სულ უფრო და უფრო ვითარდებოდა და შესამჩნევი ხდებოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

აფხაზეთში სასაქონლო წარმოებას ისეთ ისტორიულ ვითარებაში, როდესაც რუსეთსა და საქართველოს სხვა მხარეებში საგლეხო რეფორმა უკვე გატარებულიყო, არ შეეძლო არ მიეცა ერთგვარი ბიძგი ახალი ურთიერთობის განვითარებისათვის. თავისთავად ამ ახალი ურთიერთობის ელემენტების განვითარებას, რომელიც თანდათან აფხაზეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში იჭრებოდა, ჯერ კიდევ არ შეეძლო ბატონყმობის ინსტიტუტის გაუქმება გამოეწვია. მაგრამ სწორედ ამ ახალი ურთიერთობის შემდგომი გაღრმავება-განვითარებისათვის, რაშიც თვით მეტროპოლიის ეკონომიკა იყო დაინტერესებული, რადგანაც ის მას გზას უკაფავდა ამ მხარის კოლონიალური ექსპლოატაციისათვის, — საჭირო იყო საგლეხო რეფორმის გატარება.

2. როგორც ცნობილია, რუსეთში გლეხთა „ბუნტებმა" მთავრობა შეაშინა და ბატონყმობის გაუქმება დააჩქარებინა. საქართველოს სხვადასხვა ადგილებში, და ამათ შორის აფხაზეთშიც, გლეხთა ანტიბატონყმურ მოძრაობას ისეთი ფართო, მასიური ხასიათი ჰქონდა, რომ მეფის მთავრობას არ შეეძლო მისთვის ანგარიში არ გაეწია, ე. ი. გლეხთა მოძრაობა აქაც ისეთ ძალფრსა და საშიშ ხასიათს ღებულობდა, რომ ცარიზმმა მისი თავიდან აცილება საგლეხო რეფორმის გატარების დაჩქარებით გადაწყვიტა.

3. დასასრულ, საგლეხო რეფორმის გატარების საქმეში ყირიმის ომის მნიშვნელობაც უნდა მოვიხსენიოთ. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, „ყირიმის ომმა გამოამჟღავნა ბატონყმური რუსეთის სიდამპლე და უძლურება"[159]. ყირიმის ომის შედეგად შექმნილმა მდგომარეობამ იმპერატორი ალექსანდრე II აიძულა ეთქვა: „ყმათამფლობელობის არსებული წესი არ შეიძლება დარჩეს, უმჯობესია ბატონყმობა ზევიდან გაუქმდეს, ვინემ ველოდოთ იმ დროს, როდესაც იგი თავისთა-

---

[159] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 17. გვ. 127.

ვად გაიუქმებს თავს ქვეყნიდან"[160]. ყირიმის ომის ეს მნიშვნელობა საგულისხმოა როგორც მთლიანად საქართველოსათვის, ისე მისი ერთ-ერთი მხარის — აფხაზეთისათვისაც. „თუ ყირიმის ომმა გამოავლინა საერთოდ ცარიზმის სიდამპლე, კავკასიის ფრონტზე გაშლილმა საომარმა მოქმედებებმა გამოაშკარავა, კერძოდ, კავკასიის ადმინისტრაციის სიდამპლეც." ომის შედეგებმა ცხადი გახადა, რომ საქართველოში ბევრი რამ რიგზე არ იყო და რომ, მაშასადამე, საჭირო იყო აქაც გარკვეული ცვლილებების გატარება"[161]. ყირიმის ომმა ცარიზმის ადგილობრივი ადმინისტრაციის სიდამპლესთან ერთად გამოავლინა აფხაზეთისა და სამეგრელოს ავტონომიური სამთავროების უვარგისობა და დრომოჭმულობა. ადგილობრივმა საომარმა მოქმედებებმა კიდევ უფრო გაამწვავა ამ ორ სამთავროს სახლთა შორის არსებული მტრობა, რომელიც აბრკოლებდა თურქ-აგრესორების წინააღმდეგ. ბრძოლის წარმატებით დამთავრებას. ომის შედეგად მთავრობისათვის ცხადი გახდა, რომ აფხაზეთისა და სამეგრელოს სამთავროთა ავტონომიის არსებობას მხოლოდ ზიანის მოტანა შეეძლო და რომ საჭირო და დროული იყო მათი ლიკვიდაცია. და, მართლაც, თითქმის მაშინვე, ომის დამთავრების შემდეგ, ფაქტიურად ლიკვიდირებულ იქნა სამეგრელოს ავტონომია. ხოლო მალე, მის შემდეგ, აფხაზეთის ავტონომიაც გაუქმდა. მაშასადამე, ყირიმის ომმა დააჩქარა აფხაზეთის სამთავროს ავტონომიის ლიკვიდაცია, ხოლო ამან კი, თავის მხრივ, ადგილობრივი საგლეხო რეფორმის გატარების დაჩქარება გამოიწვია.

ამგვარად, მეტროპოლიის ეკონომიური ინტერესები ამ მხარეში, საქართველოს წამყვან რაიონებში ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის რღვევა და ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარება, რომელიც თანდათანობით ითრევდა აფხაზეთს თავის ეკონომიურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში და გლეხთა შეუპოვარი „ბუნტები", მიმართული ბატონყმობის წინააღმდეგ — აი, ის ფაქტორები, რომლებმაც დღის წესრიგში დააყენეს საგლეხო რეფორმის გატარება აფხაზეთში.

---

160 სსრკ ისტორია, პანკრატოვას რედაქციით. ნაწ. II, თბილისი, 1947 წ., გვ. 318.

161 შ. ჩხეტია, საისტორიო მოამბე, №-4, თბილისი, 1947 წ., გვ. XLIV.

თავი მეორე

საგლეხო რეფორმის მომზადება აფხაზეთში

1. „სოხუმის ნოდებრივ-საადგილმამულო კომისიის" შექმნა და მისი მუშაობის შედეგები

1864 წელს, მას შემდეგ, რაც აფხაზეთის მმართველი მიხეილ შარვაშიძე გადაყენებულ იქნა, ხოლო აფხაზეთის ავტონომიური სამთავრო ლიკვიდირებული, მეფის მთავრობამ აფხაზეთი ქუთაისის გუბერნიაში შემავალ „სოხუმის სამხედრო განყოფილებად" გამოაცხადა. სადაც შემოღებულ იქნა ე. წ. „სამხედრო-სახალხო მმართველობა". მმართველობის ასეთი სახელწოდების შემოღების მიზანი რუო შენიღბვა იმ სამხედრო დიქტატურისა, რომელიც დამყარებულ იქნა აქ მაშინვე სამთავროს ავტონომიის ლიკვიდაციის შემდეგ. მთავრობა ძალიან ფრთხილობდა, რომ რუსული სამხედრო მმართველობის შეღოღებას ადგილობრივ მცხოვრებთა შორის უკმაყოფილება არ გამოეწვიაᲐმიტომ მან გადაწყვიტა მისთვის „ხალხური" ელფერით შელამაზებული, გარეგნული მოჩვენებითი სახე მიეცა, რათა ამით ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ თითქოსდა რუსულ სამხედრო მმართველობას აფხაზეთში საქმის წარმართვა „ადგილობრივი წესებისა" და „ხალხის ჩვეულებების" მიხედვით სურდა. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, არავითარ ამის მსგავსს არ ჰქონია ადგილი. „სოხუმის სამხედრო განყოფილება"-ში, ყოველგვარ შეზღუდვის გარეშე, მბრძანებლობდნენ მეფის ოფიცრები და ჩინოვნიკები, რომლებიც სრულიად არ იცნობდნენ „ხალხის ჩვეულებებს" და რომლებსაც არც უნარი და არც სურვილი ჰქონდათ გაცნობოდნენ ადგილობრივ პირობებს, და, თავდაპირველად, მაინც ხალხში განმტკიცებული ადათ-წესების მიხედვით ემართათ მხარე.

აფხაზეთის ავტონომიური სამთავროს ლიკვიდაცია და

რუსული მმართველობის შემოღება აღმოსავლეთ საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარებას დაემთხვა. აღმოსავლეთ საქართველოს შემდეგ დასავლეთ საქართველოს ჯერიც დადგა. როგორც ცნობილია, საგლეხო რეფორმა იმერეთსა და გურიაში 1865 წელს იქნა გატარებული, ხოლო სამეგრელოში — 1866 წელს. ამის შემდეგ მთავრობის მოქმედების დღის წესრიგში ადგილი დაიკავა ამავე საკითხის გადაწყვეტამ აფხაზეთში.

სამზადისი საგლეხო რეფორმის გასატარებლად აფხაზეთში რუსული მმართველობის შემოღებისთანავე დაიწყო. ჯერ კიდევ 1865 წლის 28 თებერვალს კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსმა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს ცნობები მოსთხოვა აფხაზეთში არსებული წოდებრივი და საადგილმამულო ურთიერთობის შესახებ[1]. 1865 წლის 26 მარტს ასეთივე ცნობები მოსთხოვა კავკასიის არმიის მთავარმა შტაბმა სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტის დირექტორს სამურზაყანოსა და წებელდის შესახებ. რადგან ეს ორი ოლქი, მანამდე, ე. ი. სამთავროს ავტონომიის გაუქმებამდე, სამოქალაქო უწყებაში შედიოდა[2]. 1865 წლის 25 აპრილს სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტიდან მიღებულ იქნა ცნობა, რომ მოთხოვნილი მონაცემები იქ არ გააჩნიათ[3]. 1865 წლის 10 მაისს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დამატებით მიეცა წინადადება რომ მას დაეჩქარებინა საჭირო ცნობათა მიწოდება[4]. 1865 წლის მარტში კავკასიის არმიის მთავარსარდალმა განკარგულება მისცა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს, ერთი ოლქიდან მეორე ოლქში დამოკიდებულ პირთა გასხვისების აკრძალვისა და გაყიდვის აქტების საოლქო სასამართლოების მიერ დამოწმების შესახებ[5].

პოლკოვნიკი კონიარი 1865 წლის 22 ნოემბერის პატაკში ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ კარცოვის სახელზე წერდა, რომ მიმდინარე წლის დასაწყისში ოლქების უფროსებმა სახალხო აღწერა ჩაატარეს და აფხაზეთის კამერალური აღწერის სტატისტიკა შეადგინესო. ამ აღწერაში ბევრ არა სიზუსტესა და შეცდომებს ჰქონია ადგილი, რაც გამოვლინებულია აფხაზეთის ყოფილი მთავრის ქონების გამომრკვევი კომისიის მუ-

---

[1] საქ. ცსსა. ფონდი 416. საქმე 399, ფურც. 1.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] იქვე.

შაობის შედეგადო[6]. კონიარს შეცდომათა თავიდან ა�ააცილებლად საჭიროდ მიაჩნია ხელახლა იქნეს მოგროვილი დაწერილებითი ცნობები წოდებათა ურთიერთობის შესახებ. მაგრამ აქვე დასძენს. რომ ეს საქმე დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს და, მაშასადამე, ამისათვის საჭირო იქნება სპეციალური კომისიის გამოყოფა[7].

1865 წლის 23 დეკემბერს სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსმა პოლკოვნიკმა კონიარმა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის სამხედრო სამმართველოში წარადგინა ოლქების უფროსების მიერ შედგენილი პასუხი კავკასიის არმიის მთავარი შტაბის კითხვებზე[8] თავისი პირადი შენიშვნებით, რომლებშიც იგი წერდა, რომ ეს პასუხები შეიძლება ჩაითვალოს სრულად და ზუსტად, მაგრამ არ გამოდგება საფუძვლად გლეხთა საკითხის გადასაწყვეტად, რომ დამოკიდებულ წოდებათა ვალდებულება-გადასახადები საფასურია არა მიწის სარგებლობისათვის, არამედ მფარველობისა და დაცვისათვისო[9].

ცოტა უფრო გვიან იგივე კონიარი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს უგზავნის თავის ბარათს აფხაზეთში არსებული წოდებრივი და საადგილმამულო ურთიერთობის შესახებ. თავისი მხრით გენერალ-გუბერნატორი სვიატოპოლკ-მირსკი 1866 წლის 28 იანვარს ამ ბარათს თავისი შენიშვნებით უგზავნის მთავარსარდლის თანაშემწეს თბილისში[10].

აქ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევჩერდეთ კონიარსა და სვიატოპოლკ-მირსკის შეხედულებაზე აფხაზეთში წოდებრივ-საადგილმამულო ურთიერთობათა და წოდებრივი და მიწათმოწყობის საკითხების პრაქტიკულად გადაწყვეტა-განხორციელების შესახებ. თანაც არანაკლებ საინტერესო იქნება

6 1864 წელს აფხაზეთის სამთავროს ლიკვიდაციის შემდეგ მთავრობამ შეადგინა მიხეილ შარვაშიძის ჭონების აღსაწერად კომისია გენერალ პონსეს თავმჯდომარეობით, რომელიც მუშაობდა აფხაზეთში 1864-1865 წლებში.

7 საქ. ცსსა. ფონდი 545, საქმე 1809. ფურც. 1-6.

8 ეს კითხვები იყო: „... 1-დამოკიდებულ წოდებათა როგორი სახეები არსებობენ აფხაზეთსა, სამურზაყანოსა და წებელდაში, 2 — ამ წოდებათა უფლებების შესახებ იმ მიწაზე, რომელსაც ისინი ამუშავებენ, 3 — ფულადი და ნატურალური გადასახადების რაოდენობა და სახეები, 4 — მიწაზე საშუალო ფასის რაოდენობის შესახებ, 5 — გამოსასყიდი თანხისა და არათავისუფალ წოდებათა პირების გასასყიდ საშუალო ფასების რაოდენობის შესახებ, 6 — დამოკიდებულ წოდებათა პირების ვანოავისუფლების ჩვეულებათა შესახებ, 7 — მათი რაოდენობის შესახებ, 8 — ძალი კუთვნილი საკუთრების შესახებ" (საქ. ცსსა, ფონდი 416, საქმე 399, ფურც. 1.

9 იქვე, ფურც. 2.

10 იქვე. ფონდი 545. საქმე 180. ფურც. 41.

კავკასიის მთიელთა სამმართველოს დასკვნები ამავე საკითხებზე.

პოლკოვნიკი კონიარი თავის ჩანაწერში, ეხება რა აფხაზეთის საადგილმამულო ურთიერთობის საკითხს, შემდეგ დასკვნას აკეთებს: „წმინდა იურიდიული თვალსაზრისით, აფხაზეთში არსებითად არავინ შეიძლება ცნობილ იქნას მიწის მესაკუთრედ; მთელი მიწა-წყალი შეადგენს სახელმწიფო საკუთრებას. რომელსაც შეუძლია იგი იქონიოს თავის სრულ განკარგულებაში და გამოიყენოს სურვილისამებრ. მაგრამ, თუ ჩვენ მოვისურვებთ ავიყვანოთ საფუძველზე საადგილმამულო საკითხის გადაკრას, მაშინ, უეჭველია, გამოვიწვევდით საერთო აღშფოთებას, თავის თავზე ავიღებდით ბრალდებას მიკერძოების, უსამართლოებისა და ჩაგვრის განზრახვაში"[11].

თანახმად ამ შეხედულებისა, — აგრძელებს კონიარი, — წოდებრივი და საადგილმამულო საკითხი შემდეგი ვარაუდით უნდა გადაწყდეს: მთელი მიწა, რომლითაც დამოკიდებული წოდება სარგებლობდა ამ დებულების გამოცხადების დროს, მათ საკუთრებაში რჩება ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე. დანარჩენი მიწა კი — იმ გვარის პირად საკუთრებაში გადადის, რომლის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა მთელი თემი.

ტყე მხოლოდ მიწათმფლობელის საკუთრებას წარმოადგენს, მაგრამ ისინი მოვალენი არიან უფლება მისცენ თავის ყოფილ ხელქვეითებს, ისარგებლონ ტყით ოჯახის საჭიროებისათვის.

აქამდე არსებული ურთიერთობა ხელქვეითებსა და პატრონებს შორის უქმდება. რისთვისაც ეს უკანასკნელნი გამოსასყიდს ღებულობენ წლიური ბეგარა-ვალდებულებათა ღირებულების 6 პროცენტიდან კაპიტალიზაციის გზით მიღებული თანხის რაოდენობით. ამ თანხას ერთბაშად იხდის ხაზინა, ხოლო მას 49 წლის მანძილზე ფარავენ გლეხები ამ თანხის გარკვეული ნაწილის ყოველწლიური შეტანით[12].

პოლკოვნიკ კონიარის ამ დასკვნას სვიატოპოლკ-მირსკი შენიშვნებს უკეთებს. იგი არ ეთანხმება კონიარს იმაში, რომ თითქოს აფხაზეთში არ არსებობდა საკუთრება მიწაზე. მისი აზრით, მიწა ეკუთვნოდა ან ყოფილ მთავარს, ან უმაღლესი წოდების გვარეულობას. მაგრამ მირსკი აქვე აღნიშნავს, რომ კონიარსა და მის შეხედულებათა შორის სხვაობა ეხება მხო-

---

11 საქ. ცსსა. ფონდი 545. საქმე 180. ფურც. 15-23.
12 იქვე.

ლოდ ამ საკითხის თეორიულ მხარეს, კერძოდ სოხუმის განყოფილებაში საადგილმამულო უფლების წარმოშობის ისტორიას, და არა საკითხის გადაწყვეტის პრაქტიკულ მხარეს, რაც იგი სავსებით ეთანხმება პოლკოვნიკ კონიარის ზემოხსენებულ აზრს.

კონიარის ეს აზრი მირსკის შენიშვნებით განხილულ იქნა კავკასიის მთიელთა სამმართველოში. სამმართველო არ დაეთანხმა კონიარსა და მირსკის იმ აზრს, რომ აფხაზეთში არსებული წოდებრივი და საადგილმამულო ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტისას ეკონომიურად პირველ რიგში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს აუცილებლად უმაღლესი წოდება, ე. ი. მთელი მიწის ფართობი უნდა იქნეს ცნობილი ამ წოდების საკუთრებად, გარდა დამოკიდებული წოდების მოხმარებაში მყოფი მიწის ნაკვეთებისა. სამმართველო ადგენს საბელ-მძღვანელო მითითებებს კომისიისათვის, რომელიც უნდა გაიგზავნოს სოხუმის განყოფილებაში წოდებრივი და საადგილმამულო საკითხის დეტალურად შესწავლისათვის. ჩვენ ცალკეული ცნობებიდან, — ნათქვამია ამ მითითებებში, — ვიცით რომ აფხაზეთში თუმცა ბევრი აცხადებს პრეტენზიას თავადაზნაურობაზე, მაგრამ სინამდვილეში არისტოკრატია იმ გაგებით, როგორც ეს იყო რუსეთში, აქ არ არსებობს. მათ ასეთ განცხადებას 20 ან 30 წლის წინათ შეიძლება რაიმე გამართლება ჰქონდა ადმინისტრაციული თვალსაზრისით, მაგრამ ამჟამად მას არავითარი ფასი არ აქვს[13].

„ახლა, — ნათქვამია იმავე საბუთში, — ჩვენს წინაშე დგას სხვა ამოცანა: უკვე თავისუფალი ვართ უწინდელი მცდარი ადმინისტრაციული შეხედულებებისაგან; არაა საჭირო ლაქუცი იმ პირთა წინაშე, რომლებიც თავიანთ თავს აკუთვნებენ უმაღლეს წოდებას და ამით ხაზს უსვამენ თავიანთ გავლენას ხალხზე; რუსული ბატონობა იმდენად მტკიცეა, რომ ასეთი ზომების მიღების გარეშეც შეიძლება უკუვაგდოთ ჩვენს მიერვე შექმნილი არისტოკრატიის უსაფუძვლო პრეტენზია"[14].

ასეთი განცხადების აზრი სრულიად გასაგებია: ცარიზმის ბატონობა აფხაზეთში ახლა იმდენად მტკიცეა, რომ არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს ლაქუცი ფეოდალების წინაშე. რამდენადაც ნაკლები რაოდენობით იქნება კომისიის მიერ თავადაზნაურობის რიცხვი ცნობილი, მით უფრო მეტი მიწა-წყალი დარჩება ხაზინას თავის განკარგულებაში.

---

13 საქ. ცსსა, ფონდი 545, საქმე 180, ფურც. 41-90.
14 იქვე.

მეორე დოკუმენტში კიდევ უფრო გარკვევით არის ნათქვამი ამ საკითხის შესახებ: მიწათსარგებლობისა და წოდებათა ურთიერთობის წესი, რომელსაც ადგილი აქვს აფხაზეთში, უძველესი დროიდან არსებობს. იყო ისეთი სამხედრო შეტაკებათა მოუსვენარი ხანა, როდესაც ცალკეული ტომები, ცალკეული ჯგუფები და პირები ძლიერ მფარველს ეძებდნენ. მფარველის როლში ხშირად გამოდიოდნენ ცალკეული თემები, გვარები და ზოგჯერ ცალკეული პირებიც. ისინი თავისი ფიციც ქვეშ ღებულობდნენ მფარველობის მაძებართ, ხოლო უკანასკნელნი კი დამოკიდებულნი ხდებოდნენ. მიწით სარგებლობა თავისუფალი იყო. ასეთი იყო ხალხის ძველი ჩვეულება, საუკუნეებით განმტკიცებული, რომელიც ყოველგვარი ახალი გაგების, გავრცელებას მიწის საკუთრებაზე ხელს უშლიდაო[15].

„ახლა დადგა დრო, — ნათქვამია იქვე, — ვასწავლოთ მას შეხედოს ამ საგანს ისე, როგორც ეს საჭიროა. ამასთანავე **მთავრობამ ხელიდან არ უნდა გაუშვას ის უპირატესობა და სარფიანობა, რაც მას ეძლევა ამ მხარეში საადგილმამულო საკითხის სამართლიან გადაჭრასთან დაკავშირებით** (ხაზგასმა ჩემია. — ლ. ძ.).

შეცვალა რა ის ფიცი, რომელიც შეადგენდა უშიშროების უზრუნველყოფას, მთავრობას შეუძლია სრული სამართლიანობით განაცხადოს, რომ მიწა ეკუთვნის მას ისევე, როგორც ამ უზრუნველყოფის სხვა წარმომადგენელს“[16].

ამაზე უფრო გარკვევით ლაპარაკი საჭირო არ იყო. აქ ჩვენ აშკარა ტენდენციურობასთან გვაქვს საქმე. მეფის ადგილობრივ მთავრობას სურდა პირველ ხანებში აფხაზეთში საგლეხო რეფორმა ისე გაეტარებინა, რომ მიწა მთლიანად მის განკარგულებაში დარჩენილიყო, რათა ამით შეერყია პოლიტიკური მნიშვნელობა აფხაზეთის ფეოდალების იმ ნაწილისა, რომელიც ცარიზმს სხვადასხვა მიზეზების გამო ოპოზიციაში ედგა. ამ მიზნის განხორციელებისათვის მთავრობას ესაჭიროებოდა ხელთ ჰქონოდა, ფორმალურად მაინც, გასამართლებელი საბუთი. აი, სწორედ ეს ფორმალური მხარე უნდა მოეგვარებინა კომისიას, რომელიც აფხაზეთში იგზავნებოდა წოდებრივ და საადგილმამულო საკითხების შესასწავლად. კავკასიის მთიელთა სამმართველოს ვარაუდით, კომისიას ადგილზე უნდა შეეგროვებინა მასალები, რომლებიც დაამტკიცებდნენ,

---

15 საქ. ცსსა, ფონდი 416. საქმე 1033, ფურც. 3-4.
16 იქვე.

რომ აფხაზეთში არავითარი ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობას არ ჰქონდა ადგილი, რომ ბატონი და ყმა, ჩვეულებრივი გაგებით, იქ არ ყოფილან, რომ იქ იყვნენ მხოლოდ მფარველი და თავშეფარებული და რომ მათ შორის არსებული ურთიერთობა მთლიანად ნებაყოფლობითი ხელშეკრულების საფუძველზე იყო დამყარებული. ამიტომ თავშეფარებულ გლეხს უფლება ჰქონდა, საჭირო შემთხვევაში დაეტოვებინა თავისი მფარველი და სხვაგან გადასულიყო. თანახმად ხალხში გაბატონებული ადათ-ჩვეულებისა, გლეხის ნებასურვილს მფარველი წინ ვერ აღუდგებოდა. მიწაზე კერძო საკუთრება არ არსებობდა. კერძო პირთ უფლება ჰქონდათ მხოლოდ მიწის იმ ნაკვეთზე, რომელზედაც მათი შრომა იყო გაწეული. დაუმუშავებელი მიწა არ ეკუთვნოდა არავის, ანდა ეკუთვნოდა მთელ საზოგადოებას, ან სახელმწიფოს.

ცხადია, რომ ასეთი მითითებების შემდეგ კომისიას ობიექტურად არ შეეძლო შეესწავლა ბატონყმური ურთიერთობის საკითხი აფსაზეთში. ამიტომაა, რომ კომისიის მიერ შედგენილ ცნობებში, მასალებსა და დასკვნებში თავიდან ბოლომდე ასე აშკარად გამოსჩვივის ტენდენციურობა. სწორედ ამიტომ გვჭირდება სიფრთხილე და კრიტიკული განხილვა კომისიის ციერ შედგენილი დასკვნებისა. 1866 წელს მეფისნაცვლის განკარგულებით გამოიყო განსაკუთრებული კომიტეტი, მთავარსარდლის თანაშემწის, გენერალ-ადიუტანტის კარცოვის მეთაურობით, რომელსაც ევალებოდა კავკასიის მთიელ ტომთა წოდებრივი ურთიერთობის შესწავლა დამოკიდებულ წოდებათა განთავისუფლების პირობების შესამუშავებლად[17].

ამ კომიტეტის პირველი სხდომა 1866 წლის 4 ივნისს შედგა, სადაც განხილულ იქნა სხვადასხვა დროს შეგროვილი ცნობები სოხუმის განყოფილების დამოკიდებულ წოდებათა შესახებ. გლეხთა საკითხის გადასაწყვეტად კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნია დამატებითი ცნობების შეგროვება. და მისი სისრულეში მოყვანა კავკასიის მთიელთა საამმართველოს დაავალა. კომიტეტის ამ დავალების შესასრულებლად საამმართველომ გადაწყვიტა გამოეყო სპეციალური კომისია სამი წევრის შემადგენლობით. კომისიის წევრებად დანიშნულ იქნენ ტიტულიარნი სოვეტნიკი ჩერეპოვი, რომელიც 1864-1865 წლებში მონაწილეობას ღებულობდა გენერალ პონსეს კომისიაში. მაიორი თავადი ბარათოვი და მაიორი მომბელი. მაგრამ ამ

---

17 საქ. ცსსა. ფონდი 545, საქმე 1012, ფურც. 5. საქმე 399. ფურც 2-3.

უკანასკნელის ავადმყოფობის გამო, მის მაგივრად კაპიტანლეიტენანტი კარგახოვი დაინიშნა[18].

1866 წლის 28 ივნისს ტიტულიარნი სოვეტნიკ ჩერეპოვს კავკასიის მთიელთა სამმართველომ დაწვრილებითი ინსტრუქცია მისცა, თუ როგორი წესით უნდა ყოფილიყო შეგროვილი ფასალები და რა საკითხებისათვის უნდა მიექციათ ყურადღება დამოკიდებულ წოდებათა და მათ მფლობელთა შორის არსებული ურთიერთობის გამოსარკვევად. ასეთივე ინსტრუქცია მიიღეს მაიორმა ბარათოვმა 1866 წლის 30 ივნისს და კარაგანოვმა ამავე წლის 12 ივლისს.

ინსტრუქციაში, რომელიც გადაეცა ჩერეპოვს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მითითებული იყო, თუ როგორი წესით უნდა ყოფილიყო შეგროვილი ცნობები. იქ ნათქვამი იყო, რომ ყველა საჭირო ცნობა, თითოეული თემის შესახებ უნდა შეგროვდეს ცალ-ცალკე. მოსახლეობის პირადი დაკითხვით. პირადად დაკითხულ უნდა იქნენ როგორც მემამულეები. ისე დამოკიდებული წოდების წარმომადგენლები. მოსახლეობის დაკითხვა უნდა მოხდეს ოლქის უფროსის, ან ოლქის სამმართველოს წევრის. ოლქის ორი მოსამართლისა და თემის მამასახლისის თანდასწრებით. მცხოვრებთა დაკითხვის დროს, რათა არ მოხდეს გაუგებრობა და უთანხმოება დამოკიდებულ წოდებასა და მის მფლობელთა შორის და, ამასთანავე ერთად, არ იქნეს დამოკიდებულ პირთა რიცხვი და მათი გადასახადების რაოდენობა გადიდებულად ნაჩვენები, ვიდრე ეს სინამდვილეშია, — საჭიროა გამოცხადდეს, რომ დამოკიდებული წოდების გასათავისუფლებელ გამოსასყიდ თანხას გაიღებს არა მთავრობა, არამედ ის, ვინც დამოკიდებულებისაგან თავისუფლდება.

„თქვენ დამოკიდებულ წოდებათა პირებს, — ნათქვამია იქვე, — უნდა აუხსნათ, რომ მთავრობა მხოლოდ იწყებს მათი პირადი დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების შესახებ საკითხის გადაწყვეტას, მაგრამ ჯერ არ გაუთავისუფლებია ისინი და ამიტომ მათ ევალებათ საკითხის გადაწყვეტამდე დარჩნენ იმ ურთიერთობაში, როგორშიც წინათ იყვნენ, სოლო თავიანთ ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში გადაისდიან იმაზე მეტს, ვიდრე მანამდე იხდიდნენ“[19].

ტიტულიარნი სოვეტნიკი ჩერეპოვი მთიელთა სამმართველომ პირდაპირ ბზიფის ოლქში მიავლინა, რადგან იგი იქაური

---

18 საქ. ცსსა. ფონდი 545. საქმე 1012. ფურც. 3-4.
19 იქვე. საქმე 1012. ფურც. 6-7.

პირობებს ნაწილობრივ უკვე გაცნობილიყო ჯერ კიდევ გენერალ პონსეს კომისიის მუშაობის დროს. ბზიფის ოლქში მუშაობის დამთავრების შემდეგ ჩერეპოვი სოხუმის ოლქის შესწავლას უნდა შესდგომოდა[20].

ჩინოვნიკი ჩერეპოვი და მაიორი ბარათოვი სოხუმში 1866 წლის 10 ივლისს ჩავიდნენ. აქედან მოვალეობის შესასრულებლად ისინი ცალ-ცალკე გაემგზავრნენ: პირველი — ბზიფის ოლქში, ხოლო მეორე — სოხუმის ოლქში. კაპიტან-ლეიტენანტი კარგანოვი ცნობათა შესაგროვებლად წებელდაში გაემგზავრა[21].

ამრიგად, კომისიის წევრები სხვადასხვა ოლქებში ცალ-ცალკე მუშაობდნენ ადგილობრივი საოლქო ადმინისტრაციის დახმარებით; მათთვის საერთო ხელმძღვანელობის გაწევა სოხუმის საამხედრო განყოფილების უფროსს პოლკოვნიკ კონიარს ჰქონდა დავალებული.

რადგანაც მთავრობას ეჩქარებოდა საგლეხო საკითხის მოგვარება აფხაზეთში, ამიტომ მან კომისიის წევრებს მტკიცედ განსაზღვრული დრო მისცა, რომლის განმავლობაში აუცილებლად უნდა დამთავრებულიყო ადგილზე მუშაობა. კომისიას მიეცა სამი თვის ვადა (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი). სექტემბრის ბოლოს მას სავსებით უნდა დაემთავრებინა საკითხის შესწავლა და ყველა შეგროვილი მასალა თავისი დასკვნებით წარედგინა მთიელთა სამმართველოში. ასეთი იყო მთავრობის სურვილი. მაგრამ აფხაზეთში ზემოაღნიშნული კომისიის მუშაობის დროს საქმის ვითარება ისე დატრიალდა, რომ ამ სურვილის სისრულეში მომყვანი კომისია გლეხთა აჯანყების აბობოქრებულმა ტალღამ წალეკა სამუშაოთა დასამთავრებლად დანიშნულ ვადაზე გაცილებით უფრო ადრე.

კომისიის ერთი წევრი მოხელე ჩერეპოვი 1866 წლის გლეხთა აჯანყების პირველი მსხვერპლთაგანი იყო. იგი მოკლულ იქნა აჯანყებულთა მიერ ლიხნში 26 ივლისს. კომისიის მეორე წევრს მაიორ ბარათოვს კი შემდეგი ბედი სწვევია: მაიორი ბარათოვი, როგორც კავკასიის მთიელთა სამმართველოსადმი 29 ივლისს გაგზავნილ პატაკში წერს, 27 ივლისს გარიჟრაჟზე სოფ. აძიუბჟაში ღებულობს ცნობას ლიხნის კატასტროფის შესახებ და დაუყოვნებლივ მიემგზავრება სოხუმის ოლქის უფროსთან ერთად ქ. სოხუმში, სადაც ისინი ამავე

---

20 საქ. ცსსა, ფონდი 545, საქმე 1012, ფურც. 5-8.
21 იქვე, ფურც. 8.
22 იქვე, ფურც. 9.

ღღის 11 საათზე ჩასულან. სოხუმი ამ დროს უკვე საალყო მდგომარეობაში ყოფილა. „ამ დროიდან, — წერს ამავე პატაკში მაიორი ბარათოვი, — ჩემი მუშაობა შეწყვეტილია და არ ვიცი როდის იქნება შესაძლებელი მისი გაგრძელება“[22]. მაგრამ მის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება წილად არ რგებია ბარათოვს; იგი, როგორც წყაროებიდან ჩანს, 1866 წლის 31 აგვისტოს გარდაცვლილა კავკასიის სახაზო №34 ბატალიონის ლაზარეთში[23].

კაპიტან-ლეიტენანტი კარგანოვი 26 ივლისს გაგზავნილ პატაკში სწერდა, რომ მან წებელდაში მუშაობა შესწყვიტა ბზიფის ოლქის „უწესრიგობასთან“ დაკავშირებით[24]

ამრიგად, კომისიის მუშაობა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ჩერეპოვი, ბარათოვი და კარგანოვი, ჩაშალა 1866 წლის გლეხთა აჯანყებამ. კომისიის სამი წევრიდან მხოლოდ ერთი (კარგანოვი) გადარჩა ცოცხალი.

მართალია, ამ კომისიის მუშაობა ჩაიშალა, მაგრამ მისი წევრების ნამუშევარი უკვალოდ არ დაკარგულა. კერძოდ, არქივში ხელნაწერის სახით შემორჩენილა ჩინოვნიკ ჩერეპოვის საკმაოდ მოზრდილი სტატია სათაურით: „მოკლე შენიშვნები აფხაზეთის ბზიფის ოლქის მცხოვრებთა წოდებრივი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ“[25].

ასევე შემორჩენილა კარგანოვის მიერ შედგენილი „ცნობები წებელდის მცხოვრებთა ურთიერთდამოკიდებულების შესხებ“[26]. 1866 წლის გლეხთა აჯანყებამ აფხაზეთში მხოლოდ დროებით ჩაშალა ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ რეფორმის გატარებისათვის სამზადისი. აჯანყების ჩაქრობისთანავე, სახელდობრ, 1866 წლის 9 სექტემბერს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა სვიატოპოლკ-მირსკიმ სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსისადმი გაგზავნილ მიწერილობაში ისევ აღძრა აფხაზეთში საგლეხო რეფორმის მომზადების საკითხი. აი რას წერდა მაშინ მირსკი:

---

23 იქვე. ფურც. 12; წყაროებიდან არ ჩანს ბარათოვის სიკვდილის მიზეზები, თედო სახოკიას კი ჰგონია, რომ ბარათოვი ლიხნშია დაღუპული (იხ. თედო სახოკია, მოგზაურობანი, თბილისი, 1950 წ., გვ. 310). ჩვენთვის მისაწვდომი საბუთები გამორიცხავს ასეთ რამეს, რადგან ბარათოვი, როგორც ამას თვითონ წერს, 10 ივლისიდან 27 ივლისამდე განუწყვეტლივ იმყოფებოდა მდ. კოდორის მარცხენა ნაპირზე (საქ. ცსსა, ფონდი 416, საქმე 1012, ფურც 9.) და, მაშასადამე, მას არ შეეძლო 26 ივლისს, როდესაც დახოცეს კონიარი და მისი თანმხლებლები, ლიხნში ყოფილიყო.

24 იქვე.

25 იქვე, საქმე 1032, ფურც 10-18.

26 იქვე, საქმე 1012, ფურც. 18-20.

„დამოკიდებულ წოდებათა მომავალი განთავისუფლება აქაურ მხარეში შეადგენს უმთავრეს ამოცანას; ამ საკითხზე ცნობათა შეგროვება და ჩვენების მიცემა გახდა საბაბი, ან მიზეზი აჯანყებისათვის. ყოველმხრივ საჭიროა ეს საქმე გაგრძელდეს, მაგრამ ისეთი წესითა და საშუალებით, რომლებიც საუკეთესოდ იქნება აღიარებული. ამიტომ გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, რაც შეიძლება ჩქარა წარმომიდგინოთ თქვენი მოსაზრება ამ საგანზე, სახელდობრ, რა ცვლილებების შეტანა მიგაჩნიათ საჭიროდ ცნობათა შეგროვების იმ ინსტრუქციაში, რომელიც გადასცა მთიელთა სამმართველომ მივლინებულ მოხელეს (იგულისხმება ჩერეპოვი. — ლ. ძ.)«[27].

1866 წლის 12 ოქტომბერს მთავარი სამმართველოს უფროსმა წერილობით აცნობა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს, რომ მეფისნაცვალს სურს აღადგინოს ცნობათა შეკრება, რაც შეწყვეტილ იქნა აფხაზეთში ამბოხების გამო და ითხოვდა მისგან რჩევას, თუ როგორ შეიძლებოდა დაწყებული საქმის აუცილებლად გაგრძელება, რადგან ცნობათა შეკრების შეჩერებამ აფხაზეთში შეიძლება მავნე ზეგავლენა იქონიოს დაღესტნისა და თერგის ოლქებშიც მსგავსი საქმის მოგვარებაზეო[28].

ამის საპასუხოდ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი მირსკი ამავე წლის 27 ოქტომბერს უგზავნის კავკასიის მთიელთა სამმართველოს უფროსს წერილს, რომელშიაც იგი გამოსთქვამს თავის აზრს ამ საქმეზე. მისი აზრით, ადგილობრივ მცხოვრებთა პირადი და საადგილმამულო უფლებათა შესახებ ცნობების უკეთ მოსაგროვებლად განსაკუთრებული კომისიის შექმნა იყო საჭირო[29].

1866 წლის 3 დეკემბერს კავკასიის მთიელთა სამმართველოს უფროსმა აცნობა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს, რომ გადაწყვეტილია შეიქმნას „სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისია“. ამავე წლის ბოლოს სამმართველომ შეადგინა კომისიის მოქმედების პროგრამა და მისი საშტატო პროექტი[30].

1867 წლის 23 აპრილს კავკასიის არმიის მთავარსარდალმა დაამტკიცა სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის შტატი და დროებითი დებულება[31], რის შესახებაც აცნობა

---

27 საქ. ცსსა, ფონდი 545, საქმე 2784, ფურც. 132-134.
28 იქვე, ფონდი 416. საქმე 399, ფურც. 5.
29 იქვე.
30 იქვე, ფურც. 6.
31 იქვე. ფონდი 231, საქმე 109, ფურც. 2.

პეტერბურგს. რომ ამაზე საბოლოო დასტური მიეღო. იმპერატორმა ალექსანდრე II-მ, კავკასიის მეფისნაცვლის განკარგულება სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის შექმნის შესახებ. 1867 წლის 16 მაისს დაამტკიცა[32].

კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულ იქნა პოდპოლკოვნიკი კრაევიჩი, წევრებად პოდპოლკოვნიკი შრედერი და მაიორი მომბელი.

შემდეგში კომისიის შემადგენლობაში ცვლილებები მოხდა. 1868 წელს პოდპოლკოვნიკ შრედერისა და მაიორ მომბელის მაგივრად წევრებად დანიშნულ იქნენ არტილერიის კაპიტანი შავროვი და ვედენსკი[33].

დროებით დებულების თანახმად კომისიას უნდა შეეკრიბა ცნობები ხალხური ჩვეულების საფუძველზე გამომუშავებული ადგილობრივი მოსახლეობის (სამურზაყანოს მცხოვრებთა გამოკლებით[34]) წოდებრივი და საადგილმამულო უფლებათა შესახებ[35].

ამ დებულებით კომისია სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსს იქვემდებარებოდა. კომისიას ყველა ცნობა, რომელთაც იგი აფხაზეთში არსებულ წოდებრივ და საადგილმამულო ურთიერთობის შესახებ მოაგროვებდა, თავისივე მოსაზრების თან დართვით, სოხუმის განყოფილების უფროსისათვის უნდა წარედგინა; ეს უკანასკნელი კი ვალდებული იყო ყველა მასალა თავისი შენიშვნებითა და დასკვნებით კავკასიის მთიელთა სამმართველოსათვის გაეგზავნა[36].

სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისია მთელი თავისი შემადგენლობით მუშაობას 1867 წლის 3 იელისს შეუდგა.

მეფისნაცვლის დავალებით იგი პირველი ოთხი თვის განმავლობაში ყოფილი მთავრის მიხეილ შარვაშიძის უძრავი ქონების აღწერის დამთავრებაზე მუშაობდა, რაც 1865 წელს გენერალ პონსეს კომისიას დაეწყო. 13 ნოემბრისათვის კომისიამ დაამთავრა აღნიშნული სამუშაო და თავისი მოხსენება

---

32 ცსსა, ლენინგრადი, ფონდი 1268, აღწ. 12, საქმე 74, ფურც 2.

33 საქ. ცსსა, ფონდი 545, საქმე 180, ფურც. 289.

34 თავდაპირველად სამურზაყანოს წოდებრივი და საადგილმამულო საკითხის შესწავლა ევალებოდა ზუგდიდის კომისიას, რომელიც 1865 წელს შეიქმნა. მაგრამ სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის შექმნის შემდეგ სამურზაყანოს შესწავლა ამ უკანასკნელს გადაეცა (ცსსა, ლენინგრადი, ფონდი 1268, აღწ. 12, საქმე 74, ფურც. 20-22).

35 იქვე, ფურც. 29.

36 იქვე, ფურც. 32.

ამის შესახებ სოხუმის განყოფილების უფროსს გადასცა. კომისია ამავე დროის მანძილზე ნაწილობრივად ეწეოდა მოსაშზადებელ მუშაობას წოდებრივი და საადგილმამულო საკითხის შესასწავლად. ხოლო 1867 წლის ნოემბრის ბოლო რიცხვებიდან იგი მთლიანად შეუდგა თავისი უშუალო მოვალეობის შესრულებას[37].

კომისიამ 1867-1869 წლების მანძილზე დიდი მუშაობა ჩატარა და მდიდარი მასალაც შეაგროვა აფხაზეთის წოდებრივი და საადგილმამულო ურთიერთობის შესახებ. მან აღნიშნული მუშაობის შედეგად შეადგინა:

ჩანაწერი სოხუმის განყოფილების დამოკიდებულ წოდებათა შესახებ და მათი განთავისუფლების პროექტი, ჩანაწერი აფხაზეთისა და სამურზაყანოში არსებული საადგილმამულო ურთიერთობის შესახებ, სოხუმის სამხედრო განყოფილებაში წოდებრივ-საადგილმამულო რეფორმის საფუძვლების პროექტი, სოხუმის სამხედრო განყოფილების მოსახლეობის საადგილმამულო წოდებათა უფლებების განსაზღვრის პროექტი და სხვ[38]. თავის მხრივ კომისიის თავმჯდომარემ პოლკოვნიკმა კრაევიჩმა დამატებით წარადგინა „ჩანაწერი წოდებრივ-საადგილმამულო ურთიერთობის შესახებ აფხაზეთსა და სამურზაყანოში[39].

მოხსენებული ერცელი მასალა გადაეგზავნა კავკასიის მთიელთა სამმართველოს, რომელმაც მისი შესწავლისა და დამუშავების საფუძველზე თავის მხრივ შეადგინა: „მოკლე შენიშვნები წოდებრივი და საადგილმამულო ურთიერთობის შესახებ აფხაზეთსა და სამურზაყანოში“ და იგი კომისიის სხვა მასალასთან ერთად შემდგომ განსახილველად გადასცა კავკასიის მთიელი ტომების დამოკიდებულ წოდებათა განთავისუფლების კომიტეტს, რომელსაც მაშინ ქუთაისის ყოფილი გენერალ-გუბერნატორი სვიატოპოლკ-მირსკი ხელმძღვანელობდა.

ვიდრე კომიტეტის მიერ კომისიის პროექტების განხილვას შევეხებოდეთ, საჭიროა მოკლედ მაინც შევჩერდეთ თვით კომისიის დასკვნებზე აფხაზეთში არსებული წოდებრივი და საადგილმამულო ურთიერთობის შესახებ.

როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, კომისიას, მთავრობის სპეციალური დავალების გამო, არ შეეძლო არატენდენ-

---

37 საქ. ცსსა, ფონდი 545, საქმე 180, ფურც. 230-233.
38 იქვე, ფონდი 416, საქმე 399, ფურც. 6-7.
39 იქვე.

ციურად, ობიექტურად ემსჯელა იმ საკითხების გარშემო, რომლებიც უნდა შეესწავლა მას აფხაზეთში საგლეხო რეფორმის გატარებისათვის. სწორედ ამით აიხსნება ის ამბავი, რომ კომისიის ყველა დასკვნასა და პროექტებს ტენდენციურობის აშკარა კვალი ემჩნევა.

სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის დასკვნით, აფხაზეთის საზოგადოებრივ წყობილების საფუძველს წარმოადგენდა ცალკეული კავშირები — თემები (აქითა), რომლებიც მთავრის უძლურებისა და ქვეყნის შიგნით საერთო არეულობის გამო წარმოიშვა და რომელთა უშუალო მოვალეობა იყო თემის მცხოვრებლების უფლებათა დაცვა და საშინაო და საგარეო უშიშროების უზრუნველყოფა. ამ თემებს ჰქონდათ თავისი განსაკუთრებული ორგანიზაცია, რომელიც უძველესი დროიდან მათ წევრთა შორის შექმნილი ურთიერთდამოკიდებულების საფუძველს ეყრდნობოდა. თემთა წევრები იყოფოდნენ მფარველებად(ახილაპშიუ) და შეფარებულებად (ხიფ'ში). ყოველ თემს ჰყავდა თავისი მფარველი. უმაღლესი მფარველი წოდება შედგებოდა თავადებისა და აამსთებისაგან. მფარველი გვარის უმთავრეს მოვალეობას წარმოადგენდა: თემის წევრთა დახმარებით მტრების თავდასხმის უკუგდება, სისხლის აღების მიზნით, მტრის ტერიტორიაზე შეჭრა, ქვეყნის შიგნით დაღვრილი სისხლის ანაზღაურება, მოპარულის დასაბრუნებლად საჭირო ღონისძიებათა მიღება და თემთა კუთვნილი საძოვრების, ტყეებისა და სხვათა დაცვა გარეშე პირთა შეცადებისა და ჩარევისაგან[40].

კომისიის დასკვნით დაბალ — შეფარებულ წოდებას ეკუთვნიან: ანხაიუ (ფიოში), ამაწურაზქუ (მოინალე), ახოუიუ (დელმახორე), ახაშვალა (მოჯალაბე), აზატი. ამათ გარდა, აღმოჩნდა აგრეთვე მოსახლეობის განსაკუთრებული თანრიგი, რომელიც ატარებდა შინაყმის სახელწოდებას[41].

კომისია, ეხება რა დამოკიდებულ წოდებათა პირად განთავისუფლების საკითხს, იმ აზრს გამოთქვამს, რომ დაბალი წოდების ყველა თანრიგი, მიუხედავად პირადი და ქონებრივი თავისუფლებისა, მფარველობისა და დაცვისათვის მაინც უხდიდა მფარველ გვარს გარკვეული სახის გადასახადებს. ამიტომ კომისიას კანონიერად მიაჩნია, რომ დაბალი წოდების ყველა კატეგორიამ თავიანთ მეპატრონეებს გადაუხადოს გამოსასყიდი შემდეგი რაოდენობით:

---

40 საქ. ცსსა, ფონდი 231, საქმე 109, ფურც. 4-5.
41 იქვე.

1. ახაშვალა წლოვანებისა და სქესის მიხედვით იხდის 50-დან 120 მანეთამდე. ის ახაშვალა, რომელიც არ გადაიხდის გამოსასყიდს აქ ნაჩვენები თანხის რაოდენობით, ანდა მფლობელის მიერ არ იქნება ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე განთავისუფლებული, ვალდებულია სავალდებულო დამოკიდებულების 4 წლის განმავლობაში თავისი მებატონისათვის წინანდელ საფუძვლებზე შეასრულოს ყველა სამუშაო, რაც გამოსასყიდის სამაგიეროდ ჩაითვლება[42].

2. ახოუიუს კომლი, იმისდა მიხედვით, თუ რამდენი მუშაჯელისაგან შედგება იგი, გამოსასყიდს იხდის 107-დან 200 მანეთამდე. ახოუიუს იმ კომლმა, რომელიც გამოსასყიდს არ გადაიხდის, ან არ იქნება განთავისუფლებული მებატონესთან ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე, უნდა შეასრულოს ბეგარა-ვალდებულებანი, რომლებიც დებულების პროექტით განსაკუთრებულად იქნება განსაზღვრული[43].

3. ანხაიუს კომლის გამოსასყიდი თანხა გამოიანგარიშება დებულების პროექტით გაუქმებულ ბეგარა-ვალდებულებათა ღირებულებიდან, რომელიც მრავლდება 6-ჯერ, ე. ი. სავალდებულო დამოკიდებულების წელთა რიცხვზე. ამრიგად, გამოანგარიშებული ანხაიუს გამოსასყიდი თანხა 54 მან. და 40 კაპ. აღწევს[44].

4. ამაწურაზქუს (მოინალეს) გამოსასყიდი თანხა განსაზღვრულია 90 მანეთის რაოდენობით[45].

საადგილმამულო ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტის შესახებ კომისია შემდეგ დასკვნამდე მივიდა:

ადგილობრივი მოსახლეობის ჩვეულებრივი გაგებით, დაუმუშავებელი მიწა არ შეიძლება კერძო საკუთრებია საგანს შეადგენდეს: ის მხოლოდ გარკვეული შრომის გაწევის შემდეგ შეიძლება კერძო მფლობელობაში გადავიდეს.

ყველა წოდებისათვის, გამოუკლებლივ, კერძო საკუთრებაში მიწის შეძენის მთავარ საშუალებას წარმოადგენს დაუკავებელი მიწის დაუბრკოლებელი გატეხა (გაწმენდა). პრივილეგიური წოდების პირთა ყოველგვარი ნებართვის გარეშე, ამასთან, მიწის გატეხა როგორც წინათ, ისე ახლაც, დაშვებულია არა მარტო თავის რაიონში, არამედ სხვა თემის ტერიტორიაზედაც. მიწის შეძენის მეორეხარისხოვანი საშუალებაა: მემ-

---

42 საქ. ცსსა, ფონდი 545, საქმე 180, ფურც. 318-374.
43 იქვე.
44 იქვე.
45 იქვე.

ქვიდრეოლა და ყიდვა იმ პირებისაგან, რომლებმაც მიწა ჩვეულებრივი უფლებით კერძო საკუთრებად შეიძინეს[46].

ცოტა უფრო ქვემოთ კომისია დასძენს: „ამრიგად, სოხუმის განყოფილების ყველა მცხოვრებს ერთნაირი უფლება აქვს ისარგებლოს თავისი თემის რაიონში და იალაღებზე ყველა მიწით, რომელნიც არ იმყოფება კერძო პირთა უშუალო მფლობელობაში[47].

აქედან გამომდინარე, კომისიამ საჭიროდ ჩათვალა:

1) გამოუკლებლივ ყველა წოდებას მიეცეს კერძო საკუთრებაში საკარმიდამო, საბაღ-ვენახე და სახნავ-სათესი მიწები.

2) იმ პირთ, რომელთაც თავის ხელქვეითებად ჰყავთ ფიოშები (ანხაიუ), მიეცეთ განსაკუთრებული ნაკვეთი, ფიოშის თითო კომლზე ორ-ორ დესეტინის რაოდენობით.

3) თავადებსა და აამსთებს, რომელთა მაღალი პრივილეგიული წარმოშობა საეჭვო არაა, თითო კომლზე მიეკუთნოს 100 დესეტინა მიწა. შარვაშიძეების საგვარეულოს თითო კომლს მიეზომოს 300 დესეტინა მიწა.

4) ახაშვალას მიეცეს ნაკვეთი სულზე 5 დესეტინის რაოდენობით.

5) სოფლის თემს საზოგადოებრივი მოხმარებისათვის კომლზე გამოეყოს 5-დან 15 დესეტინის რაოდენობით.

6) ყველა დანარჩენი მიწა დარჩეს მთავრობის უშუალო განკარგულებაში.

7) სამრევლო ეკლესიებისა და სასულიერო კრებულთა საჭიროებისათვის გამოიყოს განსაკუთრებული ნაკვეთი[48].

ამრიგად, კომისიამ თავისი მუშაობითა და დასკვნებით საერთო ჯამში სრულიად გაამართლა ის იმედები, რომლებსაც ამყარებდა მასზე მთავრობა. კომისიამ წოდებრივი და საადგილმამულო ურთიერთობის ყველა საკითხი გადაწყვიტა და მოაგვარა მთავრობის მითითების საფუძველზე. კომისიამ უარყო ბატონყმური დამოკიდებულების არსებობა და ფორმალურად არ ცნო ფეოდალების საადგილმამულო უფლებები. მაგრამ ამავე დროს კომისიამ ვერ შეძლო, რაც სრულიად ბუნებრივია, გვერდი აეხვია აფხაზეთის ფეოდალების კლასობრივი ინტერესებისათვის. როგორც ჩვენ ზემოთ ვნახეთ, მთავრობას პირველ ხანებში სურდა აფხაზეთის ფეოდალების გარკვეული ნაწილის ხარჯზე საგლეხო რეფორმის გატარების შედეგად, რაც შეიძლება მეტი მიწის ფართობი დარჩენილიყო ხაზინის

---

46 საქ. ცსსა, ფონდი 416, აღწ. 3, საქმე 1014, ფურც. 1-3.
47 იქვე.
48 იქვე, ფურც. 5-6.

განკარგულებაში[49]. როდესაც კომისია მთავრობის ამ ხაზის გასახორციელებისათვის ნიადაგის მომზადებას შეუდგა, იგი ფეოდალების მტკიცე წინააღმდეგობას წააწყდა. ფეოდალებმა პროტესტი განაცხადეს კომისიის ასეთი აკვიატებული მიმართულების გამო. ბუნებრივია, რომ საბოლოო ჯამში მთავრობასა და კომისიას საერთო ენა უნდა გამოენახათ ადგილობრივ ფეოდალებთან და. მართლაც. ასეც მოხდა.

ამიტომ იყო. რომ კომისიამ, გაითვალისწინა რა ფეოდალების ინტერესები. იშუამდგომლა მთავრობის წინაშე. რათა მან ასარგებლოდ გამოეყოთ „განსაკუთრებული ნადელი". ხოლო დამოკიდებული წოდების პირადი განთავისუფლებისათვის გასათავისუფლებელ პირებს გაეღოთ გამოსასყიდი თანხა დიდი რაოდენობით. როგორც ჩვენ ამას ქვემოთ დავინახავთ, მთავრობამ არამც თუ მიიღო კომისიის მიერ ნავარაუდევი „განსაკუთრებული ნადელის" რაოდენობა, არამედ კიდევ უფრო გაადიდა იგი და ამით მაქსიმალურად დაიცვა აფხაზეთის ფეოდალური კლასის ინტერესები ისე, როგორც ეს ყველგან ხდებოდა ხოლმე რუსეთის იმპერიაში საგლეხო რეფორმის გატარების დროს.

ამასთან ერთად კომისიას კარგად ესმოდა. რომ გლეხობის უმიწაწყლოდ განთავისუფლება თვით სახელმწიფოსათვის არ იყო ხელსაყრელი ორი მოსაზრებით: ერთი მხრით, იმიტომ, რომ უმიწაწყლოდ განთავისუფლებული გლეხობა ვერ იქნებოდა სახელმწიფოს წინაშე გადასახადებისა და სხვადასხვა ვალდებულებათა წესიერი გადამხდელი და შემსრულებელი, და, მეორე მხრით, უმიწაწყლო გლეხობა მთავრობისათვის პოლიტიკურად არასაიმედო ძალას შექმნიდა. რაც ადგილობრივ წყობილებისათვის ყოველთვის საფრთხე იქნებოდა. გარდა ამისა, რეფორმის მომზადების პერიოდში კომისიას არ შეეძლო არ ეზრუნა გლეხობის კეთილგანწყობილებაზე კომისიის მუშაობისადმი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო 1866 წლის იელისის ამბების განმეორება. აი ამიტომ. კომისიას თავისი მუშაობითა და დასკვნებით ისეთი შთაბეჭდილება უნდა შეექმნა, რომ ის თითქოს ძლიერ ზრუნავდა გლეხთა ინტერესების დასაცავად. სწორედ ამ მიზნით კომისიამ გამოაცხადა. რომ გლეხებსა და მემამულეებს ერთნაირი სა-

---

49 მთავრობამ მართლაც მიაღწია იმას, რომ საგლეხო რეფორმის გატარების შედეგად აფხაზეთში მის განკარგულებაში აღმოჩნდა ათეული ათასობით დესეტინა მიწა. მაგრამ ეს მოხდა არა ფეოდალების ინტერესების ხარჯზე, არამედ მშრომელი გლეხობის უმრავლესობის ან სრულიად უმიწოდ დატოვების, ან მინიატურული ნადელების გამოყოფის გაშო.

ადგილმამულო უფლება აქვთო, რომ გლეხობას ყოველგვარი გამოსასყიდია გარეშე რჩება ის სახნავ-სათესი და საბალ-ენახე ნაკვეთი, რომლითაც ის აქამდე სარგებლობდა, და დამატებით თემის მფლობელობაში იქნება საკმაო რაოდენობით მიწა, რომელიც გლეხს საჭირო შემთხვევაში მიეცემაო.

კომისიის ეს განცხადება, თავისთავად ცხადია, გაკვეთილი იყო გლეხთა კლასის მოსატყუებლად. მისი თვალის ასახვევად, თორემ საგლეხო რეფორმა, რომელიც თვით ამ კომისიამ მოამზადა და რომლის დასკვნის საფუძველზეც გატარდა იგი, ფაქტიურად თავიდან ბოლომდე ბატონყმურ ხასიათს ატარებდა და, მაშასადამე, მისი მიზანი იყო არა გლეხობის ინტერესების დაცვა, არამედ, პირიქით, ზრუნვა თავადაზნაურობის კეთილდღეობისათვის.

კომისიის მიერ შემუშავებული პროექტების განხილვა კავკასიის მთიელი ტომების დამოკიდებულ წოდებათა გათავისუფლების კომიტეტში

სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტები უნდა განეხილათ კავკასიის მთიელი ტომების დამოკიდებულ წოდებათა გათავისუფლების კომიტეტში.

1869 წლის 26 სექტემბერს კომიტეტის თავმჯდომარემ სვიატოპოლკ-მირსკიმ შუამდგომლობა აღძრა მეფისნაცვლის ბრძანებით რომანოვის წინაშე. კომისიის მიერ დამოკიდებულ წოდებათა განთავისუფლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის საადგილმამულო მოწყობის შესახებ შემუშავებული პროექტების განსახილველად კომიტეტის ახალი წევრებით გაძლიერების შესახებ. მეფისნაცვალმა, თანახმად სვიატოპოლკ-მირსკის შუამდგომლობისა, კომიტეტის წევრებად დამატებით დანიშნა გ. ბაგრატიონი მუხრან-ბატონი, სენატორი სტარიცკი და გენერალ-მაიორი პონსე. ამრიგად, როდესაც კომიტეტი კომისიის მიერ შემუშავებული პროექტების განხილვას შეუდგა, მას სვიატოპოლკ-მირსკი თავმჯდომარეობდა, ხოლო წევრებად იყვნენ: სენატორები თავადი გიორგი მუხრან-ბატონი და სტარიცკი, გენერლები პონსე, სტაროსელსკი და გეიმანი, თავადი მ. თუმანიშვილი, პოლკოვნიკები პავლოვი და კუტაისოვი და პოდპოლკოვნიკი დუკასოვი. კომიტეტის სხდომებზე მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნა სოხუ-

მის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის თავმჯდომარე პოლკოვნიკი კრაევიჩი.

კომიტეტის სხდომებზე 1869 წლის 9, 10 და 22 ნოემბერს განხილულ იქნა კომისიის მიერ შემუშავებული დებულების პროექტები სოხუმის სამხედრო განყოფილების დამოკიდებული წოდების განთავისუფლებისა და მოსახლეობის საადგილმამულო მოწყობის შესახებ.

რადგანაც ჯერ კიდევ ოქტომბერში კომიტეტის მთელი შემადგენლობა გაეცნო კომისიის მასალებსა და აზრს, ამიტომ სვიატოპოლკ-მირსკიმ სხდომის გახსნისთანავე წინადადება მისცა მის მონაწილეთ, მოესმინათ კავკასიის მთიელთა სამართველოს მიერ შედგენილი მოკლე ჩანაწერი სოხუმის განყოფილების წოდებრივი და საადგილმამულო ურთიერთობის შესახებ, რომელიც კომისიის დასკვნებისა და პროექტების ერთგვარ რეზიუმეს წარმოადგენდა[50]. ამ ჩანაწერის წაკითხვის შემდეგ კომიტეტის წევრთა შორის გაიმართა კამათი. კამათი უმთავრესად აფხაზეთში საადგილმამულო უფლების არსებობას შეეხო, ე. ი. ეკუთვნის თუ არა მიწა მხოლოდ თავადაზნაურობას. ამ საკითხის გარშემო სიტყვა პირველად თავად გიორგი მუხრან-ბატონმა ითხოვა, რომელმაც განაცხადა, რომ როგორც კომისიის მიერ შეგროვილ მასალებიდან ჩანს, სოხუმის განყოფილების საზოგადოებრივი წყობილება არაფრით არ განსხვავდება სამეგრელოს საზოგადოებრივი წყობილებისაგან და, თუ მთავრობამ იქ იცნო მაღალი წოდების საკუთრების უფლება მიწაზე, არავითარი საფუძველი არ არსებობს, რომ ასეთივე უფლება უარეყოთ აფხაზეთსა და სამურზაყანოში[51].

თავადი გიორგი მუხრან-ბატონის შემდეგ სიტყვა გენერალ-მაიორმა გვიმინმა ითხოვა. მან გაილაშქრა თავადი მუხრან-ბატონის ზემოაღნიშნული აზრის წინააღმდეგ და ბრალი დაუჭირა კომისიის დასკვნას იმის შესახებ, რომ სოხუმის განყოფილებაში არ არსებობს ბატონყმობა ჩვეულებრივი გაგებით, რომ დამოკიდებულ წოდებათა ურთიერთობა თავადაზნაურობისადმი მხოლოდ პირადული და არა საადგილმამულო საფუძველზე აღმოცენებული ურთიერთობაა. თუ ჩვენ პრივილეგიური წოდების მიწაზე საკუთრების აღიარებამდე მივალთ, ეს საუკუნეების მანძილზე არსებული მიწით სარგებლობის წესრიგის უბეში დარღვევა იქნებაო[52].

---

50 საქ. ცსსა. ფონდი 416. საქმე 400. ფურც. 3.
51 იქვე, ფურც. 4.
52 იქვე.

კომიტეტის წევრმა გენერალ-მაიორმა პონსემ თქვა, რომ ის პირადად აფხაზეთში ყოფნის დროს, როდესაც კომისია მისი მეთაურობით ყოფილი მთავრის შარვაშიძის მოძრავი და უძრავი ქონების აღწერას ახდენდა, დარწმუნდა იმაში, რომ იქ მართლაც არ არსებობს საკუთრება დაუმუშავებელ მიწაზე. რომ აფხაზეთის მცხოვრებლები კერძო პირთა უფლებას მიწაზე ეხოლოდ იმ შემთხვევაში ცნობენ, თუ მათ მიწის ნაკვეთზე გარკვეული შრომა აქვთ გაწეული, ანდა მიწის ნაკვეთი მათ ბერ ნაყიდია, ან შთამომავლობითაა მიღებული. მიწა, რომელიც არ არის ზემოაღნიშნული წესის მიხედვით შეძენილი, საზოგადოებას ეკუთვნის, ან უკეთ სახელმწიფოს და მისი გამოყენება ჩვეულებისამებრ. საჭიროებისდა მიხედვით შეუძლია ყველას. მართალია, პრივილეგიური წოდების წარმომადგენლები ამ საკითხზე აფხაზეთამდე მიღწეული რუსული საადგილმამულო უფლების ცნების ზეგავლენით პრეტენზიას აცხადებენ თემის მიწის საკუთრებაზე, მაგრამ მათ ასეთი პრეტენზიის გასამართლებლად ვერ შესძლეს წარედგინათ რაიმე საბუთი; ამიტომ მათი განცხადება სრულიად უსაფუძვლოა და არც არის ჩვენი ყურადღების ღირსი[53].

პონსესა და გეიმანის აზრს მტკიცედ დაუჭირა მხარი კავკასიის მთიელთა სამმართველოს უფროსმა გენერალ-მაიორმა სტაროსელსკიმ. მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთ ძლიერ საბუთად სოხუმის განყოფილებაში პრივილეგიური წოდების საადგილმამულო უფლების არ არსებობის დასამტკიცებლად ის ფაქტიც გამოდგება, რომ. როგორც კი აღძრულ იქნა მოსახლეობის წოდებრივი და საადგილმამულო ურთიერთობის გამორკვევის საკითხი, ერთსა და იმავე მიწაზე, არამცთუ განაპირა მხარეში. არამედ მთელ რაიონებზეც კი რამდენიმე პრეტენდენტი გამოჩნდა. მან ამ თავისი დებულების დასამტკიცებლად მოიყვანა მთელი რიგი მაგალითი. ერთგან მან აღნიშნა ყოფილი მთავრის ნემკვიდრეობის სახელით გაკეთებული განცხადების შესახებ. რომ დაუმუშავებელი მიწა და ტყეები გამოუკლებლივ მხოლოდ მთავრის საკუთრებას წარმოადგენდაო, მაშინ როდესაც ამ მიწისა და ტყეების ნაწილზე პრეტენზია გიორგი დიმიტრისძე შარვაშიძემაც განაცხადაო[54].

სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის თავმჯდომარემ კრაევიჩმა, მიუთითა რა კომისიის მიერ შეგროვილ ფაქტებზე, განაცხადა, რომ უხსოვარი დროიდან არსებული ჩვეუ-

---

53 საქ. ცსსა. ფონდი 416, საქმე 400, ფურც. 3.
54 იქვე.

ლებით სოხუმის განყოფილებაში ყველა დამუშავებული მიწა. ე. ი. საკარმიდამო, საბაღე და სახნავ-სათესი წარმოადგენდა და წარმოადგენს წოდებისდა მიუხედავად იმ პირთა სრულ საკუთრებას, რომლებმაც ის, ჩვეულებრივი გზით — ტყის გაჩეხვით, დამუშავებით, შესყიდვითა და შთამომავლობით შეიძინესო. გატეხილი და დამუშავებული მიწების გარდა, მთელი მოსახლეობა თავისუფლად სარგებლობდა ავრეთვე საბალახო ადგილებითა და ტყეებით მოთხოვნილებისამებრ თავის თემის რაიონში, სრულიად უფასოდ. მაღალ წოდებასთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე. ბეგარა-გადასახადები, რომლებსაც იხდიდა დამოკიდებული წოდება პრივილეგიური წოდების სასარგებლოდ, მხოლოდ პირადული იყო და არა მიწის სარგებლობით გამოწვეული.

დასასრულ, კრაევიჩმა ხაზი გაუსვა იმ მდგომარეობას, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაიგივება აფხაზეთისა და სამურზაყანოს საზოგადოებრივი წყობილების ენგურის იქეთა მხარეა, სამეგრელოს წყობილებასთან. სადაც, მართლაც, არსებობდა ჩვეულებრივი ბატონყმური ურთიერთობა მთელი თავისი დამახასიათებელი თავისებურებითო[55].

კომიტეტის წევრს მიხეილ თუმანიშვილს ამ საკითხის გარშემო კამათში მონაწილეობა არ მიუღია და არ გამოუთქვამს თავისი აზრი, მაგრამ მისი შეხედულება საადგილმამულო უფლების არსებობის საკითხის შესახებ ნათლად ჩანს მისი შენიშვნებიდან, რომელნიც მას თავისი ხელით გაუკეთებია სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის მიერ ზემოაღნიშნულ საკითხზე შედგენილი მასალების გაცნობის დროს. ამ შენიშვნებიდან ცხადი ხდება, რომ თუმანიშვილი მთლიანად იზიარებდა თავად გიორგი მუხრან-ბატონის აზრს იმის შესახებ, რომ აფხაზეთში ისეთივე წოდებრივ-საადგილმამულო უფლება არსებობდა, როგორიც საქართველოს სხვა ნაწილში იყო[56].

კომიტეტის ზემოაღნიშნული წევრების შემდეგ შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა სვიატოპოლკ-მირსკი. რომელმაც მთლიანად გაიზიარა .გეიმანის, პონსეს, სტაროსელსკისა და კრაევიჩის აზრი. გიორგი მუხრან-ბატონი იძულებული შეიქნა დაეთმო ამ საკითხში თავისი პოზიცია. ამრიგად, საბოლოოდ, კომიტეტმა ერთხმად გამოთქვა აზრი, რომ ყველა მიწა, რომე-

---

55 საქ. ცსსა. ფონდი 416, საქმე 400, ფურც. 4-5.

56 საქართველოს სსრ ცენტრალური მეზეუმი, განყ. 4, მ. თუმანიშვილის ფონდი, №-473.

ლიც აქამდე ჩვეულებისამებრ, წოდებისდა მიუხედავად, მცხოვრებთა კერძო საკუთრებას შეადგენდა, მათვე დაუმტკიცდეს კანონით, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე და დამატებით თითოეულ თემს გამოეყოს საერთო სარგებლობისათვის მიწის გარკვეული ნაწილი, აუცილებელი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად[57].

ამის შემდეგ, კომიტეტის წევრების წინაშე წამოიჭრა საკითხი, თუ ვის განყარგულებაში უნდა დარჩენილიყო ის მიწა, რომელიც გადარჩენილ ულ პირთათვის და თემის სარგებლობისათვის, ზემოაღნიშნული წესის მხედვით, გამოყოფილი ფართობის შემდეგ.

V კომიტეტის წევრთა უმრავლესობამ სამართლიანად ცნო სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის მიერ წარდგენილი აზრი განყოფილების მცხოვრებთა საადგილმამულო მოწყობის შესახებ, რომლის თანახმად, დამოკიდებული წოდების პირთა მიწით უზრუნველყოფის შემდეგ გადარჩენილი მიწა ხაზინის განკარგულებაში უნდა დარჩენილიყო, რათა მთავრობას შეძლება ჰქონოდა თავადაზნაურობის სათანადო მიწის ნაკვეთებით დაკმაყოფილებისა, მისი პრივილეგიების მიხედვით[58].

V კომიტეტის წევრებმა — პონსემ, თავადმა გიორგი მუხრან-ბატონმა და მიხეილ თუმანიშვილმა ამ საკითხის გარშემო „განსაკუთრებული აზრი" გამოთქვეს. პონსემ განაცხადა, რომ მას არ მიაჩნია სამართლიანად აფხაზეთსა და სამურზაყანოს უმაღლესი წოდებისათვის მიწის განსაკუთრებული ნადელების გამოყოფა, ვინაიდან მას აქამდე არავითარი უპირატესობანი არა ჰქონია მიწის სარგებლობის საკითხში სხვა წოდებასთან შედარებით[59].

გიორგი მუხრან-ბატონმა და მიხეილ თუმანიშვილმა წინადადება შეიტანეს, რომ ყველა მიწა, რომელიც დარჩება თავისუფლად თემის რაიონში გლეხებისათვის დადგენილი რაოდენობით გამოყოფის შემდეგ, თავადაზნაურობის უდავო საკუთრებად იქნეს ცნობილი[60].

გიორგი მუხრან-ბატონისა და მიხეილ თუმანიშვილის წინადადების წინააღმდეგ გაილაშქრნენ სტაროსელსკი და სენატორი სტარიცკი. მათ ის აზრი გამოთქვეს, რომ ყველა „თავისუფალი" მიწა მთავრობის უშუალო განკარგულებაში დარ-

---

57 საქ. ცსსა, ფონდი 416, საქმე 400, ფურც. 5.
58 იქვე, ფურც. 6.
59 იქვე.
60 იქვე.

ჩენილიყო, რათა მას შესაძლებლობა მისცემოდა თავისი მიხედულებისამებრ გამოეყო მიწა პრივილეგიური წოდების თითოეული გვარის უზრუნველსაყოფად[61].

აქრიგად, კომიტეტის პირველ სამ სხდომაზე გაიმართა კამათი მოსახლეობის საადგილმამულო მოწყობის საკითხის გარშემო. რუს მოხელეებს, მთავრობის ამ ოფიციალურ წარმომადგენლებს, საგლეხო რეფორმის გატარება აფხაზეთში სახელმწიფო ინტერესების მაქსიმალური დაცვით სურდათ. თქმული არ ნიშნავს იმას, რომ მთავრობა სრულიად ივიწყებდა და უგულებელყოფდა აფხაზეთის თავადაზნაურობის ინტერესებს. როგორც ცნობილია, მეფის მთავრობა საბოლოო ჯამში ყველგან და ყოველთვის პრივილეგიური კლასის ინტერესების დამცველად გამოდიოდა, რადგან თვით იგი ამ კლასის წარმომადგენელი იყო. ცხადია, მას თავისი კლასობრივი ბუნებით არ შეეძლო სხვანაირად მოპყრობოდა ადგილობრივ გაბატონებულ წოდებას. მართლაც, თუ რაიმე სხვაგვარობას ჰქონდა ამ მხრივ ადგილი, ეს იყო ადგილობრივი თავადაზნაურობის მხოლოდ იმ გარკვეული ნაწილის მიმართ, რომელიც ოპოზიციაში ედგა ცარიზმს. სწორედ ამიტომ იყო, რომ კომიტეტის სხდომებზე მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები მოითხოვდნენ ე. წ. „თავისუფალი" მიწის მთლიანად მთავრობის განკარგულებაში გადაცემას და შემდეგ კი მის განაწილებას თავადაზნაურობისათვის, მხოლოდ მთავრობის გადაწყვეტილებით. ეს იმას ნიშნავდა, რომ მთავრობა მიწას საკმაო რაოდენობით თავადაზნაურობის იმ ნაწილს მისცემდა, რომელიც მისი ერთგული და დასაყრდენი იქნებოდა. მაშასადამე, დაისჯებოდა და უმიწოდ დარჩებოდა მხოლოდ ცარიზმის ურჩი ნაწილი.

გარდა ამისა, მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენლებს, გლეხთა შეუპოვარი მღელვარებითა და აჯანყებებით შეშინებულებს, ისეთი შთაბეჭდილება სურდათ შეექმნათ, რომ თითქოსდა ისინი გლეხობაზე ძლიერ ზრუნავდნენ და რეფორმასაც მათი ინტერესების დაცვით ატარებდნენ. ამიტომ იყო, რომ, როგორც კომისიის პროექტებში, ისე კომიტეტის სხდომებზე ოფიციალურად იყო თქმული. გლეხობას რჩება საკუთრებაში ის მიწა, რომელიც აქამდე მის ფაქტიურ სარგებლობაში იყო და დამატებით გამოეყოფა თემის საერთო სარგებლობისათვის მიწის გარკვეული რაოდენობა. ისიც კია საგულისხმო, რომ მთავრობას არ შეეძლო გლეხობა სრულიად უმიწაწყლოდ

---

61 საქ. ცსსა. ფონდი 416. საქმე 400. ფურც. 6

დაეტოვებინა, რადგან ამას კარნახობდა საგადასახადო სისტემა და სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესები.

ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ განცხადება გლეხობის მიწით უზრუნველყოფის შესახებ მხოლოდ განცხადებად დარჩა. ასე რომ იგი რეფორმის შედეგად ოდნავადაც არ ყოფილა აკმაყოფილებული მიწით.

კომიტეტის წევრებმა — ქართველმა თავადებმა გიორგი ერუხანოვ-ბატონმა და მიხეილ თუმანიშვილმა, როგორც თავადაზნაურობის ინტერესების დამცველებმა, საერთოდ, და კერძოდ, საგლეხო რეფორმის გატარების საქმეში, უაღრესად რეაქციული ხაზის გამტარებლებმა, სცადეს კომიტეტის სხდომებზე აფხაზეთში საგლეხო რეფორმის ბედი გადაეწყვიტათ ადგილობრივი თავადაზნაურობის ინტერესების მაქსიმალური დაცვით. ამიტომ იყო, რომ ისინი მტკიცედ მოითხოვდნენ რეფორმის გატარებას აფხაზეთში ისეთსავე პირობებში, როგორც ეს სამეგრელოში, ან საქართველოს სხვა კუთხეში მოხდა. ისინი მოითხოვდნენ ე. წ. „თავისუფალი" მიწის მთლიანად თავადაზნაურობისათვის გადაცემას.

1869 წლის 22 ნოემბერს კომიტეტმა დაადგინა, რომ კომისიის მონაცემების საფუძველზე და კომიტეტის სხდომებზე გაკეთებული შენიშვნების გათვალისწინებით, კავკასიის მთიელთა სამმართველოს შეემუშავებინა და წარედგინა დასამტკიცებლად, კანონმდებლობის წესით, საგლეხო რეფორმის ძირითადი საწყისების პროექტი.

მთიელთა სამმართველომ ორი თვის მუშაობის შედეგად შეიმუშავა აღნიშნული პროექტი და წარუდგინა იგი კომიტეტს. 1870 წლის 23 იანვარსა და 2 და 4 თებერვალს სხდომები ამ პროექტის განხილვას მიეძღვნა. სხდომებზე, აღნიშნულ პროექტში, თანახმად კომიტეტის წევრების შენიშვნებისა, შეტანილ იქნა რიგი შესწორებანი, მაგრამ მისი საბოლოო რედაქციისაგან კომიტეტმა თავი შეიკავა მანამდე, სანამ კომიტეტის მიერ თბილისში არ იქნებოდნენ გამოძახებულნი და დაკითხულნი სოხუმის განყოფილების მოსახლეობის დეპუტატები[62].

აფხაზეთის თავადაზნაურობამ კარგად იცოდა, თუ როგორი გეზი ჰქონდა აღებული თავიდანვე სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიას საგლეხო რეფორმის მომზადების საქმეში. აფხაზეთის გაბატონებული წოდება მეტად უკმაყოფილო იყო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტებით და ამიტომ

---

62 საქ. ცსსა. ფონდი 416. აღწ. 3. საქმე 1014, ფურც 6-7.

იგი ყოველივე ხერხს ხმარობდა იმისათვის, რომ ზემდგომ ორგანოებში მაინც ეცადა. მაგრამ ისეთი ბესწორებანი შეეტანა, რომლებიც მაქსიმალურად გაითვალისწინებდა მის კლასობრივ ინტერესებს და საერთოდ საგლეხო რეფორმის გატარების საქმეს მთლიანად მის სასარგებლოდ წაიყვანდა. ამიტომ, ჯერ კიდევ მანამ, სანამ კომისია აფხაზეთის წოდებრივ და საადგილმამულო ურთიერთობის შესახებ თავის საბოლოო დასკვნას გამოიტანდა, თავადაზნაურობის წარმომადგენლებმა კომისიას წარუდგინეს მოხსენებითი ბარათი თავადებისა და აამსთების უფლებათა შესახებ, სადაც თავგამოდებით ამტკიცებდნენ აფხაზეთში ისეთივე ბატონყმური ურთიერთობის არსებობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სხვა მხარეებშიაც[63]. როდესაც კომისიამ საგლეხო რეფორმის მთელი საქმე კავკასიის მთიელთა სამმართველოს მეშვეობით კომიტეტს განსახილველად გადასცა, თავადაზნაურობამ დაბეჯითებით მოითხოვა თბილისში საქმის განხილვისას მოესმინათ მისი წარმომადგენლებისათვის, რადგან კომისია, მისი აზრით, მას მიკერძოებით მოეპყრო და უგულებელყო მისი ინტერესები. მთავრობამ ანგარიში გაუწია თავადაზნაურობის თხოვნას და თბილისში გამოიწვიეს აფხაზეთის გაბატონებული კლასის დეპუტატები[64]. პრივილეგიური წოდების დეპუტატებთან ერთად გამოძახებულ იქნენ აგრეთვე გლეხობის დეპუტატებიც, რადგან ფრთხილობდნენ, რომ გლეხობაში მღელვარება არ მომხდარიყო და არ გამეორებულიყო 1866 წელი. კავკასიის ადმინისტრაციას კარგად ახსოვდა, რომ 1866 წლის 26 ივლისს ბზიფის ოლქის გლეხთა ერთ-ერთი მოთხოვნა იყო, რომ ნება დაერთოთ მათი დეპუტატებისათვის გამგზავრებულიყვნენ თბილისში, მეფისნაცვალთან მოსალოდნელი რეფორმის ნაწილი არსის გასაგებად და, როდესაც სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსმა უხეშად უარყო, სხვასთან ერთად, გლეხების ეს მოთხოვნაც, მაშინ სწორედ ის ამბავი დატრიალდა, რომელიც ოფიციალურ საბუთებში „ლიხნის კატასტროფით“ არის ცნობილი და სწორედ იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი

---

63 საქ. ცსსა, ფონდი 57, საქმე 5, ფურც. 165-179.

64 თავადაზნაურობის დეპუტატებად იყვნენ თავადები: გრიგოლ შარკაშიძე, ბათუ ემუხვარი, კონსტანტინე ინალიფა, მისოსტ მარშანია და აზნაური ტიტ მარღანია (იქვე, ფონდი 416, აღწ. 3, საქმე 1014, ფ. 30-33).

ულიამოვნება. თბილისში გამოუცხადეს ანხაიუს წარმომადგენლება[65].

დეპუტატების დაკითხვა კომიტეტის სხდომაზე მოხდა 1870 წლის 28 თებერვალს. კომიტეტის დავალებით კავკასიის მთიელთა სამმართველოს უფროსმა სტაროსელსკიმ დამატებით აწარმოა დეპუტატების ცალკე დაწვრილებითი დაკითხვა, რის შედეგად მან შეადგინა „ჩანაწერი სოხუმის განყოფილების მოსახლეობა დეპუტატების დაკითხვის შედეგების შესახებ ამ მოსახლეობის წოდებრივ-საადგილმამულო ურთიერთობის საკითხზე"[66].

ამ „ჩანაწერი"-დან და კომიტეტის სხდომების მასალებიდან ჩანს, რომ ანხაიუსა და პრივილეგიური წოდების დეპუტატებს შორის არსებითად გაგრძელებულა ის ბრძოლა, რომელიც მანამდე, ე. ი. სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის მუშაობის პერიოდში, წარმოებდა გლეხებსა და თავადაზნაურობას შორის.

ანხაიუს დეპუტატებმა უკმაყოფილება გამოთქვეს იმის შესახებ, რომ „მათ აიძულებენ გადაიხადონ თავიანთი თავისუფლებისათვის"[67]. თავადაზნაურობის დეპუტატები კი პირიქით, არ ზოგავდნენ არაფერს იმისათვის, რომ დაემტკიცებინათ ბატონის სრული უფლება გლეხებზე და საკუთრება — მიწაზე. მათ ამ თავიანთი განცხადების დასასაბუთებლად მრავალი მაგალითი მოიყვანეს როგორც მიწის ყიდვა-გაყიდვის, ისე ანხაიუს მიწიანად, ან უმიწოდ გაყიდვა-გასაჩუქრების შესახებ[68]. თავის მხრივ ანხაიუს დეპუტატებმაც მოიყვანეს მაგალითები გლეხების მიერ მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ იმის დასადასტურებლად, რომ მიწა, რომელსაც გლეხი ამუშავებდა, მის საკუთრებას წარმოადგენდა[69]. მთიელთა სამმართველოს უფროსმა გენერალ-მაიორმა სტაროსელსკიმ, რომელმაც დეპუტატების დაკითხვას 10 დღეზე მეტი დრო მოანდომა, დაწვრილებით განიხილა დეპუტატების მიერ მოყვანილი მაგალითები. სტაროსელსკიმ გლეხების დეპუტატებს მოსთხოვა აეხსნათ, უარეყოთ, ან დაედასტურებინათ თავადაზნაურობის დეპუტატების მიერ გლეხთა გაყიდვის თითოეული შემთხვევა. ადსანიშნავია, რომ ანხაიუს დეპუტატებმა ვერ შესძლეს გლეხების გაყიდვის ვერც ერთი შემ-

---

65 საქ. ცსსა, ფონდი 416, აღწ. 3, საქმე 1014, ფურც. 30-33.
66 იქვე.
67 იქვე.
68 იქვე, ფურც. 34-37.
69 იქვე, საქმე 1017, ფურც. 40-47.

ფრთხილების საბუთიანი უარყოფა. მათ განაცხადეს, რომ ზოგიერთი შემთხვევა თავადაზნაურობის დეპუტატების მიერ მოყვანილი მაგალითებიდან არ ახსოვთ, ან არ იციან, სოლო ზოგს მართლაც ჰქონდა ადგილი, რადგან მებატონეს შეეძლო გაეყიდა, ან გაესაჩუქრებინა გლეხი იმ შემთხვევაში, თუ იგი განაცხადებდა ამაზე სურვილს, ან დავალიანებული იქნებოდა, ან კიდევ დაჯარიმებული ქურდობის, ან სხვა უწესო საქციელის გამო; დანარჩენ შემთხვევაში გლეხი შესაძლოა გაყიდულიყო მხოლოდ მებატონის ძალდატანების შედეგად[70]. თავის მხრივ, თავადაზნაურობის დეპუტატებმაც ვერ უარყვეს გლეხების მიერ მიწის ყიდვა-გაყიდვის ფაქტები. მაგრამ ეს იმით ახსნეს, რომ ასეთ შემთხვევაში გლეხებს ნებართვა უნდა ჰქონოდათ თავიანთი მებატონეებისაგან[71].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტაროსელსკიმ დეპუტატების დაკითხვის შემდეგ კომიტეტისათვის შეადგინა „ჩანაწერი", რომელშიაც იგი ცდილობდა დაერწმუნებინა კომიტეტი თავადაზნაურობის წარმომადგენლების ჩვენების არა სისწორეში, არა ობიექტურობაში, რათა ამით კიდევ უფრო მეტი ფორმალური საფუძველი მისცემოდა მთავრობას ბატონყმობის ინსტიტუტის უარსაყოფად აფხაზეთში. მაგრამ ამავე დროს სტაროსელსკი თანაგრძნობით გამოეხმაურა ფეოდალების წარმომადგენლების განცხადებას, რომელშიც, სტაროსელსკის აზრით, მათ თავიანთი სწრაფვის საბოლოო მიზანი დასახეს. დეპუტატებს განუცხადებიათ, რომ „სად და როგორი მიწის ნაკვეთიც არ უნდა გამოუყოს მათ მთავრობამ, თუ დაბალი წოდება მიწით სავსებით იქნება უზრუნველყოფილი, მაშინ მათი, უმაღლესი წოდების, მდგომარეობა დიდი ხნის განმავლობაში ფრიად შეეიწროებული იქნება, რადგან ეს მიწები მუშებისა და მოიჯარადრეების გარეშე დარჩება. თვით ისინი მუშაობას არ არიან ჩვეულნი, ხოლო ფულადი სახსრები სხვისი ხელით მიწის დასამუშავებლად მათ არ აქვთ"[72]. დეპუტატების ამ გულახდილ განცხადებას სტაროსელსკი თანაგრძნობით შემდეგ შენიშვნას უკეთებს. „ამაში, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ დავინახოთ სიმართლის მნიშვნელოვანი ნაწილი"[73].

---

70 საქ. ცსსა, ფონდი 416, აღწ. 3, საქმე 1017, ფურც. 40-47.

71 საქართველოს სსრ ც. მ. განყ. 4, მ. თუმანიშვილის პირადი ფონდი, № 473.

72 საქ. ცსსა, ფონდი 416, აღწ. 3, საქმე 1014, ფურც. 30-33.

73 იქვე.

ჩანს, დეპუტატების ზემოაღნიშნული სიტყვები ღრმად ჩაძ-ფვდარა მეფის ამ მახვილი მოხელის გულში, რაც ადვილი მისა-ხვედრია და არ საჭიროებს ახსნა-განმარტებას.

1870 წლის 23 მარტს, თავის მხრივ, აფხაზეთის თავადაზ-ნაურობის დეპუტატებმა კომიტეტის თავმჯდომარეს (სეიატო-პოლკ-მირსკის) წარუდგინეს ვრცელი მოხსენებითი ბარათი[74], რომელშიც დაწვრილებით აღწერენ თავიანთ შეხედულებას აფხაზეთში არსებული წოდებრივი და საადგილმამულო ურთი-ერთობის შესახებ. ეს მოხსენებითი ბარათი საკმაოდ საინტე-რესო დოკუმენტია და ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩ-ნია, მოკლედ მაინც შევჩერდეთ მის შინაარსზე. დეპუტატები თავგამოდებით ამტკიცებენ, რომ აფხაზეთი უძველესი დროი-დან საქართველოს ორგანულ ნაწილს შეადგენდა, რომ მას სრულიად ისეთივე საზოგადოებრივი წყობილება ჰქონდა, რო-გორიც არსებობდა საქართველოს სხვა ოლქებში და ამიტომ, მათი აზრით, აქ განსხვავებული ხასიათის საგლეხო რეფორმის გატარება არაფრით არ იქნება გამართლებული.

ძველთაგანვე აფხაზეთი საქართველოს ყოფილ სამეფოს ნაწილს შეადგენდა. საქართველოს მეფენი არასოდეს არ გამო-რიცხავდნენ აფხაზეთს დიდი ქართული ოჯახიდან და როგორც სამეფოს დაყოფამდე, ისე მის შემდეგაც თავისი არსებობის უკანასკნელ დრომდე ქართლელების, აფხაზების, იმერლებისა და კახელების მეფეების ტიტულს ატარებდნენ. როდესაც გასუ-ლი საუკუნის დასაწყისში ვახტანგ VI-მ გადაწყვიტა კანონთა გა-ნოცემა და როდესაც ამ საქმისათვის მან საქართველოს ყოფილ სამეფოს პროვინციებიდან დეპუტატებს გამოუძახა, მათ შორის აფხაზეთიდანაც იყვნენ წარმომადგენლები. ცნობილია, რომ აფხაზეთში უკანასკნელ დრომდე შემორჩენილია უძველესი ქართული ჩვეულებანი. არანაკლებ მნიშვნელოვან მოწმედ ითვლისა, რომ აფხაზეთი საქართველოს ეკუთვნის, ქრისტიანული ტაძრების გარდა, გამოდგება სხვადასხვა საერო და სამხედრო ნაგებობათა ნანგრევები, როგორიცაა: პსირცხის კოშკები, ბე-ლასურის ქვის კედელი, ციხე-დარბაზები სოფელ იაშტუბა-ში, ოცარცეში და სხვა მრავალი.

ყურადღების ღირსია ისიც, როგორც ძველ დროში, ისე ახლაც, ტანისამოსი, საჭმელი, სამიწათმოქმედო იარაღები, სოფლის მეურნეობის წარმოების საშუალებანი აფხაზეთში სავსებით ისეთივეა, როგორც სამეგრელოში. მხოლოდ ერთ რა-

---

74 საქ. ცსსა. ფონდი 416. აღწ. 3. საქმე 1014. ფურც. 38-45.

მეს შეუძლია ბოგვცეს საბაბი იმისა, რომ აფხაზეთი საქართველოდან დაშორებულად ეცნოთ—ეს არის ენა; განსხვავება ენებში არ ნიშნავს განსხვავებას კანონებსა და ჩვეულებებში. ჩვენ ვერ ვიტყვით იმას, რომ ჩვენში ოდესმე ოფიციალურად შემოღებული ყოფილიყო ვახტანგ მეფის კანონები, მაგრამ თვით ეს კანონები წარმოადგენენ მხოლოდ სისტემატიზირებულ, წერილობით ფორმას იმ ჩვეულებებისა, რომლებიც საერთო იყო როგორც ჩვენთვის, ისე მთელი საქართველოსათვის. ყველაფერი ზემოთ გადმოცემულის შემდეგ, ადვილი შესამჩნევია, რომ აფხაზეთში არ შეიძლებოდა სხვა სამოქალაქო წყობილება ყოფილიყო გარდა იმისა, რომელიც ყოველთვის არსებობდა სხვა ქრისტიანულ ამიერკავკასიაში. ამიტომ ჩვენი წოდებრივი და საადგილმამულო უფლებები ისეთივე იყო, როგორიც აღმოსავლეთ საქართველოში, სამეგრელოში, იმერეთსა და გურიაში, სრულიად უმნიშვნელო თავისებურებებით, რომლებიც გამოწვეული იყო წმინდა ეკონომიური პირობებით და რომლებიც არ აღემატებოდა იმ ახვაობას, რომელიც არსებობდა საქართველოს სხვა დანარჩენ ოლქებს შორის, როგორც, მაგალითად, ქართლსა და იმერეთს შორის. ეს სხვაობა შეიძლება მხოლოდ ზოგიერთ წვრილმანებს ეხებოდეს, მაგრამ საერთოდ სრულიად არ არღვევს აფხაზეთის სრულ მსგავსებას სხვა ოლქებთან, რომლებიც ქართველ მეფეთა სამფლობელოების შემადგენლობაში შედიოდნენ[75].

✓ მოხსენებით ბარათში აგრეთვე დაწვრილებითაა მოთხრობილი აფხაზეთის მოსახლეობის წოდებრივ დაყოფასა და წოდებათა საადგილმამულო და პოლიტიკურ უფლებებზე. დეპუტატები თავგამოდებით ამტკიცებენ, რომ აფხაზეთის გლეხობა არასოდეს არ ყოფილა თავისუფალი, რომ გლეხი[76] მთლიანად ეკუთვნოდა და ეკუთვნის ახლაც თავის მემამულეს, რომ ამ უკანასკნელს სრული უფლება აქვს გაყიდოს იგი მიწიანად და უმიწოდაც, ან გაასაჩუქროს კიდეც. გლეხები თავის მოვალეობას მემამულის წინაშე ღალისა და ბეგარის სახით იხდიდნენ. აქვე მოცემულია დაწვრილებითი ჩამოთვლა, თუ რა და რა სა-

---

75 საქ. ცსსა, ფონდი 416, აღწ 3, საქმე 1014, ფურც. 38-45.

76 საკვირველია აღინიშნოს, რომ სიტყვა გლეხში — დეპუტატები გულისხმობენ მხოლოდ ანხაიუს, ხოლო დანარჩენ გლეხთა კატეგორიებს არც კი ხდიან ღირსად იწოდებოდნენ გლეხებად. მათი მტკიცებით ახაშვალა და ახოუიუ ნამდვილი მონებია, ხოლო ამაწურაზჭე ნახევრად მონა, ნახევრად გლეხი (იქვე).

ხის სამუშაოებისაგან შედგება ბეგარა და რა იგულისხმება ღალის ქვეშ.[77]

დეპუტატები არ ზოგავდნენ მჭევრმეტყველებას, რომ დაემტკიცებინათ აფხაზეთის თავადაზნაურთა სრული მესაკუთრის უფლება მიწაზე. „აფხაზეთში რუსული მმართველობის შემოღების დროიდან და ვანსაკუთრებით სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის დაწესების დღიდან გლეხებმა დაიწყეს ლაპარაკი, რომ თითქოსდა მთელი მიწა ეკუთვნის არა მემამულეებს, არამედ მათ, გლეხებს. იმის საფუძველზე, რომ გლეხები მიწაზე დასახლდნენ უწინ, ხოლო მემამულეები გაჩნდნენ უფრო გვიან და მხოლოდ თავისი ძალის გამოყენებით აიძულეს გლეხები ემსახურათ მათთვის და მთელი მიწა ხელთ იგდეს. მაგრამ გლეხების ასეთ ჩვენებას არა აქვს არავითარი წონიშვნელობა უკვე იმითაც, რომ მთელს ქვეყანაზე თავიდანვე იყვნენ ყველანი — გლეხები ან თავისუფალი აზატიანები, ხოლო მემამულეები გაჩნდნენ გაცილებით გვიან. როგორი გზითაც არ უნდა წარმოშობილიყვნენ მემამულეები და რა დროსაც არ უნდა გაჩენილიყვნენ ისინი, გლეხებს არ შეუძლიათ უარყონ აფხაზეთში უხსოვარი დროიდან მემამულეების არსებობის ფაქტი ყველა იმ უფლებით, რომლებიც არსებობენ ახლაც. თუ ეს ფაქტი თავიდანვე ძალადობის შედეგი იყო, მაშინ ის სხვა ქვეყანაშიც ძალადობა ყოფილა და ეს ძალადობა ისტორიული ხანდაზმულობით გადაიქცა უფლებად, რომელიც აღიარებულია მთავრობის მიერ არა მარტო საქართველოში. სადაც ის, ისე როგორც აფხაზეთში, არსებობდა ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე. არამედ რუსეთშიც, სადაც ბატონყმობა წარმოიშვა გაცილებით უფრო გვიან. ამრიგად, გლეხებსა და მიწის მფლობელობაზე მემამულეთა უფლება, საუკუნეებით დადგენილი და მთავრობის მიერ ცნობილი იმპერიის სხვა ნაწილში, არ შეიძლება სამართლიანობის მიხედვით უარყოფილ იქნეს აფხაზეთში“[78].

დასასრულ, დეპუტატები ამ თავისი ვრცელი ბარათის ბოლოს გამოთქვამენ იმედს, რომ თვით სვიატოპოლკ-მირსკი და კომიტეტის წევრები ყურადღების გარეშე არ დატოვებენ თავადაზნაურობის საჭირბოროტო საკითხებს და რომ საგლეხო რეფორმა აფხაზეთსა და სამურზაყანოში ისეთივე პირობებში გატარდება, როგორც საქართველოს ყოფილ სამეფოს სხვა ნაწილებში[79].

---

77. საქ. ცსსა. ფონდი 416, აღწ. 3, საქმე 1014, ფურც. 38-45.
78 იქვე.
79 იქვე, ფურც. 45.

თავადაზნაურთა დეპუტატები არ შემცდარან, მათი თხოვნა საბოლოო ჯამში მიღებულ და შეწყნარებულ იქნა კომიტეტის მიერ, მიუხედავად იმისა, რომ მის უმრავლესობას სურდა თავისი კოლონიური მიზნის უკეთ განხორციელებისათვის თავიდანვე აფხაზეთის მთელი მიწის მასივი ხელმწიფეს დარჩენოდა.

აფხაზეთის თავადაზნაურობის დეპუტატების დაწვრილებითი დაკითხვისა და მათი მოხსენებითი ბარათის გარჩევის შემდეგ კომიტეტმა ხელახლა განიხილა კომისიის დასკვნების საფუძველზე მის მიერვე პირველ სხდომებზე დაპროექტებული გადაწყვეტილება და შემდეგ დასკვნამდე მივიდა:

„მის (კომისიის. — ლ. ძ.) მიერ შემუშავებული ამ რეფორმის საწყისები, შეესაბამებიან რა აფხაზეთსა და სამურზაყანოში მოქმედ წოდებრივ და საადგილმამულო ურთიერთობათა არსს, მთლად არ ეთანხმებიან ამ მხარეთა მფლობელი კლასების შეხედულებებსა და მოლოდინს, მათი თანამედროვე საზოგადოებრივი მდგომარეობის ნაწილობრივად შენარჩუნების საქმეს“[60].

თუმცა თავადაზნაურობის დეპუტატების მოხსენებითი ბარათი,—ვკითხულობთ 1870 წ. 30 მაისის კომიტეტის სხდომის ჟურნალში,—ისეთი მოთხოვნილების დაჩემებას წარმოადგენს, რომელიც ვერ პოულობს თავის გამართლებას ამ ქვეყნების მოსახლეობაში, ნამდვილად არსებული წოდებრივი და საადგილმამულო ურთიერთობის წყობაში. მაგრამ მიუხედავად ამისა, კომიტეტს არ შეეძლო არ მიექცია ყურადღება მათი სამართლიანი განცხადებისათვის იმის შესახებ, რომ მაღალი წოდება, სოხუმის განყოფილებაში პირველანდელი ვარაუდის საფუძველზე გატარებული წოდებრივ-საადგილმამულო რეფორმის შედეგად, უსათუოდ ჩავარდება ფრიად შევიწროებულ მდგომარეობაში. ამიტომ კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნია კომისიის მიერ გამოტანილი დასკვნების საფუძველზე წინასწარ დაპროექტებულ გადაწყვეტილებაში შესწორება შეეტანა. შესწორება შეეხო, კერძოდ, უმაღლესი წოდებისათვის „განსაკუთრებული ნადელის“ გამოყოფის საკითხს. კომიტეტმა მიზანშეწონილად ცნო უმაღლესი წოდებისათვის „განსაკუთრებული ნადელი“ გადიდებულიყო თითოეული კომლისათვის 250 დესეტინამდე იმ 100 დესეტინის ნაცვლად, რომელიც მათთვის ნავარაუდევი იყო მანამდე შარვაშიძეთა გვარეულობის გამოკლებით, რომელთაც ამავე გადაწყვეტილებით უნდა მისცემოდათ

---

60 საქ. ცსსა, ფონდი 416, აღწ. 3, საქმე 1014, ფურც. 6-7.

კომლზე 300 დესეტინა მიწა. დამატებით იმ პირთათვის, რომელთაც მფლობელობის ქვეშ ანხაიუ ჰყავდათ. უნდა გამოეყოთ ორ-ორი დესეტინა ანხაიუს თითო კომლის განთავისუფლებისათვის და აგრეთვე ათ-ათი დესეტინა მთავრობის ყოველი ორეულინისათვის. კომიტეტმა ესეც არ მიიჩნია საკმარისად და გადაწყვიტა, მათ უფლება მისცეოდათ, აძავე დროს ესარგებლათ საერთო საფუძველზე საზოგადოებრივი მიწებით, საბალახოებით, სათიბი ადგილებით, ტყეებითა და სხვ[81].

კომიტეტი კიდევ უფრო შორს წავიდა აფხაზეთის თავადაზნაურობის ინტერესების დაცვის საქმეში. მან საჭიროდ ჩათვალა: «для поддержания хозяйства и значения Абхазо-самурзаканских владельцев, крайне необходимо возместить, по возможности, полностью те потери, кои понесут они с прекращением личной зависимости от них низших сословий, и что вместо предварительно-проектированного выкупа повинностей сих сословий по 4-х летней сложности их годовой стоимости, **предстоит изыскать такой способ возмещения потерь владельцев, который заключил бы в себе, по возможности, действительное и полное вознаграждение их за отходящие от них повинности подвластных,** представляя собою капитализацию годовой стоимости их повинностей...»[82] (ხაზი ჩემია. — ლ. ძ.).

კომიტეტმა თავადაზნაურობისათვის „ნამდვილი და სრული ანაზღაურების" საშუალებად ცნო, «чтобы зависимость подвластных, а именно: ахуию (дельмахоре), амацюрасгу (мойнале) и анхае (пиошей), выкупалась по капитализации стоимости регулированных повинностей сих подвластных из 10%, вместо принимаемой в подобного рода операциях капитализации из 6%. შემდეგ კომიტეტმა მიზანშეწონილად ჩათვალა 10 პროცენტიდან კაპიტალიზირებულ ბეგარა-ვალდებულებათა ღირებულების თანხის $^2/_5$ ნაწილი დაფარულიყო თვით გასათავისუფლებელ პირთა მიერ, ან 4 წლის განმავლობაში მათზე დაკისრებული რეგულირებული ბეგარა-ვალდებულებათა ნატურის სახით მოხდით, ან ამ ბეგარა-გადასახადთა ღირებულების გამოსყიდვით, ხოლო დანარჩენი 10 პროცენტიდან კაპიტალიზირებული თანხის $^3/_5$

---

81 საქ. ცსსა. ფონდი 416, აღწ. 3, საქმე 1017, ფურც. 40.

82 იქვე. საქმე 1014, ფურც. 8-9.

ნაწილი მემამულეებს მისცემოდა ხაზინიდან. ახაშვალას. კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, ევალებოდა ემსახურა თავისი მებატონისათვის 4 წლის განმავლობაში გათავისუფლების დაპროექტებული წესის საფუძველზე, რის შემდეგ მის მფლობელს ხაზინიდან უნდა მისცემოდა ახაშვალას თითო ,სულზე 25 მანეთი. კომიტეტის აზრით, გამოსყიდვის ასეთი რეალიზაციისათვის ხაზინას დაახლოებით 400 ათ. მანეთის გაღება დასჭირდებოდა[83].

კომიტეტმა გამოსყიდვის ზემოდასახელებული სისტემა ყველაზე უფრო მიზანშეწონილად მიიჩნია. რადგან მისი განხორციელების შედეგად მემამულეთა ეკონომიური მდგომარეობა არ შეირყეოდა იმიტომ, რომ ისინი თითქმის დაუკლებლივ მიიღებდნენ ყველა იმ ბეგარა-გადასახადის საფასურს, რომელსაც აქამდე მათ სასარგებლოდ მათივე ხელქვეითები იხდიდნენ.[84]

ამრიგად, კომიტეტის აზრით, გამოსყიდვის ზემოაღნიშნული სისტემის დროს, ერთი მხრით, მემამულეებს შეუძლიათ მთავრობის ასეთი დახმარებით, მათთვის მიწის საკმაო ფართობის გამოყოფით თავიანთი მეურნეობა ახალ ეკონომიურ საწყისებზე მოაწყონ ისე, რომ შეიქმნან ხელაყრელი ეკონომიური პირობები. მეორე მხრით, დამოკიდებული წოდება, არ იქნება რა დამძიმებული ბეგარა-გადასახადების ღირებულების გამოსყიდვის მთელი თანხით, რაც გადაჭარბებდა მის სახსრებს, მოკლე ხნის განმავლობაში გახდება შეძლებული მეურნე, საშუალება მიეცემა მას გადაიხადოს გადიდებული სახელმწიფო გადასახადები და ამით გადაჭარბებით აანაზღაუროს ის დახმარება, რომელსაც გაუწევს მთავრობა მას დამოკიდებულების გამოსყიდვის საქმეში[85].

კომიტეტმა გადაწყვიტა. ზემოაღნიშნული მოსაზრების საფუძველზე შესწორება შეეტანა კავკასიის მთიელთა სამმართველოს უფროსის მიერ რედაქტირებულ სოხუმის განყოფილების წოდებრივ-საადგილმამულო რეფორმის პროექტში. საჭირო შესწორების შეტანის შემდეგ აღნიშნული პროექტი კავკასიის მეფისნაცვალისათვის უნდა წარედგინათ.[86]

მაშასადამე, თავადაზნაურობის თხოვნა-მუდარას იმის შესახებ, რომ საგლეხო რეფორმის პირობების გამომუშავებისას

---

83 საქ. ცსსა, ფონდი 416, აღწ. 3. საქმე 1017, ფურც. 19-29.
84 იქვე.
85 იქვე.
86 იქვე.

მთავრობას გაეთვალისწინებინა და დაეცვა მისი ინტერესები, უშედეგოდ არ ჩაუვლია და თავისი მიზნისათვისაც მიუღწევია. სხვაგვარად არც შეიძლებოდა დატრიალებულიყო საგლეხო რეფორმის საქმე, ვინაიდან თვით მთავრობაც და ამ შემთხვევაში კომიტეტიც სწორედ რომ მემამულეების ინტერესების დამცველი იყო. ამიტომ კომიტეტის წევრებს, რომლებიც თვითონ მსხვილი მემამულეები და ამავე დროს მეფის სამსახურში მყოფი თვალსაჩინო თანამდებობის პირები იყვნენ, საბოლოო ჯამში არ შეეძლოთ ცალკერდი აევლოთ და უგულებელეყოთ აფხაზეთის მემამულეების ინტერესები. პირიქით, როგორც ვნახეთ, კომიტეტმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ თავადაზნაურობა რეფორმის გატარების შედეგად ყოველმხრივ უზრუნველყოფილიყო. ეს სრულიად ნათლად მოჩანს ჩვენ მიერ ზემოაღწერილი კომიტეტის გადაწყვეტილებიდან.

კომიტეტის მიერ რედაქტირებული და წარდგენილი საგლეხო რეფორმის დებულების პროექტი მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა მოიწონა და თავისი ახსნა-განმარტებით პეტერბურგში სამხედრო მინისტრს გაუგზავნა. მეფისნაცვალი თავის მოხსენებით ბარათში, ასაბუთებდა რა პროექტში მოცემული მუხლების საფუძვლიანობას, სთხოვდა მინისტრს ეშუამდგომლა იმპერატორის წინაშე პროექტის დამტკიცების შესახებ. მიხეილ რომანოვი განსაკუთრებით სთხოვდა მილიუტინს, რომ მას თავის მხრივ ყოველგვარი ზომა მიეღო, რათა მთავრობას გამოეყო აფხაზეთის თავადაზნაურობის დასახმარებლად კომიტეტის მიერ დაპროექტებული თანხა 400 ათასი მანეთის რაოდენობით, ურომლისოდ, მისი აზრით, არც შეიძლებოდა წოდებრივ-საადგილმამულო რეფორმის გატარების დაწყებაც კი. ამასთან ერთად, დიდი მთავარი შუამდგომლობდა მომრიგებელი შუამავლებისა და დამოკიდებული წოდების საქმეთა განსაკუთრებულ საკრებულოს შტატის დამტკიცებასა და ამისათვის საჭირო თანხის გამოყოფაზე.[87]

თავის მხრივ სამხედრო მინისტრმა მილიუტინმა ეს პროექტი თავისი და ფინანსთა მინისტრ რეიტერნის შენიშვნებითა და შუამდგომლობით კავკასიის კომიტეტს გადასცა განსახილველად.

მილიუტინის მიერ წარდგენილი პროექტი განხილულ და მოწონებულ იქნა ყოველგვარი შესწორებისა და დამატების გარეშე 1870 წლის 2 ნოემბერს, კავკასიის კომიტეტისა და სო-

---

87 საქ. ცსსა, ფონდი 1268, აღწ. 12, საქმე 74, ფურც. 37-38.

ფლის მდგომარეობის მომწყობი მთავარი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომებზე[88], რის შემდეგ საბოლოო დასამტკიცებლად წარუდგინეს იმპერატორ ალექსანდრე II-ს, რომელმაც მას 1870 წლის 8 ნოემბერს მოაწერა ხელი. მაგრამ „დებულება სოხუმის განყოფილებაში მოსახლეობის პირადი დამოკიდებულების გაუქმებისა და საადგილმამულო მოწყობის შესახებ“ გამოქვეყნებულ იქნა მხოლოდ 1871 წლის 19 თებერვალს, ზუსტად რუსეთში ბატონყმობის გაუქმების 10 წლისთავზე.

ამ დებულების მთავრობისათვის საჭირო მიმართულებით გასავითარებლად, 1871-74 წლებში შემუშავებული და გამოცემული იქნა რიგი ინსტრუქციები და წესები.

1872 წლის 10 ივლისს მეფისნაცვალმა წინადადება მისცა სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსს, დაუყოვნებლივ გაეხსნა საადგილმამულო საქმეთა განსაკუთრებული საკრებულო და შეადგენდა აფხაზეთ-სამურზაყანოს მოსახლეობის მიწით მოწყობის საქმეს, თანახმად 1872 წლის 29 მაისის ინსტრუქციისა[89].

საადგილმამულო საქმეთა განსაკუთრებული საკრებულო გაიხსნა საზეიმოდ 1872 წლის 30 ივლისს. განსაკუთრებული საკრებულოს თავმჯდომარედ დანიშნულ იქნა სოხუმის განყოფილების უფროსი, თავმჯდომარის მოადგილედ — სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის თავმჯდომარე. ხოლო წევრებად — ამავე კომისიის წევრები[90].

საადგილმამულო საქმეთა განსაკუთრებული საკრებულოს გახსნის დღიდან აფხაზეთში 8 ნოემბრის დებულების ცხოვრებაში გატარება იწყება, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა, ე. ი. საგლეხო რეფორმის დამთავრება, სხვადასხვა დამაბრკოლებელი მიზეზების გამო, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში გაგრძელდა.

---

88 საქ. ცსსა. ფონდი 1268. აღწ. 12, საქმე 74. ფურც. 59.
89 იქვე, ფონდი 416, აღწ. 3, საქმე 1021, ფურც. 36
90 იქვე, საქმე 190. ფურც. 42.

თავი მესამე

8 ნოემბრის დებულება

1870 წლის 8 ნოემბრის „დებულება სოხუმის განყოფილებაში მოსახლეობის პირადი დამოკიდებულების გაუქმებისა და საადგილმამულო მოწყობის შესახებ“[1], როგორც თვით ამ დებულების სახელწოდებიდან ჩანს, გლეხთა ყოფა-ცხოვრების ორ მხარეს ეხებოდა: პირად დამოკიდებულებასა და საადგილმამულო კავშირურთიერთობას.

ამ დებულების მეორე მუხლი აცხადებდა, რომ „ყველა სხვადასხვა სახელწოდების დამოკიდებული პირები, სახელდობრ: ახაშვალა, ახოუიუ (დელმახორე), ამაწურაზქუ (მოინალე) და ანხაიუ (ფიოში)“ ამიერიდან „პოულობენ სოფლის თავისუფალი მოსახლეობის უფლებებსო“.

დებულების შემდეგი მუხლები განმარტავდნენ, თუ რას ნიშნავდა და როგორი იყო გლეხის „განთავისუფლების“ პირობები.

მეაამე მუხლი განმარტავდა, რომ „პირადი დამოკიდებულებისაგან გასათავისუფლებელი პირები (მ. მე-2) აგრძელებენ თავისი მემამულეების წინაშე 4 წლის განმავლობაში სამსახურის, მუშაობისა და სხვა ბეგარა-ვალდებულებათა მოხდას, რომელნიც სრულდებოდნენ ჩვეულებისამებრ ამ დებულების გამოქვეყნებამდე, ანდა ამის ნაცვლად, თუ სურვილი ექნებათ, გადაუხდიან მფლობელებს განსაკუთრებულ გამოსასყიდ თანხას“.

ამის შემდეგ დებულება ეხებოდა გლეხთა ცალკეულ კატეგორიებს და განსაზღვრავდა თითოეული მათგანის, მოვალეობას თავისი მემამულის წინაშე „დროებითი ვალდებულების“

---

[1] ცსსა. ლენინგრადი, ფონდი 1268, აღწ. 12, საქმე 74, 1868 წ., ფურცლ. 39-42.

პერიოდში, ხოლო გამოსყიდვის შემთხვევაში გამოსასყიდი თანხის რაოდენობაც.

ახაშვალა დროებით სავალდებულო სამსახურის პერიოდში (ე. ი. 4 წლის განმავლობაში) კანონისა და ჩვეულების თანახმად მფლობელთა სრულ განკარგულებაში რჩებოდა (მ. მე-4).

ახაშვალას გამოსასყიდი თანხის რაოდენობა, სქესისა და წლოვანების მიხედვით, განსაზღვრული იყო 50-დან 120 მანეთამდე (მ. მე-6).

როგორც დებულების მე-4 მუხლიდან ჩანს ახაშვალა რჩებოდა დროებით, სავალდებულო პერიოდში, მფლობელის სრულ განკარგულებაში. ე. ი. ისეთივე სრულიად უუფლებო, ბონუერ მდგომარეობაში, როგორც რეფორმამდე იყო. მართალია, თანახმად მე-6 მუხლისა, ახაშვალას იურიდიული უფლება ეძლეოდა თავი დაეხსნა უუფლებო, მონური მდგომარეობიდან იმ შემთხვევაში, თუ იგი დებულებით განსაზღვრული თანხის რაოდენობას გადაიხდიდა, მაგრამ ეს მისთვის მიუწვდომელი იყო, რადგან არავითარი საშუალება ამისათვის ახაშვალას არ გააჩნდა. მართლაც, საიდან უნდა ეშოვნა მას გამოსასყიდად 120 მანეთი? იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ ამ თანხის რაოდენობა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ერთი ძროხის ღირებულება მაშინ (როგორც ამას ჩერეპოვი და სხვა ავტორები აღნიშნავენ) 10 მანეთს უდრიდა[2]. მაშასადამე, სრულწლოვან ახაშვალას პირადი დაბეგვიდებულებისაგან გასათავისუფლებლად უნდა ეშოვნა 12 ძროხა. თუ აქ გავიხსენებთ ამ შრომის პირველ თავში ჩვენ მიერ აღწერილ ახაშვალას არაადამიანურ, მონურ მდგომარეობას, რომ იგი მთლიანად მფლობელს ეკუთვნოდა. რომელსაც შეეძლო მისი, როგორც სივთის გაყიდვა, გასაჩუქრება და ფიზიკურად მოსპობაც კი, თავისთავად ცხადია, რომ დებულების მიერ ახაშვალასათვის მინიჭებულ გამოსყიდვის უფლებას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა და, მაშასადამე, სრულიად არ აუმჯობესებდა მის აუტანელ, მძიმე მდგომარეობას. ეს გასაგებიცაა იმიტომ, რომ დებულება არც ისახავდა მიზნად ექსპლოატირებული მასის მდგომარეობის გაუმჯობესებას, პირიქით, იგი უფრო მეტად იმაზე ზრუნავდა, რომ აფხაზეთის მემამულეები, რეფორმის შედეგად, არ დარჩენილიყვნენ მუშახელისა და მონა-მოსამსახურეთა გარეშე. მთავრობამ კარგად იცოდა, რომ ახაშვალას არ შეეძლო თავის გამოსყიდვა და ამიტომ იგი იძულებული იქნებოდა მფლობელის სრულ

---

[2] АН СССР, Исторический архив, V. 1950, გვ. 413.

განკარგულებაში დარჩენილიყო „სავალდებულო დამოკიდებულების“ მანძილზე.

შემდგომ მთავრობისა და მემამულეების მოქმედებით საქმე ისე წარიმართა, რომ სავალდებულო დამოკიდებულების პერიოდი 4 წლის გავლის შემდეგ კიდევ მრავალი წლის მანძილზე გაგრძელდა არა მარტო ახაშვალას, არამედ გლეხთა სხვა კატეგორიების მიმართაც.

დებულების მე-9 მუხლში ჩამოთვლილი იყო ის მოვალეობანი, რომელნიც უნდა შეესრულებინა ახოუიუს მემამულისათვის დროებითი ვალდებულების პერიოდში. აქედან გამომდინარეობდა, რომ ყველა ის ძირითადი მოვალეობანი, რომელთაც ასრულებდა ახოუიუ რეფორმის გამოცხადებამდე, ძალაში რჩებოდა, ვიდრე იგი თავს არ გამოისყიდიდა სათანადო გამოსასყიდი თანხის გაღებით. ახოუიუს კომლისათვის გამოსასყიდი თანხის რაოდენობა, დებულების მე-10 მუხლით, 100-დან 180 მანეთამდე განისაზღვრებოდა, იმისდა მიხედვით, თუ რამდენი სრულასაკოვანი მუშახელი ასრულებდა საბატონო სამუშაოებს ოჯახიდან. თუ ოჯახიდან მემამულის სამინდვრე სამუშაოების შესასრულებლად სამი მუშახელი გადიოდა, რაც ჩვეულებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, მაშინ ახოუიუს კომლი 180 მანეთს, ან 18 ძროხას იხდიდა. ადვილი წარმოსადგენია, რომ ასეთი თანხის გადახდა აღემატებოდა ახოუიუს ყოველგვარ შესაძლებლობას. მაშასადამე, ახოუიუ რჩებოდა ისეთსავე ყმურ მდგომარეობაში, რომელშიც იგი აქამდე იმყოფებოდა.

მუხლი მეთორმეტე ესეიგოდა: ამაწურაზეტუს (მოინალეს). მის თითოეულ კომლს სავალდებულო კავშირურთიერთობის პერიოდში ეკისრებოდა შეესრულებინა მფლობელის სასარგებლოდ „სამინდვრე სამუშაო წინანდებურად ჩვეულებრივი რაოდენობით, ე. ი. ერთი მუშახელით 2-3, ან 5-6 დღე კვირაში“.

„თანახმად ამისა (მ. მე-12), გამოსასყიდი თანხა ამაწურაზეტუს (მოინალეს) წოდებისათვის განსაზღვრულია:

ა) იმ კომლთათვის, რომელნიც ვალდებულნი არიან სამინდვრე სამუშაო შეასრულონ 2-დან 3 დღემდე — 40 მან.,

ბ) იმ კომლთათვის, რომელნიც მფლობელს აძლევენ ერთ მუშახელს 5-დან 6 დღემდე კვირაში — 80 მან...“ (მ. მე-13).

მე-15 მუხლში ჩამოთვლილი იყო ანხაიუს (ფიოშის) ის ვალდებულებანი, რომლებიც მას უნდა შეესრულებინა. ამ მუხლიდან გარკვეულად ჩანდა, რომ ანხაიუსაც რჩებოდა შესას-

რულებლად ყველა ის ძირითადი მოვალეობანი, რომელნიც მას აქამდე ეკისრა.

გამოსასყიდი თანხის რაოდენობა ანხაიუს თითოეული ოჯახისათვის განსაზღვრული იყო მე-15 მუხლში ჩამოთვლილი ბეგარა-ვალდებულებათა 4 წლიური ოდენობის გაანგარიშებით, რაც 54 მან. და 60 კაპ. შეადგენდა (მ. მე-16).

ანგრიგად, გლეხებს პირადი დამოკიდებულებისაგან გათავისუფლებისათვის — კომიტეტის გადაწყვეტილების ფორმულა რომ ვიხმაროთ—მთლიანად უნდა აენაზღაურებინათ მფლობელებისათვის „დანაკლისი", რომელსაც ისინი მათგან დამოკიდებული წოდების ჩამოშორებით ნახავდნენ. ანაზღაურება შეიძლებოდა 4 წლის განმავლობაში ყველა ძირითადი ფეოდალური ბეგარა-ვალდებულების შესრულებით, ან მათი ღირებულების ერთბაშად, ან ნაწილ-ნაწილ გადახდით. ამასთან, 1870 წლის 8 ნოემბრის დებულების საფუძველზე შემუშავებული „ინსტრუქცია სოხუმის განყოფილების დაწესებულებებს აფხაზეთის და სამურზაყანოს საადგილმამულო მოწყობის შესახებ"[3] ადგენდა გლეხების მიერ მემამულეების წინაშე ვალდებულების მოხდის მკაცრ წესებს. მოხსენებული ინსტრუქციის 106-ე პარაგრაფი განმარტავდა: მიწის მუშა, რომელიც სამუშაოზე გამოცხადდება უვარგისი იარაღით, ან დაგვიანებით, მემამულეს შეუძლია სამუშაოზე არ დაუშვას და სამუშაო დღეც გაცდენილად ჩაუთვალოს. თუ კი ასეთი შემთხვევა გამეორდა ორჯერ, სამჯერ და ა. შ., მაშინ ის პროგრესულად მზარდ ჯარიმას იხდის.

120-ე პარაგრაფი ავალდებულებდა სოფლის ადმინისტრაციას, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, ხელი შეეწყო მფლობელისათვის, რომ გლეხებს სავალდებულო ურთიერთობის პერიოდში დროულად შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა.

თუ მფლობელი საჩივარს შეიტანდა გლეხებზე, სოფლის მამასახლისი ვალდებული იყო დაუყოვნებლივ, საჩივრის შეტანის დღეკვე, მიეღო სასწრაფო ზომები, რათა გლეხებს დროულად მოეხადათ თავიანთი ვალდებულება (§ 121-ე).

გამოსასყიდი თანხის თავის დროზე გადახდის ზედამხედველობა უმთავრესად მომრიგებელ შუამავლებს ევალებოდათ საოლქო, საუბნო უფროსებისა და სოფლის მამასახლისის ხელისშეწყობით (§-130).

თუ მფლობელი საჩივარს შეიტანდა სათემო სასამართლოში, გლეხის მიერ გამოსასყიდი თანხის არაწესიერი გადახდის

[3] საქ. ცსსა. ფონდი 416. აღწ. 3, საქმე 1025. ფურც. 1-45.

შესახებ, სასამართლოს უფლება ჰქონდა დადგენილება გამოეტანა, დავალიანების დასაფარავად უწესივრო გადამხდელის მოძრავი ქონების ნაწილის გაყიდვის შესახებ (§-132).

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ დებულებაში განსაზღვრული გამოსასყიდი თანხის რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ მისი გადახდის შესაძლებლობა გლეხების საშუალებას აღემატებოდა და ამიტომ ისინი განწირული იყვნენ კიდევ მრავალი ხნის განმავლობაში, ძველებურად ფეოდალურ კაბალაში დარჩენილიყვნენ.

მიუხედავად ამისა, 8 ნოემბრის დებულებას გლეხებისათვის მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მათ რიგი სამოქალაქო უფლებები მიიღეს. დღიდან ამ დებულების გამოქვეყნებისა გლეხი უკვე არ წარმოადგენდა სრულიად უუფლებო ყმა-მონას, რომლის გაყიდვა-გასაჩუქრება დაუბრკოლებლად შეეძლო მანამდე მის მებატონეს. გლეხს ახლა უკვე ეძლეოდა გარკვეული კანონიერი უფლებები, მართალია, ძლიერ შეზღუდული, მაგრამ მაინც სახელმწიფო კანონმდებლობით მინიჭებული. მემამულეს უკვე არ შეეძლო იგი გაეყიდა, გაესაჩუქრებინა, ჩაერეოდა პირად საოჯახო ცხოვრებაში, აეკრძალა, ან ხელი შეეშალა ცოლის შერთვის, ან გათხოვების საქმეში. გლეხს უკვე უფლება ჰქონდა თავისი სურვილისამებრ მოეწყო პირადი ცხოვრება, ჩაბმულიყო ვაჭრობაში, სხვადასხვა ხელობაში, შეეძინა უძრავი და მოძრავი ქონება და სხვა. „ყოველივე ეს დიდი ნაბიჯი იყო ფეოდალურ უფლება-სამართლიდან ბურჟუაზიული უფლება-სამართლისაკენ მიმავალი გზით გადადგმული. მაგრამ ამ მხრივაც რეფორმა შუაგზაზე გაჩერდა: მემამულეებმა შეინარჩუნეს მთელი რიგი უფლებები, რაც მათ რეფორმამდე ჰქონდათ"[4]. განსაკუთრებით ეს დროებითი ვალდებული გლეხების მიმართ ითქმის, რომლებიც რეფორმის შედეგად ჩავარდნენ რა მემამულის ეკონომიურ კაბალაში, ფაქტიურად უფლებრივადაც ერთგვარად შეზღუდულნი და მისგან დამოკიდებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

მეტად შეზღუდული იყო აგრეთვე გლეხობის არჩევითი მმართველობის ორგანოები, ე. წ. სოფლისა და თემის ყრილობები. სოფლის მამასახლისი, სათემო გამგეობა და სათემო სასამართლო ექვემდებარებოდნენ ადგილობრივ ადმინისტრაციას, საუბნო და საოლქო უფროსობას, მომრიგებელ შუამავ-

---

4 ე. ა. მოროხოვეცი. 1861 წლის საგლეხო რეფორმა, თბილისი, 1938 წ., გვ. 126.

ლებს[5]. გლეხობის მართვა-გამგეობის არჩევითი ორგანოების მოვალეობას შეადგენდა მხოლოდ გადასახადების გაწერა და აკრეფა, გლეხების მიერ მემამულეების წინაშე თავისი ვალდებულების წესიერად შესრულების ზედამხედველობა, სახელმწიფო გადასახადების თავის დროზე გადახდის მოგვარება და სხვ.

„ამრიგად, საგლეხო სამმართველოს უპირველეს ყოვლისა ჰქონდა საბეგრო ხასიათი. .ეს იყო უმთავრესად ისეთი ორგანო, რომლის ამოცანას შეადგენდა ის, რომ სახელმწიფო გადასახადები წესიერად შესულიყო და მემამულის მიმართ არსებული ბეგარაც წესიერად შესრულებულიყო"[6].

საადგილმამულო საკითხიც 8 ნოემბრის დებულების მიხედვით ფეოდალების კლასობრივი ინტერესების სრული დაცვით იქნა გადაჭრილი. პირველი შეხედვით მუხლი 24-ე ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ თითქოსდა იგი მიწათმოწყობის საქმეში აფხაზეთის ყველა კლასის ინტერესების დასაცავად იყო მიმართული, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შეხედვით, რადგან იქვე დებულებაში გაკეთებული იყო მთელი რიგი შენიშვნები, რომელნიც ფაქტიურად აბათილებდა ამ მუხლის განცხადებას, რომ „სოხუმის განყოფილების ყველა მცხოვრებს, როგორც უმაღლესი, ისე დაბალი წოდებისას, სახელდობრ: თავადს, აამუთას ან ჟინოაქუას, შინაყმას, ანხაიუს ან ფიოშს, ამაწურაზქუს ან მოინალეს, ახოუიუს ან დელმახორეს და ახაშვალას. უმტკიცდება საკუთრების სრულ უფლებაში საკარმიდამო, სახნავ-სათესი და დამუშავებული საბაღე მიწები, რომელნიც ადგილობრივი სახალხო ჩვეულებით შეადგენდნენ თითოეული პირის ან კომლის კერძო საკუთრებას".

აქვე გაკეთებული იყო შენიშვნა, რომლის თანახმად „კავკასიის არმიის მთავარსარდალს" ენიჭებოდა უფლება „საგანგებო წესით დაადგინოს ჩვეულებრივი უფლების საზღვარი". რას ნიშნავდა ეს? ეს იმას ნიშნავდა, რომ გლეხის ნადელის სიდიდე მთლიანად მეფის მოხელეების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. ეს შენიშვნა გაკეთებული იყო სწორედ არა გლეხების ინტერესების დასაცავად, არამედ, პირიქით, მის წინააღმდეგ. რომ მართლაც ეს ასე იყო, ამას გარკვევით ადასტურებდა 26-ე და 27-ე მუხლები. 26-ე მუხლში ნათქვამი იყო, რომ იმ პირთ, რომელთაც თა-

---

5 საქ. ცსსა, ფონდი 416, აღწ. 3, საქმე 1025, ფურც. 1-45.

6 ე. ა. მოროხოვეცი, ციტირებული წიგნი, გვ. 130.

ვის ხელქვეითებად ანხაიუ (ფიოში) ჰყავთ, საგანგებო ნადელები" მიეცემათ თითო ანხაიუს კომლზე ორი დესეტინის რაოდენობით. 27-ე ძესლი ხეძდეგს განმარტავდა: დამატებით. ხემოხსენებულ მუხლში ნაჩვენები მიწის რაოდენობისა, იმ გვარებს, რომელნიც კავკასიის არმიის მთავარსარდლის მიერ დამტკიცებული საგანგებო წესებია საფუძველზე. ცნობილი იქნება თავადის, აზნაურთას, ან ჟინოსქუას წოდების გვარებად. კერძო საკუთრებაში გამოეყოფათ „საგანგებო ნადელები" თითო მოსახლეზე 25-დან 250 დესეტინის რაოდენობით; ამავე დროს კავკასიის არმიის მთავარსარდალს უფლება ენიჭება. ცალკეულ შემთხვევაში, გაადიდოთ ამ მუხლში ნაჩვენები ნორმა, თუ იგი, ამა თუ იმ პირის შესანიშნავი მთამომავლობისა და დამსახურების მიხედვით, ან კიდევ სხვა მოსაზრებებით. ამას სამართლიანად ჩათვლის. აქვე გაკეთებული შენიშვნის თანახმად, მიუხედავად „საგანგებო ნადელის" გამოყოფისა პრივილეგიურ გვარებს ეძლევათ საზოგადოებრივი მიწის სარგებლობის ისეთივე უფლება, როგორიც თემის სხვა მცხოვრებლებს აქვთ მინიჭებული.

29-ე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ქალაქ სოხუმს, სოხუმის განყოფილების სავაჭრო დაბებს და აგრეთვე ეკლესიებს მთავარსარდლის მიხედულებისამებრ გამოეყოფათ მიწის ნადელები. ამის მომდევნო მუხლი ლაპარაკობდა, რომ ყველა მიწა, რომელნიც კერძო პირთათვის ნადელებისა და საზოგადოებრივი მოხმარებისათვის მიწის მასივების გამოყოფის შემდეგ გადარჩებოდა, მთავრობის უშუალო განკარგულებაში გადადიოდა.

✓ ამრიგად, როგორც ზემოთ უკვე ნათქვამი იყო, ✓საადგილმამულო მოწყობის საკითხშიც მთავრობამ მაქსიმალურად დაიცვა აფხაზეთის ფეოდალებისა და ცარიზმის კოლონიური ინტერესები. ფეოდალებს, დებულებისა და შემდეგ მთელი რიგი სხვა ინსტრუქციების, დამატებითი წესებისა და კანონების თანახმად, მიწის ისეთი დიდი რაოდენობა მისცეს, რომელიც სრულიად უზრუნველყოფდა მათ მდიდრულ ცხოვრებას, და, მაშასადამე, მშრომელ მასებზე გაბატონებულ მდგომარეობას.

მიწათმოწყობის ინსტრუქციის[7] 27-ე მუხლის თანახმად, გლეხის ერთი კომლისათვის საკარმიდამო, სახნავ-სათესი და საბალე მიწის რაოდენობა განსაზღვრული იყო 3-დან 7 დესეტინამდე იმისდა მიხედვით, თუ რამდენი სულისაგან შედგებო-

---

7 საქ. ცსსა. ფონდი 416. საქმე 1025, აღწ. 3, ფურც. 1-45.

და იგი: სახელდობრ, თუ ოჯახი შედგებოდა ერთი სულისაგან, მაშინ მას 3 დესეტინა გამოეყოფოდა, თუ 2 ან 3 სულისაგან— 5 დესეტინა, თუ 4 ან 5 სულისაგან — 6 დესეტინა და უფრო მეტი სულისაგან — 7 დესეტინა.

ამავე ინსტრუქციის 56-ე მუხლის თანახმად ჩამოსახლებულ აბაზაზურ წარმოშობის გლეხებს სრულიად არ ეძლეოდათ მიწა კერძო საკუთრებაში. ამით აფხაზეთის გლეხობის არც ისე უმნიშვნელო ნაწილი სრულიად უმიწოდ რჩებოდა, რაც, რა თქმა უნდა, იმავე ფეოდალებისა და ცარიზმის კოლონიური ინტერესების დაცვისათვის იყო გაკეთებული.

ინსტრუქციის 73-ე მუხლში ნათქვამი იყო, რომ პრივილეგიური გვარებისათვის საგანგებო ნადელების რაოდენობა განსაზღვრული იქნება კავკასიის არმიის მთავარსარდლის საგანგებო ინსტრუქციით მის შემდეგ, რაც გარკვეული იქნება გვარები და პირები, რომლებიც „თავადებისა და აამსთების წოდებას“ ეკუთვნით.

სწორედ იმისათვის, რომ გარკვეულიყო თავადებისა და აზნაურების რაოდენობა ზუსტად, მთავარსარდალმა მიხეილ რომანოვმა 1870 წლის 8 ივლისს სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიისათვის სპეციალური ინსტრუქცია[8] დაამტკიცა. ინსტრუქციაში ნათქვამი იყო, რომ სოხუმის განყოფილების უმაღლესი წოდების, სახელდობრ: თავადებისა და აამსთების (ჟინოსქუას) მოდგმის გამორკვევა და დადგენა, იმ თავადებისა და აზნაურების გაძოკლებით, რომლებიც ხალხში ყოველთვის პრივილეგიური მდგომარეობით სარგებლობდნენ, ევალება სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიას (მუხ. 1-3). „თავადთა წოდებაზე უსათუოდ მიკუთვნებულ გვარებად ცნობილია: შარვაშიძე, ინალიფა, ჩაბალურხვა, მარშანია, ანჩაბაძე, ძიაპშიფა, ჩხოტუა, ემუხვარი და ცამბა“ (მუხ. 4). „აზნაურთა ან ჟინოსქუების წოდებაზე უსათუოდ მიკუთვნებულ გვარებად ცნობილია: მარღანია (მაანი), ზვანბაია (ზეენი), ლაკერბაია (ლაკერი), აქირთაა და მიქამბა“ (მუხ. 5).

კომისიას ევალებოდა მოეგროვებინა ცნობები და დაწვრილებით შეესწავლა ვინაობა იმ დანარჩენი გვარებისა, რომლებმაც პრეტენზია განაცხადეს ან თავადობაზე, ანდა აზნაურობაზე. ამ მიმართულებით კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ, სოხუმის განყოფილების უფროსმა კომისიის მიერ

---

8 აფხ. ცსა, ფონდი 57, საქმე 4, ფურც. 2-8.

შეგროვილი მასალები და დასკვნები თავისი შენიშვნებით კავკასიის მთიელთა სამმართველოს წარუდგინა 1876 წლის 4 აპრილს. სამმართველოს უფროსმა, თავის მხრივ, კომისიის მიერ შეგროვილი მასალებისა და დასკვნების საფუძველზე, შეადგინა მოხსენება, რომელიც მეფისნაცვალს მიართვა. ამ უკანასკნელმა იგი უცვლელად დაამტკიცა. ჩქაოა ალის შემდეგ სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისია გადაკეთდა სოხუმის საადგილმამულო კომისიად, რომლის კომპეტენციაში მარტოოდენ ადგილობრივი მოსახლეობის მიწათმოწყობის საქმიანობა შედიოდა[10].

კომისიის მასალებიდან ჩანს, რომ უმაღლესი წოდების კუთვნილებაზე პრეტენზია განუცხადებია 234 გვარს. „მაგრამ შეწყნარებულია მხოლოდ 70 გვარის განცხადება, რომლებიც ჰქმნიან 823 ოჯახს. მათი რიცხვიდან ცნობილ იქნა თავადების გვარებად 11 გვარი (310 ოჯახი), აამსთების — 34 გვარი (396 ოჯახი), შთამომავლობითი აზნაურების — 4 გვარი (6 ოჯახი), აფხაზეთის ყოფილი მთავრების შინაყმების — 16 გვარი (96 ოჯახი) და სახელმწიფო სამსახურით უფლება მოპოვებული (5 ოჯახი)"[11].

1874 წლის 14 თებერვალს კავკასიის არმიის მთავარსარდალმა დაამტკიცა — „დებულება სოხუმის განყოფილების ადგილობრივი დაწესებულებებისათვის აფხაზეთსა და სამურზაყანოში საადგილმამულო მოწყობის შესახებ"[12].

ამ დებულებით საადგილმამულო მოწყობის შესახებ დადგენილებების სისრულეში მოყვანა მომრიგებელ შუამავლებსა და საადგილმამულო საქმეთა საგანგებო საკრებულოს ევალებოდა (§-2).

მომრიგებელი შუამავლები და მათი კანდიდატები ინიშნებოდნენ სოხუმის განყოფილების უფროსის წარდგენით მთავარსარდლის მიერ (§-3), მომრიგებელი შუამავლები და მათი კანდიდატები იმყოფებოდნენ საადგილმამულო საქმეთა საგანგებო საკრებულოს უშუალო განკარგულებაში (§-6).

საკრებულოს საქმიანობაში შედიოდა მოსახლეობის საადგილმამულო მოწყობის შესახებ მიღებული დადგენილებების სისრულეში მოსაყვანად საგანმკარგულებლო ღონისძიება-

---

9 საქ. ცსსა, ფონდი 431, საქმე 109, ფურც. 1-16.
10 იქვე.
11 იქვე, აღწ. 1, საქმე 412, ფურც. 2.
12 იქვე, ფონდი 426, აღწ. 3, საქმე 1027. ფურც. 1-28.

ნი, მომოიგებელ შუამავლებზე შეტანილი საჩივრის გარჩევა, მომრიგებელი შუამავლების მიერ კერძო საკუთრებაში დასამტკიცებლად მიწის ნაკვეთების ოდენობის შესახებ შედგენილი აქტების განხილვა და დამტკიცება (§-95).

საჩივრის შეტანა საგანგებო საკრებულოს მოქმედების შესახებ მხოლოდ მთავარსარდლის სახელზე შეიძლებოდა (§-113).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საადგილმამულო საქმეთა საგანგებო საკრებულო სოხუმში გაიხსნა 1872 წლის 30 ივლისს და ამ დღიდან იგი თავისი მოვალეობის აღსრულებას შეუდგა[13].

აფხაზეთში დანიშნულ იქნა 4 მომრიგებელი შუამავალი. პირველ მომრიგებელ შუამავლებად იყვნენ: გუდაუთის უბანში კაპიტანი ნეიმანი, გუმისთის — კაპიტანი ჩუდინოვი, კოდორის — კაპიტანი მალინოვსკი და სამურზაყანოს — კაპიტანი გერასიმოვი[14].

მის შემდეგ, რაც სოხუმის წოდებრივი-საადგილმამულო კომისიის მიერ დადგენილ იქნა თავადებისა და აზნაურების რაოდენობა აფხაზეთში, საადგილმამულო საქმეთა საგანგებო საკრებულო და მომრიგებელი შუამავლები პირველ რიგში შეუდგნენ თავადაზნაურობის მიწით მოგვარების საკითხს. ეს იმიტომ, რომ მთავრობამ რეფორმის გატარების პროცესში შეცვალა თავისი დამოკიდებულება აფხაზეთის თავადაზნაურებისადმი. თუ მთავრობა საგლეხო რეფორმის მომზადების დასაწყისში ქედმაღლურად უყურებდა ადგილობრივ მემამულეებს და არაფრად აგდებდა მათ განწყობილებას, ახლა ის თითქოსდა გონს მოვიდა, აღაპარაკდა მასში ფეოდალურ-კლასობრივი სინდისი და რეფორმის გატარების დროს ისევ აფხაზეთის გაბატონებულ კლასს დაუმმობილდა. სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო. ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტში პირდაპირაა მითითებული, რომ მთელი საგლეხო რეფორმა, რომელიც გადატრიალებას ახდენს წოდებრივ-საადგილმამულო ურთიერთობაში და რომელიც პრივილეგიურ წოდებას არაჩვეულებრივ მდგომარეობაში აყენებს, ისე უნდა ჩატარდეს და ისეთი ღონისძიება უნდა იქნეს მიღებული, რომ შეუმსუბუქოს მას მდგომარეობა. ზრუნვა თავადაზნაურობის კეთილდღეობაზე საჭიროა იმისათვის, რომ მოპოვებულ იქნეს „ამ

---

13 საქ. ცსსა. ფონდი 426, აღწ. 3, საქმე 1021. ფურც. 42.
14 ა. ნ. დიაჩკოვი-ტარასოვი, დასახელებული შრომა, გვ. 203.

კლასის კეთილმოსურნეობა რეფორმისადმი“ და „სიმპატია რუსული გავლენისადმი“[15].

მეფის მთავრობას კარგად ესმოდა, რომ ადგილობრივი ფეოდალების „კეთილმოსურნეობისა“ და „სიმპატიის“ მოპოვება შესაძლებელი იყო მხოლოდ მათთვის მიწის დიდი რაოდენობით გამოყოფის გზით. სწორედ ამ მიმართულებით წარმართა მთელი თავისი მოღვაწეობა სოხუმის საადგილმამულო საქმეთა საგანგებო საკრებულომ.

უპირველესად ყოვლისა, საკრებულოს უნდა დაეზუსტებინა 1870 წლის 8 ნოემბრის დებულების ის ადგილი, რომელიც განმარტავდა, რომ თავადებისა და აზნაურებისათვის გამოყოფილიყო განსაკუთრებული ნადელი 25-დან 250 დესეტინის რაოდენობით. საკრებულომ ამისათვის საჭიროდ ცნო თავადაზნაურობა სამ კატეგორიად დაეყო. პირველ კატეგორიას მიაკუთვნეს ყველა თავადი, მეორეს — ის აზნაურები, რომელთა პრივილეგიური წარმოშობა და მდგომარეობა ეჭვს არ იწვევდა და მესამეს—ისინი, ვინც სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის გამოკვლევით იქნენ ცნობილნი აზნაურებად. თანახმად ამისა, საკრებულომ დაადგინა: „ყველა ამ კატეგორიის ოჯახებისათვის ნორმალურ ნადელად მიღებულ იქნეს — პირველისათვის 100-დან 250 დეს. ოჯახზე, მეორესათვის — 50-დან 150 დეს. და მესამესათვის 25-დან 75 დესეტინამდე. ნადელის გადიდება უნდა მოხდეს ოჯახში შემავალ სულთა რაოდენობასთან პროპორციულად ისე, რომ პირველი კატეგორიის ოჯახები, რომლებსაც თავის შემადგენლობაში ერთი სული ჰყავთ, იღებენ — 100 დეს., 2-3 სული — 150 დეს., 4-5 სული — 200 დეს., 6 და უფრო მეტი სული — 250 დეს. მეორე კატეგორის ოჯახზე, რომელსაც ერთი სული ჰყავს — 50 დეს., 2-დან 3 სულამდე — 80 დესეტინას, 4-დან 5 სულამდე — 100 დესეტინას, 6 და უფრო მეტი — -50 დეს. მესამე კატეგორიის ოჯახებზე, რომელთაც ჰყავთ ერთი სული — 25 დეს., 2-დან 3 სულამდე — 40 დეს., 4-დან 5 სულამდე — 55 დეს., 6 და უფრო მეტი — 70 დესეტინას. დამოუკიდებლად ამ ნორმალური ნადელისა, ის პირები, რომლებმაც სახელმწიფოებრივ სამსახურში მიიღეს ჩინი იუნკრის წოდებიდან შტაბ-ოფიცრის ჩინამდე, ღებულობენ დამატებით ათ-ათ დესეტინას თითო ჩინზე; შტაბ-ოფიცრის ჩინზე მაღლა 30-30 დესეტინას. პირები, რომელთაც ორდენები აქვთ ან სამხედრო ორდენის

15 საქ. ცსსა, ფონდი 416. აღწ. 3, საქმე 1021, ფურც. 29.

წარჩინების ნიშანი, თითო მათგანზე ღებულობენ ათ-ათ დესეტინას, ნორმალური ნადელის ზევით. პირები, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება (იგულისხმება მეფის მთავრობის წინაშე.—ლ. ძ.) აქვთ, სოხუმის განყოფილების უფროსისა და სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის დამოწმებით, ნორმის ზევით ღებულობენ ნადელს პროპორციულად დამსახურებისა"[16].

საკრებულოს ეს გადაწყვეტილება განიხილა მთიელთა სამმართველომ და იგი უცვლელად მიიღო, რის შემდეგ სამმართველოს უფროსმა დასამტკიცებლად წარუდგინა იგი მთავარსარდალს.

ამ უკანასკნელმა ძირითადად მოიწონა საკრებულოს ეს გადაწყვეტილება, მაგრამ მასში ზოგიერთი ცვლილება შეიტანა. მთავარსარდლის მიერ შეტანილი ცვლილება კერძოდ შემდეგი იყო: იმ პირთ, რომელთაც სამხედრო ორდენის წარჩინების ნიშანი აქვთ და დაბალ ჩინს ეკუთვნიან, ემატებათ ათ-ათი დესეტინა მიწა, ხოლო ოფიცრებსა და შტაბ-ოფიცრებს ოცოცი დესეტინა[17].

ასეთი იყო ის „ორიგინალური ღონისძიება". დიაჩკოვ-ტარასოვის სიტყვები რომ ვიხმაროთ, რომელსაც მიმართა მთავრობამ ფეოდალების თვალში ჩინებისა და ორდენების მნიშვნელობის ამაღლებისათვის. სავსებით მართალია დიაჩკოვ-ტარასოვი, როდესაც ზემოაღნიშნული საკითხის შესახებ დასკვნის: „თავად-აზნაურები ამ პარაგრაფით ძალიან კმაყოფილი დარჩნენ, რადგან მათი უმრავლესობა მილიციაში ირიცხებოდა..."[18]

დიახ, აფხაზეთის თავადაზნაურობის უმრავლესობა იმ დროს სწორედ ცარიზმის სამსახურში იყო ჩაბმული და იმისათვის, რომ ისინი ერთგულნი ყოფილიყვნენ რუსეთის ტახტისადმი, მთავრობამ გადაწყვიტა მათთვის დამატებით მიეცა ათობითა და ასობით დესეტინა მიწის მასივი სათემო ფართობიდან, რასაკვირველია, მშრომელთა მაჯების ხარჯზე.

მეფის ადგილობრივი ადმინისტრაცია ხელიდან არ უშვებდა არც ერთ შემთხვევას, არც ერთ ფორმალურ შესაძლებლობას ისე, რომ ცარიზმისადმი ერთგული მემამულეების განყარ-

---

16 საქ. ცსსა, ფონდი 229, საქმე 2589, ფურც. 27-28.

17 იქვე, ფურც. 30.

18 ა. ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი, დასახელებული შრომა, გვ. 203.

გულებაში დაბატებითი მიწის ფართობი არ გადაეცა. ასე, მაგალითად, სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის დადგენილებაში შემდეგს ვკითხულობთ:

1) დაჯილდოებულ იქნენ დამატებითი ნადელებით 50-დან 100 დესეტინამდე დეპუტატები პრივილეგიური წოდებიდან, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ კომისიის მუშაობაში მოსახლეობის წოდებრივ და საადგილმამულო უფლებათა განსაზღვრა-დადგენის მიზნით; 2) თარჯიმანები, რომლებიც სასარგებლო სამსახურს ეწეოდნენ როგორც კომისიის, ისე მომრიგებელ შუამავლებსა და ოლქების უფროსების მუშაობაში, დაჯილდოებულ იქნენ დამატებითი ნადელებით 25-დან 50 დესეტინამდე და, ბოლოს, 3) დაჯილდოებულ იქნან ნადელებით 100 დესეტინის რაოდენობით ადგილობრივი მოსახლეობიდან ის პირები, რომელთაც უმაღლესი სკოლის კურსი დაამთავრეს, ხოლო საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები — 50 დეს. ფართობით, ვინაიდან მათ შეუძლიათ სასარგებლო ზნეობრივი გავლენა იქონიონ ადგილობრივ მოსახლეობაზეო[19].

როგორც საბუთებიდან ჩანს, მთავრობა დიდად ზრუნავდა თავადაზნაურობის ბედზე. ამიტომ შეიძლება თამამად ითქვას, რომ აფხაზეთის გაბატონებული კლასის შიში, რომ იგი რეფორმის გატარების შედეგად ყოველგვარ პრივილეგიებს დაკარგავდა და სრულიად უსახსროდ დარჩებოდა, უსაფუძვლო აღმოჩნდა. მართალია, მთავრობამ, როგორც ჩვენ ეს ზემოთ დავინახეთ, 1870 წლის 8 ნოემბრის დებულებით ფორმალურად უარყო ფეოდალების საკუთრების უფლება მიწაზე და გამოაცხადა „თანახმად ადგილობრივი სახალხო ჩვეულებისა" მთელი დამუშავებული მიწა როგორც „უმაღლესი", ისე „დაბალი" წოდების უდაო საკუთრებად. მაგრამ ამავე დებულებაში იმდენი შენიშვნები იყო გაკეთებული, რომ საბოლოო ჯამში ეს განცხადება თითქმის სავსებით კარგავდა თავის მნიშვნელობას. მართლაც, თუ ფეოდალებს 8 ნოემბრის დებულებისა და ამ დებულებაში მოცემული საფუძვლების განსავითარებლად გამოცემული სხვადასხვა ინსტრუქციებისა და წესების თანახმად რჩებოდათ საკუთრებაში „ადგილობრივი სახალხო ჩვეულებით" ყველა მათი კუთვნილი დამუშავებული მიწა და დამატებით გამოეყოფოდათ კიდევ განსაკუთრებული ნადელი ოჯახზე 25-დან 250 დესეტინის რაოდენობით და ორ-ორი დესეტინა ყოველი გასათავისუფ-

---

[19] საქ. ცსსა, ფონდი 229. საქმე 2589, ფურც. 32.

ლებელი ანხაიუს კომლზე, თუ მეფისნაცვალს ამასთან ერთად უფლება ჰქონდა თავისი მიხედულებისამებრ ცალკეულ შემოხვევაში[20] მრავალჯერ გაედიდებინა ეს განსაკუთრებული ნადელი ამა თუ იმ პირის „შესანიშნავი ჩამომავლობისა და დამსახურების მიხედვით“, ან კიდევ სხვა მოსაზრებათა გამო, თუ ორდენებს. ჩინებს დამატებით ეძლეოდა მიწა და ყველა ჩამოთვლილთან ერთად პრივილეგიურ გვარებს მიეცემოდათ საზოგადოებრივი მიწით სარგებლობის უფლებაც და სხვა. თუ გლეხებს თავის „გასათავისუფლებლად“ აიძულებდნენ გადაეხადათ გამოსასყიდი თანხა დიდი რაოდენობით. ან ე. წ. დროებით ვალდებულების პერიოდში, ძირითადად ისეთივე მძიმე ბეგარა-ვალდებულებების შესრულებას დააკისრებდნენ, როგორც ეს რეფორმამდე იყო, თუ მთავრობა 400 ათას მანეთს გაიღებდა თავადაზნაურობის ერთდროული დახმარებისათვის და ა. შ. ბაშინ, ცხადია, აფხაზეთის გაბატონებულ კლასს შეეძლო სრულიად დამშვიდებული ყოფილიყო თავისი მომავალი ბედით.

---

20 ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ასეთი შემთხვევები არც ისე იშვიათი იყო.

თავი მეოთხე

რეფორმის გატარება

როგორ გატარდა რეფორმა სინამდვილეში? მიიღო თუ არა აფხაზეთის თავადაზნაურობამ ყველაფერი ის, რაც ზემოთ იყო აღნიშნული? როგორ პირობებში აღმოჩდნენ, ერთი მხრით, ფეოდალები და, მეორე მხრით, გლეხები რეფორმის გატარების შედეგად? აი, ის კითხვები, რომლებზედაც ჩვენ პასუხი უნდა გავცეთ. მაგრამ ვიდრე ამას შევუდგებოდეთ, საქმის ვითარება მოითხოვს, გაკვრით მაინც შევჩერდეთ ერთ ამბავზე, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საგლეხო რეფორმის გატარების საქმეში და დროებით მისი მსვლელობა სრულიად შეწყვიტა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი. როგორც ცნობილია, რუსეთ-თურქეთის ეს ომი უშუალოდ საქართველოსაც შეეხო. კერძოდ. აფხაზეთში გადმოსხმულ იქნა თურქეთის ჯარების დესანტი რამდენიმე ადგილას. რუსის მცირერიცხოვანი ჯარი, რომელიც აქ იყო დისლოკაცირებული, იძულებულ შეიქნა დროებით დაეტოვებინა აფხაზეთი, რომელსაც თურქი დამპყრობლები დაეპატრონენ.

თურქი ბარბაროსები კიდევ ერთხელ ეწვივნენ აფხაზეთს (ამჯერად უკანასკნელად) და მას აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენეს; თითქოს არ ყოფილიყო საკმარისი ის უბედურება, ნგრევა-გაჩანაგება. რომელიც მათ მთელს საქართველოსა და, კერძოდ. აფხაზეთს საუკუნეთა მანძილზე მიაყენეს. ამ შემოსევის დროს დიდად დაზარალდა აფხაზეთის მთელი ზღვისპირა ტერიტორია, მაგრამ განსაკუთრებით კი — ქ. სოხუმი.

ჟურნალ „იევერიის“ კორესპონდენტი 1881 წელს ქ. სოხუმის მდგომარეობაზე წერდა: „ეს პატარა და ლამაზი ქალაქი თუმცა სრულიად გაოხრეს ოსმალებმა... 1877 წელს, მაგრამ ზოგიერთის სახლების აშენება და ძველების განახლება კიდე-

ვაც მოუსწრიათ, ერთი ბატალიონი რუსის ჯარისა, რომელიც ომიანობის დროს მთაში გაიხიზნა, დაბრუნებულა და თითქმის ყოველდღე ათამაშებენ მას სოხუმის ვრცელს მოედნებზე; ბევრი სახლები გაუახლებიათ, მაგრამ უმრავლესი კი ნახგრევს წარმოადგენს; ზოგან წარმოადგენს მხოლოდ ოთხს კედელს, რომელთა შუაც სამს-ოთხს წელიწადში კარგა მოზრდილი ხეები ამოსულან და, ადამიანების მაგივრად, ფრინველებს აძლევენ ბინას; ზოგი სახლები, მეტადრე რომლებშიაც დაწესებულება იყო რამე, მიწასთან გაუსწორებიათ და კედლებიც კი არ დაუნდვიათ"[1]. შემდეგ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ „წასვლის წინად ოსმალებმა... იმ აზრით იმოქმედეს, რომ თუ მე არ მექნება, თუნდ ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო და ბოლო მოუღეს ყოვლისფერს. რაც კი ხომალდებზედ არ დავიდა. აფხაზების აუარებელი საქონელი და ცხენი გასწყვიტეს მაშინ სოხუმის ახლო-მახლო, ასე რომ თურმე ორ-სამს თვეს მძოვრის სული ასდიოდა იმ არე-მარეს. სოხუმის სახლები სულერთიანად დაანგრიეს და მოსწვეს"[2].

სათანადო რუკების უქონლობისა და ადმინისტრაციული აპარატის მოუქნელობის გამო, ისედაც გაჭიანურებული საგლეხო რეფორმა ამ ომმა დროებით სრულიად შეწყვიტა. ომის დამთავრებისა და სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების დადებიდან წელიწადნახევრის გავლის შემდეგ 1879 წლის 16 სექტემბერს მთავარსარდლის სახელზე გაგზავნილ პატაკში სოხუმის განყოფილების უფროსი პოკინი წერდა: „მიწის საკითხი, რომელიც ხალხის კეთილდღეობის ქვაკუთხედს წარმოადგეს, თითქმის შეჩერებულიაო"[3].

რეფორმის გატარება იმავე მიზეზებით ორც ომის შემდეგ წასულა ჩქარი ტემპით; რეფორმა დამთავრდა 80-იანი წლების ბოლოს და ისიც მხოლოდ ძირითადად, თორემ მისი მთლიანად დამთავრება კიდეე დიდ ხანს გაჭიანურდა.

რეფორმის გატარების ძლიერ ნელი ტემპი. მისი გაჭიანურება მეტად მძიმე უღლად დააწვა კისერზე აფხაზეთის გლეხობას, რადგან ასეთ პირობებში ფეოდალები თვითნებურად მოქმედებდნენ და კიდეე ზედმეტად ავიწროებდნენ გლეხებს. გლეხობა თავის პოლიტიკურ უუფლებობას, მისგან უკანონოდ მიწების ჩამორთმევის მეტად გახშირებულ ფაქტებს, სათემო-

---

[1] ჟურნ. „ივერია", 1881 წ., № 11, გვ. 96-97.
[2] იქვე.
[3] საქ. ცსსა. ფონდი 416, საქმე 4, ფურც. 1-6.

ს.ზოვადოებრივი მიწების უაჩაღურ დატაცებას, უსამართლობას ხადელების გამოყოფის დროს, გამოსასყიდი ოპერაციების სისტემისა და მრავალი სხვადასხვა სახის გადასახადების სიმძიმეს ბრძოლითა და აჯანყებებით უპასუხებდა. ეს ანტიფეოდალური, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, მიმართული აფხაზეთის ფეოდალების წინააღმდეგ, მეფის ადმინისტრაციასა და მშრომელ მასებს შორის ურთიერთობის გამწვავებას იწვევდა. რა თქმა უნდა, გლეხთა ბრძოლა, მიმართული ადგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგ, მეფის ადმინისტრაციის წინააღმდეგ ბრძოლას ერწყმოდა და ამიტომ მთავრობა ორმაგი მკაცრი ზომებით ილაშქრებდა გლეხთა მღელვარების გასანადგურებლად.

იმდროინდელ ოფიციალურ საბუთებში აღნიშნულია, რომ გლეხთა მღელვარებანი „პერიოდულად მეორდებოდნენ" აფხაზეთში. და აი იმისათვის, რომ გლეხთა მღელვარების „პერიოდულ" გამეორებებს არ ჰქონოდა ადგილი, მთავრობა განსაკუთრებულ ღონისძიებებს მიმართავს. — აძლიერებს ჯარებს და კოლონისტების დასახლების ვრცელ გეგმას ადგენს, რისთვისაც წინასწარ ხელსაყრელ ნიადაგს ამზადებს. ადგილობრივი ადმინისტრაცია საბაბად იყენებს რუსეთ-თურქეთის ომს და მისი მსვლელობის დროს მომხდარ გლეხთა ანტიფეოდალურ მღელვარებას „მოღალატურ" მოძრაობად ნათლავს, თუმცა სინამდვილეში ასეთი დასკვნისათვის მას არავითარი საფუძველი არ ჰქონდა. მთავრობა „მოღალატეების" წინააღმდეგ სასტიკ ზომებს ღებულობს, რის შედეგად ისედაც დუხჭირ მდგომარეობაში მყოფი გლეხობა კიდეე უფრო აუტანელ პირობებში ჩავარდა.

✓ სოხუმის განყოფილების უფროსი ერთ-ერთ თავის მოხსენებით ბარათში „როგორი ზომები უნდა იქნეს მიღებული დამნაშავე აფხაზური მოსახლეობის წინააღმდეგ და რის საფუძველზე უნდა გატარდეს საადგილმამულო რეფორმა", შემდეგს წერდა: ადგილობრივი მოსახლეობა უნდა დაისაჯოს. ის უნდა იქნეს ჩაყენებული ისეთ პირობებში, რომ გლეხთა მღელვარების მოვლენები მომავალში შეუძლებელი გახდეს. ამისათვის კი, მისი აზრით, საჭიროა:

1) ყველა დამნაშავე მოსახლეობა დაიბეგროს გადიდებული გადასახადით, 2) დადასტურდეს წინანდელი გაჯარგულება ბარაღის ტარების აკრძალვის შესახებ და 3) ცალკეული

პირები, რომლებიც აშკარად მონაწილეობენ აჯანყებაში, ადმინისტრაციული წესით მხარიდან გასახლებულ იქნან.[4]

1878 წლის 23 აგვისტოს კავკასიის მთიელთა სამმართველოს უფროსი მთავარსარდალს სწერდა: „დამნაშავე აფხაზური მოსახლეობა ისე უნდა დავაჯგუფოდ, რომ ა) იგი არ უნდა წარმოადგენდეს ერთ მთლიან მასას, არამედ შერეულ იქნეს თავისუფალ მიწაზე ახლად ჩამოსახლებულთა შორის და ბ) იგი დაბორებული უნდა იქნეს კოლონისტების მიერ დასახლებული ხაზით ზღვის სანაპიროდან"[5].

რა თქმა უნდა, მთავრობამ არ დააყოვნა ისეთი ზომები მიეღო, რომლებიც სოხუმის განყოფილებისა და კავკასიის მთიელთა სამმართველოს უფროსების რეკომენდაციებშია მოცემული. ასეთი რეპრესიების შედეგად, „აფხაზური მოსახლეობა", ან უფრო უკეთ რომ ვთქვათ, გლეხობა, აუტანელ პირობებში აღმოჩნდა და რამდენიმე ათასი ოჯახი იძულებული შეიქნა ოსმალეთში გადასვლოდა. თავისთავად ცხადია, რომ ეს გადასახლება არ მომხდარა თურქეთის აგენტების აგიტაციის გარეშე, რომლებიც მეფის ადგილობრივი ადმინისტრაციის ბოროტმოქმედების შედეგად თავისი სამშობლოდან უნებლიედ აყრილ მცხოვრებლებს იქ, თურქეთში, საუკეთესო პირობებს, მიწიერ სამოთხეს პირდებოდნენ. სინამდვილეში კი რა აღმოჩნდა?! როგორი პირობები დახვდა იქ გადასახლებულთ? ჩვენ მრავალი ისტორიული დოკუმენტი მოგვეპოვება, რომელნიც თურქეთში გადასახლებულთა აუწერელ, საშინელ პირობებს ცხადყოფენ. 80-იან წლებში ეს ამბავი ყურადღების გარეშე არ დარჩენია ქართულ პერიოდულ პრესას. ჩვენ აქ ერთ ადგილს მოვიყვანთ „ცრანანა" სტატიიდან თურქეთში გადასახლებულთა მდგომარეობის შესახებ, რომელიც მოთავსებულ იქნა გაზეთ „დროებაში" 1882 წლის 16 იანვარს.

„ისტორიაშიც კი იშვიათად შეხვდებით იმ ნაირ უბედურ და წამებულ ხალხს, როგორც აფხაზებია. წარსულისა და მომავლის იმედის დაკარგვის გარდა, არც ახლა იციან, თუ რანაირ მათთვის მოუფიქრებელ მდგომარეობაში არიან. ვინ მოსთვლის იმ უბედურებასა და ტანჯვას, რაც შეემთხვა ამ ბედისაგან გაფერანებულ ხალხს, თუ სოხუმის მაზრიდამ გაფანტვისა და ბათუმის მაზრაში და ოსმალოს სხვადასხვა ადგილებში გაფანტვის შემდეგ.

---

4 საქ. ცსსა. ფონდი 416. საქმე 190. ფურც. 1-4.

5 იქვე. ფონდი 229. საქმე 2589. ფურც. 36-37.

მე თვითონ ვარ მოწამე იმ უბედურებისა, როდესაც იმათ შიმშილმა არა თუ უკანასკნელი მოძრავი ქონება გააყიდვინა, არამედ საყვარელ შვილს, ძმას, დას და ნათესავებს, როგორც იტყვიან „ერთი კიტრის ფასად“ ჰყიდდნენ და ამნაირად ამსობდნენ სვავ ოსმალების არემს და ყმებად სახლებს“.[6]

ასეთივე შემაძრწუნებელ სურათს გვიხატავს მთელი რიგი სხვა დოკუმენტი თურქეთში გადასახლებულთა მდგომარეობის შესახებ. ამიტომ იყო, რომ შიმშილითა და წყურვილით გარდაუვალი დაღუპვის საშიშროებამ ემიგრანტებს ისევ აბრუნებინა პირი სამშობლოსაკენ წამოსასვლელად. სოხუმის განყოფილების უფროსის პატაკში მთავარსარდლის სახელზე აღნიშნულია „აფხაზეთის ემიგრანტების მასიურად დაბრუნება თურქეთიდან“[7]. თავისთავად გასაგებია, რომ სამშობლოში დაბრუნდა არა ყველა ემიგრანტი, რადგან მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ზემოაღნიშნული მიზეზებით ან სრულიად დაიღუპა, ამოწყდა ფიზიკურად, ანდა დასაბრუნებლად საჭირო სახსრების უქონლობის გამო, იქ სამუდამო, მოხუერ მდგომარეობაში დარჩა.

ასე იყო, თუ ისე, ცარიზმის ადმინისტრაციის მიერ წაქეზებულმა ემიგრაციამ „მთავრობის განკარგულებაში დატოვა“ სოხუმის განყოფილების კულტურულ ზონაში, თავისუფალი მიწის მნიშვნელოვანი რაოდენობა (60 ათას დესეტინაზე მეტი), რომელსაც შეუძლია კარგად და თავისუფლად დააკმაყოფილოს 2-დან 4 ათასამდე ოჯახი“[8].

მთავრობამ გადაწყვიტა ამ თავისუფალ მიწაზე, უფრო მეტად ზღვისპირა ზონაში, დაესახლებინა „ნაცადი ერთგულების“ მოსახლეობა, ე. ი. კოლონისტები „მხოლოდ რუსი ეროვნებიდან“.[9] მაგრამ რუსული ეროვნული თვისების გარდა, კოლონისტები სხვა თვისებების მატარებელნიც უნდა ყოფილიყვნენ, სახელდობრ: მათ უნდა შეექმნათ რუსული მოსახლეობის კულაკური ფენა, რადგან მხოლოდ მაშინ იქნებოდნენ ისინი ცარიზმისათვის დასაყრდენი, „ნაცადი ერთგულების“ მოსახლეობა. თუ როგორ პირობებს უქმნიდა ცარიზმი კოლონისტებს

---

[6] გაზეთი „დროება“, № 10, 1882 წ., 16 იანვარი, კრაზანას სტატია, „აფხაზების მდგომარეობის შესახებ“ („ბათომის ავაზაკები“).

[7] საქ. ცსსა, ფონდი 229, საქმე 2589, ფურც. 41.

[8] იქვე, ფონდი 416, საქმე 190, ფურც. 6

[9] იქვე, ფურც. 7.

აფხაზეთში, ამაზე საგანგებოდ ჩვენ ქვემოთ შევჩერდებით, ახლა კი საჭიროა დავუბრუნდეთ ადგილობრივი მოსახლეობის მიწათმოწყობის საკითხს და გავარკვიოთ იგი.

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ 8 ნოემბრის დებულება და მის გასავითარებლად გამოცემული მთელი რიგი ინსტრუქციები და წესები თავადაზნაურობის მიწით უზრუნველყოფისათვის დიდად ზრუნავდა და თუ ყველაფერი ის. რაც მათში იყო მოცემული, პრაქტიკულად განხორციელდებოდა, მაშინ მემამულის თითოეულ ოჯახს ასეული და ათასეული დესეტინის რაოდენობით უნდა მიეღო მიწა. ეს ასეც მოხდა სინამდვილეში.

1893 წლის ოფიციალური მონაცემებიდან ჩანს, რომ პრივილეგიური წოდების 600 ოჯახისათვის 67.195 დესეტინა მიწა გამოუყვიათ[10]. გამოდის, რომ საშუალოდ მარტო ძირითადი ნადელი მათ მიუღიათ ოჯახზე 112 დესეტინის რაოდენობით. მაგრამ, ამის გარდა, მათ აგრეთვე მიიღეს დამატებითი ნადელებიც, რომლებიც ძალიან ხშირად დიდი ზომის იყო. მოვიყვანოთ ამის დასადასტურებლად მაგალითები. პრაპორშჩიკ თავად პავლე ძიაპშიფას ორდენისა და ჩინისათვის მიუღია 50 დესეტინა, ხოლო მთავარსარდლის განკარგულებით მთავრობის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის 170 დესეტინა მიწა. სულ 220 დესეტინა. დამატებითი ნადელი[11]; პრაპორშჩიკ თავად კონსტანტინე ინალიფას ჩინ-ორდენებისათვის — 40 დესეტინა. ხოლო განსაკუთრებული დამსახურებისათვის — 150; სულ დამატებით — 190 დესეტინა მიწა;[12] მაიორ კიწ წამბას ჩინ-ორდენებისათვის — 150 დესეტინა, განსაკუთრებული დამსახურებისათვის — 250. სულ 400 დესეტინა[13]; მისოუსთ მარშანიას ოჯახს ჩინ-ორდენებისათვის — 30 დესეტინა, განსაკუთრებული დამსახურებისათვის — 150. სულ — 180 დესეტინა[14]; აამსთა კონსტანტინე მარღანიას ჩინ-ორდენებისათვის — 20 დესეტინა, ხოლო განსაკუთრებული დამსახურებისათვის — 250 დესეტინა[15]; როს-

---

10 ЗКОИРГО. кн. XVIII. 1896, გვ. 375; «Кавказский календарь». 1896 წ., გვ 218.

11 საქ. ცსსა, ფონდი 545. საქმე 3103. ფურც. 68-73.

12 იქვე. ფურც. 199-209.

13 იქვე.

14 იქვე;

15 იქვე.

ტისლავ მარშანიას ოჯახს განსაკუთრებული დამსახურებისათვის რგებია 200 დესეტინა[16]; სოფელ ოტობაიას მცხოვრებ კვადარა ანჩაბაძეს 20 დესეტინა მიუღია მის ხელქვეითმყოფი ფიოშების რაოდენობის მიხედვით, 10—იუნკრისა და 30—პოდპორუჩიკის წოდებისათვის, 100 — მთავარსარდლის განკარგულებით; მაშასადამე, სულ — 160 დესეტინა დამატებით ნადელი[17]; ნაბაკევის თემის მცხოვრებ მანუჩარ ანჩაბაძეს 201 დესეტინა მიუღია. აქედან: 46 — ფიოშების რაოდენობის მიხედვით, 125 — განსაკუთრებული დამსახურებისათვის და 30 — პოდპორუჩიკის ჩინისათვის[18].

ასევე ჩინ-ორდენებისა და განსაკუთრებული დამსახურებისათვის ათეული და ასეული დესეტინა მიწა რგებიათ კაცია მარშანიას ქვრივს ანასტასია მარშანიას, აამსთა კიუ ქუჩბაიას, აამსთა რუგ იაშბას, პრაპორშჩიკ ივანე შარვაშიძეს და სხვებს. [19]

მიწა ათასეული დესეტინობით მიიღეს უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის მემკვიდრეებმა და ნათესავებმა, აგრეთვე სხვა მსხვილმა მემამულეებმა. მიხეილის ორმა ვაჟიშვილმა მიიღო 1.700 დესეტინა მიწა. გიორგი დიმიტრის-ძე შარვაშიძემ მოახერხა 6.000 დესეტინა მიწის მისაკუთრება. სამსონ და პროკოფი შარვაშიძეებმა ხელთ იგდეს 4.125 დესეტინა. გენერალ-მაიორ თავად გრიგოლ შარვაშიძეს ერგო 4.000 დესეტინა; აამსთა ტიტ მარღანიას — 1.000 დესეტინა.[20] თავადის ქალს დარია მარშანიას (ალმასხიტ მარშანიას ქვრივს) სოფელ ჯგერდეში მიუზომეს 1.500 დესეტინა მიწა[21].

გენერალ-ლეიტენანტ თავად გიორგი ერისთავს ალექსანდრე II-ის 1875 წლის 13 ნოემბრის განკარგულებით გადასცეს სოხუმის განყოფილების სახელმწიფო მიწიდან მუდმივ და სამემკვიდრეო მფლობელობაში 2.501 დესეტინა და 1.200 კვ. საჟენი მიწა[22].

---

16 საქ. ცსსა, ფონდი 545, საქმე 3103, ფურც. 199-209.

17 აფხ. ცსა, ფონდი 57, საქმე 17, ფურც. 1.

18 იქვე, საქმე 12, ფურც. 14.

19 საქ. ცსსა, ფონდი 545, საქმე 3103, ფურც. 68-73.

20 იქვე, ფონდი 229, საქმე 2589, ფურც. 40.

21 იქვე, ფონდი 545, საქმე 3103, ფურც. 240.

22 ცსსა. ლენინგრადი, ფონდი 1268, აღწ. 12, საქმე 75; ფურც. 11.

მიწის დიდძალ ფართობებს ურიგებ[illegible]ნენ არა მარტო ადგილობრივ მემამულეებს, არამედ რუს გენერლებს, ოფიცრებსა და მოხელეებს. ამან ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ 1870 წელს სოხუმის განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი არაკინი იძულებული შეიქნა განეცხადებინა — გლეხებისათვის ნაკვეთების გამოყოფა შეფერხებულია სხვა დაბრკოლებებთან ერთად „უცხო პირთათვის ნაკვეთების გაცემასთან დაკავშირებით“ და ამას შეუძლია მომავალში შექმნას „უკიდურესი შევიწროება მიწის საკითხში“[23].

თუ რაოდენ ფართო ხასიათი მიიღო უცხო პირთათვის მიწის დარიგებამ, ამას ნათლად გვიჩვენებს ქვემოთ ჩამოთვლილი მაგალითები.

ჯერ კიდევ 1871 წელს იმპერატორის განკარგულებით გენერალ-მაიორი პილენკოს გამოუყვეს მიწა 402 დესეტინის რაოდენობით[24].

აფხაზეთში, უფრო მეტად კი ქ. სოხუმის ახლომახლო მიდამოებში, მიწები მიუღიათ შემდეგ პირებს: სტატსკი სოვეტნიკ მიხნევიჩს — 200 დესეტინა; პოლკოვნიკ ფრაიერს — 500 დესეტინა; ნადვორნი სოვეტნიკ სემენიკოვს — 1.500 დესეტინა, გენერალ-ლეიტენანტ კრაევიჩს — 1.497,5 დესეტინა; თავად ვიტგენშტეინს — 7.443,5 დესეტინა; ნამდვილ სტატსკი სოვეტნიკ მოშინს — 500 დესეტინა; გოგომეისტერს — 500 დესეტინა; მაიორ რეშჩიკოვს — 400 დესეტინა; პროფესორ ბუტლეროვსა და კონდრატიევს ას-ასი დესეტინა; გენერალ-ლეიტენანტ კოლუბაკინის ქვრივს — 600 დესეტინა და სხვ.[25]

წებელდაში 24 მემამულეს ჰქონია თავის განკარგულებაში 16 ათასი დესეტინა მიწა, აქედან ნახევარი, ე. ი. 8 ათასი დესეტინა, ეკუთვნოდა გრაფ ბობრინსკის. დალის ხეობაში 23 მემამულიდან ერთ-ერთ მათგანს. სტატსკი სოვეტნიკ სარაჯევს 1.000 დესეტინა მიწა ჰქონია, ხოლო დანარჩენებს 300-დან 500 დესეტინამდე[26].

ასევე დიდი რაოდენობით მიიღეს მიწები მონასტრებმა და ეკლესიებმა. ასე, მაგალითად, ახალი ათონის მონასტერი 4.500

---

23 საქ. ცსსა, ფონდი 229, საქმე 2589, ფურც. 41.

24 ცსსა, ლენინგრადი, ფონდი 1268, აღწ. 16, საქმე 133, ფურც. 1.

25 იქვე, ფონდი 40.

26 **Г. А. Рыбинский**, Абхазия в сельскохозяйственном и бытовом отношении, Тиф. 1894 წ., გვ 10.

დესეტინა ფართობს ფლობდა[27]; დრანდის მონასტერს თავის განკარგულებაში რამდენიმე ასეული დესეტინა მიწა ჰქონია[28].

ათეული ათასი დესეტინა მიწა გამოყვეს აგრეთვე უცხო ეროვნების კოლონისტების დასასახლებლად.

ამიტომ იყო, რომ ჟურნალ „ივერიის" კორესპონდენტი 1881 წელს გულისტკივილით აღნიშნავდა: „უხვად მომცემი მიწა უხვად დაურიგებიათ ამ უცხო ქვეყნელებისათვის"[29].

იგივე კორესპონდენტი მკაფიოდ აგვიწერს, თუ რა ფარ-ფო ხაიათი ჰქონდა უცხო პირთათვის ქ. სოხუმის მახლობლად მდებარე მიწების გაცემამ.

„გავედით თუ არა სოხუმიდან და დავყევით ზღვისპირად, გზის მარცხნივ რამდენიმე რიგიანად შემუშავებული მამული დაგვხვდა. ეა მამულები ეკუთვნის ვიღაც ვოლკოვებს. ვედენ-სკის და სხვ.

— მაშ ვინ ეპატრონება ეხლა აფხაზეთის მიწებს. — ვკით-ხე მე ჩემს თანამგზავრს?

— აი ეს ტყე, ქვრივი რომ არის კოლუბაკინისა, იმისია, — მიპასუხა მან.

— სადამდის?

— ჯერ შორს არის... აი ხევს რომ მივალთ, იქამდის სულ მისია.

— იმის იქით ვინ ია?

— ენერალ კრავჩენკოსი.

— რომელ კრავჩენკოსი, სოხუმში რომ უფროსობდა ოს-მალების შემოსვლის დროს?

— ჰო, სწორედ იმისი.

— ეს ვინ ია?—ვკითხე იმას რამდენიმე ვერსის გავლის შემდეგ.

— ეგ კომენდანტად იყო სოხუმში და იმის ქვრივისაა.

„უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედისების".

მომაგონდა ჩვენი რუსთაველის სიტყვები და ვიფიქრე — ეს ქურიცხველი სიმდიდრე შავი ზღვის შემწეობით ჩვენს ქვე-ყანას მალე „გაედინება", მაგრამ „შეედინება" თუ არა, ეგ ღმერთმა უწყის. ერთის სიტყვით, სოხუმის მაზრის მამულებ-ზე ყურთაგლეჯა ყოფილა; დიდსა და პატარას, მღვდელსა, თუ ერსა, ყველას წაუტანებია ხელი და ყველა დაპატრონე-

---

27 აფხ. ცსა. ფონდი 12, საქმე 345, ფურც. 11-14.

28 იქვე.

29 ჟურ. „ივერია". 1881 წ., № 11, გვ. 106.

ბია... მამულებს. მე სიტყვის მასალად როდი ვამბობ აქ: „მღვდელსა თუ ერსა“ მეთქი: მღვდლებსაც თავისი წილი არ დაჰკლებიათ და რასაკვირველია მათაც ხარისხოვნების კვალობაზე ერგებოდათ მიწები; ბევრგან უბრალო მღვდლებს სამოც-სამოც დღიური რგებიათ და ბლაღოჩინებს კი თითოს ას-ოცი“. [30]

რისი მაჩვენებელია ეს მაგალითები? ლაპარაკობს თუ არა ყველაფერი ეს თავადაზნაურობის ცხოვრებია ეკონომიური პირობების სრულ უზრუნველყოფაზე? დიახ, ლაპარაკობს. თუ ფეოდალებმა ასეული და ათასეული დესეტინა მიწა მიიღეს და ისიც საუკეთესო ხარისხისა, თუ ამავე დროს, ე. წ. დროებითი ვალდებულების პერიოდის განმავლობაში, რომლის ხანგრძლივობა კანონით 4 წლით იყო განსაზღვრული, მაგრამ რომელიც, სინამდვილეში, 1871 წლიდან 1912 წლამდე გაგრძელდა, გლეხობა იხდიდა ყველა ძირითად ფეოდალურ გადასახადს, ე. ი. ფაქტიურად ძველებურად ყმურ მდგომარეობაში იყო, თუ თავისი გამოსყიდვის შემთხვევაში გლეხი ვალდებული იყო მებატონისათვის გამოსასყიდი თანხა დიდი რაოდენობით ეხადა და სხვა, ცხადია, მათი მდგომარეობა ისე კარგად ყოფილა მოწყობილი, რომ უკეთესს ვერც კი ისურვებდნენ. მართლაც, იმდროინდელ საბუთებში არაერთგზის აღნიშნულა რეფორმის შედეგად თავადაზნაურობის მატერიალურად უზრუნველყოფილი მდგომარეობის შესახებ.

მივმართოთ საბუთებს, რომლებიც ოფიციალურად აცხადებენ ერთი მხრით, თავადაზნაურობის უზრუნველყოფის, ხოლო, მეორე მხრით, გლეხობის სავალალო მდგომარეობის შესახებ.

1889 წელს, როდესაც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელს სთხოვა სანქცია სოხუმის ოლქის „პრივილეგიური კლასისათვის“ დამატებითი „ნადელების“ გამოსაყოფად თემების სარგებლობაში მყოფი ფართობიდან 10 ათასი დესეტინა მიწის ჩამოჭრის შესახებ, „კავკასიის მხარის სამხედრო-სახალხო მმართველობის ნაწილებში წოდებრივ-საადგილმამულო საკითხის დამამთავრებელმა კომისიამ“ [31] საჭიროდ არ ჩათვალა მისი სისრულეში

---

[30] ეურ. „ივერია“. 1881 წ., № 11, გვ. 101- 103.

[31] ეს კომისია დაწესებული იქნა 1883 წელს და მას, სხვათა შორის, სოხუმის საადგილმამულო კომისიის გაუქმების (1883 წ.) შემდეგ, აფხაზეთში საგლეხო რეფორმის დამთავრების საქმეც დაეკისრა (საქ. ცსსა, ფონდი 229, საქმე 2070, ფურც. 18).

მოყვანა. კომისიამ ამ საკითხზე განაცხადა: „...ასეთი ზომების განხორციელებისას ეკონომიურად ცუდად უზრუნველყოფილი მასების ინტერესები მსხვერპლად შეეწირება... კერძო მესაკუთრეებს (ე. ი. მემამულეებს. ლ. ძ.), რომლებიც მატერიალურად, შედარებით, ძალიან ფართოდ არიან უზრუნველყოფილი". [32]

მეორე საბუთში — თავადაზნაურობის საადგილმამულო მოწყობის შესახებ — შემდეგს ვკითხულობთ: „მეურნეობის განვითარების მხრივ განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში იმყოფებიან პრივილეგიური წოდებათა პირები". [33]

აქვე, ცოტა უფრო ქვემოთ, აღნიშნულია: „საადგილმამულო რეფორმის გატარების ნელი ტემპის გამო ოლქში მოსახლეობა იძულებული იყო ეცხოვრა თითქმის ძველებურად, ე. ი. როგორც ეს იყო 1870 წლის 8 ნოემბრის კანონის გამოცემამდე; იგი საჭიროებისამებრ ტყის გაჩეხვის საშუალებით ძველ გამოფიტულ ყანებს ახლით ცვლიდა, კარმიდამო ახალი ყანების ახლოს გადაჰქონდა. ყველაფერმა ამან 24 წლის განმავლობაში ისეთი არევ-დარევა შეიტანა უფლებებში, რომ მოსახლეობის უმრავლესობამ, თანახმად აღნიშნული ინსტრუქციისა (იგულისხმება 1885 წლის ინსტრუქცია. — ლ. ძ.), არსებითად დაკარგა იგი. **ამის გამო, ყველაზე უფრო მეტად დაიტანჯა მოსახლეობის უღარიბესი ნაწილი, რომელმაც ვერ მოასწრო მიწის დაკავება იმ რაოდენობით, რამდენიც საჭიროა მათი ოჯახების გამოსაკვებად**" (ხაზგასმა ჩემია. — ლ. ძ.).

მაშასადამე, საგლეხო რეფორმის გატარების შედეგად, მთავრობის ოფიციალური ორგანოების განცხადებით გამოდის, რომ, ერთი მხრით, თავადაზნაურობა ეკონომიურად „უზრუნველყოფილია ძლიერ ფართოდ" და „ჩაყენებულია განსაკუთრებით ხელსაყრელ" პირობებში, მაგრამ სამაგიეროდ, მეორე მხრით, გლეხები „იტანჯებიან", რადგან „ვერ მოასწრეს მიწის დაკავება იმ რაოდენობით, რომელიც აუცილებელია მათი ოჯახების გამოსაკვებავად". სურათი სრულიად ნათელია: თავადაზნაურობა აღმოჩნდა განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში, ეკონომიურად სრულიად უზრუნველყოფილი, ხოლო გლეხობა მეტად არახელსაყრელ პირობებში, ეკონომიურად ყოველგვარი უზრუნველყოფის გარეშე. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან საგლეხო რეფორმა გატარდა მემამულეების კლასობრივი ინტერესების დაცვის დევიზით.

---

32 საქ. ცსსა, ფონდი 231, საქმე 319, ფურც. 1-Ე.

33 იქვე, ფონდი 416, საქმე 1031, ფურც. 4.

ამიტომ სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს და კანონიერ აღშფოთებას იწვევს მკითხველებში ს. ესაძის შემდეგი გარეცხადება: „უპირატესად საჭიროა აღინიშნოს, ის სამწუხარო და საკვალალო მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდა პრივილეგიური წოდება". [34]

ცხადია, საგლეხო რეფორმის გატარების შედეგად აფხაზეთში თავადაზნაურობის მდგომარეობის შესახებ ისეთი დასკვნა, როგორც ეს ესაძემ გამოიტანა, სხვა არაფერია თუ არა ისტორიული სინამდვილის აშკარა დამახინჯების წინასწარგანზრახული სურვილი.

მაშასადამე, აფხაზეთის თავადაზნაურობის მდგომარეობა რეფორმის შედეგად ჩვენთვის სრულიად ნათელია. მართალია, ზემოთქმულიდან აგრეთვე გარკვეულად ჩანს გლეხობის მდგომარეობაც, მაგრამ მაინც შეიძლება დაისვას კითხვა — გაუმჯობესდა თუ გაუარესდა გლეხთა ეკონომიური მდგომარეობა რეფორმამდელ პერიოდთან შედარებით? უნდა ითქვას, რომ გლეხთა ეკონომიური მდგომარეობა რეფორმის შედეგად გაუარესდა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ აფხაზეთში ბატონყმობის არსებობის დროს გლეხები მეტად მძიმე პირობებში იყოფებოდნენ. ამიტომ როდესაც „გათავისუფლების" შემდეგ მათი მდგომარეობის გაუარესებაზე ვლაპარაკობთ, ამას არ შეუძლია არ გამოიწვიოს ერთგვარი გაკვირვება. მაგრამ ასე თუ ისე, ჩვენ ეს უნდა ვაღიაროთ, რადგან იგი სინამდვილეა.

იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ რეფორმის შემდეგ გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ, საჭიროა, შეძლებისამებრ, ზუსტად დადგინდეს, თუ რა ზომის მიწის ნაკვეთი ერგო გლეხის თითოეულ კომლს, ან მიწის რა ფართობი მოდიოდა გლეხის თითო სულზე. წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის გლეხთა მიწით მომარაგების შესახებ დღემდე გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემები არ შეიცავს სიზუსტეს. ამიტომ საჭიროა მათში შეტანილ იქნეს გარკვეული შესწორებანი. განვიხილოთ ის სტატისტიკური მონაცემები, რომლებსაც იძლევა 1883 წლის „კავკაზსკი კალენდარ"-ი გლეხობასა და თავადაზნაურობას შორის მიწის განაწილების შესახებ.

ამ ცნობებით მიწები ოლქების მიხედვით შემდეგნაირად განაწილებულა: ბიჟვინთის ოლქში 14.276 სულ გლეხს ნადელად 61.306 დესეტინა მიწა ჰრგებია, ხოლო პრივილეგიური კლასის 601 სულს — 29.073 დესეტინა მიუღია; ოჩამჩირის

34 ს. ესაძე, დასახელებული წინ. გვ. 523.

ოლქში 43.633 სულ გლეხს მიეცა 120.145 დესეტინა, ხოლო თავადაზნაურობიდან 1.244 კაცს — 58.938 დესეტინა; წებელ-დის საბოქაულოში 660 გლეხისათვის 6.290 დესეტინა მიუ-ციათ, ხოლო დანარჩენი 12.082 დესეტინა პრივილეგიური წო-ლებისათვის გამოუყვიათ". [35]

„ამგვარად უბრალო კლასის ნადელისათვის, რომელიც მო-სახლეობის 96,3%-ს შეადგენს, იხმარება მთელი კულტურული ზოლის 62,2%, ანუ 3,1 დესეტინა სულზე; პრივილეგიური კლასის ნადელისათვის კი, რომელიც 3.6%-ს შეადგენს — 32,4%, ანუ 47,2 დესეტინა სულზე, კულტურული ზოლის დანარჩენი 5,4% რჩება თავისუფალი". [36]

ამ ცნობებში უსათუოდ მნიშვნელოვანი შესწორებანი უნ-და იქნეს შეტანილი არა მარტო იმიტომ, რომ „უბრალო კლა-სის" შემადგენლობაში, როგორც სამართლიანად შენიშნავს ა. ოლონეცკი, შედიოდნენ კოლონისტები (გადმოსახლებულ-ნი), რომელთაც ეძლეოდათ გაცილებით მეტი მიწის ფართო-ბი. ვიდრე ადგილობრივ გლეხს [37] (რაც, რა თქმა უნდა, ადი-დებდა საერთოდ გლეხობის საშუალო ნადელის რაოდენობას, მაგრამ რომელსაც სინამდვილეში ადგილობრივი გლეხობა არ ფლობდა), არამედ იმიტომაც, რომ 1881 წლისათვის, ე. ი. იმ დროისათვის, რომელსაც ეკუთვნის ეს მონაცემები, საგლეხო რეფორმა მთლიანად არ იყო დამთავრებული და მთელი რიგი საბუთების დამოწმებით გლეხობის უმრავლესობას სრულია-დაც არ ჰქონია მიზომილი მიწები იმ ნორმით, რომელიც იყო ნაჩვენები 8 ნოემბრის დებულების გასავითარებლად გამო-ცემულ ინსტრუქციაში. ამიტომ ეს მონაცემები, რომლებსაც გვაწვდის „კავკაზსკი კალენდარ"-ი, უსათუოდ, საეჭვოა. მართ-ლაც, თუ ამ დროისათვის გლეხობის უმრავლესობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა „ნორმალური" ფართობი, საიდან შეიძლებოდა ამ მონაცემების შედგენა? ვფიქრობთ, ეს ცნობები აღებულია არა ფაქტიურად გლეხებისათვის უკვე მიზომილი მიწის ფარ-თობის გაანგარიშებიდან, არამედ, ასე ვთქვათ, თეორიული მოსაზრებებიდან, ე. ი. ეს მიწის ის რაოდენობაა, რომელიც ჯერ არ მიუღია გლეხობას, მაგრამ რომელიც უნდა მიეღო მას

---

35 «Кавказский календарь», 1883 წ., გვ. 247.

36 იქვე.

37 ი. ანთელავა. რეფორმის შემდეგდროინდელ აფხაზეთში აგრარული მოძრაობის ისტორიიდან (1870-1883 წლები), საქართველოს სსრ მეცნიე-რებათა აკადემიის „მოამბე", ტ. 10, № 4, 1949 წ., გვ. 451-452.

კანონით. რეფორმის შედეგად. ჩვენი ამ მოსაზრების დასამტკიცებლად მივმართოთ ფაქტებს.

ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში, რომელშიც არაა ნაჩვენები, თუ ვის მიერაა იგი შედგენილი, მაგრამ რომლის შინაარსის მიხედვით შეგვიძლია იგი სოხუმის ოლქის უფროსს მივაკუთვნოთ (1883 წლიდან სოხუმის განყოფილება იწოდება სოხუმის ოლქად. — ლ. ძ.), ნათქვამია, რომ „ოლქში საადგილმამულო რეფორმის გატარების დაგვიანებამ" შექმნა ისეთი პირობები, რითაც „ყველაზე უფრო მეტად იტანჯება მოსახლეობის უღარიბესი ნაწილი, რომელმაც ვერ მოასწრო მიწების დაკავება თავისი ოჯახების გამოკვებისათვის აუცილებელი ზომით". [38] აქვე, ცოტა უფრო ქვემოთ, ნათქვამია, რომ „გლეხობის უმრავლესობას მიწა ნორმაზე უფრო ნაკლები აქვსო".[39] ეს დოკუმენტი შედგენილია რეფორმის გამოცხადებიდან 24 წლის გავლის შემდეგ, ე. ი. 1894 წელს. თუ ჯერ კიდევ 1894 წელს გლეხობის უმრავლესობამ ვერ მოასწრო კანონით გათვალისწინებული მიწის რაოდენობის მიღება და ამიტომ მას ჰქონდა ნორმაზე გაცილებით უფრო ნაკლები. (ნორმა, როგორც ეს ჩვენ ზემოთ დავინახეთ, 1872 წლის ინსტრუქციით უღარიბდა გლეხის ოჯახისათვის, მასში შემავალი სულის რაოდენობისდა მიხედვით, 3-დან 7 დესეტინამდე). ცხადია, რომ ამ შემთხვევაში „კავკაზსკი კალენდარ"-ი არ არის მართალი და მის მიერ წარმოდგენილი ცნობები, რომ გლეხის თითო სულზე 1881 წელს ნადელი 3.1 დესეტინის რაოდენობით მოდიოდა, არ შეეფერება სინამდვილეს. ეს ჩვენი დასკვნა ბით უფრო სარწმუნოა, რომ 90-იან წლებში და უფრო გვიანაც საგლეხო რეფორმის დაუმთავრებლობაზე სხვა ავტორებიც ლაპარაკობენ. ასე, მაგალითად, დიაჩკოვ-ტარასოვი ჩვენ მიერ უკვე ციტირებული შრომის 210-ე გვერდზე ლაპარაკობს, რომ მხარის განცალკევების დღის წესრიგში. სხვასთან ერთად, აფხაზეთში მიწათმოწყობის საკითხის დამთავრება დგასო. მაშასადამე, გამოდის, რომ მიწის საკითხი, ე. ი. გლეხობისათვის ნადელების გამოყოფა, არ ყოფილა დამთავრებული დიაჩკოვ-ტარასოვის აზრით მე-20 საუკუნის დასაწყისშიც. ამასვე ეტყვიან რიბინსკი თავის შრომაში, რომელიც 1894 წლითაა დათარიღებული. „...აფხაზეთის გლეხობა ჯერჯერობით იმყოფება სათემო მფლობელობის პირობებში და საკმაოდ მძიმე გარდამავალ მდგომარეობას განიცდის". [40]

---

38 საქ. ცსსა. ფონდი 416, საქმე 1031, ფურც. 4.

39 იქვე.

40 გ. ა. რიბინსკი, დასახელებული წიგნი. გვ. 17.

დასასრულ, მოვიყვანოთ კიდევ ერთი ცნობა, რომელიც შედგენილია 1917 წლის პირველ იანვარს. აი, რას ეკითხულობთ იქ: „შინაგანი გამიჯვნა და მიწათმოწყობა დამთავრებულია 14 თემში (აფხაზეთში მაშინ სულ 32 თემი ყოფილა. — ლ. ბ.), 60.011 დესეტინა ფართობზე. ამრიგად, არ არის დაწყებული სამიწათმოქმედო სამუშაოები 18 თემში, 87.323 დესეტინა ფართობზე...“ [41] მაშასადამე, სამიწათმოქმედო სამუშაოები თემის მცხოვრებთა შორის, ე. ი. ჯლეხებისათვის, ნადელების გამოაყოფად, უმრავლეს შემთხვევაში 1917 წლისათვისაც კი არ ყოფილა დამთავრებული. მაგრამ შეიძლება კვითხრან, რომ თემის შიგნით მიწების განაწილებას არა აქვს მნიშვნელობა, რადგან თემის მიწა იგივე გლეხის მიწაა და მისი გამოყენება-მოხმარება სურვილისამებრ გლეხთა საზოგადოების განკარგულებაშია.

საქმე სწორედ იმაშია, რომ ეს ასე არ არის. ვინაიდან, ჯერ ერთი, თემის კუთვნილი ფართობის გამოყენება კანონის ძალით თავადაზნაურობასაც შეეძლო. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ პრივილეგიური წოდება თავის ამ უფლებებს დიდი წარმატებით იყენებდა და ხშირად იტაცებდა თემის მიწას, ე. წ. „ჩვეულებრივი უფლების“ მომიზეზებითა და აგრეთვე ყოველგვარი საბაბის გარეშეც. ასე, მაგალითად, თავად პროკოფი შარვაშიძეს სოფ. ანუხვაში თვითნებურად ჩაუგდია ხელში დიდძალი მიწა, რითაც ადგილობრივი გლეხობა მეტად შეუვიწროებია. [42] მეორე მხრით, თვით მთავრობა თემის მიწას უყურებდა როგორც ერთგვარ სარეზერვო ფონდს, რომლისგანაც ჩვეულებრივად გამოუყოფდა ასეულ და ათასეულ დესეტინა მიწას ცალკეულ პირებს. ან დაწესებულებებს და სხვ. ზემოთ ჩვენ უკვე მოვიყვანეთ მაგალითი იმისა, რომ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გროსმანი საჭიროდ თვლიდა 10 ათასი დესეტინა მიწის ჩამოჭრას თემების ფართობებიდან გაბატონებული კლასის ნადელის გასადიდებლად. ჩვენ აგრეთვე მოვიყვანეთ ერთი ადგილი სოხუმის ოლქის უფროსის შენიშვნებიდან, სადაც იგი მოითხოვდა, რომ ფეოდალებს მიწით კარგად უზრუნველყოფის გამო აკრძალოდათ სათემო ფართობის გამოყენება, რათა საბოლოოდ არ გაჩანაგებულიყო გლეხობა, რომელიც ისედაც დიდად იყო შევიწროებული მცირემიწიანობით. რა თქმა უნდა, სოხუმის ოლქის უფროსს ეს იმისათვის კი არ განუცხადებია, რომ მას გული შეს-

---

41 საქ. ცსსა, ფონდი 23, აღწ. 1, საქმე 370, ფურც. 27.

42 იქვე, ფონდი 231, საქმე 319, ფურც. 73.

ტკიოდა გლეხობის სიღატაკეზე, არამედ იმიტომ, რომ „ადგილობრივ მოსახლეობაში იქმნება სრულიად უმიწაწყლო ან თითქმის უმიწაწყლო ელემენტი, რომელიც განსაკუთრებით არა სასურველია სამურზაყანოსა და აფხაზეთის მოსახლეთა შორის...". [43]

მოვიყვანოთ მთავრობის მიერ სათემო მიწის თავის სურვილისამებრ გამოყენების კიდევ ერთი მაგალითი. 1895 წელს კავკასიის სამოქალაქო ნაწილმა დაადგინა, რომ სათემო მიწის ფართობიდან თითოეული ეკლესიისათვის გამოყოფილიყო 25-დან 50 დესეტინამდე. [44] ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა. მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რას ნიშნავდა ე. წ. სათემო მიწა. იგი გლეხობას ეკუთვნოდა ქაღალდზე, ფორმალურად და არა ფაქტობრივად, ნამდვილად.

ყოველივე ამის შემდეგ, ცხადია, რომ ცნობა, რომელსაც „კავკასსკი კალენდარ"-ი გვაწვდის გლეხის ნაკვეთის ოდენობის შესახებ (სულზე — 3,1 დეს.), გაზვიადებულია.

ჩვენ მიერ აღნიშნული ფაქტებიდან ნათლად ჩანს, რომ გლეხის ნადელი ძალზე მცირე ზომისა იყო. მაგრამ მაინც ბუნებრივია კითხვის დასმა: რას უდრიდა ის ზუსტად? არის თუ არა შესაძლებლობა დაახლოებით მაინც გამოანგარიშებულ იქნეს გლეხის საშუალო ნადელის ოდენობა? როგორც ცნობილია, აფხაზეთის მე-19 საუკუნის ისტორიის მასალები საერთოდ მეტად ღარიბია სტატისტიკური მონაცემებით. ამიტომ იქ, სადაც საჭიროა რომელიმე ისტორიული ფაქტის განსაზღვრა ზუსტად, ციფრობრივი მონაცემებით, მკვლევარები იძულებული არიან მხოლოდ მიახლოებით იმსჯელონ. აფხაზეთის გლეხთა საკითხის ისტორიის მკვლევარები (მხედველობაში გვყავს საბჭოთა პერიოდის ისტორიკოსები) სრულიად სამართლიანად იქცეოდნენ, როდესაც წერდნენ რეფორმის შემდეგდროინდელი გლეხის მიწის სიმცირეზე. მაგრამ მათ ამის დასადასტურებლად არ მოჰყავდათ არცერთი ციფრობრივი მონაცემი. ეს აიხსნება იმით, რომ ასეთი მონაცემებისათვის მიკვლევა ძნელი შეიქნა. საკითხის კვლევა-ძიების დროს წავაწყდით ერთ საბუთს, რომელსაც, ჩვენი აზრით, შეუძლია გარკვეულობის შეტანა ამ საქმეში. ეს არის „წოდებრივ-საადგილმამულო საკითხის გადამწყვეტი კომისიის ცნობები". იქ ნათქვამია: „1908 წელს გამიჯნულია 6.300 დესეტინა ფართობზე

43 საქ. ცსსა, ფონდი 416, საქმე 1031, ფურც. 1-5.
44 იქვე. ფონდი 231. საქმე 424, ფურც. 13.

2.530 ნაკვეთი, 1909 წელს 7.030 დესეტინა ფართობზე — 2.480 ნაკვეთი და 1910 წელს 6.180 დესეტინა ფართობზე — 2.950 ნაკვეთი. სულ სამი წლის განმავლობაში 1908-1910 წწ. გამიჯნულია 19.540 დესეტინა ფართობზე 7.960 საკომლო ნაკვეთი"[45].

აქედან ირკვევა, რომ ამ წლებში გამიჯნული გლეხის საშუალო ნადელის ფართობი არ აღემატება 2,4 დესეტინას. მაგრამ შეიძლება ეს გამონაკლისია? შეიძლება ამ წლებში იმიჯნებოდა ნადელი ნაკლები ზომით, ვიდრე წინათ, ან ამის შემდეგ? ამ კითხვებზე პასუხს ისევ ეს საბუთი იძლევა: გუდაუთის, კოდორისა და სამურზაყანოს რაიონში (ე. ი. მთლიანად აფხაზეთში, — ლ. ძ.) 145.500 დესეტინა ფართობზე უნდა მოეწყოს 34 თემი, რომლებშიც 70.000-მდე საკომლო ნაკვეთი ირიცხებაო".[46]

გამოდის, რომ საერთო ჯამში, ამ მონაცემების მიხედვით, აფხაზეთში გლეხის საშუალო საკომლო ნადელის ოდენობა 2 დესეტინა ყოფილა. მაგრამ ამასთან ერთად არ უნდა დავივიწყდეს ის ამბავი, რომ ამ საერთო მიწის ფართობიდან კოლონისტებს ეძლეოდათ გადიდებული მიწის ნაკვეთები.[47] რაც, რა თქმა უნდა, ამცირებდა ადგილობრივი გლეხის საშუალო ნადელის აქ წარმოდგენილ ნორმას, ე. ი. ადგილობრივი გლეხის კომლს ფაქტობრივად საშუალოდ მიუღია არა 2 დესეტინა, არამედ უფრო ნაკლები. ჩვენი აზრით, მკვიდრი გლეხის საკომლო საშუალო ნადელის ოდენობა არ უნდა ყოფილიყო 1.5 დესეტინაზე მეტი.

თუ ვიანგარიშებთ ერთი კომლის შემადგენლობაში საშუალოდ 5-6 სულს, რაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო აფხაზეთში, გამოდის გლეხის ერთ სულზე საშუალოდ ერთ-მესამედ დესეტინაზე ნაკლები მიწის ფართობი, ეს მაშინ, როდესაც რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში მამრობითი სქესის თითო სულზე 3.3 დესეტინა სანადელო მიწა მოდიოდა.

აი, როგორ იქნა გლეხი „უზრუნველყოფილი" მიწით. ასეთი მცირე, მინიატურული ნადელი აკმარეს გლეხს რეფორმის

---

45 საქ. ცსსა, ფონდი 231, აღწ. 1, საქმე 370, ფურც. 26

46 იქვე.

47 1896 წლის «Кавказский календарь» აღნიშნავს, რომ ჩამოსახლებულებს (კოლონისტებს) თითო კომლზე ეძლეოდათ 5-დან 30-მდე დესეტინა მიწის ფართობი. 1894 წლამდე სულ 1.560 ოჯახს 23.839 დესეტინა მიწა მიუღია, ე. ი. საშუალოდ კოლონისტის საკომლო ნაკვეთის ოდენობა უდრიდა 15-16 დესეტინას (გვ. 219).

შედეგად, ბაშინ, როდესაც რეფორმამდე მის სარგებლობაში საშუალოდ დაახლოებით 6 დესეტინა მიწის ფართობი[48] იყო. ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გლეხის ეს მცირე ზომის ფართობი დაბალი ხარისხისა იყო, ხოლო ზოგჯერ სრულიად უვარგისიც. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ გლეხს ნადელი ეძლეოდა სულ პატარ-პატარა ნაჭრებად, ასე რომ ხშირად მისი სანაკვეთო მიწის ცალკეული ნაჭრები ერთმანეთისაგან დიდი მანძილით იყო დაშორებული.

ხშირი იყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც გლეხის მამაპაპეულის მიერ მრავალი წლის მანძილზე დამუშავებული, ოფლით მორწყული სახნავ-სათესი მიწა და გაშენებული ბაღ-ვენახი ე. წ. გამიჯვნის დროს მიუზომიათ მემამულეებისათვის, რომელთაც არაფერი საერთო არ ჰქონდათ ამა თუ იმ თემთან, ან თემის ტერიტორიასთან. ამ შემთხვევაში გლეხებს დამუშავებული მიწისა და გაშენებული ბაღ-ვენახის მაგივრად აძლევდნენ სრულიად დაუმუშავებელი და უვარგისი მიწის ნაჭრებს. ასეთი უკანონობის შესახებ გლეხები როგორც ცალ-ცალკე. ისე კოლექტიურად. მთელი სოფლებითა და თემებით ჩიოდნენ სულ ძაღალ ინსტანციებში; ყოფილა შემთხვევა, როდესაც საჩივარს პეტერბურგამდეც კი მიუღწევია, მაგრამ, როგორც წესი, ამ საჩივრებისაგან არაფერი გამოდიოდა და გლეხების ყოველგვარი ცდა ამ მიმართულებით საბოლოო ჯამში ან ულმედეგად რჩებოდა, ანდა მათივე მარცხით მთავრდებოდა. ამ მხრივ ფრიად საინტერესო ამბავს ჰქონდა ადგილი გუდაუთის უბანში.

1881 წლის 22 მაისს გუდაუთის უბნის, სახელდობრ, ბარმიშის, ჯირხვის. ზვანდრიფშისა და დურიფშის თემების მცხოვრებლების მიერ არჩეულმა დეპუტატებმა ბიქვინთის ოლქის სამმართველოში ამავე ოლქის უფროსის სახელზე შეიტანეს თხოვნა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მათი, 120 კომლის, ბაღ-ვენახი, სახნავ-სათესი და საკარნიდამო ადგილები გამიჯვნის დროს პრივილეგიურ წოდებას გადაეცა, ხოლო მათ სამაგიეროდ მიუზომეს სრულიად უვარგისი და დაუმუშავებელი მიწის ფართობი, რის გამოც ისინი გამოუვალ, გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნენ. დეპუტატები წერდნენ: „1. ჯერ კიდევ ომამდე და შემდეგაც სხვადასხვა პირების შემოვლისას ჩვენ გამოგვიცხადეს, რომ მიწის ფარიგების დროს უპირველესად ნადელებს გამოუყოფენ თემებს. ხოლო მის შემდეგ დაურიგებენ პრივილეგიური კლასის ცალკეულ პი-

---

[48] ცსსა, ლენინგრადი. აღწ. 1, 1870. საქმე 36. ფურც. 345-346.

რებს. ამასობაში, როდესაც დაიწყო დაპროექტება, უპირველეად, მიწა მისცეს პრივილეგიური კლასის პირებს, რის შემდეგ უკვე დაიწყეს გამოყოფა თემებისათვის.

2. ამიტომ ჩვენ ვვარაუდობდით, როგორც ამაზე მანამდეც გვქონდა დაპირება, ყველა ჩვენი ბაღი და კარ-მიდამო თემში დარჩებოდა; ამასობაში, დაწყებული გამიჯვნისას, თურმე უმრავლესობა ამ ადგილ-მამულებისა პრივილეგიური კლასის ნადელებად გადადის. ხოლო ჩვენ გვაძლევენ სრულიად დაუმუშავებელ მიწას; ამასთან, ეს მიწები ეძლევათ პრივილეგიური კლასის იმ პირებსაც კი, რომლებიც სრულიად არ ეკუთვნიან თემს. ასე, მაგალითად: სოფ. ბარმიშში ბაღები გადაეცა მუკუბირხვის მცხოვრებ სოლომონ ნარღანიას ქალიშვილს. ამავე სოფელში 20 ბაღზე უფრო მეტი სხვა პრივილეგიურ პირებს ეძლევათ!". [49]

საინტერესოა, რომ ამ თხოვნამ განვლო თითქმის ყველა ის ბიუროკრატიული ინსტანციური, რომლითაც ააე იყო ცნობილი მეფის რუსეთი. ბიშვინთის ოლქის უფროსმა დეპუტატები გაგზავნა სოხუმის განყოფილებია უფროსთან, რომელმაც თავის მხრივ ისინი მიავლინა კავკასიის მთიელთა სამმართველოში. სამმართველომ კი საჭიროდ ჩათვალა დეპუტატებს ამ საკითხზე მიემართათ მეფისნაცვლისათვის. ამ უკანასკნელმა მთელი საქმე საბოლოო დასკვნისათვის ისევ სოხუმში დააბრუნა. [50] აღსანიშნავი ის არის, რომ სოხუმის საადგილმამულო კომისიამ ეს საკითხი განიხილა მხოლოდ თავის 1888 წლის 28 ივნისის სხდომაზე, ე. ი. 7 წლისა და ერთი თვის შემდეგ. რა თქმა უნდა, გასაკვირი აქ არაფერია, თუ მივიღებთ მხედველობაში ცარიზმის აპარატისა და მოხელეების ჩვეულებრივ ბიუროკრატიზმს. მერე და რით დამთავრდა ყველა ეს საქმე? იქნებ 7 წლის შემდეგ მაინც შეიწყნარეს თითქმის უმიწოდ დარჩენილი 120 მოსახლე? არა, არ შეუწყნარებიათ.

კომისიამ უშედეგოდ დატოვა მცხოვრებლების თხოვნა. მან განაცხადა: „რადგან ამ უბნის ყველა მცხოვრები ეკუთვნის მოსახლეობის დამნაშავე ნაწილს... კომისიას შეეძლო არც მიეღო ყურადღება, სახელდობრ, რომელ ადგილას არის განლაგებული თითოეული პირის ნაკვეთი". [51]

საგულისხმოა, რომ კომისიას არ უარყვია დეპუტატების თხოვნაში მოხსენებული ფაქტი იმის შესახებ, რომ გლეხებმა

---

[49] საქ. ცსსა. ფონდი 545. საქმე 2412, ფურც. 11-14.

[50] იქვე.

[51] იქვე, ფურც. 19.

გამიჯვნის დროს დაკარგეს თავისი დამუშავებული და გაშენებული ადგილები და სამაგიეროდ მიიღეს სრულიად უვარგისი, დაუმუშავებელი მიწა და ისიც სულ მცირე რაოდენობით. მაგრამ მიუხედავად ამისა, კომისიამ მაინც კანონიერად ჩათვალა გლეხებისაგან იმ მიწა-ადგილების ჩამორთმევა, რომლებიც მათ ეკუთვნოდა, 8 ნოემბრის დებულების ფორმულა რომ ვიხმაროთ, „ადგილობრივი სახალხო ჩვეულებით" იმ ძოტივით, რომ ჩამორთმეული მიწები გადაეცა „უმაღლეს წოდების იმ პირებს, რომლებიც გასულ ომში (იგულისხმება რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი ომი. — ლ. ძ.) იყვნენ რუსის ჯარების რიგებში" და იმიტომაც, რომ ეს ადგილები ზღვისპირა ზოლშია განლაგებული, სადაც „დამნაშავე მოსახლეობას" (ე. ი. გლეხებს. — ლ. ძ.) აკრძალული აქვთ ცხოვრება"[52].

იმის მაგივრად, რომ მოეცემნა საშუალება დახმარებოდა მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწის არამქონე გლეხებს, კომისიამ ამავე სხდომაზე მთელი თავისი ყურადღება მიაქცია ისედაც კარგად უზრუნველყოფილი მემამულეების მდგომარეობაა. „კომისია ძლიერ შეწუხებულია პრივილეგიური პირების ბედით" და მაა „მიაჩნია თავის ვალად, რაც შეიძლება უკეთ მოაწყოს მათი საქმეები"[53].

✓ ასევე ჩიოდნენ 1883 წელს გალის თემის გლეხები კომისიის მიერ აზნაურ ძვაძვა მარღანიასათვის თემის კუთვნილი მიწის უკანონოდ მიზომვის შესახებ. მაგრამ მათი თხოვნაც არავინ შეწყნარა და ისინი იძულებულნი შეიქნენ მიემართათ ბალადობისათვის მარღანიას წინააღმდეგ[54].

✓ 1880 წლის 20 მაისს სოხუმის საადგილმამულო კომისიაში შეტანილ იქნა სოფელ ლიხნის მცხოვრებლების არჩეულ პირთა მიერ საჩივარი, რომელშიც გლეხის 315 ოჯახი თავისი მცირემიწიანობის გამო თხოულობდა ბომბორის ველიდან, რომლითაც ისინი წინათ სარგებლობდნენ, გამოეყოთ მათთვის დამატებითი ნაგელები. სოხუმის საადგილმამულო კომისიამ, განიხილა რა ეს თხოვნა, თავის 1880 წლის 23 აგვისტოს სხდომაზე გამოიტანა დადგენილება, რომ სოფელ ლიხნის მცხოვრებლების თხოვნა, მათთვის ბომბორის ველის სანადელოდ გამოყოფის შესახებ, არ შეიძლება შეწყნარებულ იქნეს იმიტომ, რომ ისინი ჯერ 1877 წლის 15 აპრილს, ე. ი. მხარეში მტრის ჯარების შემოსვლამდე, აჯანყდნენ და დაბა გუდაუთას თავს

---

52 საქ. ცსსა, ფონდი 545. საქმე 2412. ფურც. 20.

53 იქვე. ფურც. 21.

54 იქვე. ფურც. 10-11.

დაესხნენ, რითაც მთავრობის გულისწყრომა დაიმსახურესო[55].

ასე უშედეგოდ რჩებოდა გლეხების ასეთი სახის ყველა თხოვნა. ვინაიდან მიწით გლეხების მოთხოვნილების მინიმუმის დაკმაყოფილებაც კი მთავრობას არ შეეძლო მემამულეების ინტერესებია ცოტათ თუ ბევრად შელახვის გარეშე. რაშიც, რა თქმა უნდა, მთავრობა თავისი კლასობრივი ბუნების გამო არ შეიძლება დაინტერესებული ყოფილიყო.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ გლეხების ის ნაცირე ნაკვეთები, რომლებიც მათ ერგოთ რეფორმის შედეგად, იყო დაჭუცმაცებული და, მაშასადამე, მეურნეობისათვის სრულიად არახელსაყრელი. ნ. ვ. ფონ-დერვიზი თავის წიგნში „სოხუმის ოლქი" აღნიშნავს, რომ მკვიდრ მოსახლეთა ნაკვეთებს შორის ყველგან საშინელი მიწათდაქსასულობა არსებობს[56].

სააქციო საზოგადოების აგენტი გ. ა. რიბინსკი, რომელსაც ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავსწამებთ აფხაზეთის გლეხთა მდგომარეობის მუქ საღებავებში აღწერას. აღნიშნავს: „ამ მეთემურთა შორის მიწის განაწილება სრულიად ქაოსურ მდგომარეობაში იმყოფება; ვინც ძლიერია, ის უკეთესსა და უფრო მეტი ზომის ნაკვეთებს ფლობს. ყველაფერი ეს კი შობს ბევრი მათგანის უკიდურეს სიღატაკეს. რაც მიზეზია პირუტყვთა ქურდობის, სისხლის აღებისა და სხვა დანაშაულებრივი მოქმედებისა. სასურველია უბედური აფხაზი გლეხების ყოფა-ცხოვრების დაუყოვნებლივ მოწესრიგება"[57].

ამას წერს ცარიზმის ერთგული მსახური რიბინსკი. ბნელია ამაზე უფრო მკაფიოდ გლეხთა სავალალო მდგომარეობის დასურათება.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს: გლეხის მინიმუმამდე დაყვანული მცირემიწიანობა და მისი „საშინელი მიწათდაქსაქსულობა", ამ მინიატურული ნაკვეთების უვარგისობა, რომელნიც „შედგება ბარტოოდენ „ქვისაგან, ცეცხლგამძლე თისისა და ჭაობისაგან", „მეთემურთა შორის მიწის განაწილების სრულიად ქაოსური მდგომარეობა". „ვინც ძლიერია" მათ შორის, „ის ფლობს უკეთესსა და უფრო მეტი ზომის ნაკვეთებს" და აქედან—„უკიდურესი სიღატაკე". განა. შეიძლება უარესი მდგომარეობის წარმოდგენა? მაგრამ ეს ხომ სრული სურათი არაა აფხაზეთის გლეხთა მდგომარეობისა!

---

55 საქ. ცსსა. ფონდი 545. საქმე 3103. ფურც. 213.

56 Н. В. Фон-Дервиз. Сухумский округ, გვ. 30.

57 გ. ა. რიბინსკი, დასახელებული წიგნი, გვ. 17.

ღიან, გლეხობის მდგომარეობა არ იქსებოდა სრული, თუ ამას არ დავუმატებდით შემდეგ გარემოებას; საქმე ისაა, რომ ტყეები, საბალახო ადგილები და სხვა მთლიანად სახაზინო საკუთრებად იქნა გამოცხადებული, რომელთა სარგებლობისათვის გლეხს ხაზინისათვის უნდა ეხადა გადასახადები დიდი რაოდენობით. გარდა ამისა,გლეხებისათვის მრავალი სხვა სახელმწიფო გადასახადი და სამუშაო იქნა შემოღებული. ყველაფერი ეს მძიმე უღლად დაწვა გლეხის ისედაც. გაბეალტყავებულ კისერს.

თუ რამდენად მძიმე იყო ყოველივე ამის შესრულება და რა პირობებში აღმოჩნდა რეფორმის შემდეგ გლეხი. ამას ნათლად გვიხატავს ჩვენი ცნობილი საზოგადო მოღვაწე. ეთნოგრაფი თედო სახოკია, რომელიც აფხაზეთში მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში მოგზაურობდა.

თ. სახოკია აგვიწერს ერთ-ერთი ტიპიური გლეხის ოჯახს. სადაც მას მოუხდა ღამის გათევა. აგვიწერს რა ამ გლეხის ჩვეულებრივ ღარიბულ მორთულობას. იგი ასკვნის: „აჰა, მთელი ავლადიდება გუძასი (სახელია ოჯახის პატრონისა.—ლ. ძ.). ერთ დღეს გაყიდვა და ფულად ქცევა რომ მოუნდომოს გუძამ მთელ მორთულობას მისი ფაცხისას, მთელს ტუალეტს ამ ფაცხის წევრებისას. სულ ბევრი, ხუთი მანეთის პატრონი თუ გახდება". და იქვე ქვემოთ განაგრძობს: „გუძა კმაყოფილიც იქნება ხოლმე. თუ თავის საჩრო სიმინდს მოიწევს: კმაყოფილია, თუ სადილ-ვახშმად ფქვილის ღომი, ნაბერი ყველი აქვს; უმეტეს კმაყოფილია გუძა, თუ თავია დედიმობილად მორბენალ ბავშვებს თითო ნარნის პერანგი ჩააცვა „საადგომოდ". გუძას სხვა ყველა საჭიროება, სხვა მოთხოვნილება — ხორციელი თუ სულიერი — ავიწყდება, როცა მოაგონდება საბედისწერო „ფოშტის" (სახელმწიფო გადასახადი) და მამასახლის-მწერლის ფული. წელიწადი — თორმეტი თვე ერთ აზრსა ჰყავს მისი ფიქრი-გონება მიჯაჭვული ამირანივით. შეპყრობილი: დასახელებული გადასახადი როგორ მოვიშორო თავიდანო? ამ გადასახადისთვის-ღა იდგამს გუძა წელებზე ფეხებს. დარწმუნებულია. გლეხი. ჩემსავით შავი დღის დაბადებული გლეხი, ამ გადასახადისათვის არის გაჩენილიო. არ არსებობს გუძასათვის ეკლესია: არ დასდევს. მისმა ბავშვმა წიგნი იცის, თუ არა. ამიტომ, ადვილი წარმოსადგენია. რა ცათაფრენა შეუდგება, როცა ამ გადასახადს მოიშორება, რომელიც დამოკლესის სატევარივით მის გაშავებულ ქედს დასცქერის საბედისწეროდ. თითქო მძიმე ლოდი გადაუგორდა მაშინ გულიდანო. მაშინ მომავალ წლამდე განცხრომაშია. ნეტარობს: არ-

ხეინად ჭამს ფქვილის ღომს გაძღომამდე, საღამოს მზის ჩასვლისას იძინებს, მეორე დღეს მზეს ისიც აჰყვება, რათა იმავე ფქვილის ღომით გაიღვიძისათვისვე იზრუნოს. წლით-წლობამდე ჩაჰკირკიტებს დედა-მიწას, ჩაჰკირკიტებს მანამდის, სანამ. იმავე მიწას არ შეუერთდება მისი სხეული. მისს ალაგას მისი შვილი, ტაგუ, ჩადგება, ისიც გუძასავით შეებრძოლება შავს მიწასა... და ვინ იცის, სანამდე გაგრძელდება ეს პირუტყვული. პირველყოფილი ბრძოლა; ვინ იცის როდის შეეცვლება ხასიათი და ფერი ამ ძაღლ-უმადურ ბრძოლასა?"...[58].

გლეხს ტყავი ძვრებოდა „კანონიერი" სახელმწიფო გადასახადებისა და სამუშაოების გასტუმრებისაგან, მაგრამ მას კიდევ უფრო მეტად უმძიმდა უკანონო გადასახადების გაღება, რასაც საკმაოდ ხშირად ჰქონდა ადგილი გაიძეერა მოხელეების მეოხებით.

თ. სახოკია მოგვითხრობს ასეთი უკანონო გადასახადების კლეხებიდან აკრეფაზე, ვითომცდა სოხუმსა და ზუგდიდს შორის სახელმწიფო გზის გასაყვანად.

„1885 წელს, სოხუმის ოლქის უფროსად პოლკოვნიკ ვედენსკის ყოფნის დროს, სამურზაყანოელთაგან კომლზე 2 მანეთი მოჰბოვეს, — გზა უნდა გავაკეთოთო. ამნაირად თავი მოუყარეს 14.000 მანეთს. მაგრამ გზა მაინც არ გაკეთდა და მკვიდრთ ძველებურად ტყავი ძვრებოდათ უგზოობითა"[59].

1892 წელს ისევ აღძრულა საკითხი გზის გაყვანის შესახებ. ადგილობრივი ადმინისტრაციას ამჟამადაც გადაუწყვეტია გზა გაკეთებულიყო მკვიდრთა ხარჯზე. მცხოვრებლებს ერთხმად განუცხადებიათ, რომ მათ სიღარიბის გამო არ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება გზის გაკეთებაში. ის, ვინც გადაჭრით უარს ამბობდა და ამ საქმეს იცავდა, ხელისუფლებას გადაუწყვეტია გადაესახლებინა ადმინისტრაციული წესით[60].

ძალა იხმარეს და „ბოლოს მაინც გააღებინეს მკვიდრთ ფული. კოდორის საბოქაულომ 31.000 მანეთი გადაიხადა, ხოლო სამურზაყანოელთ კიდევ გადაახდევინეს კომლზე 9 მანეთი. ანუ წინათ გადახდილ 14.000 მანეთითურთ. სულ 68.000 მან. ესე იგი თითოეულ კომლს სამურზაყანოელს შეექნა გაღებული 11 მანეთი. სამურზაყანოელ განიორწყლებულ გლეხთათვის 11 მანეთის გაღება ადვილი არ იყო. ესენი თხოულობ-

---

58 თედო სახოკია, სამურზაყანო. ჟურნალი „მოამბე", 1896 წ., № 12, გვ. 16.

59 იქვე.

60 იქვე. გვ. 15-17.

დნენ — რამდენიც გნებავდეთ, გვამუშავეთ, მხოლოდ ფულად ნურას გამოგვართმევთო"[61].

„სოფ. გუდავას დღესაც ვალად აწევს ამ გზის გასაკეთებელი 700 მახეთი, ადმინისტრაცია ძალას ატანს, გინდა თუ არა. მოგვეცით. ერთი ქრისტეს ტირილია მთელ სოფელში... მით უფრო უჭირთ სოფლელთ ფულის გადახდა, რომ წლეულ სიმინდის ფასიც დაეცა. ხოლო აქაურმა გლეხებმა თუ სიმინდი არ გაჰყიდა, ისე ფულს ვერსაიდან იშოვნის. უკანასკნელ შემთხვევაში მის ერთადერთი მარჩენალ საქონელს — კამეჩს უყიდიან"[62].

1878 წ. ჟურნალ „ივერიაში" მოთავსებულ წერილში ლაპარაკია სამურზაყანოს უფროსის შტაბის-კაპიტან სალომკას ბოროტმოქმედებაზე. წერილიდან ჩანს, რომ გაიძვერა სალომკა თვითნებურად აწერდა გადასახადებს მოსახლეობას და თვითონ ითვისებდა უკანონოდ შეგროვილ თანხას. „სამურზაყანოში დადიან ახლა ვიღაც კაცები და უფალის სალომკის ბრძანებით, ახდევინებენ ვის მანეთს, ვის ორს, ვის სამს და ვისაც არ შეუძლიან ფულად გადახდა პირუტყვს ართმევენ; ეს არ არის არც სახელმწიფო გადასახადი და არც საზოგადოების საჭარგებლოდ; ვიღაც ადვოკატს ვქირაობთო და იმის მისაცემად გვინდაო! და ჯრის ამაზე შეყენებული ერთი დიდი ამბავი და უსიამოვნება"[63].

აი, როგორ პირობებში აღმოჩნდა აფხაზეთის გლეხობა რეფორმის შედეგად; აი, რა მიაცა მას „გათავისუფლებამ".

---

61 თედო სახოკია. სამურზაყანო, ჟურ. „მოამბე", 1896 წ № 12, გვ. 17.
62 იქვე.
63 ჟურნალი „ივერია", 1878 წ., № 26, გვ. 2.

თავი მეხუთე

ბლეხთა მოძრაობა რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით

ის მეტად მძიმე, აუტანელი ეკონომიური პირობები, რომლებშიაც აღმოჩნდა აფხაზეთის გლეხობა საგლეხო რეფორმის გატარების გამოცხადების დღიდან, ქმნიდა მშრომელთა მასებში დიდ უკმაყოფილებას, რაც ვლინდება მათს მღელვარებაში. კლასობრივ ბრძოლაში და რაც მიმართული იყო როგორც აფხაზეთის თავადებისა და აზნაურების, ისე რუსეთის ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ.

როგორც ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, აფხაზელის გლეხობის მძიმე მდგომარეობა გამიწვეული იყო გაძლიერებული ექსპლოატაციით, პოლიტიკური უუფლებობით, მიწების უკანონოდ ჩამორთმევით, მრავალნაირი გადასახადის სიმძიმით და საერთოდ რეფორმის გატარების დროს ჩადენილი ბოროტმოქმედებითა და მეფის მოხელეთა უსამართლობით. ამას ზედ დაემატა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მძიმე შედეგებიც, რაც აფხაზეთის მშრომელთათვის მეტად აუტანელი აღმოჩნდა.

რეფორმის გატარების გაპიანურებით გამოწვეულ გლეხთა მძიმე მდგომარეობაზე წერდა გაზეთ „დროების" კორესპონდენტი 1876 წ.

„თითქმის ათი წელიწადი იქნება, რაც აფხაზეთში მართებლობისაგან დანიშნული კომისია მუშაობს ბატონყმობის და მიწა-წყლის საქმის თაობაზე...

ათი წლის განმავლობაში, არც ერთ მიწის პატრონს არ შეეძლო ესარგებლა თავის მიწით, როგორც მას სურდა და მოეკიდა საფუძვლიანად ოჯახებისათვის ხელი, რადგანაც არ

იცოდა დარჩებოდა თუ არა უწინდელს ადგილზე: ამის გამო ცოტა არ იყოს მთელი ხალხის ოჯახობა დაეცა".[1]

1878 წლის 13 მაისს გაზეთ „დროებაში" მოთავსებულ კორესპონდენციაში — აფხაზეთის გლეხების მდგომარეობის გაუარესებაში რუსეთ-თურქეთის ომის შედეგების შესახებ — შემდეგს ვკითხულობთ: „ესენი (გლეხები. — ლ. ძ.) ძალიან დიდს შევიწროებაში და შეწუხებაში �იან; მათთვინ არ დარჩენილა სახლ-კარი, საჭმელ-სასმელი, სულ ერთიანათ გაფუჭებული და აოხრებული იყო ოსმალეთის ჯარებისაგან. რაც შენობა და საზრდო იყო: სიმინდი, ღომი, ფეტვი სულ ერთიანად ცეცხლს მისცეს; რაც პირუტყვი ყვავდათ, აგრეთვე საბლის ავეჯეულობა, ტანისამოსი სულ წაიღეს.

ამნაირს გარემოებაში დარჩენილი აფხაზები იყვნენ და ჯერაც არიან შიმშილითა და სიცივით ტანჯვაში"[2].

ასეთ ტანჯვაში ჩავარდნილი გლეხები სწირად მიმართავენ ბრძოლის ისეთ ხერხებს, როგორიცაა: წინააღმდეგობის გაწევა იმ მემამულეების მიმართ, რომლებიც უკანონოდ იტაცებენ გლეხების მიწებს; ასეთივე წინააღმდეგობის გაწევა იმ მოხელეთა მიმართაც, რომლებიც თავიანთი ბოროტმოქმედებითა და გაიძვერობით დიდად ავიწროებდნენ მშრომელებს; ცეცხლის წაკიდება მემამულეთა კარ-მიდამოსათვის, ინდივიდუალური ტერორი, გადასახადების გაღებაზე უარის თქმა და სხვ. ზოგჯერ წინააღმდეგობის გაწევა ღებულობს ჯგუფურ, შედარებით ორგანიზებულ ხასიათს.

მაშინდელი ოფიციალური საბუთები ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ გლეხთა აჯანყებანი „მხარეში პერიოდულად შეორდებოდნენ"[3].

სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსის გენერალ კრავჩენკოს 1875 წლის 31 მაისის საიდუმლო წერილში, რომელიც გაეგზავნა ბიჭვინთისა და ოჩამჩირის ოლქების უფროსებს, ნათქვამია, რომ სოხუმის განყოფილებაში ადგილი აქვს უკმაყოფილებასა და მღელვარებას, რაც საადგილმამულო საკითხის გადაჭრასთანაა დაკავშირებული. ამჟამად „დაბალი წოდებისათვის" მთავარია მიწის ნაკვეთების გამოყოფის საკითხი. ამიტომ იგი წარმოადგენს ხელსაყრელ ნიადაგს უკმაყოფილებისა და მღელვარების გასავრცელებლადო[4].

---

[1] გაზეთი „დროება", 1876 წ., № 7, გვ. 2.

[2] გაზეთი „დროება", 1878 წ., № 100, გვ. 3.

[3] «Кавказскій календарь», 1883 წ., გვ. 246.

[4] საქ. ცსსა. ფონდი 545, საქმე 2887, ფურც. 2-4.

გენერალ კრავჩენკოს ეს შიში აფხაზეთში მშრომელი მასების უკმაყოფილებისა და მღელვარების ზრდის გამო უსაფუძვლო რომ არ ყოფილა, ეს ჩანს მისივე დეპეშიდან, რომელიც 1877 წლის 5 მაისს გაეგზავნა ფოთის კომენდანტს. მასში ნათქვამია, რომ „მთელი აფხაზეთი აჯანყდა კელასურამდე და მღელვარებაა კოდორამდე“[5].

და მართლაც, აჯანყებას ფართო ხასიათი მიეღია რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი ომის პერიოდში. კერძოდ, აჯანყებას ადგილი ჰქონია ბიჭვინთის ოლქში[6] (დევანდელი გუდაუთისა და სოხუმის რაიონები. — ლ. ბ.).

გლეხთა ცალკეულ გამოსვლებს 1877 წ. ადგილი ჰქონდა ავრეთვე კოდორისა და სამურზაყანოს უბნებში.

გლეხთა ამ აჯანყებებს, რადგანაც ისინი დაემთხვნენ 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომს, ძეფიო მთავრობა უყურებდა როგორც „ღალატს“ და სასტიკ ზომებს იღებდა მათ წინააღმდეგ.

ეს გამოსვლები, რა თქმა უნდა, მიმართული იყო არა მარტო ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, არამედ თავადაზნაურობის წინააღმდეგაც. ამას მოწმობს ჩვენ მიერ უკვე ციტირებული გენერალ კრავჩენკოს მომართვის ერთი ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ „დაბალი წოდებები... მტრულად ეკიდებოდნენ მაღალ წოდებებსო“.[7] ამასვე მოწმობს იმავე კრავჩენკოს 1877 წლის განკარგულება, რომელიც მას პიცუნდის ოლქის უფროსისათვის გაუგზავნია და რომელშიც მითითებული იყო ადგილობრივი მოსახლეობიდან მთავრობის „ერთგული პირების პირადი უშიშროებისა და ქონების დაცვის მიზნით... განსაკუთრებული მფრინავი რაზმის“ ჩამოყალიბების საჭიროებაზე[8]. მართლაც, კრავჩენკოს აქტიური მონაწილეობით მფრინავი რაზმები ჩამოყალიბდნენ ბიჭვინთისა და ოჩამჩირის ოლქებში. მიუხედავად მთავრობის მიერ განსაკუთრებული ღონისძიების მიღებისა, გლეხთა მღელვარებასა და გამოსვლებს რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ პერიოდშიც ხშირად ჰქონდა ადგილი. გლეხთა ეს გამოსვლები უშუალოდ იყო დაკავშირებული საგლეხო რეფორმის გატარებასთან. რეფორმის გაზვიადებამ და მის შედეგად გლეხების თითქმის უმიწაწყლოდ დარჩენამ ეს უკანასკნელნი აიძულა საჩივ-

---

[5] საქ. ცსსა, ფონდი 4, საქმე 517, ფურც. 2-103.

[6] იქვე.

[7] იქვე, ფონდი 545, საქმე 2687, ფურც. 3.

[8] იქვე, ფონდი 4, საქმე 517, ფურც. 2-103.

რებიდან უსაბართლოების შესახებ, საიდანაც მათ სასარგებლოდ არაფერი გამოდიოდა, გადასულიყვნენ ბრძოლაზე თავად-აზნაურებისა და ადგილობრივი მოხელეების წინააღმდეგ.

1878 წლის მარტში ხმა გავრცელდა სამურზაყანოში, რომ „ახალი უფროსი სოხუმის მაზრისა პოლკოვნიკი არაკინი მეფის ხალხის დასახედავად, რათა შეისმინოს მათი თხოვნა, რადგან ამ ომის დროს ბევრი შევიწროება დაემართა ამ ქვეყანასო"[9]. ეს შემთხვევა გამოუყენებიათ და სამურზაყანოს მთელ გლეხობას არაკინისათვის შემდეგი თხოვნით მიუმართავს: „ჩვენ ბევრი გვაქვს სათხოვარი თქვენთან, მაგრამ ჯერ სხვა სათხოვარს ვტოვებთ, და უნდა მოგახსენოთ — ის, რომლისგანაც მთელი სამურზაყანო არის შეწუხებული; ეს ის არ-ს, რომ ჩვენ ნაჩალნიკათ არის დანიშნული შტაბს-კაპიტანი სალომკა; ეს კაცი სამურზაყანოში იყო ომის გამოცხადებამდის თანაშემწედ ოჩამჩირის ნაჩალნიკისა; მაგრამ, რადგანაც მთელი ხალხი წინააღმდეგი იყო იმისი, იმიტომ შეიტანეს საჩივარი და კიდეც, დროებით თუ სულ, გადაყენებულ იყო ადგილიდან, და დღეს კიდევ იგივე დაგვინიშნეთ ნაჩალნიკათ... იმისა და ჩვენი მოწყობა არ შეიძლება... ამის გამო გთხოვთ, გვიპატიოთ ამ კაცისაგან და დაგვინიშნოთ სხვა ვინმეო"[10].

„სამურზაყანოს დახედვა ისე გაათავა არაკინმა, რომ რომელ საზოგადობაშიც მივიდოდა, პირველი მათი — დიდის და პატარას — თხოვნა იყო, რომ სალომკისაგან გაგვანთავისუფლეთო"[11].

არაკინი დაპირებია მთხოვნელებს, ერთი კვირის განმავლობაში სხვა უფროსს გამოვგზავნითო, მაგრამ თხოვნის დღიდან გასულა 4 თვე და დაპირება შესრულებული არ ყოფილა. გაიძვერა სალომკა კი არ ცხრებოდა და მოსახლეობის აწიოკებას გაორკეცებით განაგრძობდა[12].

რეფორმის გაჭიანურებით და გლეხების მიმართ აშკარა ბოროტმოქმედებით გამოწვეულ წოდებათა შორის ურთიერთობის გაიწვავებაზე ლაპარაკობენ მეფის ის მოხელეებიც კი, რომლებიც თვით იყვნენ ამის მიზეზი.

ასე, მაგალითად, სოხუმის განყოფილების უფროსი 1883 წლის 29 აპრილს კავკასიის სამხედრო-სახალხო სამმართველოს უფროსის სახელზე გაგზავნილ საიდუმლო დეპეშაში წერდა:

---

[9] ჟურნალი „ივერია", 1878 წ., № 26, გვ. 1.
[10] იქვე.
[11] იქვე.
[12] იქვე, გვ. 2.

„საადგილმამულო ურთიერთობა მწვავდება, ადგილი აქვს თვითნებობის გამოვლინების შემთხვევებსო“.[13]

პოლკოვნიკი ფრაიერი თავის მხრივ არაკინის ამ ტელეგრამასთან დაკავშირებით სამმართველოს უფროსს სწერდა: „სოხუმის განყოფილებაში საადგილმამულო მდგომარეობის უკიდურესად დაძაბულობის“ შესახებ[14].

1883 წელს ახიშვნელოვანი მღელვარებას ჰქონდა ადგილი სამურზაყანოში (გალის თემში), რომელსაც, როგორც საბუთებიდან ჩანს, მეტად შეუშინებია განყოფილების ადმინისტრაცია. ამ მღელვარების ჩასაქრობად არაკინს საჭიროდ მიუჩნევია ჯარის ნაწილების გამოყენება, რის ნებართვასაც ის დეპეშით სთხოვდა კავკასიის სამხედრო-სახალხო სამმართველოს[15].

კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარსარდალი ამის საპასუხოდ გაგზავნილ დეპეშაში გენერალ არაკინს სწერდა: „მხოლოდ სასწრაფო საჭიროების შემთხვევაში გაძლევთ ასეულის ამოძრავების უფლებას“[16].

1883 წელს გალის თემში მომხდარი გლეხთა მღელვარების ვითარება შემდეგნაირად გვევლინება[17]: სოხუმის საადგილმამულო კომისიამ ჟინოსქუა (აზნაურ) მარღანიას გამოუყო მიწა, რომელიც მანამდე მარღანიას ხელქვეითი გლეხების სარგებლობაში იყო. ბუნებრივია, რომ გლეხებმა კომისიის გადაწყვეტილება უკანონოდ ჩათვალეს და ამის თაობაზე საჩივარი ეიტანეს გლეხთა საქმის საგანგებო საკრებულოში; აზნაურ მარღანიას კი სთხოვეს, ვიდრე საჩივარი არ იქნებოდა განხილული, სადაო მიწის ნაკვეთი არ შემოეკავებინა. მაგრამ მარღანიამ გლეხების თხოვნას ყური არ ათხოვა და, სანამ გლეხების საჩივარზე რამე გარკვეული პასუხი მოვიდოდა, სადავო მიწის ფართობს შემოღობვა და დამუშავება დაუწყო. მარღანიას ასეთმა მოქმედებამ გლეხებს მოთმინება დაუკარგა და გადაწყვიტეს ძალა ეხმარათ. ამ მიზნით „ღამით 24-25 აპრილს ჟინოსქუა ძვაძვა მარღანიას სახლთან მივიდა ხალხის მნიშვნელოვანი ბრბო და, როდესაც ის, ყვირილით გამოღვიძებული,

---

13 საქ. ცსსა, ფონდი 545, საქმე 2742, ფურც. 3.

14 იქვე.

15 იქვე.

16 იქვე.

17 იხ. ი. ანთელავა რეფორმის შემდეგდროინდელ აფხაზეთში აგრარული მოძრაობის ისტორიიდან (1870-1883 წლები), საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“, ტ. X, 1949 წ., გვ. 254-256.

ივანზე გამოვიდა და ჰკითხა. თუ რა უნდათ მათ. ეაისმა ცალკეული შეძახილები და მუქარა, რომ არ მისცემენ გამოყოფილი მიწის სარგებლობის უფლებას. ძვაძვა მარღანიამ თხოვნით, შეუნარჩუნონ მას სიცოცხლე, ხოლო მიწას ისე მოექცნენ. როგორც თვითონ მოესურვებათ. — შეძლო მიეღწია, რომ ბრბო მოშორებოდა სახლს. ამავე დროს. როდესაც ბრბო სახლს ტოვებდა, ისმოდა ხმაური სადავო მინდვრიდან, სადაც მეორე ბრბო ღობეს ამტვრევდა. პოლიციის გამოკვლევით დადასტურებულია სამიჯნო ნიშნის მოსპობა და მარღანიასთვის გამოყოფილი ნაკვეთის გარშემო შემოვლებული ღობის დამტვრევა 150 საჟენის მანძილზე. თავდასხმის ფაქტისა და მუქარის წარმოთქმის მოწმეებად არიან მხოლოდ ძვაძვა მარღანიას ოჯახის უახლოესი წევრები; მისი მსახურები და მუშები. რომლებიც იმყოფებოდნენ მეზობელ სახლში, არაფერ ამის მსგავსს არ დადასტურებენ, ამბობენ, რომ მათ ეძინათ და არაფერი გაუგონიათ. სამიჯნო ნიშნისა და ღობის მოსპობის დამნაშავენი ჯერჯერობით არ არიან აღმოჩენილნი"[18]

საქმის ვითარება ისე წავიდა, რომ ხელისუფლებამ ბოლომდე ვერ შეძლო აღმოეჩინა დამნაშავენი. ეს იმიტომ მოხდა, რომ თავდასხმის მონაწილეებმა ერთხმად უარყვეს ბრალდება. ხოლო ასეთ დროს საქმის გამოსარკვევად აუცილებელი მოწმეებიც არ აღმოჩნდნენ. როგორც არაკინის ზემოთ მოყვანილ მოხსენებით ბარათში იყო აღნიშნული, მეზობელ სახლში მყოფმა მსახურებმა და გლეხებმა უარი თქვეს მომხდარი ამბის დადასტურებაზე, იმის მომიზეზებით, რომ მათ ეძინათ და არაფერი გაუგონიათ. ძნელია იმის დაჯერება, რომ მათ არ გაეგონოთ „დიდძალი ბრბოს" მისვლა და ხმაური. მაშ, რატომ ეანაცხადეს მათ მომხდარი ამბის შესახებ რაიმე გარკვეული ცნობის მიწოდებაზე უარი? ამ კითხვაზე ერთადერთი სწორი პასუხი იქნება. თუ ვიტყვით, რომ მსახურები და გლეხები, რომლებიც მარღანიას სახლში იმყოფებოდნენ, ადვილი შესაძლებელია წინასწარ ყოფილიყვნენ გაფრთხილებულნი თავდასხმის ორგანიზატორების მიერ. ყოველ შემთხვევაში ჩანს, რომ ისინი თანაუგრძნობდნენ გლეხებს და არა მარღანიას. ამრიგად. მარღანიას სახლზე თავდასხმა ვერ დადასტურდა. უფრო რთული იყო მეორე დანაშაულისაგან თავის მართლება. აქ გამომძიებლებს ხელთ ჰქონდათ ნივთიერი დასტური: სამიჯნო ნიშნის მოსპობა და 150 საჟენის სიგრძეზე წაქცეული ღობე.

---

18 საქ. ცსსა, ფონდი 545, საქმე 2742, ფურც. 1.

მაგრამ მღელვარების მონაწილეებმა ამ საქმეშიც შესძლეს თავის გამართლება. მათ „გამოთქვეს მოსაზრება, რომ მთელი ეს შემთხვევა წინასწარი განზრახვითაა მოწყობილი მათ არაკეთილმოსურნეთა მიერ, იმ მიზნით, რომ საზოგადოება არაკეთილსაიმედოთ წარუდგინონ უმაღლეს უფროსობას და ამით გამოიწვიონ სხვადასხვაგვარ სასჯელ-ღონისძიებათა გამოყენება“.[19] ამნაირად, სრულიად აშკარად მომხდარი ამბავი ვერ დაამტკიცეს ხელისუფლების მიერ გამოყოფილმა გამომძიებლებმა და გლეხები დაუსჯელი დარჩნენ.

საბოლოოდ ეს საქმე იმით დამთავრდა, რომ გლეხებისათვის მიწა არ დაუბრუნებიათ და არც ისინი დაუსჯიათ.

დამთავრდა თუ არა მღელვარება, გალის თემში დაიწყო მეორე მღელვარება. ამჟამად მოძრაობა დაიწყო სოფელ ბარღებში 1883 წლის ივნისში.[20] მღელვარების მიზეზი იყო მიწისმზომელ პესკოვის უკანონო მოქმედება. უკანონობასთან ერთად პესკოვი, როგორც ეს საბუთებიდან ჩანს, მეტად უდიერად, უხეშად ეპყრობოდა თურმე მოსახლეობას.

✓ მიწისმზომელ პესკოვს გადაუწყვეტია მდინარე ცხირო-გალის სანაპიროზე მდებარე ტყე, რომლითაც მრავალი წლის განმავლობაში სარგებლობდნენ სოფელ ბარღების მცხოვრებლები, ჩამოეკრა და ამით მოესპო ამ სოფლის გლეხებისათვის დასახელებული ტყის მასივის გამოყენების საშუალება. გლეხებმა გაიგეს თუ არა პესკოვის ეს გადაწყვეტილება, მაშინვე 40 კაცის შემადგენლობით გამოცხადნენ მასთან და ტყის დათმობა სთხოვეს. პესკოვს არ მოეწონა გლეხების ჯგუფური გამოცხადება და ძლიერ უხეშად, ცივი უარი შეაგება მათ. ეს იყო 1883 წლის 14 ივნისს დილით. სწორედ მაშინ, როდესაც პესკოვი ემზადებოდა სამიჯნო სამუშაოებისაკენ წასასვლელად, ხელისუფლების მოთხოვნით, სოფლების მიერ გამოყოფილ გლეხთა ჯგუფით (10 კაცის რაოდენობით). გლეხების ეს ჯგუფი, ხედავდა რა პესკოვის უდიერ საქციელს, ისედაც უკმაყოფილო იმით, რომ ხშირად აშორებდნენ თავის საველე სამუშაოებს, არ გაჰყვა მას. მაშინ პესკოვმა ყველას თვალწინ მათრახით ცემა დაუწყო სამიჯნო სამუშაოსათვის გამზადებულ გლეხთა ჯგუფს. ეს უკანასკნელი გაერია სათხოვნელად მოსულ გლეხებში. პესკოვი კი არ ცხრებოდა და განურჩევლად სცემდა ყველას, ვინც კი მისი მათრახის ქვეშ მოჰყვებოდა.

---

19 საქ. ცსსა, ფონდი 545, საქმე 2742, ფურც. 11.

20 იხ ი. ანთელავა, საქ. სსრ. მეცნ. აკად. „მოამბე“, ტ. X, № 4, 1949 წ., გვ. 256-257

პესკოვის ასეთმა საქციელმა ხალხი ძალიან გააბრაზა და იგი მოთმინებიდან გამოსული ეცა მას, მაგრამ პესკოვმა თავს გაჭ-ცევით უშველა.[21]

პესკოვმა ოჩამჩირის ოლქის უფროსს მალინოვსკის მოსთხოვა მკაცრად დასჯილიყო ყველა ის, ვინც მას წინააღმდეგობას უწევდა. მისი მოთხოვნით, „უწესრიგობის ჩამდენი ბრბოს“ მეთაურები: მუსა და პახუ შონიები, ივანე ჯოლოგუა. ბიჭა მიქავა და კიწი სილაგა დააპატიმრეს.

ოჩამჩირის ოლქის უფროსის მიერ წარმოებულმა გამოძიებამ დაადასტურა, რომ მიწისმზომელი პესკოვი მეტად უხეშად და უმსგავსოდ მოექცა გლეხებს. აღმოჩნდა, რომ პესკოვი „მუშებისადმი უტიფარ მოპყრობას წინათაც ამჟღავნებდა“.[22] მალინოვსკი სოხუმის განყოფილების უფროსს წერდა: იმისათვის, რომ „მომავალში არ გამეორდეს შეჯახება საზოგადოებასა და პესკოვს შორის, საჭიროდ მიმაჩნია მისი სხვა მიწისმზომელით შეცვლა“-ო.[23] და შემდეგ იგი განაგრძობს: „იმისათვის, რომ მომავალში არ გამეორდეს მცხოვრებთა მიერ პრეტენზიების, განცხადებისა და ჯგუფური თხოვნის შემოტანის შემთხვევები, წესრიგის დაცვის მიზნით, აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია სოფელ ბარღების მცხოვრებთა დასჯა, რომლებმაც მიწისმზომელის ბინის წინ თავის მოყრა გაბედეს და რომელთა სიას (ამ სიაში ჩამოთვლილია 40 კაცის გვარი.—ლ. ძ.), ბარღების თემის მამასახლისის მიერ შედგენილს, გიდგენთ. პირველი შემთხვევისათვის მე საკმარისად მივიჩნევდი ფულადი ჯარიმით, ან რიგგარეშე, ერთი კვირის ვადით, საგზაო მუშაობის დანიშვნით დაკმაყოფილებას“.[24]

ზემოაღნიშნული პატიმრები 5 დღის შემდეგ განთავისუფლებულ იქნენ.

„უწესრიგობის ჩამდენი ბრბოს“ მიმართ ასეთი, შედარებით მსუბუქი სასჯელის მიღებით ხელისუფლება იმიტომ დაკმაყოფილდა, რომ ეშინოდა უფრო მკაცრ ზომებს არ გამოეწვია კლასობრივი ურთიერთობის გამწვავება.

ამავე საბუთებიდან ჩანს, რომ 1883 წლის 14 ივნისის ამბავი სამურზაყანოში პირველი შემთხვევა არ ყოფილა. როგორც ირკვევა, „უწესრიგობას“ სოფლელებსა და მიწისმზო-

---

21 საქ. ცსსა, ფონდი 545, საქმე 2742, ფურც. 30.

22 იქვე.

23 იქვე, ფურც. 31.

24 იქვე.

მელ მოისევსკის (პესკოვის წინამორბედის) შორის უფრო ადრეც ჰქონდა ადგილი.[25]

საადგილმამულო კომისიის უკანონო მოქმედების წინააღმდეგ გამოსვლებს ადგილი ჰქონია, როგორც ეს საბუთებიდან ჩანს, 1882 წლის ბოლოს სოფელ გუდავაში, შეშელეთში, გალში, აძიუბჟაში და სხვაგან. ყველა ამ სოფლის გლეხთა მღელვარების მეთაურები დააპატიმრეს, თბილისში გადააგზავნეს, სადაც მათ ციხეში ნახევარ წელზე მეტი დრო დაყვეს. ასეთები იყვნენ სოფელ გუდავის მცხოვრები გლეხები ბაბა ჩხვირტია, და უშუშ ალანია, სოფელ შეშელეთის მცხოვრები კოკა ხორცავა, გალის მცხოვრები კეკვა ქეცბაია და სოფელ აძიუბჟის მცხოვრები კულინა ჯინჯოლია. ყველა ამათ ბრალი ედებოდათ იმაში, რომ „თავიანთ თავს ნება მისცეს კომისიის პასუხისმგებელ პირებთან საკმაო დიდი ჩხუბი აეტეხათ, თანაც ძალიან ჯიუტად ხვდებოდნენ კომისიის განკარგულების სისრულეში მოყვანას“.[26]

გლეხთა ცალკეულ გამოსვლებს უფრო გვიანაც ჰქონდა ადგილი და მათ ხელისუფლება სასტიკად უსწორდებოდა. მე-19 საუკუნის 80-90-იან წლებში გლეხებს, ე. წ. „უწესრიგობისა“ და „ცუდი საქციელისათვის“ ათეულობით აგზავნიდნენ „ციმბირში სამუდამო სამოსახლოდ“.[27]

მე-19 საუკუნის 70-90-იან წლებში აფხაზეთის გლეხთა მოძრაობა ატარებდა არამასობრივ, დაქსაქსულ, იზოლირებულ ხასიათს. მას ჯერ კიდევ აკლდა ის მაორგანიზებელი და წამყვანი ძალა, რომლის ხელმძღვანელობით შეიძლება მხოლოდ გლეხთა მოძრაობამ მიზანს მიაღწიოს.

„გლეხური აჯანყებანი, — ლაპარაკობს ი. ბ. სტალინი, — შეიძლება წარმატებით დამთავრდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ისინი დაკავშირებული არიან მუშათა აჯანყებებთან. მხოლოდ კომბინირებულ აჯანყებას მუშათა კლასის მეთაურობით შეუძლია მიაღწიოს დასახულ მიზანს“.[28]

თავისთავად ცხადია, რომ აფხაზეთის მაშინდელ სინამდვილეში გლეხთა მოძრაობა არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო დაკავშირებული მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობასთან.

---

25 საქ. ცსსა, ფონდი 545, საქმე 2742, ფურც. 42.

26 იქვე, ფურც. 21.

27 იქვე, ფონდი 229, აღწ. 1, საქმეები 2684, 2698, 2791, 2796 და 2797.

28 ი. ბ. სტალინი, საუბარი გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან, თბილისი, 1932 წ., გვ. 12.

თავი მეექვსე

საგლეხო რეფორმის შედეგები და მისი მნიშვნელობა

როგორც უკვე დავინახეთ, გლეხები შეუგნებლად, სტიქიურად იბრძოდნენ სოფლის მეურნეობის განვითარების „ამერიკული“ გზისათვის, ე. ი. რევოლუციური გზისათვის. ობიექტურად მათი ბრძოლის მიზანი იყო — მებატონე-მემამულეებს ჩამორთმეოდა მთელი მიწები და უსასყიდლოდ გადასცემოდა მათ. ერთი სიტყვით, გლეხები ცდილობდნენ გათავისუფლებულიყვნენ მებატონე-მემამულეთა ყოველგვარი ეკონომიური და იურიდიული დამოკიდებულებისაგან. მებატონე-მემამულეები კი, პირიქით, ცდილობდნენ საგლეხო რეფორმის საქმე ისე წარემართათ, რომ რაც შეიძლება მეტი მიწა და ძალაუფლება შეენარჩუნებინათ თავიანთ ხელში; ხოლო მიწისა და უფლების იმ უმნიშვნელო ნაწილის დათმობისათვის, რომელიც აუცილებელი იყო მაშინდელ ვითარებაში, სურდათ გლეხებისაგან მიეღოთ გამოსასყიდი დიდი რაოდენობით. ამრიგად, მემამულეები იბრძოდნენ სოფლის მეურნეობის „პრუსიული“ გზით განვითარებისათვის, ე. ი. იმისათვის, რომ ერთგვარი დათმობისა და შეთანხმების ფასად თავიდან აეცდინათ „ამერიკული“ გზა და სოფელი შეეგუებინათ თანდათანობით ბურჟუაზიული გარდაქმნისათვის.

და რადგან საგლეხო რეფორმა გატარებულ იქნა მებატონე-მემამულეების მიერ, ქვეყნის ეკონომიკის განვითარება წარიმართა სწორედ ამ უკანასკნელი გზით. ლენინი ამბობდა, რომ „მებატონეების მიერ გატარებული „რეფორმები“ არ შეიძლება ბატონყმური არ იყოს მთელი თავისი სახით, არ შეიძლება თან არ ახლდეს ყოველგვარი ძალმომრეობის რეჟიმი“.[1] და სწორედ ამიტომ „საერთოდ 60-იანი წლების მთელ-

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 17, გვ. 125.

მა „რეფორმათა ეპოქამ“ გლეხი გაღატაკებული, დაბეჩავებული, უმეცარი, მემამულე-მებატონეებისადმი დამორჩილებული დასტოვა სამართალშიც, მართვა-გამგეობაშიც, სკოლაშიც, ერობაშიც“. [2]

თუ რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში გატარებული საგლეხო რეფორმა „ბატონყმური რეფორმა იყო და არც შეიძლებოდა სხვანაირი ყოფილიყო, ვინაიდან მას ახორციელებდნენ მებატონეები“, [3] საქართველოში და კერძოდ, აფხაზეთში გატარებული რეფორმა, შეიძლება ითქვას, რომ კიდევ უფრო ბატონყმური იყო, ვინაიდან გლეხების „გათავისუფლება“ აქ გაცილებით უფრო მეტ მძიმე პირობებში მოხდა, ვიდრე რუსეთში.

ლენინი გვასწავლის, რომ ბატონყმობის გადავარდნის შედეგად „მეურნეობის ძველი, საბატონო სისტემა მხოლოდ ძირგამოთხრილი იყო, მაგრამ საბოლოოდ არ იყო მოსპობილი. გლეხური მეურნეობა სავსებით არ იყო გამოყოფილი მემამულეთა მეურნეობისაგან, რადგან უკანასკნელთა ხელში დარჩა გლეხური ნადელების მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი: „ჩამონაჭერი მიწები“, ტყეები, მდელოები, წყალსალევები, საძოვრები და სხვ. ამ მიწებს (ან სერვიტურებს), მოკლებულ გლეხებს სრულებით არ შეეძლოთ დამოუკიდებელი მეურნეობის გაძღოლა, და მემამულეებს ამრიგად საშუალება ჰქონდათ განეგრძოთ მეურნეობის ძველი სისტემა შრომამიგების ფორმით, და „გარეეკონომიური იძულების“ შესაძლებლობაც რჩებოდა: დროებითვალდებულებითი მდგომარეობა, ურთიერთთავდებობა, გლეხის ფიზიკური დასჯა, მისი საზოგადოებრივ სამუშაოზე მიცემა და სხვ“. [4]

მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ „მეურნეობის საბატონო სისტემას ძირი გამოუთხარა ბატონყმობის გაუქმებამ. შეირყა ამ სისტემის ყველა მთავარი საფუძველი: ნატურალური მეურნეობა, საბატონო მამულის

---

[2] ვ. ი. ლენინი თხზ., ტ. 17, გვ. 127.
[3] იქვე.
[4] მისივე, ტ. 3, გვ. 210.

კარჩაკეტილობა და ღვითკმარი ხასიათი, მჭიდრო კავშირი მის ცალკეულ ელემენტებს შორის, მემამულის ძალაუფლება გლეხებზე"[5] და სხვ.

აქ ჩვენ მიერ მოყვანილი რეფორმის შემდეგდროინდელი რუსეთის სოფლის მეურნეობის ლენინური დახასიათება საესებით გამოხატავს როგორც მთლიანად საქართველოს, ისე კერძოდ, აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მდგომარეობასაც. ¹/ ამრიგად, მიუხედავად მთელი რიგი დაბრკოლებებისა, რაც, როგორც ჩვენ ეს-ეს არის აღვნიშნეთ, მდგომარეობდა იმაში, რომ რეფორმა დაუმთავრებელი, სანახევრო ხასიათისა იყო, რომ მან ბევრი რამ შეინარჩუნა ბატონყმური წყობილებიდან, აფხაზეთის სოფლის ეეურნეობა ისე, როგორც მთლიანად საქართველოს ეკონომიკა, დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას.

„მიწათმოქმედების რეფორმისშემდეგდროინდელი ევოლუციის ძირითადი ნიშანი, — წერდა ლენინი, — იმაში მდგომარეობს, რომ ის სულ უფრო და უფრო იღებს სავაჭრო, სამეწარმეო ხასიათს". [6] იმ საბუთებიდან, რომლებიც ჩვენს განკარგულებაშია, ჩანს, რომ რეფორმის შემდეგდროინდელი აფხაზეთის სოფლის მეურნეობა სულ უფრო და უფრო ღებულობდა სავაჭრო მიწათმოქმედების ხასიათს.

სავაჭრო მიწათმოქმედება, — ამბობდა ლენინი,—გლეხობის დაშლის მთავარი ფაქტორია. [7]

რეფორმის შემდეგდროინდელი აფხაზეთის გლეხობის დაშლის, დიფერენციაციის შესახებ ზოგიერთ მასალას გვაწვდის „სტატისტიკურ მონაცემთა კრებული მიწათმფლობელობის შესახებ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში", რომელიც გამოქვეყნდა თბილისში 1893 წელს.

---

[5] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. გვ. 209.

[6] იქვე, გვ. 357.

[7] იქვე, გვ 313.

მაზრების დასახელება	მიწის ნაკვ. სიდიდე დეციტინობით					ნაკვეთების რაოდენობა	მთელი ფართობი დეციტინებ.	გადახდილი ფულის ჯამი (მანეთობით)	მიწის ნაკვეთების სიდიდე	ერთი დეციტინა მიწის საშ. ფასი (მანეთობით)	მცხოვრები რაოდენობა
	0-1-მდე	1-5-მდე	6-10-მდე	11-20-მდე	20-ზე ზევ.						
;ეთაი ის	1.192	747	57	23	10	2.029	346	550.486	1,75	157,52	2 595
შორაპნის	1.188	352	18	6	5	1.569	1.772	328.555	1,15	185,21	1.595
რაჭის	928	45	1	—	2	976	2.633	120 523	2,75	45,79	705
ლეჩხუმის	179	27	1	—	3	210	245	15.825	1,2	62,06	133
ზუგდიდის	33	76	4	4	1	123	460	26.235	3,9	57,25	265
სენაკის	187	96	3	—	—	286	264	52.180	0,9	197,35	235
ოზურგეთის	111	102	9	2	1	225	478	41.126	2,15	86,48	235
სოხუმის	—	—	2	3	3	8	696	7.700	87	11,08	22
ს უ ლ	3.823	1 445	95	38	25	6.426	10.029	1.141735	1,75	113,49	5.685[8]

ამ ცხრილიდან ირკვევა, რომ მთელს დასავლეთ საქართველოში 1879-1888 წწ., ე. ი. 10 წლის განმავლობაში, 5.685 კაცს ნადელის ზევით შეუძენია 10.029 დესეტინა მიწა. მართალია, მყიდველთა შორის ნაწილი ეკუთვნოდა სასულიერო წოდებასა და ვაჭრებს, მაგრამ უმრავლესობას, უსათუოდ, გლეხობა წარმოადგენდა. სოხუმის ოლქში (აფხაზეთში) ამავე პერიოდში 22 კაცს უყიდია 696 დესეტინა მიწა[9]. გამოდის, რომ საშუალოდ თითოს შეუძენია მიწა 32 დესეტინის რაოდენობით. ვინ შეიძლება ვიგულისხმოთ ამ შემთხვევაში მყიდველებად? შეეძლო თუ არა ღარიბ ან საშუალო გლეხს გაეღო ასეული მანეთები მიწის შესასყიდად? თავისთავად ცხადია, რომ საშუალო და ღარიბ გლეხობას ამისი საშუალება არ გააჩნდა. ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ შემთხვევაში მყიდველები იყვნენ უმთავრესად ბობოლა გლეხები, რადგან მიწის ასეთი რაოდენობით შეძენის საშუალება მხოლოდ მათ ჰქონდათ.

აფხაზეთის გლეხობის დაშლაზე და მისი წრიდან, ერთი მხრივ, ღარიბებისა და, მეორე მხრივ, შეძლებულთა ფენების გამოყოფაზე მიგვითითებს აგრეთვე რიბინსკის წიგნის შემდეგი ადგილი: „მიწის განაწილება ამ მეთემურებში სრულ ქაოსურ მდგომარეობაშია; ვინც უფრო ძლიერია, ის ფლობს ღიდსა და უკეთეს ნაკვეთს. ყოველივე ეს ბევრი მათგანის უკიდურეს სიღატაკეს იწვევს“.[9]

მე-20 საუკუნის დასაწყისში გუმისთის მაზრის (დღევანდელი სოხუმის რაიონი) 6 სოფელში, ჩვენამდე მოღწეული ცნობებით, გლეხობის დიფერენციაციის შემდეგი სურათი გვაქვს:

კომლთა ჯგუფები	კომლთა რიცხვი	პროცენტული შეფარდება კომლთა საერთო რ ოდენობასთან	მიწა	პროცენტული შეფარდება დესეტინა მიწის საერთო რიცხვთან
1. უმიწო	92	11,76	—	—
2. 5 დესეტინამდე	413	52,81	977,14	31,79
3. 5-დან 10-მდე	238	30,44	1539,85	50,07
4. 10-დან 25-მდე	34	4,35	401,25	13,06
5. 25-დან 50-მდე	5	0,64	157,5	5,1[10]

9 ვ. ა. რიბინსკი. დასახელებული წიგნი, გვ. 17.

10 Олонецкий А. А. Очерки по развитию капиталистических отношений в Абхазии, Сухуми, 1934 г., გვ. 74.

სამწუხაროდ, ჩვენამდის არ არის მოსული ამგვარი ცნობები სხვა რაიონების შესახებ, მაგრამ, ვფიქრობთ, არ შევცდებოდით, თუ ვიტყოდით, რომ არსებითად ასეთივე მდგომარეობა იყო საერთოდ აფხაზეთში. ამ ცხრილიდან ჩანს, რომ აფხაზეთის გლეხობის დიფერენციაცია საკმაოდ შორს წასულა. აღსანიშნავია, რომ სოხუმის მაზრის ექვს სოფელში უმიწაწყლო გლეხობის რაოდენობა უდრიდა 11-12%-ს, ე. ი. გლეხობის ეს ნაწილი ამიერიდან გამხდარა სოფლის ტიპიურ მუშა-მოჯამაგირედ, რომელიც ცხოვრობდა მხოლოდ თავისი საშუშაო ძალის გაყიდვით. გლეხობის უმრავლესობას ჰქონია მიწა მეტად მცირე რაოდენობით: კოლმეზე საშუალოდ 2 დესეტინამდე ცოტა მეტი, ხოლო უმცირესობას, ე. ი. ბობოლა გლეხებს, თითო კომლზე 10-დან 50 დესეტინამდე. გლეხების დაშლის ეს პროცესი, როგორც უკვე იყო აღნიშნული, გამოწვეული იყო ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობის ზრდით. „ყველა ეკონომიური წინაალმდეგობის ერთობლიობა გლეხობაში, — წერდა ლენინი, — წარმოადგენს სწორედ იმას, რასაც ჩვენ გლეხობის დაშლას ვუწოდებთ... ეს პროცესი ნიშნავს ძველი პატრიალქალური გლეხობის ძირიანფესვიანად დაშლას და სოფლის მოსახლეობის ა ხ ა ლ ი ტ ი პ ე ბ ი ს შექმნას"[11]. გლეხობის დაშლა მიმდინარეობს საშუალო გლეხობის ანგარიშზე, და, ავითარებს რა მის უკიდურეს ჯგუფებს, ჰქმნის სოფლის მოსახლეობის ორ ახალ ტიპს. ამ ტიპების საერთო ნიშანია მეურნეობის სასაქონლო, ფულადი ხასიათი. პირველი, ახალი ტიპია სოფლის ბურჟუაზია, ანუ შეძლებული გლეხობა, ხოლო მეორე—სოფლის პროლეტარიატი, დაქირავებული მუშების კლასი ნადელით.[12]

ახალი, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის შედეგად გამოწვეული სოფლის მოსახლეობის დიფერენციაცია მემამულეთა კლასსაც შეეხო. მემამულეთა ერთი ნაწილი შეეგუა ახალ ვითარებას და თავის მამულს თანდათანობით აწყობს ბურჟუაზიული მეურნეობის ყაიდაზე, მაგრამ მემამულეთა მეორე ნაწილის მეურნეობა, რომელიც ძველებურ, მამაპაპეულ გზას გაჰყვა, სულ უფრო და უფრო ეცემა და ნადგურდება. ასე, მაგალითად, გასული საუკუნის 80-იან წლებში აფხა-

---

[11] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 186-187.
[12] იქვე. გვ. 190-191.

ზეთში 2.132 დესეტინა მიწა ყოფილა დაგირავებული, რომელიც ღირებულა 38.000 მანეთი.[13]

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა საკმაოდ ღრმად შეჭრილა აფხაზეთის ერთ-ერთი უდიდესი მემამულის გ. დ. შარვაშიძის მეურნეობაში. მის მეურნეობაში რომ საკმაო ფართოდ ყოფილა გავრცელებული ფულადი იჯარა, ამას ამტკიცებს შემდეგი მაგალითები: 1883 წელს გლეხ იოსებ ბაღუშვილს გადაუხდია 100 მანეთი გ. შარვაშიძის მამულში მიწის იჯარით აღებისათვის.[14] იმავე წელს მეორე გლეხს ჯოტო ბაღუშვილს საიჯარო ქირა გადაუხდია 85 მანეთის რაოდენობით.[15] ნიკო ფურციას საიჯარო გადასახადი მართებია 112 მანეთისა და 77 კაპიკის რაოდენობით, აქედან გადაუხდია 88 მანეთი, ხოლო დანარჩენი ვალად დასდებია;[16] ვასილ ხარებავას შეუტანია 79 მანეთი.[17]

საგულისხმოა, რომ მიწის იჯარით გაცემას ადგილი ჰქონდა აგრეთვე მონასტრებშიც. 1889 წელს კარაპეტ და ბედროს მარგუსტიანებს დრანდის მონასტრისაგან იჯარით აუღიათ 25 დესეტინა მიწა 5 წლის ვადით, დესეტინა 8 მანეთად.[18]

ვაჭრობა საკმაო ფართოდ იწყებს ფეხის მოკიდებას როგორც გლეხის, ისე მემამულის მეურნეობაშიც.

ჯერ კიდევ 1874 წელს სოხუმის განყოფილების უფროსი გენერალი კრავჩენკო წერდა, რომ „სავაჭრო ბრუნვა წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს ღებულობს და საკმაო საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ აქაურ მხარეში, მოხერხებული გზების გაყვანის შემდეგ, ვაჭრობა მიაღწევს აყვავებულ მდგომარეობას".[19]

80-იან წლებში ზემოთ უკვე დასახელებულ გ. შარვაშიძის მეურნეობაში პროდუქტები, როგორიცაა: სიმინდი, თამბაქო, ღვინო და სხვა, უმთავრესად მზადდებოდა ბაზრისათვის. ასე, მაგალითად, ფეოდოსიელ ფაბრიკანტ ჩემბერს გ. შარვაშიძის მეურნეობიდან 50 ფუთი თამბაქო უყიდია 40 მანეთად.[20]

---

13 Свод статистических данных о землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях. Тифлис, 1893 წ., გვ. 27.

14 ცსსა, ლენინგრადი, ფონდი 1087, საქმე 15, ფურც. 15.

15 იქვე, ფურც. 10.

16 იქვე.

17 იქვე, ფურც. 12.

18 აფხ. ცსა, ფონდი 12, საქმე 20, ფურც. 58.

19 საქ. ცსსა. ფონდი 545, საქმე 996, ფურც. 3-40.

20 ცსსა, ლენინგრადი, ფონდი 1087. საქმე 15, ფურც. 15.

1883 წელს სამ ვაჭარს საერთო ჯამში 3.756 მანეთად უყიდიათ 6.300 ფუთი სიმინდი.[21]

გარდა სიმინდისა და თამბაქოსი, ამ მეურნეობიდან იყიდებოდა ღვინო, ხილეულობა, თივა, ჩალა[22] და სხვ.

გ. დ. შარვაშიძეს ზღვისპირათ სოფელ ბაბუშერაში საკუთარი მაღაზია ჰქონია.[23] შემდეგ მას ასეთივე მაღაზია დრანდაშიაც გაუხსნია.[24].

1883 წელს გ. შარვაშიძის მეურნეობის ფულადი შემოსავალი სულ 6.913 მანეთსა და 46 კაპიკს უდრიდა.[25]

70-იან წლებში მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტებად ოჩამჩირე და ბიჭვინთა გამხდარა, რასაც მოწმობს შემდეგი მონაცემები: 1874 წელს ოჩამჩირის ოლქში 168 სავაჭრო მოწმობა გაუცია, ხოლო ბიჭვინთის ოლქში — 46. ამავე წელს ოჩამჩირის ნავსადგურიდან გაუტანია 343.388 მანეთის საქონელი, ხოლო ბიჭვინთიდან — 143.667 მანეთისა.[26]

90-იან წლებში დაბა ოჩამჩირის ვაჭართა ხელში საკმაო რაოდენობის სავაჭრო თანხა ყოფილა. „ერთი მეგრელი ვაჭართაგანი, — მოგვითხრობს თედო სახოკია, — ყოველწლივ 40 ათასის აღებ-მიცემობას უძღვება, რაც ოჩამჩირის მსგავსი პატარა დაბისათვის დიდ სიმდიდრედ ითვლება. დანარჩენები ხუთ-ექვს ათასიან თანხას ატრიალებენ".[27]

რეფორმის შემდეგდროინდელი აფხაზეთის საგარეო ვაჭრობის განვითარების შესახებ ცნობებს გვაწვდის „კავკაზსკი კალენდარ"-ი.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა დიდად შეუშალა ხელი საგარეო ვაჭრობას. ასე, 1879 წელს ბიჭვინთის ოლქიდან გატანილ იქნა სულ 31.107 მანეთის საქონელი, ხოლო ოჩამჩირიდან — 22.407 მანეთისა, მაშინ როდესაც, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, 1874 წელს ამავე ხავსადგურებიდან გაცილებით მეტი ღირებულების საქონელი გაუტანიათ. 1879 წელს აფხაზეთიდან საზღვარგარეთ სულ გაუტანიათ 53.514 მანეთის ღირებულების საქონელი. ხოლო 1880 წელს — 99.515 მანეთისა. შემოუტანიათ 1879

---

21 ცსსა. ლენინგრადი. ფონდი 1087, საქმე 15, ფურც. 17-28.

22 იქვე, ფურც. 19-28.

23 იქვე, ფურც. 18.

24 იქვე, საქმე 22, ფურც. 10.

25 იქვე. ფურც. 31.

26 საქ. ცსსა, ფონდი 545, საქმე 996, ფურც. 3-40.

27 თედო სახოკია, დასახელებული წიგნი, გვ. 251.

წელს — 274.623 მანეთის, 1880 წელს — 466.411 მანეთისა.[28] აქედან ნათლად ჩანს, რომ აფხაზეთის საგარეო ვაჭრობის ბალანსი დასახელებულ წლებში პასიური ყოფილა. 1893 წლისათვის კი, ე. ი. სულ რაღაც 13 წლის განმავლობაში, მდგომარეობა საგრძნობლად იცვლება: აფხაზეთიდან გაცილებით მეტი ღირებულების საქონელი გააქვთ, ვიდრე შემოაქვთ. აი, საამისო ციფრებიც: 1893 წელს საზღვარგარეთიდან ოჩამჩირეში შემოუტანიათ 282 მანეთის ღირებულების 397½ ფუთი საქონელი, ხოლო იქიდან გაუტანიათ 677.539 მანეთის ღირებულების 1.381.818 ფუთი საქონელი. ქ. სოხუმში ამავე წელს შემოუტანიათ 1.853 მანეთის ღირებულების 438 ფუთი საქონელი, გაუტანიათ კი — 465.350 მანეთის ღირებულების 703.421 ფუთი საქონელი, და ბოლოს, გუდაუთაში შემოუტანიათ 1.279 მანეთის ღირებულების 1.252½ ფუთი საქონელი, ხოლო გაუტანიათ 85.899 მანეთის ღირებულების 176.159 ფუთი საქონელი.[29] ე. ი. 1893 წელს საქონლის ექსპორტს 1.228.818 მანეთამდე მიუღწევია, მაშინ, როდესაც იმპორტის ღირებულება სულ რაღაც 3.414 მანეთისა ყოფილა.

მე-19 საუკუნის 70-80-იან წლებში და 90-იანი წლების პირველ ნახევარშიც ექსპორტში პირველი ადგილი სიმინდს ეჭირა. 1886 წელს აფხაზეთიდან გაუტანიათ 1.076 ათასი ფუთი სიმინდი, 1889 წელს — 1.512.418 ფუთი, ხოლო 1893 წელს — 1.643.239 ფუთი.[30]

მაგრამ 90-იანი წლების ბოლოსა და 900-იანი წლების დასაწყისში ექსპორტში სიმინდი პირველ ადგილს ტექნიკურ კულტურებს უთმობს.

თუ რეფორმამდე და რეფორმის გამოცხადების შემდეგაც ორი ათეული წლის განმავლობაში აფხაზეთის სოფლის მეურნეობის კულტურებიდან მნიშვნელოვანი სავაჭრო საგანი მხოლოდ სიმინდი იყო, უფრო გვიან, სახელდობრ მე-19 საუკუნის ბოლოს, სავაჭრო მიწათმოქმედების მთავარ საგნად უკვე თამბაქო გვევლინება. თამბაქოს გარდა, აფხაზეთში, მისი ბუნებრივი პირობების ხელსაყრელობის გამო, მოსალოდნელი იყო ისეთ ტექნიკურ კულტურათა განვითარება, როგორიცაა:

---

28 «Кавказский календарь», 1883 წ., გვ. 245.
29 იქვე, 1896 წ., გვ. 245-246.

30 იქვე, გვ. 466; **В. Т. Маевский**, Кутаисская губернія, Военно-статистическое описаніе. Тиф., 1896 წ., გვ. 277.

ჩაი, ბამბა და მევენახეობა, მაგრამ არც ერთ მათგანს არ მისცემია ფართო გასაქანი. ასე. მაგალითად, მებამბეობა არ გაცილებია ადგილობრივ მოხმარებით მნიშვნელობას და არ გამხდარა რამდენადმე მაინც სავაჭრო მნიშვნელობის საგნად. ვერ განვითარდა აგრეთვე ჩაის კულტურაც.

შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო სავაჭრო მევენახეობის მოწყობის საქმეში, თუმცა მანაც ვერ პოვა ისე ფართო გავრცელება, როგორც მოსალოდნელი იყო. ჯერ კიდევ რიბინსკი აღნიშნავდა სავაჭრო მევენახეობის მოწყობის ცალკეულ შემთხვევებს. იგი წერდა, რომ კარგი კულტურული ჯიშის ვაზების მოშენებას მისდევდნენ ისეთი ინტელიგენტური მეურნეები, როგორიც იყვნენ: გერმანი (ინჟინერ არციბუშევის მამულის მმართველი), ვაჭარი გოგრიჩიძე, მალანი და პოლკოვნიკი ნიკიტინი. მათ მიერ დაყენებული ღვინო ადგილზე იყიდებოდა ბოთლი 60 კაპიკად. გერმანი თავის ღვინოს თურმე მოსკოვშიც კი აგზავნიდა.[31]

ასეთი მდგომარეობა იყო 80-იან წლებში, უფრო გვიან კი, სახელდობრ, 90-იანი წლების ბოლოსა და 900-იანი წლების დასაწყისში, სავაჭრო მევენახეობის განვითარება საგრძნობლად წაწეულა წინ. მაგალითად, 1907 წელს ვენახი 3.117 დესეტინა ფართობზე ყოფილა გაშენებული, საიდანაც 1.456.215 ფუთი ყურძენი მოუკრეფიათ, ხოლო მისგან კი 711.500 ვედრო ღვინო დაუყენებიათ.[32]

მებაღეობა-მეხილეობასა და მებაღჩეობას გარკვეული ადგილი დაუჭერია აფხაზეთის ეკონომიკაში. მეხილეობას უმთავრესად მისდევდნენ თავისი საკუთარი მოხმარებისათვის და საშინაო ბაზარში გასატანად; საგარეო ვაჭრობაში მას მნიშვნელოვანი როლი არ ჰქონია.

ადგილობრივ ასეთივე მდგომარეობა იყო მებოსტნეობის დარგშიც. 70-იანი წლებიდან ყოფილა ცდები სავაჭრო მებოსტნეობის ფართოდ გავრცელებისა. ასე, მაგალითად, პოლკოვნიკ ვედენსკის ქ. სოხუმის მახლობლად ბოსტანი იმ ნიზნით მოუწყვია, რომ მოსავალი მთლიანად სოხუმის ბაზარში გასაღებულიყო[33]. იმავე ვედენსკის 80-იანი წლების დასაწყისში უფრო გაუფართოებია თავისი მებოსტნეობა. ამავე წლებში სოხუმის ბაზარში ნაზანსკის მეურნეობიდანაც მიჰქონდათ თურმე მნიშვნელოვანი რაოდენობით ბოსტნეულობა

---

31 გ. ა. **რიბინსკი**, დასახელებული წიგნი, გვ. 21.
32 **«Кавказский календарь»** 1909 ₮., გვ. 329
33 საქ. ცსსა, ფონდი 545, საქმე 996, ფურც. 3-40

და ხილეულობა[34]. ამ მიმართულებით 900-იან წლებში მუშაობა უფრო ფართოდ გაუშლია გ. დ. შარვაშიძეს. რომელსაც თავისი საკონსერვო ქარხანაც კი აუშენებია, სადაც საკმაო დიდი რაოდენობით მზადდებოდა სხვადასხვა ხილეულისა და ბოსტნეულის კონსერვები. უფრო ადრე გერმანი არციბუშევის მეურნეობაში ამზადებდა და ყიდდა ბაზარში ატმის, ქლიავის, შინდის, მარწყვისა და ალუჩის კომპოტებს და ტომატის კონსერვებს.[35]

როგორც ზემომოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, გარკვეული სავაჭრო მნიშვნელობა მიეცა მარცვლეულ კულტურასთან (უფრო მეტად სიმინდთან) ერთად მევენახეობას, მებოსტნეობას, მეხილეობასა და სხვა, მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ რეფორმის შემდეგდროინდელი აფხაზეთის სოფლის მეურნეობის კულტურის არც ერთ დარგში არ იგრძნობა ისე მკაფიოდ ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობა, როგორც ეს შესამჩნევია მეთამბაქოეობაში. ამიტომ ჩვენ რამდენადმე მაინც დაწვრილებით შევჩერდებით თამბაქოს კულტურის განვითარებაზე.

როგორც ცნობილია, ამიერკავკასიის მეთამბაქოეობის მთავარი კუთხე თავიდანვე იყო დასავლეთი საქართველო. სადაც ცენტრალური ადგილი ეკავა აფხაზეთს. აქ მოდიოდა მთელი მოსავლის 70 პროცენტზე მეტი,[36] ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის თამბაქო თავისი ხარისხის მიხედვით საუკეთესო იყო და ამ მხრივ მას მთელი რუსეთის იმპერიაში კონკურენტი არ მოეპოვებოდა. ყურადღების ღირსია ისიც, რომ გასული საუკუნის ბოლოს აფხაზეთის თამბაქოს პლანტაციების აბსოლუტური უმრავლესობა სავაჭრო-სასაქონლო ხასიათს ატარებდა.

1903 წელს აფხაზეთის 143 სოფლიდან მეთამბაქოეობას მისდევდნენ 80 სოფელში, რაც შეადგენდა საერთო მოსახლეობის 56%-ს.[37] ამავე წელს პლანტაციების საერთო რიცხვი ადიოდა 4.760-მდე, აქედან 3.468 პლანტაცია, ანუ 73%, სავაჭრო ხასიათისა იყო, ხოლო 1.292 პლანტაცია, ანუ 27%, იყო „სამეურნეო" მნიშვნელობისა, ე. ი. თამბაქო მოჰყავდათ მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილებისათვის. მაგრამ სულ ოხერი-

---

34 «Кавказский календарь, 1883 წ., გვ 244.

35 **ვ. ა. რიბინსკი**, დასახელებული წიგნი, გვ. 22.

36 **ა. ბუგაუშვილი**, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბილისი, 1941, გვ 107-103.

37 «Черноморское сельское хозяйство», 1910 წ., № 10—11, გვ 369.

დე წლის შემდეგ, 1907 წლიდან, ე. წ. „სამეურნეო" პლანტაციები უკვე არ გვხვდება; ისინი ამ დროისათვის სრულიად გაქრნენ.[38] სამაგიეროდ მსხვილ, ე. ი. კულაკურ, პლანტაციათა რიცხვი თანდათანობით სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ჯერ კიდევ 1896 წელს ყოფილა ორი საკმაოდ მსხვილი პლანტაცია: ერთი 40 დესეტინისა და მეორე 20 დესეტინის ფართობისა. მეოცე საუკუნის დასაწყისში 2-დან 5 დესეტინამდე ფართობის მქონე პლანტაციათა რიცხვი ყოფილა 1.010, ხოლო 5-დან 25-მდე — 132.[39] თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ თამბაქო ერთ-ერთი ყველაზე უფრო შრომატევადი ტექნიკური კულტურათაგანია, მაშინ სრულიად ადვილი წარმოსადგენია, რომ იმ პლანტაციებში, რომელთა ფართობი ორ დესეტინას აღემატებოდა, აუცილებლად გამოყენებული იქნებოდა დაქირავებული მუშახელი. მუშების დაქირავება და მათი გამოყენება, რა თქმა უნდა, შეეძლოთ მხოლოდ ბობოლა გლეხებს. შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ორ დესეტინაზე მეტი ფართობის შემცველი პლანტაციების მფლობელები უკვე კულაკები იყვნენ. მაშინ, როდესაც კულაკური პლანტაციები სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და იფურჩქნებოდა, საშუალო და წვრილი პლანტაციების მფლობელები თანდათანობით ღატაკდებოდნენ და მიმე კაბალურ მდგომარეობაში ვარდებოდნენ. უმიწო, ან მცირემიწიანი გლეხობა იძულებული იყო თამბაქოს პლანტაციების მოსაშენებლად იჯარით აეღო მიწა მემამულეებისაგან. საიჯარო გადასახადი დიდი იყო. ჩვეულებრივად მის დასაფარავად მეიჯარე პლანტატორს სჭირდებოდა თამბაქოს მთელი მოსავლის ნახევარი, ამასთან ერთად მეიჯარეს უნდა ჰქონოდა გარკვეული რაოდენობის ფულადი კაპიტალი თამბაქოს მოსაყვანად და სხვა ხარჯების დასაფარავად. „ამ ფულს იგი, — როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფ. გუგუშვილი, — ჩვეულებრივად სესხულობდა ან თამბაქოს მეფაბრიკისა და ან შემსყიდველისაგან, რომელთაც თავნისა და სარგებლის გადახდას ჰპირდებოდა პლანტაციიდან მიღებული თამბაქოს მოსავლის მეოხებით. ხშირად ხელშეკრულება იმდენად კაბალური იყო, რომ მეიჯარე ვალდებულებას კისრულობდა, რათა თამბაქოს მოსავალი მაინცდამაინც მევალისათვის მიეყიდა საბაზრო ფასების მიხედვით, ხოლო ამ საბაზრო ფასებს, გასაგებია, თვით შემსყიდველი და მეფაბრიკე კარნახობდნენ.

---

38 «Кавказское хозяйство», 1913 წ. გვ. 21.
39 ა. ოლონეცკი, დასახელებული წიგნი, გვ. 68.

მეიჯარეს მოსავლის რეალიზაციის შემდეგ, განსაკუთრებით მაშინ, თუ საშუალო მოსავალი მოდიოდა, მეტად მცირე „შემოსავალი“ რჩებოდა; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი ძლივს ახერხებდა ხელფასის მიღებას. მაგრამ ჩვეულებრივი იყო შემთხვევა, როდესაც მეიჯარე ვერც-კი ახერხებდა დაფარვას ვალებისა, რომელიც სარგებლის ზედშეკეცით გადადიოდა მომავალი წლისათვის. გასაგებია, რომ ასეთ მეიჯარეს, რომელიც სინამდვილეში კაბალური მეიჯარე იყო, არ შესწევდა არავითარი ღონისძიება და არც სტიმული მეურნეობის გაუმჯობესებისათვის. იგი ადგილობრივი ფაბრიკანტებისა და „ემსყიდველთა ყმურ დამოკიდებულებაში ვარდებოდა, საიდანაც თავის დაღწევა არ შეეძლო“.[40] ასეთი იყო მეიჯარე პლანტატორის მდგომარეობა აფხაზეთში. მაგრამ შეიძლება კარგი იყო მდგომარეობა იმ გლეხებისა, რომლებიც არ იყვნენ მეიჯარენი, ე. ი. რომლებსაც თავის მცირე ზომის მიწის ნაკვეთზე მოჰყავდათ თამბაქო? არა, არც ამ გლეხთა ნაწილის მდგომარეობა იყო უკეთესი, რადგან არც ისინი იყვნენ თავისუფალნი ექსპლოატაციისაგან. ის, რასაც ლაპარაკობს ლენინი რუსეთის შიდა გუბერნიების წვრილი მეთამბაქოეობის შესახებ, ამ შემთხვევაში სრულიად თავისუფლად შეგვიძლია გავავრცელოთ აფხაზეთის წვრილ მეთამბაქოე პლანტატორებზეც. „თავისთავად ცხადია, რომ ა ქ წ ა რ მ ო ე ბ ი ს კაპიტალისტურ ორგანიზაციას თან სდევს უძლიერესი განვითარება სავაჭრო კაპიტალისა და წარმოების სფეროს გარეშე ყოველნაირი ექსპლოატაციისა. წვრილ მეთამბაქოებს არა აქვთ თამბაქოს საშრობი ფარდულები, არა აქვთ პროდუქტის ფერმენტაციის (დადულების) შესაძლებლობა, აგრეთვე იმის საშუალება, რომ თამბაქო (3-6 კვირის შემდეგ) გამზადებული გაყიდონ. ისინი მას გაუმზადებელს ნ ა ხ ე ვ ა რ ფ ა ს ა დ აძლევენ შემყიდველებს... შემყიდველები „ყოველნაირად ავიწროებენ წვრილ პლანტატორებს“[41].

სწორედ ეს „ყოველნაირად ავიწროებული წვრილი პლანტატორები“ ცდილობდნენ საჩივრების, პროტესტების განცხადებისა და წინააღმდეგობის გაწევის საშუალებით მძარცველებისაგან თავის დაღწევას. მაგალითად, 1898 წელს გუმისთის რაიონის 100-ზე მეტ გლეხს, რომლებიც მეთამბაქოეო-

---

40 ბ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბილისი, 1941 წ., გვ. 105.

41 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 347.

ბას მისდევდნენ. მთავრობისათვის კოლექტიური თხოვნით მიუმართავთ, რათა მას დაეცვა ისინი თამბაქოს მეფაბრიკეთა მტაცებლობისაგან. ამ გლეხების საჩივარში ნათქვამია, რომ ისინი „მიუხედავად იმისა, რომ თამბაქო დიდი რაოდენობით მოჰყავთ, საბოლოოდ ვერ ახერხებენ ამოიღონ დანახარჯი კაპიტალიც კი, რადგან მეფაბრიკეები მათ აძლევენ ავანსებს, რა სახითაც ყიდულობენ ჯერ კიდევ მოუკრეფავ ფოთლებს და სწორედ ამ სახით აკაბალებენ მათ... ხოლო შემდეგ, თამბაქოს ჩაბარების დროს, მიმართავენ სხვადასხვაგვარ ხრიკებს, რათა საქონელი ძლიერ დაბალ ფასებში შეიძინონ“.[42] შემდეგ თხოვნაში ლაპარაკია, რომ როდესაც გლეხები — პლანტატორები ეწინააღმდეგებიან ფაბრიკანტებს, ეს უკანასკნელნი სასამართლოთი ემუქრებიან და „მოითხოვენ ავანსის უკანვე დაბრუნებას, რომელიც უკვე დახარჯულია თესლისა და დამუშავებისათვის“. უფრო მეტიც: შემსყიდველები თამბაქოს სოხუმის საწყობში ჩამოტანას თხოულობენ და იქ მიმართავენ ზემოაღნიშნულ ხრიკებს. გაყიდვაზე უარის თქმა და თამბაქოს უკან წაღება გლეხებს არ შეუძლიათ, რადგან მათ თავიანთი საწყობები არა აქვთ, რომ თამბაქო სათანადო პირობებში შეინახონ. მეთამბაქოენი იძულებული არიან დაემორჩილონ შემსყიდველთა მძიმე პირობებს.

აფხაზეთის წვრილი მეთამბაქოეების მეტად მძიმე მდგომარეობის შესახებ წერდა აგრეთვე რიბინსკიც. იგი აღნიშნავდა, რომ მეთამბაქოენი „იმყოფებიან შემსყიდველ-კაპიტალისტების რაღაც განსაკუთრებულ კაბალაში“.[43]

შემსყიდველებისაგან მეთამბაქოეების კაბალურ დამოკიდებულებაზე წერდა აგრეთვე ჟურნალი «Черноморское сельское хозяйство»[44].

ამრიგად, მიუხედავად მეთამბაქოეობის მასობრივი გავრცელებისა, გლეხთა მასის ეკონომიური მდგომარეობა უარესდებოდა. წვრილი მეთამბაქოენი ერთბაშად ცვივდებოდნენ მემამულის, მევახშისა და ფაბრიკანტ-შემსყიდველების კაბალაში, საიდანაც თავის დაღწევა მათ უკვე არ შეეძლოთ.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, მეთამბაქოეობის გავრცელება და განვითარება, ერთი მხრივ, ხელს უწყობდა

---

42 გაბ. «Новое обозрение», თბილისი, 1898 წ., № 49/10. ბ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბილისი, 1941 წ., გვ. 104-105.

43 ბ. ა. რიბინსკი, დასახელებული წიგნი, გვ. 8-9.

44 ჟურ. «Черноморское сельское хозяйство», 1910წ., გვ. 369—370.

გლეხთა მასების შემდგომ დიფერენციაციას, მისი უმრავლესობის გაღატაკებას, სოფლის მუშა-მოჯამაგირედ მის გადაქცევას, გაპროლეტარებას, ხოლო, მეორე მხრივ, მისი უმცირესი ნაწილის ეკონომიურად გაძლიერებას, მსხვილ პლანტატორებად გადაქცევას.

...თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მხარის ეკონომიკისათვის მეთამბაქოეობას და როგორ ვითარდებოდა იგი, ამას ნათლად გვაჩვენებს შემდეგი მონაცემები:

წლები	პლანტაციების რაოდენობა	ფართობი დეციტინობით	მოსავალი ფუთობით
1887	არ არის ცნობები	არ არის ცნობები	58.339
1893	1.858	1.053	70.720
1901	2.905	3.478	130.636
1903	4.760	3.604	255.071[45]

ეს მონაცემები ნათლად ლაპარაკობს იმაზე, რომ რეფორმის შემდეგდროინდელ აფხაზეთში თამბაქო, როგორც ძვირფასი ტექნიკური კულტურა, სულ უფრო და უფრო იკიდებდა ფეხს და იგი ხდებოდა როგორც საშინაო, ისე ადგილობრივ ვაჭრობის პირველ საგნად, მაშასადამე, სოფლის მეურნეობის წამყვან დარგად და საერთოდ მხარის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი როლის შემსრულებელ კულტურად.

აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან დარგად ყოველთვის ითვლებოდა მესაქონლეობა, რომელსაც მიუხედავად რიგი დაბრკოლებისა (საძოვარი და სათიბი ადგილების გამოყენებისათვის ბლეხობას მემამულისა ან ხაზინისათვის დიდი რაოდენობით უნდა გაეღო გადასახადები[46]), რე-

---

[45] ეს მონაცემები აღებულია: 1896, 1903, 1906 წლების „Кавказский календарь"-დან

[46] საინტერესაოდ მწყემს გლეხებს თ. სახოკიასათვის უთხოვიათ: „ჩვენი გაჭირვება მაფას (ე. ი. მეფეს) შეატყობინე შეღავათი რამ გვიწყალობოს. ბევრი გადასახადი გვაწერია"-ო (თ. სახოკია, „მოგზაურობანი", თბ., 1950, გვ. 283).

ფორმის შემდეგ მაინც მიეცა ერთგვარი გაქანების საშუალება. ისტორიკოს მ. ჯანაშვილის დამოწმებით 80-90-იან წლებში აფხაზეთში მესაქონლეობა საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული.

გლეხობის დიფერენციაცია კარგად მოჩანს მესაქონლეობის დარგშიც. ცხადია, რომ მრავალრიცხოვანი პირუტყვის ყოლა მხოლოდ მემამულეებსა და კულაკებს თუ შეეძლოთ, თორემ ღარიბ გლეხებს ამის საშუალება არ ჰქონდათ. ასე, მაგალითად, 80-იან წლებში გლეხ პახულ ქარდავას 300 ცხვარი და თხა ჰყოლია, ქვაშან ქარდავას — 200 ცხვარი, ცვიტი ქარაიას — 210 ცხვარი და თხა, ფირცხოლ ღურწკაიას — 370 ცხვარი და თხა, კაცია მარღანიას — 200 ცხვარი, კაბა ფიფიას — 190 ცხვარი და გ. კითალაძეს — 7 უღელი კამეჩი.[47] გასაგებია, რომ ესენი კულაკი გლეხები არიან; ღარიბ გლეხებს კი თავისი მცირე მიწის დასამუშავებლად აუცილებელი მუშა პირუტყვიც არ ჰყავდათ. მაგალითად, 1883 წელს გლეხ პაელე თოდუას საგაზაფხულო თესვის დროს გ. შარვაშიძის მეურნეობიდან ერთი უღელი კამეჩი დაუქირავებია, რაშიც მას 10 მანეთი გადაუხდია[48].

როგორც საერთოდ ცნობილია, რეფორმის შემდეგდროინდელი სოფლის მეურნეობის განვითარება დღის წესრიგში აყენებდა გაუმჯობესებული იარაღებისა და მანქანების შემოღების აუცილებლობას, მინერალური სასუქის გამოყენებას, ე. ი. სოფლის მეურნეობაში უნდა მომხდარიყო ერთგვარი ტექნიკური ევოლუცია. ამ მხრივ აფხაზეთის სოფლის მეურნეობაც არ წარმოადგენდა გამონაკლისს. ცხადია, გუმჯობესებული იარაღებისა და მანქანების შეძენა და მათი გამოყენება დაქირავებული მუშების აუშუალებით შეეძლო მხოლოდ კაპიტალისტური განვითარების გზაზე დამდგარ მემამულეთა მეურნეობებს, მონასტრებსა და კულაკ გლეხებს. ასე, მაგალითად, გ. შარვაშიძის მეურნეობაში 80-90-იან წლებში გამოყენება ჰქონია სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და მინერალურ სასუქს.[49]

დრანდის მონასტერში, რომელსაც საკმაოდ მსხვილი მეურნეობა ჰქონდა, წყლის მიღება მექანიზებული ყოფილა.[50]

900-იანი წლებიდან ფართო გამოყენება პოვა კულაკურ

---

[47] ცსსა. ლენინგრადი. ფონდი 1087, საქმე 15, ფურც. 8-31.

[48] იქვე.

[49] იქვე. ფურც. 28; საქმე 23, აღწ. 1, ფურც. 80, 112.

[50] აფხ. ცსა, ფონდი 12, საქმე 345, ფურც. 12-44.

მეურნეობაში სიმინდის რიგით მთესველმა, მახარისხებელმა და საფშვენმა მანქანა-იარაღებმა.

ეჭვგარეშეა, რომ აფხაზეთის სოფლის მეურნეობაში მანქანა-იარაღების გამოყენების შესახებ ზემოთ დასახელებული მაგალითები სრულიად არ ლაპარაკობს იმაზე, რომ გლეხობის მთელი მასა ან ყველა მემამულე ამიერიდან თავის მეურნეობას ეწევიან მხოლოდ გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების საშუალებით. საშუალო და განსაკუთრებით კი ღარიბ გლეხობას არავითარი საშუალება არ გააჩნდა ეზრუნა სასოფლო-სამეურნეო იარაღების გაუმჯობესებაზე, ან მინერალური სასუქის გამოყენებაზე და ამიტომ ის ისევ ძველებური მამაპაპეული, პრიმიტიული საშუალებით ამუშავებდა მიწას. მემამულეთა უმრავლესობაც არ იწუხებდა თავს ამ საქმეზე, რადგან ის საკმაო კარგად იყო უზრუნველყოფილი მუქთი მუშახელითა და მაღალი საჯარო ფასით.

გაუმჯობესებული მანქანა-იარაღები გამოყენებულ იქნა მხოლოდ კულაკურ მეურნეობაში და მემამულეთა იმ ნაწილის მეურნეობაში, რომელიც ბაზართან იყო დაკავშირებული.

მართალია, ზემომოყვანილი მაგალითები არ ლაპარაკობს გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების ფართოდ გავრცელებაზე აფხაზეთის სოფლის მეურნეობაში, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს ფაქტები რეფორმის შემდეგდროინდელი სოფლის მეურნეობის განვითარების საერთო ტენდენციას მაინც უნდა გამოხატავდეს.

მეურნეობის საერთო ძვრებს არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა ძველი გზების გაუმჯობესებისა და ახალის მშენებლობის საქმე. ჯერ კიდევ 70-იან წლებში წამოიჭრა საკითხი შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობისა, რომელსაც ქ. სოხუმი ახალსენაკთან უნდა დაეკავშირებინა.[51] მაგრამ ეს ცდები ჩაშალა 1877-1878 წ წ. რუსეთ-თურქეთის ომმა. 80-იან წლებში ხელახლა წამოიჭრა ეს საკითხი. მაგრამ ამ მხრივ მე-20 საუკუნის დაწყებამდე საქმე ცდების იქით არ წასულა. მხოლოდ 1902 წელს როგორც იქნა დაამტკიცეს შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობა და შეუდგნენ მის სისრულეში მოყვანას, მაგრამ მშენებლობა დასაწყისშივე ჩაიფუშა. მას ხელი შეუშალა რუსეთ-იაპონიის ომმა და ბოლოს, პირველმა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა. ასე, რომ რკინიგზა ცარიზმის დროს აფხა-

---

51 А. А. Верещагин. Колонизация Черноморского побережья Кавказа, СПБ, 1878 წ., გვ. 3.

ზეთში არ ყოფილა გაყვანილი. ასეთივე ბედი ეწია სოხუმის ნავსადგურის მშენებლობის საქმესაც. მიუხედავად იმისა, რომ მის მშენებლობია აუცილებლობის შესახებ არა ერთხელ წამოჭრილა საკითხი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-იან წლებიდან.[52]

გზატკეცილების მშენებლობის მხრივაც საქმე შორს არ წასულა. ასე თუ ისე კეთილმოწყობილი გზა იყო სანაპირო გზატკეცილი, რომელიც აფხაზეთს აკავშირებდა სამეგრელოსა და ჩრდილო კავკასიასთან. შიგნით აფხაზეთის რაიონებში კი კეთილმოწყობილი გზები სრულიად არ ყოფილა.

გზების ასეთმა მდგომარეობამ, რა თქმა უნდა, გავლენა მოახდინა აფხაზეთის მრეწველობის განვითარებაზე. რეფორმის შემდეგ ერთგვარი გასაქანი უნდა მისცემოდა აქ მრეწველობის წამოწყებისა და შემდგომ ზრდის საქმეს. მრეწველობის დარგებიდან ყველაზე უფრო უნდა განვითარებულიყო სამთო მრეწველობა, კერძოდ, კი — ქვანახშირის მოპოვება. რადგან ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ტყვარჩელში შემჩნეულ იქნა ქვანახშირის მდიდარი საბადოები, ხოლო 90-იან წლებში ტარდებოდა რიგი საკვლევაძიებო სამუშაოები.[53] 900-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბებულ იქნა „ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროების საზოგადოება"; მიუხედავად ამისა, რევოლუციამდე ტყვარჩელის ქვანახშირის მოპოვების საქმისათვის ხელი თითქმის არავის არ მოუკიდია. ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების უმოქმედობა უმთავრესად აიხსნება იმით, რომ საკვლევაძიებო სამუშაოები ტარდებოდა კერძო პირების მიერ, რომლებმაც ვერ შეძლეს ამ საქმით ხაზინის დაინტერესება.

მრეწველობის დარგებიდან ცოტათ თუ ბევრად განვითარება პოვა სატყეო მრეწველობამ. 80-90-იან წლებში ჩამოყალიბდა სამი სატყეო-სამრეწველო საწარმოო მდინარეების ბზიფისა და კოდორის ხეობებში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სატყეო საწარმოებიც ისევე, როგორც მანამდე ადგილობრივი მემამულეები, ეწეოდნენ ტყის მტაცებლურ ექსპლოატაციას. ტყის მრეწველობის ასეთმა წარმოებამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ 90-იანი წლების მიწურულში ვრცელი ტყის ფართობები თითქმის სრულიად განადგურებულ იქნა. ძვირფასი საალმშენებლო მასალა, როგორიცაა: ნაბლი და მუხა, თითქმის სრუ-

---

[52] აქტები, ტ. IX, ნაწ. 1, გვ 478.

[53] «Известия АБНО», вып. II, Сухум, 1926 წ., გვ. 28.

ლიად გადაშენებულა კერძო პირთა იმ ფართობებიდან, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო ექსპლოატაციისათვის.[54]

მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის სახერხი ქარხნების რაოდენობა სულ 11 ყოფილა, სადაც მუდმივად 519 კაცი მუშაობდა.[55] ფონ-დერვიზი მოგვითხრობს, რომ სენეხური სამუშაოების დროს მარტო მდინარე კოდორზე არსებული ხე-ტყის 2 სახერხი ქარხნისათვის საჭირო მასალათა დასამზადებელ ოპერაციაში ჩაბმული მუშათა რაოდენობა 8.000 კაცამდე ადიოდაო.[56] იმავე ავტორის მტკიცებით, მდინარე კოდორზე წარმოებულ სამუშაოთა მთელი ოპერაციის წლიური ღირებულება 750.000 მანეთს უდრიდა[57].

მრეწველობისა და ხელოსნობის შედარებით განვითარებამ გამოიწვია საქალაქო ცხოვრების განვითარებაც. ასე. მაგალითად, ქ. სოხუმში 1897 წლის აღწერით 7.998 მცხოვრები ყოფილა[58] მაშინ, როდესაც რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი ომის შედეგად სოხუმი მოსახლეობისაგან სავსებით დაცარიელებული იყო.[59]

„საკარო მიწათმოქმედების პროგრესი აუარესებს გლეხთა დაბალი ჯგუფების მდგომარეობას და საბოლოოდ მიერეკება მათ მიწათმოქმედთა რიგებიდან".[60] მიწათმოქმედთა რიგებიდან განდევნილ ღარიბ გლეხობას სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ გაეყიდნა თავისი სამუშაო ძალა. იგი ტოვებდა სოფელს და მიემგზავრებოდა ქალაქში ან დაბებში და ებმებოდა იქ საწარმოებში, სახელოსნოებში. ასე. მაგალითად, 900-იანი წლების დასაწყისში აშკარად არასრული ცნობით აფხაზეთის 400-მდე საწარმო სახელოსნოებში 1.030 მუშა იყო ჩაბმული,[61] მნიშვნელოვანი ნაწილი იმ გაძვალტყავებული გლეხებისა, რომლებიც გარე სამუშაოზე გასვლით და იქ სამუშაო ძალის გაყიდვით ირჩენდნენ თავს. ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ მოწყვეტილი წარმოების საშუალებებს; ის ჯერ კიდევ მიჯაჭვული იყო მიწაზე თავისი მინიატურული. სამათხოვრო ნაკვეთით: „ეს წარმოების საშუალებანი თვითონ

---

54 ფონ-დერვიზი. დასახელებული შრომა, გვ. 69.
55 «Кавказский календарь», 1909 წ., გვ. 504.
56 ფონ-დერვიზი, იქვე, გვ. 70.
57 იქვე, გვ. 71.
58 «Кавказский календарь», 1909 წ., გვ. 504.
59 საქართველოს კალენდარი, 1888 წ., გვ. 102.
60 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 320.
61 «Кавказский календарь», 1909 წ., გვ. 504

გლეხობისათვის უკვე სამძიმო ტვირთად იქცა, მაგრამ საჭირო იყო მემამულე-ბატონისათვის...“ [62]

„გლეხური „ნადელი“, მეურნეობის ასეთი სისტემის დროს, იმის საშუალებაა, რომ მემამულე უზრუნველყოფილი იყოს მუშახელით, და არა მარტო მუშახელით, არამედ ინვენტარითაც. რომელიც, რაღიგ უბადრუკიც არ უნდა იყოს, მაინც გამოდგება მემამულის მიწის დასამუშავებლად“. [63]

მცირემიწიანი გაღატაკებული გლეხობა თავის სამუშაო ძალას აქირავებს არა მარტო ქალაქებში, ან დაბებში, წარმოებებში, არამედ თვით სოფლის მეურნეობაშიც, უმთავრესად მემამულის, ან კულაკის მეურნეობაში. ჩვენთვის ცნობილი გ. დ. შარვაშიძის მეურნეობის სალარო წიგნში ვნახულობთ მუშახელის დაქირავების შემდეგ შემთხვევებს: „დღიურ მუშა ანტონ სანაიას გადაეხადა 2 მან. 40 კაპ.“. [64] „5 მუშას, რომლებიც მიწისმზომელ მოისეევის დასახმარებლად დღეში 40 კაპ. იყვნენ დაქირავებული, გადაეხადათ 7 მანეთი“. [65]

იმავე შარვაშიძის წისქვილის მშენებლობაზე დურგლებს ბოკია ჯოლიასა და ბეკო კვარაცხელიას 13 დღის განმავლობაში მუშაობისათვის მიეღიათ 36 მანეთი და 40 კაპიკი, [66] მშენელ გიგო სოხაძეს აუღია 5 მანეთი, [67] ხოლო გლეხ საბაია ღვინჯილიას ყავრის დამზადებისათვის — 10 მანეთი. [68]

რეფორმის შემდეგდროინდელი გლეხობის მდგომარეობის სურათი სრული არ იქნება, თუ არ შევეხეთ მიწაზე საიჯარო ფასის ზრდისა და საერთოდ მიწის გასაყიდი ფასის აწევის საკითხებს.

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ მიწის უდიდესი და თანაც საუკეთესო ნაწილი მემამულეების ხელში იყო და ამის გამო გლეხობის აბსოლუტური უმრავლესობა მიწის საშინელ სიმწეროვეს განიცდიდა. ეს მდგომარეობა გლეხებს აიძულებდა მემამულისაგან მიწის იჯარით აღებისათვის მიემართათ. მოიჯარეთა რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდება ტექნიკურ კულტურათა დანერგვასა და საერთოდ სავაჭრო მიწათ-

---

62 ს. ა. მოროხოვეცი, ციტირებული წიგნი, გვ. 172.
63 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 16, გვ. 74-75.
64 ცსსა, ლენინგრადი, ფონდი 1087, საქმე 15, ფურც. 13.
65 იქვე, ფურც. 27.
66 იქვე, ფურც. 30.
67 იქვე, ფურც. 27.
68 იქვე, ფურც. 30.

ბოქმედებასთან დაკავშირებით. ეს კი, ცხადია, იწვევდა მიწის საიჯარო ფასების ჩქარ ზრდას, რაც კიდევ უფრო აუარესებდა მოიჯარადრე ღარიბ გლეხთა მდგომარეობას. იჯარა განსაკუთრებით ძვირად უჯდებოდა ღარიბ გლეხობას, რომელიც უფრო მეტად მიწას იღებდა ნატურალური იჯარით, მოკლე ვადითა და წვრილ-წვრილ ნაკვრებად. ლენინი აღნიშნავს, „რომ ნატურალური იჯარა (ე. ი. იჯარა არა ფულით, არამედ სანახევროდ ან შრომამიგებით) ჩვეულებრივ ყველგან უფრო ძვირია ფულადს იჯარაზე, და აძასთან მნიშვნელოვნად უფრო ძვირია, ზოგჯერ ერთიორადაც კი; შემდეგ, რომ ნატურალური იჯარა გავრცელებულია ყველაზე მეტად გლეხობის ღარიბეს ჯგუფებში. რამდენადმე შეძლებული გლეხები ცდილობენ ფულად აიღონ მიწა იჯარით“.[69]

მიწის საიჯარო ფასის სწრაფ ზრდაზე ლაპარაკობს შემდეგი მონაცემები:

1880-1900 წლებში ერთ დესეტინის საიჯარო ქირა უდრიდა 8-10 მანეთს, 1900-1910 წლებში იგი 25-30 მანეთამდე აღწევდა, ხოლო 1910-1914 წლებში უკვე 50 მანეთი იყო.[70]

კიდევ უფრო სწრაფად იზრდებოდა თვით მიწის გასაყიდი ფასიც, რაც დასტურდება შემდეგი ცნობებით. 90-იანი წლების პირველ ნახევარში მემამულე სმეტსკოის სოხუმის მახლობლად 1.400 დესეტინა მიწა 87 ათას მანეთად შეუძენია. ცოტა უფრო გვიან მეორე მემამული პეტროვს 55 დესეტინა მიწაში 8.500 მანეთი მიუცია, ე. ი. დესეტინაში 154 მანეთი გადაუხდია, რაც თავისთავად ლაპარაკობს მიწის გაძვირებაზე და ღარიბ, ან საშუალო გლეხისათვის მისი შესყიდვის შეუძლებლობაზე. 90-იანი წლების ბოლოსა და 900-იანი წლების დასაწყისში მიწის ფასი კიდევ უფრო სწრაფად განაგრძობდა ზრდას, რაც გამოწვეული იყო აფხაზეთის ზღვის სანაპირო ადგილების საკურორტო მნიშვნელობის გამომჟღავნებით. ლ. ს. ლიჩკოვის გადმოცემით, ზღვის სანაპირო რაიონში გზების გასწვრივ მდებარე ერთი დესეტინა მიწის ფასი 180-დან 200 მანეთამდე ყოფილა, ხოლო სოხუმში საგარაკოდ გამოსადეგი იმავე ზომის ფართობი 120-140 ათასი მანეთი ღირებულა.[71]

ცხადია, ასეთ ფასებში მიწის შეძენა გლეხთა ფართო მასებს სრულიად არ შეეძლოთ, მიუხედავად იმისა, რომ მათს

---

69 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 15, გვ. 102.

70 ჟურ., ЧСХ, 1913 წ., № 10—11, გვ. 38, 1915 წ., № 5-6, გვ. 26.

71 А. С. Лычков, Прошлое и настоящее Черноморского побережья Кавказа, Киев, 1901 წ., გვ. 181.

სანუკვარ ოცნებას წარმოადგენდა მიწის მესაკუთრედ გახდომა.

ამრიგად, ჩვენ დავინახეთ, რომ რეფორმის შემდეგდროინდელი აფხაზეთის ეკონომიური ცხოვრების ახალი, ბურჟუაზიული გზით განვითარებას წინ ეღობებოდა მრავალი დაბრკოლება, რაც გამოიხატებოდა ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების ნაშთების დიდი ზომით შენარჩუნებაში, რაც თავის მხრივ აიხსნება იმით, რომ რეფორმა შუა გზაზე შეჩერდა, რომ იგი დაუმთავრებელი დარჩა. რადგან მის ბედ-იღბალს თავიდანვე მებატონე-მემამულეები განაგებდნენ. რა თქმა უნდა, ეს იყო მთავარი მიზეზი კაპიტალისტური ურთიერთობის დაბრკოლებისა. მაგრამ იყო აგრეთვე არამთავარი დამატებითი მიზეზიც. ეს იყო რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი ომი, რომელმაც აფხაზეთის მეურნეობას, ისე როგორც მთელს საქართველოს ეკონომიკას, უაღრესად დიდი ზიანი მიაყენა და რამდენიმე ათეული წლის მანძილზე განსაზღვრა ახალი ურთიერთობის განვითარების ნელი ტემპი.

მიუხედავად ამისა, ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობა, თუმცა ნელი ტემპით, მაგრამ მაინც ვითარდება და სულ უფრო და უფრო საგრძნობი ხდება აფხაზეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. საკვაჭრო მიწათმოქმედების საგრძნობი (განსაკუთრებით მეთამბაქოეობის) განვითარება, კაპიტალისტური ხასიათის მრეწველობის ზოგიერთი დარგის (ყერძოდ, სატყეოს) წამოწყება, ფულადი იჯარის გახშირება, ფულადი საიჯარო გადასახადისა და მიწის გასასყიდი ფასების ჩქარი ტემპით ზრდა, უმიწო და მცირემიწიანი გლეხების მიერ თავისი სამუშაო ძალის გაყიდვის აუცილებლობა, გლეხებისა და მემამულეთა კლასის დიფერენციაცია, გლეხთა კლასის მკვეთრი დიფერენციაციის შედეგად, ე. წ. „ნადელიანი პროლეტარიატის" წარმოშობა, — აი, ის მოვლენები, რომლებსაც ბიძგი მისცა და ერთგვარი გაქანების საშუალება შეუქმნა საგლეხო რეფორმამ. მართალია, ამ მოვლენებმა მაშინვე ვერ მოსპეს ძველი, ბატონყმური ურთიერთობის გადმონაშთები, რომლებიც ასე ბლომად დატოვა იმავე რეფორმამ, მაგრამ მათ მაინც განვითარების საერთო ტენდენცია და ხასიათი უსათუოდ გამოხატეს და განსაზღვრეს. ძველის მოსპობა და მისთვის სრული ანგარიშის გასწორება, ახალი განვითარებისათვის სრული გასაქანისა და სრულყოფილი პირობების შექმნა მომავლის საქმედ იქცა. რეფორმის შემდეგდროინდელი პერიოდის ეკონომიური და სოციალური განვითარების მთელმა მსვლელობამ, „ბატონყმობის გაუქმების

შემდეგაც. აუტანელ კაბალაში"[72] ყოფნამ, გლეხობას აუხილა თვალები მებატონე-მემამულეებისა და მეფის მთავრობის თვალთმაქცობაზე, რომლებიც ხმამაღლა გაყვიროდნენ „დიდი რეფორმის" შედეგად ხალხის „მიწით უზრუნველყოფაზე" და მისთვის „თავისუფლების მინიჭებაზე", და მიიყვანა იგი იმ დასკვნამდე, რომ არსებული დუხჭირი საშინელი მდგომარეობიდან „თვითონ ეძებნა გამოსავალი, თვითონ ეწარმოებინა ბრძოლა სრული თავისუფლებისათვის".[73]

აფხაზ გლეხობას, მთელ ქართველ გლეხობასთან ერთად, არ შეუწყვეტია ბრძოლა ცარიზმის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ მანამ, სანამ რევოლუციურ პროლეტარიატთან კავშირში და მისი ხელმძღვანელობით. კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ დარაზმულმა, არ გაიმარჯვა თავის მტრებზე და არ მიიღო საუკუნეთა მანძილზე განუხორციელებელი სანუკვარი ოცნება — მიწა და ნამდვილი თავისუფლება.

---

72 ვ. ი. ლენინი, ტ. 17, გვ. 58.
73 იქვე.

შენიშვნებში დასახელებულ შემოკლებათა განმარტება

1. ცსსა — ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი.
2. საქ. ცსსა — საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი.
3. აფხ. ცსა — აფხაზეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი.
4. მაა — მეცნიერებათა აკადემიის არქივი.
5. ცსსსა — ცენტრალური სახელმწიფო სამხედრო-საისტორიო არქივი.
6. სსა — სამხედრო-სწავლული არქივი.
7. კმსა — კრასნოდარის მხარის სახელმწიფო არქივი.
8. აქტები — კავკასიის არქეოლოგიური კომისიის აქტები.
9. აია — აფხაზეთის ინსტიტუტის არქივი.
10. შეკ. — შეკრული.
11. АН — Академия Наук.
12. ЗКОИРГО — Записки Кавказского отделения императорского Русского географического общества.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა 3

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა საგლეხო რეფორმის წინ 9
ეკონომიური მდგომარეობა 10
გლეხთა კატეგორიები და მათი მდგომარეობა რეფორმის წინ 18
გლეხთა მოძრაობა რეფორმის წინ 48

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

საგლეხო რეფორმის მომზადება აფხაზეთში

„სოხუმის წოდებრივ-საადგილმამეულო კომისიის" შექმნა და მისი მუშაობის შედეგები 69
კომისიის მიერ შემუშავებული პროექტების განხილვა კავკასიის მთიელთა ტომების დამოკიდებულ წოდებათა გათავისუფლების კომიტეტში 86

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

8 ნოემბრის დებულება 104

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

რეფორმის გატარება 118

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

გლეხთა მოძრაობა რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით 142

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე

საგლეხო რეფორმის შედეგები და მისი მნიშვნელობა 151
შენიშვნებში დასახელებულ შემოკლებათა განმარტება 174

Леуан Миха-ипа

ЗИЗИГУРИ

Аҧсны

Анхацэа рреформа

(кырт бызшәала)

Леван Михаилович

ДЗИДЗИГУРИ

Крестьянская реформа в Абхазии

(на грузинском языке)

რედაქტორი ირ. ახალაია.

ტექრედაქტორი მ. ხახმიგერი.

კორექტორი პ. ჭითანავა.

ეი01369 ხელმოწ. დასაბეჭდად 18/X 60 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 11, ანგარიშთა № 2811. ტირაჟი 800

საქმთავარგამომცემლობის ლენინის სახ. სტამბა

ქ. სოხუმი